კვირის პალიტრა

გზა

N35 (273)

ფასი 60 თ.

„ზღვაზე წასვლა ჩემი ოცნება იყო, რომელიც 23 წლის ასაკში ძლივს ამისრულდა...“

„მეფემ“ მუსიკას „მიაგდო“ — რის წინაალმდეგ ილაშქრებს ირაკლი ჩარკვიანი

1168
2005

...ბის დედა — ქალიან უცნაური ამბები

თემა — ზღვაზე ჩასახული სიყვარული

„არც ერთი იყო გამომძალველი და არც მეორე დაზარალებული“

ანუ მეგობრობა პოლიტიკურთულად

გინდათ დამასპონსოროთ?!

„ფლირტი ქალის ცხოვრებას მრავალფეროვანს ხდის...“



როგორ გახდა ქუთაისის ქარხნის მუშა ჩემპიონი

სანაძლეოზე გაპარსული ულვაში, ფხვნილი ზვიგენებისთვის, დამნაშავეა შარდმდენი და სხვა

ახალი ნომერი 1 სექტემბრიდან



თქვენ ხომ გვმოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

კვირის პალიტრა
№35 (273)
1 - 7 სექტემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„არც ერთი იყო გამომძალველი
და არც მეორე – დაგარალებული“
ანუ მეგობრობა პოლიტიკურთულად 3
ერთი კითხვა 4
სკანდალი
„მონტაჟი არ ყოფილა –
უბრალოდ, ჩემი კომენტარის
არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა...“ 5
სახელმწიფო
მალე საქართველოში ევროპული
სტანდარტების ბაზრის
გაგვიხარებს გულს 9
საზღვრებს მიღმა
...ქართველი აგულანტების მიერ
დამგადებული სულგუნი 12
სახე
„ფლირტი ქალის ცხოვრებას
მრავალფეროვანს ხდის“ ანუ
გინდათ, დამასპონსოროთ?.. 14
ტესტი
ერთგული მკითხველი 15
კრიმინალი
- ბიძამ 13 წლის დისშვილი
  გააუპატიურა, შემდეგ კი მისი
  მოკვლაც სცადა 16
- ყაჩაღებმა მამა და მისი
  16 წლის შვილი ავტომატით
  დახვრიტეს 17

გზავნილები
მანიაკი ანაფორაში ანუ
მოგიკვდეთ „პროკურორი“!.. 18
ამბავი
„მეფემ“ მუსიკა „მიაგდო“
და ტერორიზმის
წინააღმდეგ გაილაშქრა 22
ჩემი თაობა
„ნანა, ესეც უნდა შეგეძლოსო და...
იმ დღიდან ხვეწნა
აღარ დამჭირვებია...“ 24
თემა
პლაჟზე ჩასახული სიყვარული 26
ბახუსი
„მაინც ვერ გადავურჩი იმ
მეგრელს და მის ყანწს“... 29
ჯანმრთელობა
- რატომ ვოფლიანდებით? 31
- ზოგრის თესლი ტვინის საკვებია 32

საკითხავი ქალებისთვის
- აი, როგორი ხართ თქვენ! 33
- როგორ ამოვიყვანოთ ქანგისა
  და ობის ლაქა 33

ტაძარი
როგორ აღმოჩნდა
უფლის კვართი საქართველოში 34
კვალი
„მაღლა ცაში ავფრინდები...“
– ნადირობისას შეწყვეტილი,
ნუგზარ აფხაიძის სიმღერა 35

„მონტაჟი არ ყოფილა – უბრალოდ, ჩემი კომენტარის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა...“

მიუხედავად იმისა, რომ პირველსავე დღეებში, უამრავი განცხადება გაკეთდა, ორივე მოქმედი პირის გარემოცვის წარმომადგენელთა შეფასებები კვლავ საზოგადოების ინტერესის ყურადღების ცენტრშია, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი, გამოსვლიდან გამოსვლამდე, განსხვავებულ კომენტარსაც გვთავაზობს...

5

პლაჟზე ჩასახული სიყვარული



ჩემს რესპონდენტებს ზღვაზე ყოფნისას ეწვიათ სიყვარული, მაგრამ ამ სიყვარულს არც ერთი მათგანისთვის არ ჩაუვლია გულისტკივილის გარეშე, თუმცა მათი თავგადასავლები ძალზე განსხვავდება ერთიმეორისაგან. ხანმოკლე დასვენება და ამ დროს ქალის თავს გადახდენილი ამბავი დასაწყისში უმეტესად, ჯადოსნურ ზღაპარს ჰგავს...

26

„მეფემ“ მუსიკა „მიაგდო“ და...

„საქართველოში მუსიკის კეთებაზე ბევრმა ადამიანმა ჩაიქნია ხელი და მგონია, რომ ჩვენთან საშემსრულებლო ხელოვნება კიდევ დიდხანს არ განვითარდება. ამრიგად, ჩვენი მუსიკა დარჩება იმ ჰომოსექსუალისტი ღიპიანი კაცების კივილ-წივილის დონეზე, რომელსაც წლების განმავლობაში ვისმენდით.“

22

„ფლირტი ქალის ცხოვრებას მრავალფეროვანს ხდის“

ამ ინტერვიუს კითხვისას, ხაგია შამუგია თურქეთში, პლაჟზეა წამოწოლილი და ირუჯება... დღეს წინასწარ იმის დაგეგმვა, თუ როგორ გაატარებ შვებულებას, ძალზე ძნელია. ხაგიამ ასეთი ამოცანა დაისახა მიზნად და საკუთარი შვებულების პროგნოზირებაც სცადა. ვნახოთ, როგორ წარმოედგინა მას დასვენება ანტალიაში...

14

ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 38
ვარსკვლავი
პატრისია კაასი: ძლიერი სქესის წარმომადგენელი... 38
ბომონდი 40
ავტო 41
ქართული დეტექტივი
ლუბა ელიავშვილი. მანიაკის ძღვენი (გაგრძელება) 42
ასპარეზი
როგორ გახდა ქარხნის მუშა მსოფლიო ჩემპიონი 46
შემოქმედი
ერნესტ ჰემინგუეი: „გამარჯვებული არაფერს იღებს“ 49
სცენა
ანსამბლზე შვიდი წლით უფროსი თავკაცი, სახიფათო „ხანჯლური“ და წინდების ამარა ცერებზე შემდგარი თენგიზ სუხიშვილი 52
დასვენება
რატომ ეშინია ზღვაში შესვლა ია ჩანტლაძეს? 54
ფავორიტები 56
ასტროლოგია
რა უნდა ვიცოდეთ ხელქვეითებთან ურთიერთობის დროს 58
ჰოროსკოპი
კვირის (1-7 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
რამდენად დამოუკიდებელი ხართ? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

რატომ ეშინია ზღვაში შესვლა ია ჩანტლაძეს?

„დავიწყებ იქიდან, რომ აღმოჩნდა – მაქვს ზღვის დაავადება და იახტის ყანყალისგან კინაღამ მოვკვდი... ადგილზე რომ მივედით, მოლუსკების დანახვისას ცუდად გავხდი... მერე წამოვედით და შუა ზღვაში გავჩერდით.“

54

როგორ გახდა ქარხნის მუშა მსოფლიო ჩემპიონი



„...შესვენების დროს, დავინახე, რომ ჩვენი ქარხნის რამდენიმე მუშა ცდილობდა საღებავით სავსე კასრი მანქანის ძარაზე დაედო, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. მათთან მისულმა, 70-კილოგრამიანი კასრი მარტომ ავწიე და ძარაზე შევაგორე. ამის შემყურე ერთ-ერთმა ჩემმა თანამშრომელმა ძალოსნობაში ვარჯიშის დაწყება შემომთავაზა...“

46

პატრისია კაასი ძლიერი სქესის წარმომადგენელი...

მსოფლიოს საუკეთესო საკონცერტო დარბაზებსა და მოედნებზე ფრანგი მომღერალი მუდამ იმ გრძნობაზე მღერის, რომელსაც თავად უფრთხის და გაურბის...

უკანასკნელ ხანს პატრისია ჟურნალისტებს არწმუნებს, რომ მისთვის უახლოესი არსებანი, პლუშის დათუნია და პუდელი ტეკილა არიან...

38

მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიავშვილი

გულგახეთქილი ვუსმენდი მის აბდაუბდა აღსარებას. თვალები არაჯანსაღად უელავდა, შუბლზე ოფლის წვეთები გაუჩნდა... უეცრად, კედლის იქით რაღაც გაბრახუნდა. შევხტი.

42

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ერთ ერთი იყო გამომძიებელი და ერთ მეორე – დაზარალებული“ ანუ მეგობრობა პოლიტიკოსთა

ქართველი კაცის სულში იმდენი რაინდული თვისებაა თავმოყრილი, რომ აღარ ეტევა ერთ ადამიანში ამდენი და ხან რომელი თვისება ამოვარდება გონებიდან, ხანაც – რომელი. არცაა გასაკვირი: სიყვარული, ერთგულება, პატიოსნება, პატრიოტიზმი, ძილი, ჭამა-სმა, არშიყობა და კიდევ ვინ იცის, რამდენი ჯიგრული თვისება გაგვაჩნია თითოეულ ჩვენგანს. ამიტომ, სიმრავლის გამო გვერევა და როდის რომელი უნდა გამოვიყენოთ, აღარ ვიცით. სწორედ ამ გაუგებრობის მსხვერპლი აღმოჩნდა ის ცნობილი ჟურნალისტი, ახლა რომ ციხეში ზის „მეგობრების“ წყალობით.

თქვე დალოცვილებო, ქართული ანდაზა იმას გვასწავლის – მოყვარეს პირში უძრახეო, ანუ მიუთითე და ჭკუა დაარიგეო, თორემ ქრთამი შეტენე და დაიჭირეო, სად წერია, ახლა რომ ერთმანეთის მიყოლებით აწყობთ პრესკონფერენციებს შს მინისტრი, დეპუტატი და პროკურორი და მდუღარე ცრემლი გდით, – ჩვენი ძმაკაცი იყო და ეს რავა მოუვიდაო?! არ მითხრათ ახლა, პოლიტიკამ მეგობრობა არ იცისო... თქვენზე ნაკლები პოლიტიკური ფიგურები იყვნენ ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი?! მთელ არაბეთსა და ინდოეთში ქმნიდნენ „პაგოდას“ და სამმა კაცმა ალაგმა კორუფცია და სეპარატიზმი ქაჯეთის ციხეში, მაგრამ ერთმანეთი კი არ გაუწირავთ. თუმცა, მაშინაც ეგრე არ იყო? გაჟუჟავდა ტარიელი ასობით მებრძოლს უმოწყალოდ, მერე დაჯდებოდა ღელის პირას და ბღაოდა უდღეური ბავშვივით...



ისე, დიდი შარიანი პროფესიაა ეს ჟურნალისტობა. შეგიჩნდება ეშმაკი და იწყებ ჟურნალისტურ გამოძიებას, როგორ მოაგროვა ამხელა ქონება ამა თუ იმ დეპუტატმა და მანამ არ მოისვენებს, სანამ „მდუღარეში არ ჩაკრავ ფეხს“. ვინ გეკითხება შენ, საიდან ისესხა კობა ბექაურმა ამოდენა ფული უპროცენტოდ და როდის გაისტუმრებს?! დეპუტატი კაცია და გაისტუმრებს, აბა რა დაემართება? თუ არა და, ჩვენ, ხალხი გავასტუმრებინებთ. რავა, ერთი და ორი ჩინოვნიკის ვალი და სესხი გაგვისტუმრებია საკუთარი დაქვითული ხელფასებითა და გაყინული პენსიებით?!

პროკურატურასა და სასამართლოსაც მეტი რა უნდათ: „ბუზი სპილოდ აქციეს“ და მეგობარმა დეპუტატმა რომ მეგობარ ჟურნალისტს „რაცხა ორი კაპიკი“ უმაღარიჩა, – მაგ ფილმი არ დევინახო ეკრანზეო და ე, ბატონო, – ფულის გამოძალვის მუხლი აჰკიდეს. კი გაიძახის ჩემი კოლეგა, მეც ვიღებდი ფარული კამერით, მაგრამ მასაც გადაუღია, ეთერში გაშვებაც მომასწრო და ახლა ის გამოვიდა მართალიო...

თუ ორივენი იღებდნენ, ორი კამერით გადაღებული და დამონტაჟებული უფრო არ სჯობია?! დაემონტაჟებინათ ერთად, რა მოხდებოდა? „უორნერ ბრაზერსი“ და „კოლამბია პიქჩერსი“ იღებენ ერთად და მაგათ რა ვერ გაიყვეს?! გაცილებით ეფექტური მასალა გავიდოდა ეთერში და იმ დეპუტატსაც მოისვამდა კამერაში გვერდით მართლა მეგობრულად...

არ თქვას ვინმემ, ჟურნალისტობით ფული არ იშოვებაო. მეც ვიწყებ ჟურნალისტურ გამოძიებას – მართლა იმ დეპუტატის ინიციატივა იყო თუ არა ფულის მიცემა დუმილის სანაცვლოდ. ა, გამზადებულია ეს პროვოკაცია დასაბეჭდად და ვნახავ, შემეხმიანება თუ არა კობა ბექაური. ბარემ მეც გავაკეთებ „ორ კაპიკს“, თორემ დავბერდი კაცი ჰონორარების შემყურე. მაგრამ მე ვინ მომცა მაგის იღბალი?! ჰოდა, უკაცრავად, ტელეფონი რეკავს...

– ალო... გამარჯობათ... დიახ, გისმენთ, ბატონო კობა...

P.S. თქვენ რომ იცით, მკითხველო, იმ პოლიტიკოსთა შეკრებაზე:

– კოლეგებო, ჩვენი მამულიშვილური ვალია, ვებრძოლოთ კორუფციას მასმედიაში.

– როგორ?

– როგორ და, შევთავაზოთ დიდი ფული, რაიმე დანაშაულის ამსახველი მასალა რომ არ დაიბეჭდოს ან არ გავიდეს ეთერში.

– სადაა მერე დანაშაული?

– უნდა ჩავიდინოთ, კოლეგებო, აბა, ისე როგორ აღმოვფხვრით კორუფციას?!

პროვოკატორი

„ამ ბრალდებების ფონზე გაქცევას არ ვაპირებ“

— როგორ ფიქრობთ — ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის საკითხი სამართალდამცველების ჩარევის გარეშე ვერ გადაწყდება?

გურამ აბსანძე, *ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი*:

— ერთადერთი, რაც გამაჩნია, ჩემი ღირსება და სახელია. ამიტომ არავის, მათ შორის ნინო გურიელსაც არ მივცემ უფლებას, შეურაცხმყოს. რადგან ყოფილი პრეზიდენტი რევანშისთვის ემზადება და ბრალდებათა მთელ ნუსხას მიყენებს, მეც დავინტერესდი იმ დოკუმენტებით, რომლებიც მისი პრეზიდენტობის პერიოდს მოიცავს. მე პროფესიონალი ფინანსისტი ვარ და არ გამჭირვებია იმის გარკვევა, თუ რა ფინანსურ დარღვევებს ჰქონდა ადგილი. ჭადრაკის ფედერაციაში „შავ ბუღალტერიას“ აწარმოებდნენ. ათიათასობით დოლარი უკვალოდ არის გამქრალი. არამიზნობრივად იხარჯებოდა თანხები და ძნელი გამოსაცნობი არ არის, თუ სად მიდიოდა ეს ფული. მე ამ მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს გადავცემ. მათ ჯერ ჩემი საქმიანობა შეამოწმონ, შემდეგ, ქალბატონი გურიელის ნამოქმედარს გაეცნონ. თანამდებობის დატოვება და გადადგომა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. თუ ჭადრაკის ფედერაციას ჩემი წასვლა რამეს უშველის, დღესვე მივიღებ სათანადო გადაწყვეტილებას. მაგრამ ამ ბრალდებების ფონზე გაქცევას არ ვაპირებ. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ: გურიელის ხელახალი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ჭადრაკის ფედერაცია ისევ რამდენიმე ჯგუფად დაიყოფა და ერთმანეთთან დაპირისპირების გარდა, ვერაფერს გააკეთებენ.

■

„ეს ჩვენს წარსულთან და ჩვენს მომავალთან დაპირისპირებას ნიშნავს“

— როგორია თქვენი დამოკიდებულება თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობის ქორეოგრაფიული სასწავლებლისათვის გადაცემის თაობაზე?

ზურა ყიფშიძე, *მსახიობი*:

— ქალაქის მერი თუ ასეთი „ჭკვიანი“ იყო, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. კომუნისტები თვითონ რომ არ ვარგოდნენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაც კარგი დაგვიტოვეს, ყველაფერი მოვსპოთ. ეს არის სულელური გადაწყვეტილება. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ყველაზე მეტი, 200 ბავშვი თუ ისწავლის, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში კი, ათასობით მოზარდი ეუფლება ხელოვნების სხვადასხვა დარგს. დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ქორეოგრაფიული სასწავლებლისთვის შენობა გაარემონტეს, საცეკვაო დარბაზებიც მოაწყვეს; როგორც ვიცი, იქ ყველა პირობაა შექმნილი ბალეტის მომავალი მსახიობებისთვის... იცით, რა მიკვირს?.. ქალაქში ამდენი პრობლემაა, მთავრობა კი რაღაც უაზრო ნოვაციებით ირთობს თავს და ანერვიულებს ამდენ ადამიანს. ნინო ანანიაშვილს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ წინადადებას არ უნდა დათანხმდეს. ყველაზე ჭკვიანური, რაც კომუნისტებმა გააკეთეს, პიონერთა სასახლის შექმნა იყო, ამის უარყოფა უგულავას კომპეტენციას სცილდება. კარგი იქნება, თუ მთავრობა მას გაათავისუფლებს და მის დემაგოგობას არ გადაგვაყოლებს.

გია გულაძე, *მხატვარი, სამხატვრო აკადემიის რექტორი*:

— ბავშვობაში, 5 წლის განმავლობაში დავდიოდი პიონერთა სასახლეში. ეს ჩემთვის უბედნიერესი წლები იყო. პირველად სწორედ იქ შევეხე ფუნჯს, ეს იყო ჩემი პირველი კავშირი მხატვრობასთან. ქალაქის მერს ვერაფერს ვურჩევ, ეს მისი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. მთავრობის წევრები ფიქრობენ, რომ უნდა მოისპოს ყველა კომუნისტური გადმონაშთი, გაუქმდეს ის დაწესებულება, სადაც ერთ დროს, კომკავშირული კლუბი ფუნქციონირებდა და „ხალხთა მეგობრობის“ შეკრებები იმართებოდა. თუმცა, ეს მოტივი რამდენად საკმარისია ამ გადაწყვეტილების მისაღებად, სერიოზული კამათის საგანი შეიძლება იყოს. ერთადერთი, იმის იმედი მაქვს, რომ თავად ნინო ანანიაშვილი იტყვის უარს ამ წინადადებაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქორეოგრაფიულ სასწავლებელს ამხელა ფართი არაფერში სჭირდება. მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებით, 9000 ბავშვის წინააღმდეგ წასვლა გაუმართლებელია. ქალბატონ ნინოს უდიდესი ავტორიტეტი აქვს საქართველოში. ამასთან ერთად, მან იცის, თუ რამდენად სათუთია ბავშვის ფსიქიკა, ამიტომ მჯერა, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს არ უნდა შევეხოთ, ეს ჩვენს წარსულთან და ჩვენს მომავალთან დაპირისპირებას ნიშნავს.

■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

„საბოლოო განაჩენს სტრასბურგის სასამართლო გამოიტანს“

— იუსტიციის სამინისტრო სტრასბურგის სასამართლოს მიერ მოლაშვილთან დაკავშირებით გამოგზავნილ შეკითხვებზე პასუხის გაცემას არ ჩქარობს. რისი შიში აქვს ბრალდების მხარეს?

შალვა შავგულიძე, *სულხან მოლაშვილის ადვოკატი:*

— რადგან სტრასბურგის სასამართლომ მოლაშვილის სარჩელის განხილვა მიზანშეწონილად მიიჩნია, ეს გარკვეულწილად ნიშნავს იმას, რომ მან მოლაშვილის მიმართ ადამიანის ევროკონვენციის აღიარებული უფლებების დარღვევის ფაქტი აღიარა. ჩვენ ევროსასამართლოს ინტენსიურად ვაწვდით ინფორმაციას იმ დარღვევების შესახებ, რომლებსაც მოლაშვილის მიმართ სასამართლო და პროკურატურა ერთად ახორციელებენ. ბრალდების მხარემ მშვენივრად იცის, რომ მოლაშვილი პოლიტპატიმარია, ამიტომ სტრასბურგში პასუხების გაგზავნას არ ჩქარობს. სამაგიეროდ, ჩქარობენ ბატონი სულხანისთვის განაჩენის გამოტანას. ამას მარტივი ახსნა აქვს: ევროსასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სულხან მოლაშვილი წინასწარი პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდეს. თუ სტრასბურგმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ ჩვენს კანონის დამცველებს სათქმელად ექნებათ — რა დროს წინასწარი პატიმრობაა, მას განაჩენი გამოვუტანეთო!.. თუმცა, ეს ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურების ბოლო გაბრძოლებაა. მოლაშვილთან დაკავშირებით საბოლოო განაჩენს სტრასბურგის სასამართლო გამოიტანს.

■

„მონტაჟი არ ყოფილა — უბრალოდ ჩემი კომენტარის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა...“

„გაუგებარია, როცა აცხადებენ — ბექაური მაინც უნდა დაისაჯოსო...“

ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის, შალვა რამიშვილისა და პარლამენტის დეპუტატის, კობა ბექაურის ირგვლივ მომხდარი სკანდალი ყველაზე ხმაურიანი „ნიუსია“ როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული მასმედიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პირველსავე დღეებში, უამრავი განცხადება გაკეთდა, ორივე მოქმედი პირის გარემოცვის წარმომადგენელთა შეფასებები კვლავ საზოგადოების ინტერესის ყურადღების ცენტრშია, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი, გამოსვლიდან გამოსვლამდე, განსხვავებულ კომენტარსაც გვთავაზობს...

ჩვენ შალვა რამიშვილის თანამშრომლებსაც შევხვდით და კობა ბექაურის კოლეგებსაც მივაკითხეთ, რათა კიდევ ერთხელ დაგვეფიქსირებინა, თუ რას ფიქრობენ მომხდარის შესახებ. თავდაპირველად, ტელეკომპანია „202“-ში ჩაწერილ ინტერვიუებს გთავაზობთ.

ხათუნა მაღრაძე
ნათია ქივიძე

— ლინზა, მოდი, საუბარი იმით დავიწყოთ, თუ როგორ მოხდა შალვა რამიშვილის დაკავება...

ბექა ონიანი (ლინზა):

— როცა შალვა დააკავეს — ე.ი. 27 აგვისტოს, მე თბილისში არ ვიმყოფებოდი. საქმეების გამო, მთელი თვე ქობულეთში გავატარე. თბილისში 28 აგვისტოს დავბრუნდი, მას შემდეგ, რაც შალვა დააკავეს. დარწმუნებული ვარ, რომ შალვა რამიშვილი დამნაშავე არ არის. ისე კი, ძალზე ცუდი ფაქტი მოხდა...

— თუმცა შალვამ თქვა, რომ ეს მისი კარიერისთვის საკმაოდ კარგი ფაქტია...

— უკეთესია, რომ ქვეყანაში ასეთი რაღაცები არ ხდებოდეს და პარლამენტარები, რაღაცის შიშის გამო, ამა თუ იმ პიროვნებას ქრთამს არ აძლევდნენ...

— ...და არც ჟურნალისტები იღებდნენ ქრთამს?..

— შალვა რამიშვილს ქრთამი არ აუღია — მე ასე არ ვთვლი.

— მაშ, რა არის ასახული იმ ოპერატიულ ვიდეომასალაში, რომელიც შს სამინისტრომ გაავრცელა?

— ეს მასალა მეც ისევე ვიხილე, როგორც ჩვეულებრივმა მაყურებელმა და იქ ძალზე ბევრი უზუსტობა დავინახე. მაგალითად, როცა ბექაურმა შალვას ფული გადასცა, იქ დაკუჭული კუპიურები ჩანდა (თუმცა თავს ვერ დავდებ იმაზე, ლარები იყო თუ დოლარები); მეორე ეპიზოდში კი, სადაც ორგანოს თანამშრომლები ამ ფულს ითვლიან, გატკიცინებული დოლარები იყო. ამასთანავე, ეს ოპერატიული მასალა დამონტაჟებული იყო — ე.ი. ფულის გადაცემასა და ამოღებას შორის რა ხდებოდა, ღმერთმა იცის.

— შენი ვარაუდით, რა შეი-

ძლებოდა მომხდარიყო იმ მომენტში?

— მე იურისტი არა ვარ და შესაბამისად, არც იმის კომპეტენცია მაქვს, რომ ამაზე რაიმე ვიფიქრო. მაგრამ როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, მაქვს უფლება, რომ რაღაც ეჭვი გამიჩნდეს. ეს ყველაფერი ჩემთვის აბსოლუტურად გაურკვეველი და ბუნდოვანია... ფული სპეციალური ფხვნილით ყოფილა დამუშავებული, რომლის კვალიც აღმოჩენილია მანქანის წინა სავარძელზე, იქ, სადაც შალვა იჯდა. თუ ასეა, მაშინ რატომ არ არის იგივე კვალი შალვას შარვალზე?.. და კიდევ: დათო კოხრეიძემ სასამართლოში ბევრი ისეთი კითხვა დასვა, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი. იმ ვიდეომასალაში კიდევ ბექაურის რაღაც იარაღზეა ლაპარაკი, რაც ასევე გასარკვევია. სასამართლოც არამობილიზებული იყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნაჩქარევად არის ეს ყველაფერი გაკეთებული. თუნდაც იმიტომ, რომ მოსამართლემ სტუდია „რეპორტიორის" სახელიც კი არ იცოდა — რაღაც სტუდიაო, ასე მოიხსენია... ხომ შეეძლოთ, შინაპატიმრობა მიესაჯათ მათთვის და არა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა, რადგან მათ საკმარისი დამამტკიცებელი საბუთები არ ჰქონდათ იმისა, რომ შალვა და დათო რამენაირად ხელს შეუშლიდნენ გამოძიებას. ჟურნალისტებმა და ბევრმა პოლიტიკოსმა შალვა უკვე დამნაშავედ გამოაცხადეს. ასე არ შეიძლება, რადგან ჯერ საბოლოო განაჩენი გამოტანილი არ არის. შალვა რამიშვილი დამნაშავე არ არის და არც არავის აქვს უფლება, რომ ის ასე მოიხსენიოს.



შალვას კამერა ექნებოდა ორშაბათს, როცა კობა დანარჩენ თანხას მიიტანდა...

— ეი. ეთანხმები შალვას იმაში, რომ ეს ყველაფერი კარგად დაგეგმილი პროვოკაციაა?

— ყოველ შემთხვევაში, მე არ ვფიქრობ, რომ ეს იყო ქრთამის აღება. თუ მართლა არსებობს ისეთი მასალა, რომლის გამოც ვიღაც ფულს იხდის, ეს უკვე დამაფიქრებელია. ყველამ უნდა გაიგოს, თუ რაში იხდიდა კობა ბექაური ამხელა თანხას. რაც შეეხება შალვას საქციელს — დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჟურნალისტური გამოძიების ბოლო აკორდი იყო — შალვამ ფული მხოლოდ ამ ფილმისთვის აიღო.

— მაშინ, რატომ არ ჰქონდა შალვას იმ დღეს ფარული კამერა დამონტაჟებული?

— ვინ გითხრა, რომ არ ჰქონდა?

— თვითონ შალვამ უთხრა სასამართლო პროცესზე იქ მყოფ ჟურნალისტებს.

— შალვას კამერა ექნებოდა ორშაბათს, როცა კობა დანარჩენ თანხას მიიტანდა და ეს შეხვედრა ბანკში შედგებოდა. ეს შეხვედრაც ბანკში უნდა შემდგარიყო, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, სხვაგან შედგა, თუ რატომ — ესეც გასარკვევია.

— შენ საკმაოდ ახლო ურთიერთობა გქონდა შალვა რამიშვილთან. თუ უხსენებია მას შენი თანდასწრებით კობა ბექაურის სახელი?

— არა, არასოდეს. როგორც გითხარი, მთელი თვე ქობულეთში ვიმყოფებოდი.

— როგორც ვიცი, სწორედ დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, შალვაც იქ იმყოფებოდა...

— მართალია, მაგრამ იქ ამის შესახებ არაფერი გვითქვამს. იქ გვაქვს გასართობი კლუბი, სადაც ყოველ საღამოს გრანდიოზული დისკოთეკა ეწყობა და მხოლოდ ამ საკითხზე ვლაპარაკობდით. მთელი ამ დროის განმავლობაში, მე შალვასგან კობა ბექაურის სახელიც კი არ გამიგია. მე, „202"-ში სხვა ფორმატის გადაცემები მიმყავდა და ჩემთან ამაზე შალვა არც ილაპარაკებდა.

— ახლა გადაცემის ფორმატი შეიცვალე და „დებატების" წამყვანი გახდი. ვინ მიიღო სტუდიაში ეს გადაწყვეტილება?

— ეს ყველამ ერთად გადავწყვიტეთ, რადგან გადაცემა ვიღაცამ ხომ უნდა წაიყვანოს და შესაფერის კანდიდატად მე ჩამთვალეს. ალბათ, ასე იქნება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ჩვენ ყველა ერთად უნდა ამოვუდგეთ შალვას მხარში.

— როგორ ფიქრობ — ხომ არ არსებობს ტელევიზიის დახურვის საშიშროება?

— ტელევიზია მუშაობას ჩვეულებრივად განაგრძობს და გადაცემა „დებატების" მთავარი თემაც ალბათ, ეს იქნება. თუ იქნება ამის საშუალება და თუ ეს ყველაფერი მართლა იმის გამო არ მოხდა, რომ არხი დახურონ, შემდგომ, ჩვეულებრივად განვაგრძობთ მუშაობას. მაგრამ თუ ეს იყო პროვოკაცია, მაშინ ის თავისუფლად მოქმედი არხის დახურვას ისახავდა მიზნად. სხვა მიზეზს ვერ ვხედავ — აბა, პირადი შუღლი ხომ არ ექნებოდათ ბექაურსა და რამიშვილს ერთმანეთის?!



ჩემს ნათქვამს აბსოლუტურად სხვა ქვეტექსტი ჰქონდა და სულ სხვა რამ გამოვიდა

— შალვას ყოფილმა თანაგუნდელმა, შონზომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას შალვასთვის ადრეც შეუმჩნევია „მსგავსი რაღაცები". რას გულისხმობდა, თუ იცი?

— ნამდვილად არ ვიცი. საერთოდ არ მესმის, რა საჭირო იყო ამ ბიჭებთან დაკავშირება, მერე, ვიდეოარქივის ამოქექვა და რაღაც კადრების დამონტაჟება. ჯერ ერთი, შონზოს, შალვასთან ჩემზე ახლო დამოკიდებულება აქვს. თუ არ ვცდები, ისინი ნათელ-მირონებიც არიან და რაში უნდა დასჭირვებოდა მას ამის თქმა?!. მხოლოდ იმის გამო, რომ მათ სამსახურებრივი უთანხმოება მოუვიდათ?.. ამასთანავე, ეს იყო „რუსთავი 2"-ის მიერ დამონტაჟებული მასალა. კარგად მახსოვს, შონზოს დაახლოე-

ბით ასეთი შინაარსის გამოსვლა „202“-დან წასვლის შემდეგ ჰქონდა. ახლა მას მსგავსი არაფერი უთქვამს – ეს შონზოს სახელით, ჩვენს ეთერში მისმა კოლეგამ და მეგობარმა, მიშა მშვილდაძემაც დაადასტურა. ვერ გამიგია, რაში დასჭირდა „რუსთავი 2“-ს ასეთი მონტაჟი. თავს დავდებ, რომ შალვა რამიშვილი შანტაჟისგან ძალიან შორს დგას. ნებისმიერი კრიმინალური ელემენტი შალვასგან ისევე შორსაა, როგორც სუმოს მოჭიდავე – პოდიუმისგან. მისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ჩემთვის წარმოუდგენელია, მას გონებაში რაიმე კრიმინალური აზრი გაევლო.

ნიკა ქავთარაძე:

– ვიტოვებ მყარ და საფუძვლიან იმედს, რომ შალვა ამ კონკრეტულ სიტუაციაში გამომძალველი არ იყო. იმ ვიდეომასალაშიც მე ვერ შევნიშნე ისეთი კადრები, სადაც შალვა გამომძალველად გვევლინება.

— შენი აზრით, რამდენად ობიექტურად შეაფასა სასამართლომ შალვას ბრალეულობა, როდესაც მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა?

– სასამართლოს ეს სიტუაცია არ შეუფასებია – მან შეაფასა ის, თუ რამდენად საჭირო იყო, რომ შალვა წინასწარ პატიმრობაში დარჩენილიყო. ეს კი, ჩემი აზრით, აბსოლუტურად უსამართლო გადაწყვეტილება იყო. სასამართლო იყო უსამართლო და ეს ძალიან ცუდია, რადგან იმ დროს, როცა ქვეყანას ვაშენებთ, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ცუდი ტრადიციაა ის, რომ რა შუამდგომლობასაც პროკურატურა წარმოადგენს, სასამართლო იმასვე ამტკიცებს და არანაირი ალტერნატივა არ არსებობს. წესით, სასამართლოს ის კი არ უნდა აინტერესებდეს, გამომძალველია თუ არა შალვა, არამედ ის – თუ რაში იხდიდა ბექაური ფულს. ამ ეტაპზე, არ შეიძლება, ილაპარაკო შალვაზე, როგორც დამნაშავეზე ან უდანაშაულოზე. სასამართლო იქნება 3 თვის შემდეგ და შესაძლოა, ის გაამართლონ. თუმცა, ეს დაახლოებით ისევეა შესაძლებელი, როგორც ის, რომ ზესტაფონის „ფერომ“ მადრიდის „რეალს“ 7-0 მოუგოს... დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს ყველაფერი სწორად გამოიძიონ არა მხოლოდ შალვას „მხრიდან“, არამედ ბექაურის საკითხიც შეისწავლონ.

— როგორც შენ ამბობ, თუ შალვა უდანაშაულოა, მაშინ რაში დასჭირდა ბექაურს ან თუნდაც შს სამინისტროს ამ ამბის მოწყობა?

– შალვა იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ღიად აკრიტიკებდა მთავრობას. ამ შემოდგომაზე, შუალედური არჩევნებია და რა თქმა უნდა, მთავრობისთვის ხელსაყრელია, რომ ასეთი ადამიანი ციხეში იჯდეს.

— ეი. შენი აზრით, „202“-ს საფრთხე ემუქრება.

– ახლა იქ შალვა აღარ არის და რა საფრთხე უნდა დაემუქროს?.. საფრთხე აქამდე ემუქრებოდა და ხელისუფლებამ ეს აღასრულა კიდეც.

— შონზო, შენ „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში თქვი, რომ ადრეც შეგინიშნავს შალვა რამიშვილისთვის „მსგავსი რაღაც“. მერე კი, ტელეკომპანია „202“-ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს — ეს ინტერვიუ მონტაჟის შედეგი იყოო. რას გვეტყვი ამის შესახებ?



ფრაქცია უფლებამოსილია, განიხილოს ეს საკითხი და გაარკვიოს, თუ რა დარღვევების დაფარვას ითვალისწინებდა გარიგება

ზურა გაჩეჩილაძე (შონზო):

– არანაირი მონტაჟი არ ყოფილა – უბრალოდ, ჩემი კომენტარის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა. ჩემს ნათქვამს აბსოლუტურად სხვა ქვეტექსტი ჰქონდა და სულ სხვა რამ გამოვიდა. მე ვთქვი, რომ მქონდა ეჭვი, ჩვენი იქ ყოფნის დროს, რომ შალვა რამიშვილი აკეთებდა ფულს, რომელიც ჩვენამდე არ მოდიოდა. ძალიან „ტეხავს“, რომ კომენტარის ხელახლა კომენტირება მიწევს, რადგან აზრი იყო დამახინჯებული. ამით ტელეკომპანიამ იმას მიაღწია, რომ მეც და შალვაც ცუდი ადამიანები გამოგვიყვანეს და ეს უნდოდათ კიდეც. სინამდვილეში, ასეთები სულაც არა ვართ.

— როდესაც თქვი, რომ შალვა ფულს აკეთებდა, რა იგულისხმე ამ სიტყვებში?

– მე რომ მეთქვა, შალვა გამომძალველი იყო-მეთქი, მაშინ მეც გამომძალველი გამოვიდოდი. ვინმე დაიჯერებს ამას?!. მე მქონდა ეჭვები, რომ შალვა რამიშვილი, როგორც კომერსანტი და ტელევიზიის ხელმძღვანელი, ვიღაცისგან იღებდა ფულს, რომელიც ჩვენამდე არ მოდიოდა. შალვა გამომძალველი და შანტაჟისტი ნამდვილად არ არის. ის უბრალოდ, წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა, რაც თვითონაც განაცხადა. ეს ყველაფერი კარგად მოფიქრებული იყო. ისიც გასაგებია, რომ შალვას წინააღმდეგ მთავრობის ბევრი წარმომადგენელი იყო განწყობილი, მისი განცხადებების გამო. აქედან გამომდინარე, ის უფრო მობილიზებული და ჩასაფრებული უნდა ყოფილიყო და უნდა სცოდნოდა, რომ ასეთ რამეს მოუწყობდნენ. ეს ელემენტარულია. როცა ვიცი, რომ რაღაც მიზეზის გამო, შენ მე არ მოგწონვარ, ყოველთვის დაველოდები შენგან რაიმე საფრთხეს. შალვამ, როგორც კი ყურადღება მოადუნა, მაშინვე მიიღო ის, რაც ახლა ხდება.

შალვა რამიშვილის დაკავების ამსახველი ოპერატიული მასალის ჩვენებით მოგვრილ ემოციებთან ერთად, საზოგადოების ყურადღების ცენტრში, პარლამენტარ კობა ბექაურის როლი მოექცა. ბევრი კითხვა, რომელიც ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა, მისი თანაფრაქციელების სატელევიზიო გამოსვლებშიც დაისვა და სხვადასხვა პერსონისგან სხვადასხვა შეფასებაც მიიღო. აზრთა ჭიდილი და ურთიერთდაპირისპირებაც ამ საკითხზე ალბათ, 4 სექტემბრისთვის დანიშნულ ფრაქციის სხდომაზეც იჩენს თავს. რა პოზიციები დაფიქსირდა საღღეისოდ?..

— სახელისუფლებო პარტიის წევრები აღშფოთებული არიან იმის გამო, რომ სამართალდამცავებთან ბექაურის თანამშრომლობა დაგმეთ...

დავით ზურაბიშვილი, *პარლამენტის წევრი:*

– სამართალდამცავებთან თანამშრომლობა მშვენიერია, მაგრამ დეპუტატი პოლიციის ოპერმუშაკივით არ უნდა იქცეოდეს – ეს არის ჩემი პოზიცია. სამწუხაროდ, „ნაცმოძრაობა“ არავითარ პიროვნულ მოსაზრებებს არ ცნობს, თუ საკუთარი აზრი გამოთქვი, ე.ი. ქვეყანა

დაქციე და საერთო პრინციპების მოღალატე ხარ. ეს არ არის გუნდური აზროვნება. რაც სახელისუფლებო პარტიაში ხდება, კლანური მმართველობაა.

— რომ არა ბექაური-რამიშვილის ინციდენტი, ფრაქციიდან მაინც გახვიდოდით?

— დიდი ხანია ვცდილობ, გავარკვიო — ის, რაც თავისუფალ მედიასთან, ბიზნესთან, დემოკრატიულ ღირებულებებთან, განათლების რეფორმასთან დაკავშირებით ხდება, ხელისუფლების გამოუცდელობით გამოწვეული შეცდომაა თუ მისი მუშაობის შედეგად დამკვიდრებული კანონზომიერება. სამწუხაროდ, ბოლო მოვლენებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენ ძირითად რელსებს ავცდით და ხელისუფლება მიზანმიმართულად აკეთებს ამას. მე ამ დიდი ერთობის წევრი ვეღარ ვიქნები.

— როგორ ფიქრობთ — „დიდ ერთობაში“ ბექაურის ადგილი კვლავ დარჩება?

— როგორც ვიცი, 4 სექტემბერს ბექაურის საკითხზე ფრაქცია იმსჯელებს. მაგრამ თუ მისი ხელშეუხებლობაა გადაწყვეტილი, საეჭვო კითხვებს პასუხი დიდხანს არ გაეცემა. ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ბექაური, დეპუტატისთვის ღირსების შემლახველი ფორმებით, სამართალდამცავებთან სიტყვიერ საპროცესო გარიგებაზე წავიდა. თუ ეს მხოლოდ „ქმნა მართლისა სიმართლისა“ იყო, რატომ არ უნდათ, ბექაურის საქმე ღია განხილვის საგანი გახდეს, ჩემთვის გაუგებარია.

— გიგა ბოკერია, თქვენ და „ნაცმოძრაობის“ რამდენიმე წევრს ფრაქციის დატოვებას გირჩევთ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყველა, ვინც ბექაურის საქმის გარკვევას შეეცდება, დავით ზურაბიშვილის გზას გაუყვება?

ელენე თევდორაძე, *სახელისუფლებო ფრაქციის წევრი:*

— მე პარლამენტში და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ბოკერიას გამო არ მივსულვარ, ამიტომ ის ვერ გადაწყვეტს, ფრაქციაში დავრჩე თუ წავიდე. ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელი განცხადება იყო. თავს უფლებას არ მივცემდი, ასეთი რჩევა კობა ბექაურის მისამართითაც კი რომ გამომეთქვა.

— თქვენი აზრით, კობა ბექაურმა ფრაქცია უნდა დატოვოს?

— მე ეს არ მითქვამს. როცა რამიშვილის დაკავებისა და ბექაურის ამ პროცესში მონაწილეობის შესახებ შევიტყვე, დამებადა კითხვები ჩვენი ფრაქციის წევრის მისამართით. თუ ჟურნალისტი შანტაჟზე მიდის, ეს ჩვეულებრივი კრიმინალია. მაგრამ უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს მეორე მხარეც: როცა ოჯახში რაღაც გაურკვევლობა ხდება, ოჯახმა თავისი საქმე თვითონ უნდა გაარკვიოს. ფრაქცია დიდი ოჯახია.

— მიუხედავად იმ დაძაბული ფონისა, რომელიც თქვენ გარშემო შეიქმნა, ბექაურის საკითხს ფრაქციის სხდომაზე მაინც დააყენებთ?

— აუცილებლად მინდა, მოვისმინო, რის საფუძველზე ხდებოდა დაშანტაჟება და რაიმე საეჭვო ხომ არ იმალება ამ ყველაფრის მიღმა. თვითონ ფრაქციისთვის და მისი ავტორიტეტის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ საზოგადოებაში გაქრეს ყველა კითხვის ნიშანი.

ლევან ბეჟაშვილი, *იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე:*

— თქვენთვის, როგორც უმრავლესობის წევრისთვის, ჟურნალისტის მხრიდან ჩადენილი შანტაჟია მთავარი თუ იმის გარკვევა, რის დაფარვას ცდილობდა დეპუტატი?

— თუ ტელეკომპანიის ხელმძღვანელს ფულის გამოძალვა და შანტაჟი საბოლოოდ დაუმტკიცდა, ამას უმნიშვნელო ფაქტს ვერ დავარქმევთ. ჟურნალისტის მხრიდან დეპუტატის შანტაჟი ძალიან ცუდი პრეცედენტია. რაც შეეხება კობა ბექაურს — ის უმრავლესობის წევრია, ამდენად, ფრაქცია უფლებამოსილია, განიხილოს ეს საკითხი და გაარკვიოს, თუ რა დარღვევების დაფარვას ითვალისწინებდა გარიგება, რატომ უკავშირდებოდნენ ისინი 3 თვის განმავლობაში ერთმანეთს და რა დარჩა იმ კადრებს მიღმა, რომლებიც ფართო საზოგადოებამ იხილა.

— სტუდია „რეპორტიორი“ ფილმის დასრულებას და მის ეთერში გაშვებას მაინც აპირებს. თუ ამ ფილმში ბექაურის მამხილებელი მასალები აღმოჩნდა, პარლამენტი მას იმუნიტეტს მოუხსნის?

— თუ მამხილებელი ფაქტები ამოტივტივდა, მაშინ გენერალური პროკურორი ვალდებული იქნება, აღძრას სისხლის სამართლის საქმე და შემოვ-

თმის გაფანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გაფანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამერიკაში
მრავალნლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
ეახლესი ამერიკული მეთოდები - მხოლოდ ჩვენთან!
ფილიალები ბაკურიანებში, ბასგე

იდეს პარლამენტში იმუნიტეტის მოხსნის წინადადებით. ამის შემდეგ, საკანონმდებლო ორგანოზე იქნება დამოკიდებული, მოუხსნას თუ არა იმუნიტეტი კობა ბექაურს. ვნახოთ, რა მასალებს წარმოადგენენ. პირადად მე, ეჭვი მეპარება, რომ ბექაურის ქმედებაში მნიშვნელოვანი დანაშაულის ნიშნებია.

— ე.წ. კომპრომატებთან დაკავშირებით სათანადო მოკვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ თქვენ მაინც დარწმუნებული ხართ, რომ ბექაური უდანაშაულოა...

გიგა ბოკერია, *პარლამენტის წევრი*:

— ადამიანი, რომელსაც საკუთარი დანაშაულის გამოაშკარავების ეშინია, ასეთ ხმაურიან ოპერაციას არ დათანხმდებოდა. მას, კომპრომატების გასაქრობად შეეძლო, ისე გადაეცა თანხა ჟურნალისტისთვის, რომ ამას ვერავინ გაიგებდა. დღეს მას ცალკეული პოლიტიკოსები „ქურდული გაგებით“ „კაიბიჭობას“ უწუნებენ. მან შანტაჟისტებისგან დაცვა სთხოვა სამართალდამცავებს. საკანონმდებლო ორგანოს წევრი ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში სწორედ ასე მოიქცეოდა. ამიტომ ვუცხადებთ ბექაურს სრულ პოლიტიკურ მხარდაჭერას.

— თქვენ ფიქრობთ, რომ პატიოსანი შრომით დეპუტატს ერთ წელიწადში, ბინების, მანქანებისა და ფულადი დანაზოგის გაორმაგება შეუძლია?

— პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ბატონმა კობამ ამასთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება — რომ მან გარკვეული ოდენობის თანხა ისესხა, რაც ნოტარიულადაა გაფორმებული და თუ არ ვცდები, 2010 წლისთვის, უკან უნდა ჩაასესხოს. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მე ბექაურის ადვოკატის ფუნქციებს არ შევითავსებ. ჩემი ბრალეულობაც რომ დადასტურდეს, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა ვაგო პასუხი. უბრალოდ, ჩემთვის გაუგებარია, როცა აცხადებენ — ბექაური ყველა შემთხვევაში უნდა დაისაჯოს, თუ დანაშაული არ ჩაუდენია, იმისთვის მაინც უნდა მოვთხოვოთ პასუხი, რომ „არაქურდულად“ მოიქცა და სამართალდამცავებთან ითანამშრომლაო. როცა საქმე ასეთ სკანდალს ეხება, ჯობია, რა ფაქტებიც გვაქვს, იმ ფაქტებზე ვილაპარაკოთ (რამაშვილთან დაკავშირებით) და ისიც ვაღიაროთ, რომ ქვეყნისთვის უმჯობესი იქნება, თუ ყველა დანაშაულებრივი ფაქტი გამოაშკარავდება.

■

მაღე საქართველოში ევროპული სტანდარტების ბაზრები გაგვიხარებს გულს

ბაზრებისა და ნაგავსაყრელების შემდეგ, ქვეყნის მთავარმა სანიტარმა იერიში საავადმყოფოებზე მიიტანა, მედიკოსებს შექმნილი სანიტარიული „იდილია“ დაუწუნა, ხელში პინცეტისა და ლანცეტის მაგიერ, ცოცხი და ფოცხი დააჭერინა და სანიტრების მიერ დაყრილი ნაგავი, სულ ექიმებს აწმენდინა. შემდეგ, მედპერსონალს გარჯა დაუფასა და ყველა საავადმყოფო, პირველადი ჯარიმით „დააჯილდოვა“... დავით მესხიშვილმა საიდუმლოდ ისიც გაგვიმხილა, რომ ღამლამობით და ჩუმ-ჩუმად საავადმყოფოებში განმეორებით რეიდებს გეგმავს, ხოლო მეორედ მისი უკმაყოფილება ექიმებს გაცილებით ძვირი დაუჯდებათ.

ემა ტუხიაშვილი

— პირველად, რისი გაკეთებაც სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციაში მოვახერხე, ეს კადრების ოპტიმიზაცია გახლდათ. ჩვენ შევქმენით აბსოლუტურად ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც მანამდე, ფაქტობრივად არ არსებობდა. დაისახა ახალი მიმართულებები, რომლებზეც მანამდე სანიტარული ინსპექცია არ მუშაობდა. ჩვენთვის პრიორიტეტად იქცა სანიტარული ზედამხედველობა სკოლებზე, აგრარულ ბაზრებსა და კლინიკებზე. არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ წლების განმავლობაში, სანიტარული ინსპექცია მხოლოდ ფორმალურად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას და ძირითადად, ობიექტებზე ფულის ასაღებად თუ მივიდოდნენ ხოლმე. მნიშვნელოვან ნაბიჯად მიმაჩნია ის, რომ დაიმსხვრა მანამდე არსებული სტერეოტიპი იმისა, რომ სანიტარულ ინსპექციას, კოლეგიალობის გამო, არ უნდა შეემოწმებინა სამედიცინო დაწესებულებები, ეს იყო ერთგვარი დახურული სივრცე და ა.შ. ყველაფრის მიუხედავად, გასაკეთებელი ბევრი გვაქვს, რადგან ქვეყანაში არსებული სანიტარული სურათი იდეალურისგან ჯერ კიდევ შორსაა.

— რამდენად რთული იყო დაკისრებული მოვალეობის შესრულება? მახსოვს, როდესაც ქალაქის სანიტარული ზედამხედველობა ითავეთ...

— ალბათ, კოლმეურნეობის ბაზრის ინციდენტს გულისხმობთ, არა?

— სულაც არა. მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ ყველაზე ახალგაზრდა თანამდებობის პირი იყავით...

— ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ვარ, კიდევ უფრო მეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში, რადგან ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ძალიან ენერგიული ვარ. საკუთარ თავზე ლაპარაკი და ჩემი თავის ქება არ მიყვარს, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ჩემი ენერგიულობა გაკეთებული საქმეებითაც ჩანს. წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი გარანტი ისიც იყო, რომ ჩემი მუშაობის მანძილზე, ქრთამი არასდროს ამიღია და შესაბამისად, ნებისმიერი, ჩვენი ინსპექციისადმი დაქვემდებარებული ობიექტის ხელმძღვანელს, საავადმყოფო იქნება ეს თუ საკოლმეურნეო ბაზარი, თამამად შემიძლია მოვთხოვო სანიტარული ღონისძიებების ჩატარება.

— თუ შემოუთავაზებიათ ქრთამი, ვის და რა რაოდენობით?

— პირადად ჩემთვის, არც ფული და არც სხვა მატერიალური ღირებულება, ქრთამის სახით, არავის შემოუთავაზებია. თუმცა, გვქონდა ორი შემთხვევა, მათ შორის ერთი — ბათუმში, როდესაც ჩემს თანამშრომლებს შესთავაზეს გარკვეული თანხა, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ეს თანამშრომლები კეთილსინ-

დისიერი მუშაობისთვის ფულადი პრემიებით წავახალისეთ. უნდა გაგიმხილოთ, რომ ასეთი წესიც კი შემოვიღეთ სამსახურში: თუ უწყებაში შემოსული პირი ქრთამის შეთავაზებას გაბედავს, საპატრულო პოლიციის მოსვლამდე, ის ოთახში ჩავკეტოთ.

— წელან, საკოლმეურნეო ბაზარში მომხდარი ინციდენტი ახსენეთ. ასე ძლიერ ჩაგრჩათ მეხსიერებაში ეს ამბავი?

— განსაკუთრებულად, ჩვენ მიერ ჩატარებული ორი ღონისძიება დამამახსოვრდა: პირველი, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობის ბაზარში ატეხილი დავიდარაბა იყო და იმასაც მეუბნებოდნენ ხოლმე — ალბათ, გულში აგინებდი იმ ქალს, რომელიც შენკენ მუშტებით წამოვიდაო... გულახდილად გეტყვით, რომ იმწუთას, ისეთი გაოგნებული ვიყავი იმ ქალბატონის საქციელით, რომ გინებაზე არც მიფიქრია. ალალად გეტყვით, რომ ასეთი ქალი არასდროს მინახავს და უფრო მეტად, გაოცებული ვიყავი, ვიდრე გაბრაზებული... მეორე შემთხვევა გახლდათ ინციდენტი გლდანის ნაგავსაყრელზე, სადაც ღორების ფერმა ჰქონდათ გაშენებული. იქ კი, სანიტარული ინსპექციის თანამშრომლებს მწყემსები დაგვესხნენ თავს და ხელჩართულ ბრძოლაში მოგვიწია ჩაბმამ, რადგან სხვა გამოსავალი ფაქტობრივად, არ გვქონდა... მიმაჩნია, რომ ორივე ღონისძიება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ხმაურისა და ნერვიულობის ფასად დაგვიჯდა. ჩემი ინფორმაციით, კოლმეურნეობის ბაზარი გარემონტებული და განახლებული სახით უკვე მომავალი წლიდან დაიწყებს მუშაობას. ეს იქნება ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული აგრარული ბაზარი, სადაც მოვაჭრეები შემოსილები იქნებიან სპეციალური სამოსით, რაც ჰიგიენური ეფექტის გარდა, ვიზუალურადაც მიმზიდველი იქნება. შემიძლია ასევე გითხრათ, რომ სამედიცინო შემოწმებას გაივლის ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამ ბაზარში ვაჭრობის სურვილს გამოთქვამს. გპირდებით, რომ ეს იქნება პროდუქტების რეალიზაციისთვის მოწყობილი დიდი მარკეტი, მისაღები ფასებით. ეს პროცესი გაგრძელდება ეტაპობრივად და დროთა განმავლობაში, აღნიშნულ ნორმებსა და მოთხოვნებს ქვეყანაში არსებული ყველა აგრარული ბაზარი დაექვემდებარება.

— მართალია, თქვენი უწყება პერიოდულად ახორციელებს რეიდებს თბილისის ბაზრებში, მაგრამ დარღვევა კვლავ მრავლადაა. საკმარისია, თუნდაც ის ფაქტი გავიხსენოთ, როდესაც ე.წ. დეზერტირების ბაზართან მდებარე ავტოფარეხში, ყოველგვარი სანიტარული ნორმის დაცვის გარეშე, პირუტყვის ხორცი ინახებოდა და შემდეგ სარეალიზაციოდ გაჰქონდათ დახლებზე.

— გეთანხმებით, რომ დღეს სანიტარული დარღვევები შეგვიძლია, ყველა საკოლმეურნეო ბაზარში აღმოვაჩინოთ და ამის გამო, გვაქვს საფუძველი, დავხუროთ კიდეც ისინი... ჩვენი ძალისხმევის შედეგია ის, რომ ყველა ბაზარში დაწყებული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა ამ სამუშაოების ტემპით უკმაყოფილო ვარ და მომავალ კვირას ვაპირებ, შევხვდე, ქვეყნის მასშტაბით არსებული ყველა ბაზრის ხელმძღვანელს, სადაც უკვე კონკრეტულ ვადებს დავუწესებ.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, საჯარიმო სანქციები უკვე ყველა ბაზარს გამოუტანეთ. ასეა?

— საქართველოს დედაქალაქშიც და ქვეყანაში არსებულ ყველა აგრარულ ბაზარს უკვე მეორადი ჯარიმები დაეკისრათ, ეს ჯარიმა კი 500 ლარის ოდენობით განისაზღვრება. გარწმუნებთ, რომ დაჯარიმება სისტემატურ ხასიათს მიიღებს, თუ მდგომარეობა ეტაპობრივად, არ გაუმჯობესდება.

— რამდენიმე თვის წინ, საკმაოდ აქტუალური იყო სანიტარული ნორმების დარღვევები სკოლების ბუფეტებსა და სასადილოებში. თუ დაინტერესდით, რა შეიცვალა ამ თვალსაზრისით მომავალი სასწავლო წლისათვის?

— რა თქმა უნდა, ჩვენ ვინტერესდებით ხოლმე, თუ როგორ იცვლება ვითარება ჩვენ მიერ შემოწმებულ ობიექტებზე. ამრიგად, შემიძლია გითხრათ, რომ სასწავლო დაწესებულებებში არსებულ კვების ობიექტებზე, რომლებიც ჩვენ მიერ იქნა დაჯარიმებული, ყველგან ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. გარდა ამისა, ყველა ეს ობიექტი მომარაგდა დახლ-მაცივრით და გარწმუნებთ, რომ როგორც კი ამუშავდება ეს ბუფეტები, ჩვენ კვლავ ვაპირებთ, მოვაწყოთ რეიდები სკოლებში, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოზარდებს არაფერი ემუქრებათ.

— საზოგადოებისთვის შოკის მომგვრელი იყო იმის ხილვა, რომ მოქალაქემ პურში ღამურა აღმოაჩინა. საინტერესოა, რა სადამსჯელო ღონისძიებები ტარდება მსგავსი ფაქტების გამოვლენისას?

— ეს გახლდათ საკმაოდ სკანდალური ამბავი, რადგან ოფიციალური დოკუმენტაციის არქონის გამო, ვერ მოხერხდა იმის დამტკიცება, რომ ეს პური ნამდვილად დასახელებულ ქარხანაში იყო გამომცხვარი. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენმა სამსახურმა მაინც მოახდინა რეაგირება აღნიშ-

როგორც კი ამუშავდება ეს ბუფეტები, ჩვენ კვლავ ვაპირებთ, მოვაწყოთ რეიდები სკოლებში, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოზარდებს არაფერი ემუქრებათ.

ნულ ფაქტზე – დასახელებული ქარხანა დავათვალიერეთ. ზოგადად, ანტისანიტარიის პრობლემა პურის ქარხნებსა თუ საცხობებში მეტ-ნაკლებად მაინც არსებობს, თუმცა ჯერჯერობით, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციას ჩამორთმეული აქვს უფლება, შეამოწმოს კვების ობიექტები. ვიმედოვნებთ, რომ არსებული ხარვეზების გამოსწორება დაახლოებით ერთ თვეში მოხდება, რადგან იგეგმება ახალი სამსახურის შექმნა. კონკრეტულად, ეს იქნება კვებისა და წამლის ადმინისტრაცია, რომელსაც უშუალოდ კვების პროდუქტების კონტროლი დაეკისრება. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ადმინისტრაციული რგოლის შექმნაზე უშუალოდ სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე მუშაობს. მინდა გითხრათ, რომ ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციაში მუშაობისას, დავინტერესდი დოკუმენტაციით, რომელშიც თბილისში არსებული რესტორნების შემოწმებისა და დაჯარიმების სურათი იქნებოდა ასახული. დაუჯერებელია, მაგრამ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ ფიქსირდებოდა, რომ სანიტარული ინსპექციის თანამშრომელმა შეამოწმა რომელიმე რესტორანი. შესაბამისად, ვერც დაჯარიმებდა მას...

— არის შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა კერძო სადეზინფექციო სამსახურების მომსახურებით სარგებლობს, მაგრამ რიგ შემთხვევებში, მედიკამენტების არამართებული გამოყენება სავალალო შედეგებს იწვევს, გახდება მოსახლეობის მოწამვლის ფაქტებიც და ა.შ.

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კერძო სანიტარული სამსახურები ჩვენთან არ არსებობს და თუ ვინმე იბრალებს ამას, უკანონობას სჩადის. მეტიც – ეს ადამიანები თაღლითები არიან და ჩვენ სისტემატურად ვაწვდით ფინანსურ პოლიციას ინფორმაციას მათი საქმიანობის შესახებ. ჩემთვის ცნობილია, რომ ეს ადამიანები ჩემი სახელით მიმართავენ მოსახლეობას და გარკვეული თანხის საფასურად, უცნობი წარმომავლობის ნივთიერებებით ახორციელებენ სადეზინფექციო სამუშაოებს. უნდა ვაღიარო, რომ ეს საკმაოდ საშიში ტენდენციაა და თქვენი ჟურნალის საშუალებით, კიდევ ერთხელ მინდა, მოვუწოდო მოსახლეობას, არ შეეხონ ასეთ ნივთიერებებს.

— არ შემიძლია, გვერდი ავუარო საავადმყოფოების ეზოებში არსებულ ანტისანიტარიას...

– ეს ჩვენთვისაც გამოგნებელი სურათი იყო. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ნაგავი ამ ტერიტორიებიდან 15-20 წლის განმავლობაში არ გაუტანიათ, რადგან დათვალიერებისას, ისეთ ნივთებს გადავწყდით, რომლებიც უკვე წლებია, აღარ იწარმოება... საავადმყოფოების ხელმძღვანელ პირებს უკვე წავუყენეთ მოთხოვნები იმის შესახებ, რომ ქირურგიული ოპერაციის შემდგომი ნარჩენები მოთავსდეს სპეციალურ კონტეინერში და არა ნაგავსაყრელზე, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. სამწუხაროა, მაგრამ აღნიშნული ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერი, ჩემ მიერ დათვალიერებულ არც ერთ კლინიკაში არ აღმოაჩნდათ. ეს არის სანიტარული წესების დაცვის ანა-ბანა, რომელსაც სამწუხაროდ, წლების განმავლობაში არავინ იცავდა. ჯანდაცვის მინისტრის მიერ დავალებული გვაქვს, რომ მოკლე დროში, ქალაქში არსებული ყველა კლინიკა უნდა შევამოწმოთ, მათ შორის – ცნობილი კერძო კლინიკებიც კი.

— აგრარული ბაზრების მსგავსად, საჯარიმო სანქციები საავადმყოფოებსაც ხომ არ გამოუტანეთ?

– შემოწმების პირველ ეტაპზე, ჩვენ მიერ შემოწმებული ყველა საავადმყოფო 100 ლარით დაჯარიმდა. ხოლო თუ შემოწმების მეორე ეტაპზე იმავე დარღვევებს ექნება ადგილი, საჯარიმო თანხა 500 ლარამდე გაიზრდება. შემდგომ მკაცრდება, როგორც საჯარიმო სანქციები, ასევე შესასრულებელ ღონისძიებათა ნუსხა და ჯარიმის ოდენობა 1.000-1.500 ლარამდე იზრდება. კიდევ უფრო მკაცრი ზომა გახლავთ გადაწყვეტილება ექსპლუატაციის შეჩერების შესახებ, ხოლო უკიდურეს ზომას, კლინიკისთვის ლიცენზიის შეჩერება წარმოადგენს.

— ყველაფერთან ერთად, შავი ზღვის მონახულებაც მოასწარით...

– და დემონსტრაციულად ვიბანავე კიდეც...

— თუ ფლობთ ინფორმაციას, როგორია სანიტარული სურათი საქართველოს სხვა წყლებში?

– ჩვენ ვფლობთ საკმაოდ მნიშვნელოვან სტატისტიკას იმის შესახებ, რომ წელს, შავ ზღვაში ბანაობის შედეგად, არც ერთი ადამიანის ინფიცირება არ მომხდარა. რა თქმა უნდა, შავ ზღვასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დაგვრჩა მოსაგვარებელი რამდენიმე პრობლემა – მაგალითად, ეს გახლავთ ბათუმში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა. და კიდევ ერთი სიახლეს ვგეგმავთ უკვე მომავალი წლისთვის – კერძოდ, ბათუმისთვის, ხელვაჩაურისთვის, ჩაქვისა და ქობულეთისთვის მოეწყობა ერთი, საკმაოდ მაღალი დონის ნაგავსაყრელი, რომელზეც 50 მილიონი ევრო უნდა დაიხარჯოს. ჯერ კიდევ მოუგვარებელ პრობლემად რჩება მდინარე ვერეს დაბინძურება, სადაც წყლის დაბალი დონის გამო, მშობლებს ხშირად მიჰყავთ საბანაოდ შვილები. უნდა გავაფრთხილო მოსახლეობა, რომ ამ პერიმეტრზე მოსაგვარებელია საკანალიზაციო სისტემა. როგორც ჩემთვის ცნობილია, იქ პირდაპირ მდინარეში მიედინება ფეკალური მასა. ქიმიური სახის ცვლილებები აღმოჩნდა ლისის ტბის შემოწმების შედეგად, თუმცა, ბაქტერიოლოგიურმა ანალიზმა კატასტროფული სურათი არ მოგვცა. ლისის ტბის ძირითად პრობლემას ის წარმოადგენს, რომ დაბალია წყლის დონე, მომრავლებულია წყალმცენარეები და სარეკრეაციოდ მისი გამოყენება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია...

■



14-წლიანი „სტაჟირება" ვენაში

ვინ იხდის ავსტრიელ პაციენტთა მკურნალობის საფასურს

და ქართველი აზულანტების მიერ დამზადებული სულგუნი

ჩვენს ჟურნალში არაერთხელ გაგვიშუქებია უცხოეთში მცხოვრები ქართველების ცხოვრება და საქმიანობა. ამჯერად გვინდა, გიამბოთ კიდევ ერთ ქართულ ოჯახზე, რომელიც უკვე 14 წელია, წარმატებით მოღვაწეობს ავსტრიაში და ბევრ სასიკეთო საქმესაც აკეთებს თანამემამულეებისათვის.

ბატონი სოსო ნანობაშვილი პროფესიით ექიმი, ქირურგი გახლავთ და ვენის საუნივერსიტეტო კლინიკაში მუშაობს. მის პაციენტებს შორის არიან, როგორც ცნობილი ავსტრიელები, ასევე ვენაში არალეგალურად მცხოვრები (თავშესაფრის მაძიებელი) ქართველები. მისი მეუღლე, ნონა ლომიძე კი, პროფესიით მუსიკისმცოდნეა და ვენის მუსიკისა და ხელოვნების უნივერსიტეტში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მათი შვილი, გიორგი ვენაში დაიბადა, ახალ უკვე 8 წლისაა, ავსტრიულ სკოლაში სწავლობს და მშობლების ძალისხმევის შედეგად, გამართულად ლაპარაკობს ქართულად.

ემა ტუხიაშვილი

— ჩემი პირველი პროფესიონალური ნაბიჯები, თბილისის №1 საავადმყოფოში გადავდგი, სადაც ჩემი პედაგოგები იყვნენ გოგი ნაცვლიშვილი და ივა კუზანოვი. ამ კლინიკაში დაახლოებით 10 წლის განმავლობაში ვიმუშავე. 1991 წელს კი, ავსტრიაში გავემგზავრე.

— რატომ გადაწყვიტეთ უცხოეთში გამგზავრება?

— იმ დროს არსებობდა სპეციალისტების გაცვლის პროგრამა, რომელსაც ჩვენი მხრიდან, განათლების სამინისტრო ახორციელებდა. ამ პროგრამის წყალობით, ავსტრიის უნივერსიტეტისაგან მივიღე 10-თვიანი სტიპენდია და გავემგზავრე კიდეც ავსტრიაში. შეიძლება ითქვას, რომ საზღვარგარეთ სტაჟირებაზე წავედი, ხოლო ცხოვრებამ თავად მოიტანა ის, რომ ავსტრიაში იმაზე მეტხანს დავრჩი, ვიდრე ვვარაუდობდი.

— მეუღლეც თქვენთან ერთად გამოემგზავრა?

— ნონა ვენაში ჩემი გამგზავრებიდან სულ რაღაც ერთ თვეში ჩამოვიდა და იმ დროიდან მოყოლებული, სულ ერთად ვართ. რა თქმა უნდა, თავდაპირველად, არ იყო ადვილი უცხო გარემოსთან ადაპტირება, რადგან ვენაში ჩვენ ფაქტობრივად, არავინ გვყავდა. სიმართლე გითხრათ, მაშინ არც გვიფიქრია იმაზე, რომ ვენაში ხანგრძლივად დავსახლდებოდით. ამიტომ ვკმაყოფილდებოდი იმ ბინით, რომლითაც ავსტრიის უნივერსიტეტმა უზრუნველგვყო. დავდიოდით გამოფენებზე, ვმუშაობდით და ვენაში მეორე სახლის, ოჯახის მოწყობაზე არც კი ვფიქრობდით. მას შემდეგ, რაც ჩემი სტაჟირება ვენის უნივერსიტეტში დასრულდა, შემომთავაზეს, დავრჩენილიყავი და ამ უნივერსიტეტთან არსებულ კლინიკაში გამეგრძელებინა მუშაობა. სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად ამ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი, წამოვედი თბილისში და ჩამოვიტანე უამრავი ახალი სამედიცინო ლიტერატურა. აქ სრული ინფორმაციული ვაკუუმი დამხვდა. ჩვენი ქვეყნისათვის ეს იყო სტაგნაციის პერიოდი და შემიძლია გითხრათ, რომ არავის არაფერი აინტერესებდა. ამიტომ მივიღე ვენის უნივერსიტეტის მიწვევა და 6 თვით წავედი ავსტრიაში სამუშაოდ. შემდეგ ისევ საქართველოში ჩამოვედი, ხოლო ვენიდან მთხოვდნენ, საბოლოდ გადამეწყვიტა, თუ სად ვაპირებდი მუშაობის გაგრძელებას. მინდა გითხრათ, რომ იმ პერიოდში, საქართველოს მოქალაქე ვიყავი, ხოლო ავსტრიაში საქართველოს მოქალაქეებს ოფიციალურად მუშაობის უფლება არა აქვთ. გამონაკლისს უშვებს მხოლოდ უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ავტონომია და უფლება, საკუთარი ხარჯებით ნებისმიერი ქვეყნიდან მიიწვიოს სპეციალისტი და თავის ბაზაზე ამუშაოს. იმ დროს ვენაში არ არსებობდა საქართველოს საელჩო, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობა იყო და ალბათ, სულ 3-4 კაცი მუშაობდა. ავსტრიაშიც თითქმის ვერ ნახავდით ქართველებს, გამონაკლისს წარმოადგენდა ქართული ხელოვნების სალონი ვენაში, სადაც 2-3 ქართველი მუშაობდა. თუმცა, ვენაში არსებობს ე.წ. პატარა ქართული დასახლება, სადაც ებრაული წარმოშობის ქართველები ცხოვრობენ. ეს არის საქართველოდან XX საუკუნის 70-იან წლებში წასული 200-300 ოჯახი, რომლებიც ისრაელში აპირებდნენ დასახლებას, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ვენაში დაიდეს ბინა.

— პროფესიონალური ზრდის თვალსაზრისით, რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა თქვენთვის ავსტრიაში მუშაობა?

— ყველა ქვეყანაში, სადაც საქმიანი ვიზიტით მივემგზავრები, ყოველთვის ვამჩნევ და ვითვისებ სიახლეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ავსტრია დიდი კულტურის და მდიდარი წარსულის მქონე ქვეყანაა და ქირურგიული ტრადიციები იქ საკმოდ მაღალ დონეზე დგას. მაგალითად, ვენაში მოღვაწეობდა წარმოშობით გერმანელი ქირურგი თეოდორ ბილროტი, რომლის ღვაწლიც ქირურგიაში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც მოცარტის — მუსიკაში. ვენაში სტაჟირებისას, ბევრი ისეთი სიახლე აღმოვაჩინე, რომლის შესახებაც მანამდე არაფერი ვიცოდი. ამიტომ ინტენსიურად ვიწერდი

და ვინიშნავდი ყველაფერს.

— როდის დაგრთეს ნება, ვენის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში დამოუკიდებლად გაგეკეთებინათ ოპერაციები?

— თავდაპირველად, იძულებული გავხდი, რომ ჩემი დიპლომის ნოსტრიფიცირება მომეხდინა — ანუ დამემტკიცებინა, რომ ჩვენი სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომი შეესაბამება ავსტრიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დიპლომს. საამისოდ 14-15 გამოცდის ჩაბარება მომიხდა — გერმანულ ენაზე. მხოლოდ ამის შემდეგ აღიარეს ჩემი დიპლომი. უნდა გითხრათ, რომ ვიდრე ავსტრიაში გავემგზავრებოდი, თბილისში 26 წლის ასაკში დავიცავი დისერტაცია და მახსოვს, როგორც ყველაზე ახალგაზრდა, მეცნიერებათა კანდიდატი, 70-მანეთიანი პრემიითაც დამაჯილდოეს... მაგრამ ამ დისერტაციისათვის ვენაში მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ და იქ ხელახლა მომიწია ხარისხის დაცვამ. ამის შემდეგ მომენიჭა ვენის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის წოდება. რა თქმა უნდა, თავდაპირველად, იქაც, ისევე, როგორც მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, არ გეძლევა დამოუკიდებლად მუშაობის უფლება. პრაქტიკული გამოცდილება ხელს გაძლევს, რომ გახდე ავსტრიის ექიმთა ასოციაციის წევრი, რაც კიდევ ერთი საშუალებაა საკუთარი კარიერის მოსაწყობად. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ის გახლავთ, რომ ავსტრიაში, როგორც ექიმი, პრაქტიკულ მოღვაწეობას ვერ ეწევი, თუ არ გაქვს დაზღვეული შენი პროფესია. მაგალითად, თუ პაციენტს რაიმე დაემართება და ის ამაში ექიმს დაადანაშაულებს, სასამართლოშიც უჩივლებს და პროცესსაც მოიგებს, საჯარიმო სანქციები საკმაოდ დიდ თანხებს აღწევს და ბუნებრივია, კლინიკებს ურჩევნიათ, რომ ეს თანხები სადაზღვევო კომპანიებმა დაფარონ. ამრიგად, დაზღვევა ექიმისთვის, სამსახურში მოსაწყობად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინა პირობაა.

— მოგვიყევით, როგორი ურთიერთობა აქვთ ექიმსა და პაციენტს განვითარებულ ქვეყნებში?

— ლაპარაკი გაქვთ უცხოელ პაციენტებზე თუ ქართველებზე, რომლებიც უცხოეთში ჩადიან?

— ერთზეც და მეორეზეც.

— პირველ შემთხვევაში, ექიმებს პაციენტებთან ძალზე უშუალო ურთიერთობა გვაქვს: პაციენტს ვუმხელთ მისი ავადმყოფობის ყველა დეტალს, უშუალოდ მასთან ვსაუბრობთ და არა მის ახლობლებთან. როგორი საშიშიც არ უნდა იყოს დიაგნოზი, მას პაციენტს არ ვუმალავთ და იმასაც კი ეუბნებით, თუ რამდენი ხნის სიცოცხლე აქვს დარჩენილი. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც დიაგნოზის დამალვის მოთხოვნა პაციენტის ახლობლისაგან მოდის და თუ ეს არ ეწინააღმდეგება იურიდიულ ნორმებს, ავადმყოფს მისი ჯანმრთელობის რეალურ სურათს არ ვუმხელთ. მაგრამ აქვე გეტყვით, რომ ავადმყოფთა 99% სრულ ინფორმაციას ფლობს საკუთარი დიაგნოზის შესახებ. თქვენ წარმოიდგინეთ, ექიმი ავადმყოფს უთანხმებს მისი მკურნალობის მეთოდებს, ელაპარაკება იმაზე, თუ რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს მკურნალობას. ოპერაციამდე პაციენტი ეცნობა და ავსებს შესაბამის ფორმულარს, სადაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტია შესული და მოცემულია გართულებების ვარიანტები, რასაც შემდგომ, საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს. რაც შეეხება ქართველ პაციენტს — ის ძალიან მომთხოვნია, მას აქვს არარეალური წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ოპერაციას და რატომღაც ჰგონია, რომ ძალიან სწრაფად და მინიმალური ძალების დაძაბვით შესაძლებელია მაქსიმალური შედეგის მიღწევა.

— იმ კლინიკაში, სადაც თქვენ მუშაობთ, მკურნალობა ნებისმიერი ავსტრიელისთვისაა ხელმისაწვდომი?

— ავსტრიაში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგან ნებისმიერი მოქალაქე აუცილებელი სამედიცინო დაზღვევითაა უზრუნველყოფილი. მოქალაქეები სადაზღვევო კომპანიას ყოველთვიურად უხდიან გარკვეულ თანხას და როდესაც კლინიკაში მოხვდებიან, არც ერთი ევროს გადახდა აღარ უწევთ. მართალია, ბოლო დროს, ავსტრიულ სადაზღვევო კომპანიებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და დაზღვეულ პაციენტებს საავადმყოფოებში მცირედ დღიურ გადასახადს ახდევინებენ, მაგრამ თუ პაციენტი ქრონიკული დაავადებითაა შეპყრობილი ან მისი დაავადება სიმსივნურია და სტაციონარში ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს, ის ამ გადასახადისგანაც თავისუფლდება. დაზღვევის პოლისი მოქმედებს მედიკამენტების შეძენის შემთხვევაშიც ანუ დაზღვევის მქონე ადამიანი, რა ღირებულებისაც არ უნდა იყოს პრეპარატი, მასში მხოლოდ 5 ევროს იხდის, ოღონდ, მას უნდა ჰქონდეს ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი.

— თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც თქვენს კლინიკაში, ავსტრიაში მცხოვრები ქართველი მოხვედრილა და მოულოდნელად აღმოუჩენია, რომ ექიმი, მისი თანამემამულეა?

— ასეთი შემთხვევა არასოდეს მქონია, რადგან ვენაში მცხოვრებმა ყველა ქართველმა იცის, რომ მე ამ კლინიკაში ვმუშაობ. ბოლო დროს, ავსტრიაში მართლაც მომრავლდნენ ქართველები. სამწუხაროდ, მათ შორის ისეთებიც არიან, ვინც ჩრქს სცხებს ჩვენს ერს და ქვეყანას. დღე არ გავა, რომ გაზეთებში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში არ გაიჟღეროს ცნობამ იმის შესახებ, რომ ავსტრიაში დაიკავეს ქართველების ბანდა, რომელმაც ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული... მინდა გითხრათ, რომ ამ სამარცხვინო სტატისტიკით, დღეისათვის ქართველები მხოლოდ რუმინელებს ჩამოვრჩებით. კვირა არ გავა, რომ კლინიკაში იქ მცხოვრებმა ქართველებმა არ მომაკითხონ.

— თქვენს პაციენტებს შორის თუ ყოფილან ავსტრიაში ცნობილი ადამიანები?

— სამედიცინო ეთიკის შესაბამისად, პაციენტების ვინაობას ვერ დავასახელებ, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩემი განყოფილების პაციენტებს შორის იყო ერთ-ერთი ავსტრიელი მილიარდერი, რომელსაც გავუკეთეთ ოპერაცია საძილე არტერიაზე. კლინიკაში, სადაც მე ვმუშაობ, მხოლოდ ერთი ერთსაწოლიანი პალატა გვაქვს — ე.წ. ლუქსი. რა თქმა უნდა, ეს პაციენტი ამ პალატაში მოვათავსეთ. როდესაც პირველად შევიყვანეთ პალატაში, კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს მოავლო თვალი, სადაც პოლ სეზანის ნახატის რეპროდუქციაც გვეკიდა. პაციენტი მოგვიბრუნდა და დანანებით აღნიშნა: სამწუხაროა, რომ ახლა ვერ ვახერხებ, თორემ, სეზანის ორიგინალს მოვიტანდი და აქ ჩამოვკიდებდიო...

— სხვა ქართველი ექიმები თუ მუშაობენ თქვენთან ერთად ამ კლინიკაში?

— ვენის საუნივერსიტეტო კლინიკაში სულ 3 ქართველი ექიმი ვართ: მე, ქალბატონი მაია პატარაია, რომელიც ნევროპათოლოგი გახლავთ და ქალბატონი კესო სხირტლაძე, რომელიც კლინიკაში ანესთეზიოლოგად მუშაობს. ბოლო დროს ავსტრიაში მომრავლდა ქართველების მიერ დაფუძნებული სხვადასხვა სახის საზოგადოება, რომელიც ხელს უწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას. მაგალითად, შარშან ვენაში მოეწყო ქართული დღეები, რომელშიც იქ მყოფი ყველა ქართველი მონაწილეობდა.

— ჩვენი ქვეყნის ცნობადობის დონე თუ გაიზარდა ავსტრიაში?

— მეტ-ნაკლებად, კი. მაგალითად, გაკვირვებას ვერ ფარავდნენ, როდესაც ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ესტუმრა საქართველოს.

— თუ გაქვთ საშუალება, რომ ავსტრიაში რაიმე ქართული შეიძინოთ და ამით, გარკვეულწილად მაინც მოიკლათ ნოსტალგია?

— ვენაში არსებობს ქართული რესტორანი და სასადილო, რომელსაც „მადიანი" ჰქვია. გარდა ამისა, ვენაში შეხვდებით რუსულ მაღაზიებს, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ

ქართული ღვინო და სულგუნიც კი. წამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე კი შევიტყვე, რომ ვენასთან ახლოს, გრაცში ქართველი აზულანტების ოჯახი ცხოვრობს, რომელიც სულგუნს აკეთებს და იქვე ყიდის. აღსანიშნავია ისიც, რომ ვენაში არსებობს XIX საუკუნის ბოლოს აშენებული რუსული ეკლესია, რომლის პირველი სართული ქართულ მრევლს დაუთმეს; იქ კვირაობით, ქართველი მოძღვარი ატარებს წირვა-ლოცვას.

— როგორც ვიცი, თქვენ მეუღლე პროფესიით მუსიკისმცოდნეა და მის სახელს ერთი საინტერესო აღმოჩენა უკავშირდება. იქნებ, ამის შესახებაც გვიამბოთ...

— ჩემი მეუღლე, ნონა ლომიძე პროფესიით მუსიკისმცოდნეა და ვენის მუსიკისა და ხელოვნების უნივერსიტეტში ასწავლის სტუდენტებს. ვენაში დაცულია ძალზე საინტერესო ფონოგრამების არქივი, რომლის ხნოვანებაც საუკუნეს აღემატება. სწორედ ამ არქივში ნონამ აღმოაჩინა რამდენიმე საინტერესო ჩანაწერი. საქმე ის გახლავთ, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსეთის არმიის ჯარისკაცები ტყვედ ჩაცვივდნენ. ამ ტყვეებს შორის იყვნენ: ჩეჩნები, ქართველები, უკრაინელები და ყველა იმ ეროვნების ადამიანები, ვინც რუსეთის იმპერიაში ცხოვრობდა. სხვათა შორის, გერმანელებიც და ავსტრიელებიც ჭკვიანი ხალხია, ამიტომ ეთნოლოგებმა გადაწყვიტეს, ტყვეებისგან მათი ფოლკლორი შეესწავლათ. ისინი მიდიოდნენ ტყვეთა ბანაკში, ფირფიტებზე იწერდნენ ტყვეების ნამღერს, მათ მიერ ნათქვამ ლექსებს... ყველა ჩანაწერს თან ახლავს ფურცელი, სადაც მითითებულია, თუ ვინ როდის ჩაწერა საკუთარი ხმა ამ ძველ, ცვილის ფირფიტაზე. მათ შორის, ქართული წარწერაც არის. ჩემმა მეუღლემ ამ აღმოჩენას ტელეგადაცემა მიუძღვნა და საქართველოს ქართველი ტყვეების სიმღერები მოასმენინა.

— რამდენად ხშირად ახერხებთ საქართველოში ჩამოსვლას და რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

— საქართველოში წელიწადში ერთხელ ჩამოვდივარ ოჯახთან ერთად, ძირითადად — ზაფხულობით. დასვენებასთან ერთად იმასაც ვახერხებ, რომ ოპერაციები აქაც ჩავატარო: ისევ ვთანამშრომლობ ქალაქის №1 კლინიკურ საავადმყოფოსთან, რომელსაც ჩემს „ალმა მატერს“ ვეძახი. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ისევ გავაგრძელებ ცხოვრებას ორ ქვეყანას შორის, რადგან საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს მედიცინის განვითარებისთვის საჭირო, შესაფერისი ინფრასტრუქტურა. მედიცინა საკმოდ ძვირად ღირებული დარგია და დიდძალ ინვესტიციებს მოითხოვს...

■

„ფლირტი ქალის ცხოვრებას ჩრდილავს“

ანუ ვინ ლამასპონსორობთ?..

ახლა, როცა ამ ინტერვიუს კითხულობთ, ხატია შამუგია თურქეთში, პლაჟზეა წამოწოლილი და ირუჯება... საერთოდ, დღეს წინასწარ იმის დაგეგმვა, თუ როგორ გაატარებ შვებულებას, ძალზე ძნელია. ხატიამ ასეთი ამოცანა დაისახა მიზნად და საკუთარი შვებულების პროგნოზირებაც სცადა. ვნახოთ, როგორ წარმოედგინა მას დასვენება ანტალიაში...

მერი კობიაშვილი

— ხატია, თითქმის მთელი ზაფხული ქალაქში გაატარე. დასასვენებლად რატომ არ წახვედი?

— მართალია, ვერ დავისვენე და მინდა გითხრათ, რომ ასეთი დატვირთული არც არასოდეს ვყოფილვარ, რადგან მთელი რადიო შვებულებაშია და მარტო მე ვმუშაობ. ამას ემატება მძიმე კლიმატური პირობები. საერთოდ, ძალზე მცივანა ვარ და წარმოიდგინეთ, მე რომ დამცხება, როგორი კატასტროფული სიცხეა. როცა ვახერხებ, აუზზე მივდივარ ხოლმე — ეგ არის და ეგ. თანაც, როცა იმედი მაქვს, რომ შვებულებაში გავალ და მეც დავისვენებ, იმდენად აღარ მიჭირს სიცხის ატანა.

— როდის მიდიხარ შვებულებაში და სად გეგმავ მის გატარებას?

— მივდივარ თურქეთში, გვანცა კილასონიასან ერთად. სულ გვანცას დამსახურებაა, ანტალიაში რომ მივდივართ: სულ იმას მეჩიჩინება, თურქეთში წავიდეთ დასასვენებლადო. ძალიან მინდა, რომ გარემო შევიცვალო და კარგად დავისვენო, რადგან გადავიღალე. ისე, ჩემი ნება რომ იყოს და შესაძლებლობაც ხელს მიწყობდეს, დიდი სიამოვნებით წავიდოდი ევროპის რომელიმე ქვეყნის პრესტიჟულ კურორტზე. თუმცა, თურქეთშიც საკმაოდ მაღალი კლასის სასტუმროებია და მშვენივრად დაისვენებს ადამიანი. ძალიან მიყვარს ზღვა და მზე. მთაში დასვენება არაფრად მიმაჩნია. ძალზე ცოტა დრო მაქვს დასასვენებლად. აჭარაში რომ წავიდე, შესაძლოა, ცუდი ამინდები დაემთხვას და ვერც გავირუჯო. ამიტომ უნდა გავრისკო. თურქეთში კი, მზიანი ამინდი გარანტირებული მაქვს. გამოდის, რომ „ამინდს ვყიდულობ“, მაგრამ რა ვქნა, როცა სხვა გზა არ არის?.. მე და გვანცამ დავთვალეთ და აღმოჩნდა, რომ თურქეთში დასვენება იგივე თანხა ჯდება, რაც აჭარაში. მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებაა და რატომ არ უნდა წავიდე?.. თანაც, იქ ბევრი ნაცნობი არ იქნება და მინდა, რომ ყველა ჩემიანი მომენატროს.

— ალბათ „სრული დატვირთვით“ დაისვენებ, ხომ?

— რომ გითხრათ, კლუბებისა და დისკოთეკების დიდი მოყვარული ვარ-მეთქი, მოგატყუებთ. მზეზე წოლა მიყვარს და შემიძლია, მთელი დღე პლაჟზე ვიწვე და „გავითიშო“. საღამოს შესაძლოა, ბარში შევიდეთ; მერე, ადრე დავწვები, რომ გამოვიძინო და დილაუთენია ისევ პლაჟს მივაშურო.

— ახალი თაყვანისმცემელი რომ გამოგიჩნდეს, დავიჯერო, მასთან ფლირტზე უარს იტყვი?

— საერთოდ, რადიკალური განცხადე-

ბების გაკეთება არ მიყვარს და არასოდეს ვიტყვი — „არასოდეს!“ არ გამოვრიცხავ... თვალების ფახულს არ დავიწყებ და იმის მტკიცებას — არ შემიძლია ფლირტი და პაემანზე სიარული-მეთქი. მიმაჩნია, რომ ფლირტი ქალის ცხოვრებას მრავალფეროვანს ხდის და მსუბუქი ფლირტი აუცილებელიც კი გახლავთ. თან, თუ ისეთი მამაკაცი იქნება, ვისთანაც ღირს „თვალებით თამაში“ — დიდი სიამოვნებით!.. მშვენიერი გრძნობაა, როცა პლაჟზე იმისთვის გადიხარ, რომ ვიღაცას თავი მოაწონო.

— ზოგს სჩვევია, ნაირ-ნაირი საცურაო კოსტიუმით თავის მოწონება...

— მე სულ სამი კოსტიუმი მაქვს და თურქეთში 10 დღით მივდივარ. ეს სავსებით საკმარისია. ამიტომ არ ვაპირებ მაღაზიებში სიარულს და კიდევ ახალ-ახალი კოსტიუმების შეძენას.

— ისე, ზამთარ-ზაფხულ სულ გარუჯული ხარ და მაინც იმას ამბობ, მთელი დღე პლაჟზე უნდა ვიწვეო.

— ძალზე თეთრი კანი მაქვს. ამის გამო, გარკვეული კომპლექსი მაწუხებს და ბოლო 4 წელია, სოლარიუმში დავდივარ. თანაც ვთვლი, რომ ნამზეური მიხდება კიდეც. წამიკითხავს, რომ სოლარიუმი ჯანმრთელობისათვის საზიანოა. ამის გამო შემშინებია კიდეც, მაგრამ შემდეგ ისიც წავიკითხე, რომ თურმე, მზე უფრო მეტ საზიანო გამოსხივებას შეიცავს. მე ისეთ სოლარიუმში დავდივარ, სადაც ჯერ კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობით ინტერესდებიან და თუ მისთვის სოლარიუმში გარუჯვა საზიანოა, მაშინ უარს ეუბნებიან.

— საკურორტო რომანი თუ გქონია?

— არა, არ მქონია. ბავშვობაში ვიღაცას მოვეწონე და მეც მომეწონა — ეგ ხომ საკურორტო რომანს არ ნიშნავს! გათხოვებამდე, ერთი შეყვარებული მყავდა და მასთან ერთად ვიყავი წასული ზღვაზე. მაგრამ მარტო კი არა, მეგობრების მთელი ჯგუფი ვისვენებდით ერთად. მერე, უკვე გავთხოვდი და ქმართან ერთად დავდიოდი. ან როდის მოვახერხებდი საკურორტო რომანის გაბმას?!. წელს რა იქნება, ჯერ არ ვიცი.

— როდესაც დასასვენებლად მიდიხარ, ტანისამოსს როგორ ირჩევ?

— არაფერსაც არ ვირჩევ — რაც მაქვს, ყველაფერი თან მიმაქვს. ამიტომ სულ ბევრი ბარგი მაქვს ხოლმე. თუმცა, წაღებული ტანისამოსის 1%-საც ვერ „ვითვისებ“, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე... ახლა კი, ზუსტად ვიცი, რომ თურქეთში მხოლოდ აუცილებელ ნივთებს წავიღებ და არაფერს — ზედმეტს, რადგან ჩანთების თრევა ძალიან მეზარება.

— შენს ახლანდელ შვებულებას ხომ არავინ „ასპონსორებს“?

— არა, არავინ. ვმუშაობ და მაქვს იმდენი შემოსავალი, რომ საკუთარი თავი „დავასპონსორო“. მთელი წლის განმავლობაში, ძალზე ბევრი კონცერტი და შოუ მიმყავს, საკმაოდ სოლიდურ ანაზღაურებას ვიღებ და თურქეთში წასვლა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ იმდენი თანხა მაქვს, დახარჯვა გამიჭირდებამეთქი. თუ ვინმეს უნდა, რომ დამასპონსოროს, „ბაზარი“ არ არის — თანახმა ვარ. მით უმეტეს, თუ თურქეთში კი არა, კრუიზში გამიშვებს. ■

მრთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელ გოსტნეულს სწირავდნენ ეგვიპტელები ღმერთებს?

ა) ნიორს;
ბ) პომიდორს;
გ) ხახვს.

2. რა ენაზე ლაპარაკობს სალომე ზურაგიშვილი რუსეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისას?

ა) ინგლისურად;
ბ) ფრანგულად და ქართულად;
გ) მხოლოდ ქართულად.

3. იაპონური სიტყვა „გეიშა“ ორ იეროგლიფს აერთიანებს: „გეი“ და „სი“; „გეი“ — ტალანტს ნიშნავს; რას ნიშნავს იეროგლიფი „სი“?

ა) ადამიანს;
ბ) სიყვარულს;
გ) ხელოვნებას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ბიძამ 13 წლის დისშვილი გააუპატიურა, შემდეგ კი მისი მოკვლაც სცადა

„მივხვდი, რომ შეცდომა ჩავიდინე და ამის გამართლება არ შეიძლება"

44 წლის განსასჯელი გ. მაჩაიძე შემზარავი დანაშაულისათვის გაასამართლეს (აქაც და შემდგომშიც გვარ-სახელები შეცვლილია). პროკურატურა მას მცირეწლოვანი დისშვილის გაუპატიურებაში, შემდეგ კი მის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობაში ადანაშაულებდა. წარსულში ორჯერ ნასამართლევ მაჩაიძეს ორი მუხლით — 138-ე (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება, სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია 14 წელი) და 19-109-ე (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემობებში, წინასწარი შეცნობით მცირეწლოვნის მიმართ, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, განსაკუთრებული სისასტიკით) მუხლებით წაუყენეს ბრალი. საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილეს. როგორც ამბობენ, პროცესი ძალზე დაძაბულად ჩატარდა და დაზარალებული მხარის აგრესიულობის გამო, განსასჯელმა კოლეგიას ჩვენება არ მისცა, მაგრამ განაცხადა, რომ ჩადენილ დანაშაულში თავს სრულად ცნობდა დამნაშავედ და პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებაც დაადასტურა.

ფაქტი თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში მოხდა. საღამოს, დაახლოებით 10 საათისათვის, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა მაჩაიძემ დის ბინაში წასვლა გადაწყვიტა. მანამდე მან საცხოვრებელი სახლის ეზოში, მეზობლებთან ერთად, მიიღო ალკოჰოლური სასმელი, დასთან და სიძესთან კი, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, პირად საქმეზე მოსალაპარაკებლად წავიდა, თუმცა რა საქმე ჰქონდა მათთან, მასალებში არ კონკრეტდება. ბინაში მისულს, შინ მხოლოდ მცირეწლოვანი ე. აბულაშვილი დახვდა. გოგონამ ბიძას უყოყმანოდ გაუღო კარი და როგორც თავად აღნიშნავდა, არც მისი სიმთვრალე გაჰკვირვებია. მოწმეების ჩვენებების მიხედვით, მაჩაიძე არ ლოთობდა, მაგრამ არცთუ ისე იშვიათად სვამდა. გოგონა ბიძას სამზარეულოში შეუძღვა და თან უთხრა, რომ მისი ძმა და მშობლები ნათესავთან იყვნენ სტუმრად წასულები და გვიან დაბრუნდებოდნენ. მიუხედავად ამისა, მაჩაიძემ მაინც გადაწყვიტა რამდენიმე ხნით შეყოვნებულიყო ბინაში, სამზარეულოს მაგიდასთან ჩამოჯდა და დისშვილს სთხოვა, მისთვის არაყი მიეტანა. გოგონამ ხათრი ვერ გაუტეხა, არაყი მაგიდაზე დადგა და ბიძას სუფრაც გაუწყო. მაჩაიძემ ორი-სამი ჭიქა დალია და ე. აბულაშვილისაკენ გაიწია. როცა გოგონა მთვრალ მაჩაიძეს განზრახვას მიუხვდა, გაქცევა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. მაჩაიძემ ის ჯერ მკლავებში მოიმწყვდია, შემდეგ კი საძინებლისაკენ ძალით გაათრია. წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, მან ე. აბულაშვილს სახეში ძლიერად გაარტყა ხელი და საწოლზე პირქვე დაგდო. რაღაც მომენტში ე. აბულაშვილმა შეძლო სწრაფად წამოდგომა და ოთახიდან გაქცევა, მაგრამ მაჩაიძე მას გასასვლელ კართან დაეწია და ამჯერად სამზარეულოსკენ გაათრია, გვერდით მდებარე ლოჯიაში, ტახტზე დაადგო და ძალადობის შედეგად, მასთან სქესობრივი კონტაქტი დაამყარა. აყვირებულ ე. აბულაშვილს ის პირზე ხელს აფარებდა. როცა თავისი განზრახვა განახორციელა, დისშვილს დაემუქრა — მომხდარის შესახებ ვინმეს რამეს თუ ეტყვი, იცოდე, მოგკლავო. ამ მუქარის მიუხედავად, ატირებულმა გოგონამ მიუგო, რომ ყველას ყველაფერს მოუყვებოდა. ამით გაოფთრებულმა მაჩაიძემ მას ჯერ სახეში გაარტყა, ხოლო შემდეგ, იქვე მდგარი მაგიდიდან სამზარეულო დანა აიღო და რამდენჯერმე მოუქნია დისშვილს. ე. აბულაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იყო დაუძლურებული, მაინც ცდილობდა, თავი დაეღწია გამხეცებული ბიძისაგან. თუმცა მოქნეული დანა მას სხეულზე, კერძოდ, სახისა და ყელის არეში მოხვდა, დაჭრილი გოგონა მაშინვე უგონოდ დაეცა იატაკზე. როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, მაჩაიძემ გონწასული და გასისხლიანებული ე. აბულაშვილი რომ დაინახა, ჩათვალა, რომ მკვლელობის განზრახვა სისრულეში მოიყვანა და იქურობა დატოვა. ამის შემდეგ ის მიიმალა.

საქმის მასალების მიხედვით, რამდენიმე წუთში აბულაშვილებთან შემთხვევით მეზობელი მივიდა. მეზობლის ჩვენებიდან: „ვიცოდი, რომ ბავშვი შინ უნდა ყოფილიყო, ჯერ ზარი დავრეკე, შემდეგ დავაკაკუნე, მაგრამ არავინ გამომხდა. კარს მივაწექი და ადვილად შევაღე. დავიძახე და ისევ არავინ გამომეხმაურა. გამიკვირდა, რადგან უკვე ღამე იყო და ე... არსად გავიდოდა. მისი მშობლები წასულები რომ იყვნენ, ვიცოდი. სამზარეულოში რომ შევიხედე, რაღაც არეულობა შევნიშნე. ამან უფრო დამაეჭვა და ოთახში შევედი. მაშინ ლოჯიაში საშინელი სურათი დამხვდა. ე... გასისხლიანებული ეგდო იატაკზე. მაშინვე მივვარდი და ვნახე, რომ უგონოდ იყო. პირველ რიგში, სადარბაზოში გავვარდი და ვიყვირე, — მიშველეთ-მეთქი, შემდეგ „სასწრაფო დახმარება" გამოვიძახეთ. გოგონას შარვალი ჩახდილი ჰქონდა, მე ავუწიე. მიხვდი, რომ რაღაც არ იყო რიგზე, მაგრამ ვიდრე მისი მშობლები არ მოვიდნენ, არავისთვის არაფერი მითქვამს..."

მოწმის თქმით, გოგონა სისხლის გუბეში იწვა და იქვე ეგდო გასისხლიანებული დანაც. ექიმებმა გოგონა სიკვდილს გადაარჩინეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულს გარეგნულად სხეულზე ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები, ნაჭდევები და სისხლნაჟღენთები აღენიშნებოდა. დაზიანებები, ექსპერტების თქმით, სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხს განეკუთვნებოდა. დაზიანებები, როგორც დასკვნაშია აღნიშნული, მიყენებული გახდათ მჩხვლეტავ-მჭრელი საგნით. ექსპერტმა ძალადობრივი სქესობრივი კონტაქტის დამყარების ფაქტიც დაადასტურეს. ყოველივე ამის გარდა, განაჩენის მიხედვით, მაჩაიძის მიერ ჩადენილი დანაშაული სასამართლო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის და სასამართლო-ტრასოლოგური ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდება.

პოლიციამ მაჩაიძე მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღეში დაიკავა. ჩადენილი დანაშაული მან მაშინვე აღიარა. „ადრე არავისთან მქონია სექსუალური პრობლემები, არც ავადმყოფური პრობლემები მაწუხებდა და არც ფსიქიატრიული საავადმყოფოსათვის მიმიმართავს ოდესმე. იმ დღეს სიმთვრალის გამო ვეღარ შევიკავე თავი. მახსოვს, რომ დისშვილს მოფერება დავუწყე და შემდეგ მასთან სექსუალური კონტაქტის დამყარებას შევეცადე. ადრე ასეთი რამ არასოდეს დამმართვია, არც ე...-სთან მიცდია მსგავსი რამ. მან ყვირილი

და კივილი დაიწყო და იმის გამო, რომ მეზობლებს არ გაეგოთ, პირზე ხელი დავაფარე. ასე მოვახერხე მისი ყვირილის ჩახშობა. მეორე ხელით მას ვბოჭავდი... როცა მივხვდი, რაც ჩავიდინე, მისი შეშინება დავაპირე. ვეუბნებოდი – ვინმეს თუ ეტყვი, მოგკლავ-მეთქი, მაგრამ ვერც შევაშინე და ვერც დავარწმუნე იმაში, რომ შეცდომა მომივიდა და ამის გამჟღავნება არ შეიძლებოდა. დანითაც ვემუქრებოდი, მაგრამ ვერას გავხდი. ის მაინც მეუბნებოდა, რომ ყველას ყველაფერს ეტყოდა. ზუსტად არ მახსოვს, რამდენჯერ დავარტყი დანა, არც ის დამიფიქსირებია, სხეულის რა ნაწილებში დავჭერი. როცა დავინახე, რომ უგონოდ დაეცა, იქაურობა დავტოვე, სახლში წავედი და დავიძინე. დილით ადრე კი ნაცნობის ოჯახში მივედი. მომხდარის შესახებ არავისთვის მითქვამს.“

სასამართლო სხდომაზე მცირეწლოვანი ე. აბულაშვილი არ გამოცხადდა, ამის გამო პროცესზე ის არ დაკითხულა. თუმცა გოგონამ წინასწარ გამოძიებას მომხდარის შესახებ დეტალური ჩვენება მისცა და ბიძა შემზარავ დანაშაულში ამხილა.

განსასჯელის სასჯელის განსაზღვრისას მოსამართლემ ის გარემოება გაითვალისწინა, რომ მან დანაშაული გულწრფელად აღიარა. გაირკვა ისიც, რომ მაჩაიძეს ცოლი და მცირეწლოვანი შვილიც ჰყავდა. საბოლოოდ მას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს მკაცრი რეჟიმის სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. დაზარალებულ მხარეს მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოში სასჯელი არ წარუდგენია. ■

ყაჩაღობა მამა და მისი 16 წლის შვილი ავტომატით დახვრიტეს

ბოროტმოქმედთა მიერ ორგანიზებულ დანაშაულს ერთ-ერთი თავდამსხმელის სიცოცხლეც შეეწირა

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ განიხილა. ყაჩაღურ თავდასხმაში, რომლის დროსაც, არა მარტო დაზარალებულების, არამედ ერთ-ერთი ბოროტმოქმედის სიცოცხლეც დაიღვარა, საქმის მასალების მიხედვით, 6 შეიარაღებული კრიმინალი მონაწილეობდა. მათგან 3 პირის ვინაობა ძიებით დაუდგენელია, ერთი გარდაცვლილია, ხოლო ერთი — იმალება. ჩადენილი დანაშაულისთვის სასამართლოს წინაშე ხამბათ რამაზან ოღლი წარდგა. ეჭვმიტანილად დაკითხვისას, პროკურატურის თანამშრომლებს მან აღიარებითი ჩვენება მისცა და განაცხადა, რომ ყაჩაღური თავდასხმა ყარაჯალელ ტასკოსთან, 3 ქისტთან და 1 ჩეჩენთან ერთად ჩაიდინა.

ა. მახმად ოღლის ოჯახს, რომელიც ყარაჯალაში, მსჯავრდებულის მეზობლად ცხოვრობდა, ყაჩაღები 2004 წლის 4 თებერვალს, დილის 4-ის ნახევარზე დაესხნენ თავს. თავდამსხმელები კარაბინითა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულები. სახლში მუხტარ ბორჩაშვილი და მასთან ერთად მყოფი, ძიებით დაუდგენელი 3 ბოროტმოქმედი შევიდნენ. ხმაურზე გაღვიძებული ოჯახის წევრები მაშინვე მიხვდნენ, თუ რაში იყო საქმე და ყვირილი ატეხეს, ოჯახის უფროსმა ა. მახმად ოღლიმ კი, თავდამსხმელთათვის წინააღმდეგობის გაწევაც სცადა. სწორედ ამ წინააღმდეგობის შედეგად იქნა მოკლული ერთ-ერთი ყაჩაღი – მუხტარ ბორჩაშვილი. მაგრამ ბოროტმოქმედებმა დაზარალებულთა დამორჩილება მოახერხეს. მათ მამა-შვილი – ა. მახმად ოღლი და მისი 16 წლის შვილი – ლ. ალიხან ყიზი ეზოში გაათრიეს და იქვე ორივე ერთდროულად დაცხრილეს ავტომატიდან გახსნილი ცეცხლით. ამის შემდეგ, მათ დაუძახეს ხამბათ რამაზან ოღლის და მისი დახმარებით ბორჩაშვილის გვამი დაზარალებულის სახლიდან სოფლის სასაფლაოზე გადაიტანეს. ხამბათ რამაზან ოღლის, მათ სასაფლაოზე ცხენის მიყვანაც დაავალეს. ამ დავალების შესასრულებლად წასული რამაზან ოღლი უკან აღარ დაბრუნებულა. შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ დანარჩენი თავდამსხმელებიც. *„...ტასკო, ბორჩაშვილი და დანარჩენები ჩემთან სახლში ღამის 2 საათზე მოვიდნენ. ტასკო კარაბინით იყო შეიარაღებული, სხვებს ავტომატები ჰქონდათ. შემომთავაზეს თანასოფლელის – ა. მახმად ოღლის დაყაჩაღება. დავთანხმდი. სახლთან რომ მივედით, მე ეზოში შესასვლელ კართან დავრჩი, რათა საფრთხის შემთხვევაში, დანარჩენები გამეფრთხილებინა. ცოტა ხანში, სახლიდან კივილი მოესმა. ამას ავტომატიდან სროლის ხმა მოჰყვა, რამდენიმე წუთში კი დავინახე, რომ ტასკოს და დანარჩენებს ბორჩაშვილის გვამი მოჰქონდათ. მაშინ ისიც შევიტყვე, რომ ეზოში მამა-შვილი დახვრიტეს ავტომატით... შემთხვევის შემდეგ, ჩემს მეგობართან, ჯ. ზელიმხანთან მივედი და მომხდარის შესახებ მას ყველაფერი ვუამბე...“*

პოლიციის მიერ დაკავებულმა რამაზან ოღლიმ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა დაადასტურა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ დაზარალებულის ოჯახში მას არ შეუღწევია და არც მამა-შვილის მკვლელობაში ერია მისი ხელი. რამაზან ოღლი მკვლელობის მუხლით არც გაუსამართლებიათ, თუმცა ყაჩაღობისათვის დამნაშავედ ცნეს და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მსჯავრდებულის ადვოკატმა განაჩენს უკანონო უწოდა, მაგრამ მოსამართლეებმა მისი პოზიცია არ გაიზიარეს. აღსანიშნავია, რომ რამაზან ოღლის ყაჩაღობაში მონაწილეობას, წინასწარი გამოძიების პერიოდში მიცემულ ჩვენებებში მოწმეები – მისივე მეგობარი ზელიმხანი და ამ უკანასკნელის მეუღლე ადასტურებდნენ. ჩვენებების მიხედვით, შემთხვევის ადგილიდან მათთან მისულმა რამაზან ოღლიმ მათ მოუყვა, თუ როგორ დაესხა ის თავს მახმად ოღლის ოჯახს, ყარაჯალელ ტასკოსთან, 3 ქისტთან და 1 ჩეჩენთან ერთად. სასამართლო პროცესზე აღნიშნული მოწმეები არ გამოცხადდნენ. სწორედ ამის გამო, მსჯავრდებულის ადვოკატი აცხადებდა, რომ მათი ჩვენებები სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა და განაჩენისთვის ის საფუძვლად არ უნდა დაედო. ამასთანავე, ადვოკატის თქმით, განსასჯელს პროცესზე თარჯიმნად ვინმე ქ. სარდაროვი დაუნიშნეს, ის კი დაზარალებულის უფლებამონაცვლის ბიძა აღმოჩნდა და აქედან გამომდინარე, ობიექტურობა ეჭვქვეშ დგებოდა. მიუხედავად ამისა, გასაჩივრებული განაჩენი მაინც ძალაში დარჩა, რადგან მოსამართლეების აზრით, ადვოკატის მიერ მოყვანილი არგუმენტები მსჯავრდებულს ჩადენილ დანაშაულში მაინც არ ამართლებდა და სასჯელიც დამსახურებულად ჰქონდა შეფარდებული. ■

ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი შეხვედრა

მანიაკი ანაფორაში ანუ მოგიკვდეთ „პროკუროვი“!..

მარი ჯაფარიძე

ამ კვირაში ძალზე ბევრი ერთნაირი მესიჯი მივიღე, სადაც მხოლოდ ადრესატისა და ავტორის სახელებია სხვადასხვა. ამიტომ დავზოგავ დროსა და ადგილს და დასაწყისშივე გაგაცნობთ. „ჩემო... ჩვენი შეხვედრა მართლაც ხანმოკლე იყო, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება. მიყვარხარ. შენი...“ გამოტოვებული ადგილების ნაცვლად შეგიძლიათ ჩაწეროთ სასურველი სახელები და თქვენი მესიჯიც მზად გახლავთ... მკითხველთა უმეტესობა „გზავნილებში“ შემოთავაზებულ ნებისმიერ თემას სასიყვარულო ამბავს მოარგებს ხოლმე. ამჯერად, ვინაიდან მესიჯების რაოდენობა ამის საშუალებას მაძლევს, ვეცდები, სასიყვარულო თემა ნაკლებად „გავურიო“, თუმცა, რაღა თქმა უნდა, არც უამისობა იქნება... მაშ ასე, პირველი მესიჯი და აქა ამბავი იმისა, თუ რა ღირს მანქანის ყარაულობა.

ესეც ხურდა-ა!

„40 წლის კაცი ვარ და ხანმოკლე შეხვედრის მეტი რა მქონია. ზოგი დამავიწყდა, ზოგი დავივიწყე, ზოგიერთი ახლაც მახსოვს. ერთი რამდენიმეწუთიანი შეხვედრის ამბავი უნდა მოგიყვეთ. შუადღის 3-4 საათი იქნებოდა. სამსახურიდან გამოვედი, რომ სადმე მესადილა. მანქანა პეკინზე, ერთ-ერთი „ზავედენიის“ წინ გავაჩერე და კაფეში შევედი. სუფრასთან ისე ვიჯექი, რომ ჩემს მანქანას კარგად ვხედავდი. ცოტა ხანში, მანქანის უკან ერთი ახალგაზრდა ქალბატონი გაჩერდა. ვიფიქრე, „მარშრუტკას“ ელოდება-მეთქი. კარგა ხანს იდგა. მისი შეთვალიერება მშვენივრად მოვახერხე და თვალშიც მომივიდა. ნამდვილად ვერ იტყოდით, რომ ის „პანელზე“ იყო, მაგრამ ეჭვი იმან გამიჩინა, რომ კარგა ხანს იდგა, „მარშრუტკების“ ტრაფარეტებს აკვირდებოდა და არც ერთს არ აჩერებდა. ამასობაში ვისადილე კიდეც. ვიფიქრე, მოდი, ბედს ვცდი, თუ გამომივიდა და ჩემი შეთავაზება მიიღო, ხომ კარგი, თუ არა და, თავის გზაზე გაუმარჯოს-მეთქი. მეტი დამავჯერებლობისთვის, საფულე ამოვიღე. რომ მივუახლოვდი, გავხსენი, 100-დოლარიანი ამოვაცურე, ამ ქალბატონს გავუწოდე და ვუთხარი — დიდი მადლობა, რომ ჩემს მანქანას უდარაჯეთ, ეს თქვენი გასამრჯელოა და თუ უფლებას მომცემთ, მე წაგიყვანთ, სადაც მიბრძანდებით-მეთქი. ფული გამომართვა, თავის საფულეში ჩადო, იქიდან 50-ლარიანი ამოიღო, მომწოდა და მითხრა — ყარაულობისთვის გასამრჯელოს ავიღებ, მაგრამ რადგან წაყვანაზე უარს გეუბნებით, ხურდა გეკუთვნითო. კუპიურა „სარიჩის“ გულის ჯიბეში ჩამიკუჭა, თვალი ჩამიკრა, ტაქსი გააჩერა და წავიდა... გაოცებისგან ხმა ვერ ამოვიღე. ისე მოხერხებულად და სწრაფად მოძებნა გამოსავალი სიტუაციიდან, რომ გავოგნდი, ყოჩაღ-მეთქი! — გავიფიქრე და მანქანაში ჩავჯექი. კარგა ხანს ვცდილობდი იმ ტაქსის მიგნებას, მაგრამ ვერ მივაგენი. იმიტომ კი არა, რომ ფული დამენანა ან საყვედური მინდოდა მეთქვა — დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა, რომ ეს ჭკვიანი ქალი გამეცნო. თუ წაიკითხავს ამ ამბავს, იქნებ, გამომეხმაუროს. ეს შეხვედრა მართლაც არასოდეს დამავიწყდება“.

თურმე, ხანმოკლე შეხვედრა შესაძლოა, ძალზე შედეგიანად დამთავრდეს და დაუვიწყარიც აღმოჩნდეს... თუ არჩევანის გაკეთება ახალგაზრდა და ხანში შესულ მამაკაცს შორის გიწევთ, მეორე აირჩიეთ. ახალგაზრდა გაიქცევა, ხანში შესულს კი... სირბილი უჭირს, თან მეტი შანსი გაქვთ იმისა, რომ შვილს ერთად მიიყვანთ სკოლაში.

„ის ისეთი საყვარელი იყო...“

„მივხვდი, რომ შემთხვევითი და ხანმოკლე შეხვედრები არ ვარგა, რადგან დილით გავიღვიძე... ის კი წასულა... არავითარი სკანდალი, არავითარი დამშვიდობება — ადგა და წავიდა... ისე, კარგი ვინმე კი იყო... იმის თქმა მინდოდა, რომ ცუდი არ იყო... უფრო სწორად, უარესებიც არსებობენ... ჩვეულებრივი იყო. თვალები... მხრები... თითები... მაგრამ სახე არ მახსოვს. თითქოს მეხსიერებაში რაღაც ტივტივდება, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რადგან დიდი ხნის წინ იყო და ჩვენი სალომე უკვე სკოლაშიც დადის... ტელეფონმა დარეკა. ალბათ, „იქ“ არ მოხვდნენ. მეუბნება — მოდი, 8 საათზე კინოთეატრთან შეგხვდეთო. — უცნობ მამაკაცებს არ ვხვდები-მეთქი, — ვუპასუხე. — კარგი, ოღონდ არ დააგვიანოო... ვსხედვართ გვერდიგვერდ და კინოს ვუყურებთ. მუსიკა მესმოდა, ცხენებს ვხედავდი და ყველაფერი ფერადი იყო. ეკრანს ვუყურებდი და ვხედავდი, როგორ ეფერებოდა ჩემს ხელს... შუქი აინთო. მეუბნება — „არა უშავს“ ფილმი იყო, მოგეწონა? — არა უშავს რა, — ვპასუხობ მე. — გაგაცილო? — არავითარ შემთხვევაში, — შევიცხადე მე. — ძალიან კარგი, — ამბობს ის და უკვე ჩემს სადარბაზოსთან ვდგავართ. მას ჩემი ხელი უჭირავს და ძალიან საყვარელია. თვალები... მხრები... თითები... ოღონდ, ყველაფერი გაყინული აქვს. კარგი იქნებოდა, შინ რომ შემოსულიყო-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ეს აზრი უცებ უარვყავი... ის მეუბნება — რა სიმყუდროვეა თქვენს ბინაში... ვსხედვართ... მიყურებს. — ქმარმა მიგატოვა? — მეკითხება. — არა, უბრალოდ, წავიდა, — ვპასუხობ მე. — მეც თვითონ წამოვედი. იქნებ, ყველაფერი კარგად აეწყოს?.. — როცა დაიძინა, ისეთი საყვარელი იყო... დილით კი, რომ გავიღვიძე, წასული დამხვდა... ჩვენი სალომე კი, უკვე სკოლაშიც დადის... როგორ გგონიათ — ეს ხანმოკლე შეხვედრა ოდესმე დამავიწყდება?..“

არის, ასრულდა ოცნება!.. როგორც იქნა, ჩვენს „გზავნილებში“ პატრულმაც დაგვიმესიჯა. მგონი, ურიგო ამბავს არ გვიყვება, თუმცა, ცოტა მოძველებული კი შემოგვა-

პარა, მაგრამ რა ქნას, თუ მართლაც დაუვიწყარი შეხვედრა სწორედ რამდენიმე წლის წინ მოხდა?!

„პაგონები“ – „იქ“...

„წლების განმავლობაში, პოლიციაში ვმუშაობდი. ახლა პატრული ვარ. მეც მქონდა ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი შეხვედრები და მინდა, ორი მათგანი გავიხსენო. ერთხელ, გვიან ღამით განყოფილებაში ახალგაზრდა, მთვრალი ბიჭი ამოიყვანეს. ჩხუბობდა, იგინებოდა. ძლივს აკავებდნენ პოლიციელები. ცოტა ხნის შემდეგ დაშოშმინდა. ამასობაში უფროსი მოვიდა. დაკავებულს რაღაც არ მოეწონა და ისევ ჩხუბი დაიწყო. თან უფროსს ხელებს უშლიდა, უყვიროდა და ცდილობდა, ახლოს მისულიყო მასთან. ბოლოს, როგორც იქნა, პოლიციელებს თავი დააღწია, მივარდა უფროსს და ფეხებშუა მთელი ძალით წიხლი ამოარტყა... არასოდეს დამავიწყდება, როგორ აფრინდა ქუდი უფროსის თავიდან. ის ბიჭი კი უცებ გაგვექცა... მეორე შეხვედრა მართლაც ძალზე ხანმოკლე იყო და მართლაც დაუვიწყარი. დავალება მივიღეთ, რომ ჩვენი უბნიდან ყველა მეძავი უნდა გაგვეყარა. ყოველ შემთხვევაში, იმ ერთ ღამეს მაინც გამოვედით „პანელზე“ და გოგოებს ვაფრთხილებდით, რომ შინ წასულიყვნენ, ვაშინებდით, დაგიჭერთ-თქო, მაგრამ ისინი შეტევაზე აქეთ გადმოდიოდნენ, გვეჩხუბებოდნენ, ენას გვიყოფდნენ და გვემანჭებოდნენ... ერთ-ერთ მათგანთან კი ნამდვილი ჩხუბი მომივიდა და ლამის მუშტი-კრივზე გადავედით. უეცრად მწვდა „პაგონებში“, ამაგლიჯა და „ტრუსიკში“ ჩაიტენა. სახტად დავრჩი. ბიჭები სიცილისგან ჩაბეერდნენ. – ახლა მოდი და თუ ბიჭი ხარ, შენ თვითონ ამოიღეო, – მითხრა. რომ დავაპირე, დავიჭერ და განყოფილებაში წავიყვან-მეთქი, გამექცა. ვდიე, მაგრამ ვერ დავეწიე. არა, „პაგონები“ კი არ მინდოდა, იმას მხრებზე როგორღა გავიკეთებდი – უბრალოდ, მინდოდა, ჯავრი მეყარა. აი, ეს იყო სულ, რისი თქმაც მინდოდა. მომავალ „გზავნილებამდე“.

უკრაინაში ასეთი ტრადიცია არსებობს: თუ ვაჟი ოჯახში ქალის სათხოვნელად მივა და უარით გამოისტუმრებენ, ქალის ოჯახი მას კვახს ატანს შინ. ასე რომ, იღბლიანი მამაკაცები საშემოდგომოდ საყვარელ ქალს იღებენ, ჭკვიანები – რამდენიმე ტონა სასარგებლო ბოსტნეულს. ჩვენი შემდეგი რესპონდენტი რომ უკრაინელი ყოფილიყო, კვახის მთელი ზამთრის მარაგს მოაგროვებდა...

„არ გეგონოთ, ვიწუნებდე...“

„უკვე 30 წელს გადავცდი, მაგრამ ისევ უცოლოდ დავდივარ. ვინ აღარ ცდილობს ჩემს დაცოლშვილებას, ვინ არ ჩალიჩობს, მაგრამ არ ვიცი, ჯადო მაქვს გაკეთებული თუ სხვა მიზეზია, რომ არაფერი გამოდის. ამ გარიგება-გარიგების წყალობით, ხანმოკლე შეხვედრებს რა გამომილევს?! არ გეგონოთ, მე ვიწუნებდე. ზოგჯერ ორივე მხარე თანახმა ვართ, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის... ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს ძმაკაცებთან „ჯოკერი“ ვითამაშე და პურმარილი წავაგე. ფული არ მქონდა. სამაგიეროდ, კარგი აზრი მომივიდა თავში. უკვე ერთი კვირა იყო, ჩემი ნათესავი ქალი ტვინს მიბურღავდა – კარგი გოგო მყავს შენთვის შეგულებული და ნახეო. დავურეკე იმ ქალს და ვუთხარი – გოგოს ოჯახი გააფრთხილე, რომ ხვალ მივალ და ენახავმეთქი, – და ძმაკაცებიც მეორე დღისთვის დავიბარე საქეიფოდ. ერთი სიტყვით, ოთხი კაცი მივადექით სასიმამროს სახლს. ისეთი გოგო იყო, რომ თვალები მის მკერდსა და ფეხებზე დამრჩა. ამას კი ხელიდან აღარ გავუშვებ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ჩემმა ძმაკაცებმა ისეთი სირცხვილი მაჭამეს, რომ მათ ოჯახში მისაბრუნებელი პირი აღარ მქონდა. ჩემი და იმ გოგოს შეხვედრა ძალზე ხანმოკლე იყო, მაგრამ მისი შავი თვალები დღემდე არ მავიწყდება. სულ ვფიქრობ, რა მოვიგონო ისეთი, რომ ხელახლა მივიდე მათთან, მაგრამ ჯერ ვერ მოვიფიქრე...“

თურმე, ინდოეთის ზოგიერთ რაიონში ხორცს საერთოდ არ ჭამენ, მაგრამ უცხოელი სტუდენტები, რომლებიც ჩვენს მკითხველს შეხვედრიან, ალბათ ამ კატეგორიას არ განეკუთვნებიან.

„კვერცხის დედა სად არის?!“

„ერთხელ დედას საყიდლებზე ბაზარში გავყევი. დავინახე უცხოელი ადამიანების ჯგუფი. მივხვდი, რომ ინდოელები იყვნენ და იმასაც მივხვდი, რომ – სტუდენტები. მათ სწორედ ისეთ დროს გადავეყარე, როცა ერთ მოხუც ქალს უხსნიდნენ, რომ მხოლოდ ერთი კვერცხის ყიდვა უნდოდათ. ხელებს და ფეხებს ისე მოხერხებულად ხმარობდნენ საუბრისას, რომ გაგიკვირდებოდათ, თან თავიანთ ენაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. დავინტერესდი ამ უცნაური ადამიანებით და უკან გავყევი. საინტერესო ის იყო, თუ რაში სჭირდებოდათ ერთი კვერცხი. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ისინი ხორცის სექციისკენ წავიდნენ, ქათმის გამყიდველ ქალს მიუახლოვდნენ, კვერცხი გაუწოდეს და „დამტვრეული“ ქართულით ჰკითხეს – დედა სად არის? ამ ქალმა ვერაფერი გაიგო. შემდეგ მეორეს მიადგნენ, იმასაც კვერცხი ლამის თვალში ატაკეს და ჰკითხეს – დედა, დედა სად არის? ასე ჩამოიარეს მთელი მწკრივი, მაგრამ ვერაფერი გააგებინეს მოვაჭრეებს. მივხვდი, ქათმის ყიდვა უნდოდათ. მივედი და დავეხმარე, მაგრამ იმ დალოცვილებს, რაში სჭირდებოდათ ამდენი „ფოკუსნიკობა“?.. მათთან შეხვედრა არასოდეს დამავიწყდება“.

ქალაქში გამოსული ყვითელი ავტობუსები კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, მაგრამ სულ ტყუილად. თურმე ის ხანმოკლე და დაუვიწყარი შეხვედრებისთვის მშვენიერი ადგილი ყოფილა.

„...მოგიკვდეთ „პროკურორი“!..

„ერთადერთხელ ვიმგზავრე ახალი საქალაქო ტრანსპორტით და არასოდეს დამავიწყდება მოხუცი ქალი, რომელიც ცალ ფეხზე ძლივს იდგა და აქეთ-იქიდან ხალხი აწვებოდა. მისგან ორი ადამიანის იქით, პოლიციელი იდგა, ცისფერ უნიფორმაში გამოწყობილი და ისიც ისევე იჭყლიტებოდა, როგორც ბებო, მაგრამ ცალ ხელში მაღლა აწეული გაზეთი ეჭირა და გამალებით კითხულობდა. უეცრად ბებომ ხმა ამიღო და დაიძახა – შვილო, მილიცია, დაჯდომა მინდა და იქნებ, დამეხმაროო! პოლიციელმა ყურადღებაც არ მიაქცია, ისევ გაზეთის კითხვას განაგრძობდა. ბებომ არ მოისვენა და ისევ დაუძახა – მილიცია, მილიცია!.. როგორც იქნა, „ხალხის იმედმა“ თავი მოაბრუნა. დაჯდომა მინდა, შვილო! – სთხოვა ისევ ქალმა. – მე ვერ გიშველი, ბებო, დაჯდომა თუ გინდა, პროკურორს მიმართეო, – ღიმილით უთხრა პოლიციელმა. – ეგ „პროკურორი“ მოგიკვდეთ თქვენა, რომ სამართალი არა სცოდნია; მაშ მე, მოხუცი ქალი, ავტობუსში უნდა ვიჭყლიტებოდე და ეს ახალგაზრდა ბიჭები კიდევ, უნდა ისხდნენო?! სიცილის ტალღამ გადაუარა ავტობუსს და ერთმა ბიჭმა ადგილიც კი დაუთმო ბებოს. მა-აშ!“

„არსებობს ორი უსასრულობა – სამყარო და სისულელე. თუმცა, სამყაროს უსასრულობასთან დაკავშირებით მე ეჭვს გამოვთქვამ“, – ამბობდა ალბერტ აინტშაინი და ალბათ მართალიც იყო, რადგან სისულელეს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული... ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ფიქრობს ჩვენი მომდევნო რესპონდენტი.

ხანმოკლე თუ ხანგრძლივი?

„არც კი ვიცი, რა ვუწოდო ჩვენს ურთიერთობას – ხანმოკლე თუ გრძელვადიანი, რადგან ნაცნობობა მთელი 6 წელი გრძელდება, შეხვედრა კი ძალზე ხანმოკლე იყო. მეუღლესთან 2 წლის გაყრილი ვიყავი და ახალი ცხოვრების სტილს ისის იყო, ვეგუებოდი. ზოგი რამ გამომდიოდა, ზოგი – არა. დეპრესიაშიც ხშირად ვვარდებოდი და სწორედ ამ დროს, ტელეფონით სრულიად შემთხვევით გავიცანი ერთი მამაკაცი. სატელეფონო ურთიერთობა თვეების განმავლობაში გრძელდებო-

და. კარგი მოსაუბრე გახლდათ და საინტერესო ადამიანიც. თუმცა, საკუთარ თავზე ლეგენდებს ჰყვებოდა და არ ვუჯერებდი, მაგრამ მისი გაცნობის სურვილი მკლავდა. ერთ მშვენიერ დღეს, პაემანი დავთქვით და ერთმანეთს შევხვდით. ბევრი ვისაუბრეთ. პირისპირ შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ნამდვილად კარგი ადამიანი იყო. თუმცა, იმასაც მივხვდი, რომ დიდი მექალთანე და მუსუსი ვინმე იქნებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მეორედ შევხვდით. დამფრთხალი კურდღელივით ვიყავი და შესაძლოა, ბევრი სისულელეც ვილაპარაკე. არც იმას დაუკლია და რაღაც არეულ-დარეულად ლაპარაკობდა... ბოლოს იყო კოცნა, უბეში ხელის შეცურება და ჩურჩული – წამოდი ჩემთან, ვიცი, როდის უნდა ჩაგჩურჩულო – მიყვარხარო!.. – მაგრამ შემეშინდა... რის? სისულელის ჩადენის, შეცდომის დაშვების... სხვა დროს-მეთქი, – ვუთხარი და მანქანიდან გადმოვედი. თუმცა, ამას ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ ვაკეთებდი. იმის შემდეგ, ბევრი დრო გავიდა. ის ხან უგზო-უკვლოდ იკარგება ჩემი ცხოვრებიდან, ხან კი უეცრად, ისევ გამოჩნდება, დამირეკავს, დამელაპარაკება, ამაფორიაქებს და – წავა... აი, ასეთი ხანმოკლე, ხანგრძლივი და დაუვიწყარი შეხვედრა მქონდა. მიცანი, ჩემო ვნებათაღელვავ?..“

ხანმოკლე შეხვედრა მეტოქესთან

„უზომოდ შემიყვარდა ცოლშვილიანი კაცი. მე თვითონ განათხოვარი, უშვილო, 32 წლის ქალი ვარ. ყოველთვის ვამბობდი – არასოდეს შევიყვარებ ქვრივს ან ოჯახიან კაცს-მეთქი, – მაგრამ ალბათ, ბედმა დამცინა. ის ჩემს მამოძრავებელ ძალად და სიცოცხლის სიმბოლოდ იქცა. უიმისოდ სუნთქვაც კი არ შემეძლო. მერაბის ცოლს არ ვიცნობდი და შორიდანაც კი არ მყავდა დანახული. გულში მუდამ ვეჭვიანობდი მასზე, მაგრამ მაინტერესებდა, როგორი იყო გარეგნულად, ბუნებით... ჰოდა, ერთ მშვენიერ ზაფხულს, მერაბმა შემომთავაზა ზღვაზე დასვენება. ჯერ მე ჩამიყვანა ქობულეთში და დამბინავა, რამდენიმე დღეში კი, ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა და სხვა სასტუმროში მოთავსდნენ. მალულად ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ჩემთან გვიანობამდე არასოდეს რჩებოდა. ერთ საღამოს, გულნატკენმა იმით, რომ 9 საათზე უკვე ცოლ-შვილთან წავიდა, ჯერ კარგად ვიტირე, შემდეგ კი გადავწყვიტე, შინიდან გავსულიყავი გასართობად. გამოვიპრანჭე და კაფეში წავედი, საღაც დისკოთეკა ტარდებოდა და ვიფიქრე, მოვილხენ-მეთქი. ნახევარ საათში, მერაბი და მისი ცოლ-შვილიც იქ მოვიდნენ. სწორედ მაშინ შევხვდი პირველად მის ქალბატონს. ცუდად გავხდი. გულის რევის შეგრძნება დამეუფლა და თავიდან ფეხებამდე ოფლმა დამასხა. მერაბმა რომ დამინახა, ნირი წაუხდა, მაგრამ არ შეიმჩნია, რომ მიცნობდა. ჩემი და მისი ცოლის თვალები ერთმანეთს რამდენჯერმე შეხვდა. ვეღარ ავიტანე და სასწრაფოდ შინ წამოვედი. ეს იყო ხანმოკლე და დაუვიწყარი შეხვედრა ორი მეტოქე ქალისა, რომელმაც ჩვენი ურთიერთობის ბედი გადაწყვიტა: მერაბის ცხოვრებიდან სამუდამოდ წავედი. იქნებ, ჩემ გარდა, კიდევ ვინმე არღვევდა მათ ოჯახურ იდილიას, მაგრამ თავი მაინც დამნაშავედ ვიგრძენი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

დაუვიწყარი შეხვედრა ოთარ მელვინეთუხუცესთან

„3 წლის წინ, ჩემს ქმართან და 5 წლის შვილთან ერთად ბათუმში ვისვენებდი. შეყვარებულთან სერიოზული ჩხუბის შემდეგ, სხვასთან შეექმენი ოჯახი. ის ჩემზე ასაკით ბევრად უფროსია და ძალზე მდიდარი. იმ ზაფხულს პლაჟზე ჩემი ძველი შეყვარებული დავინახე. მეც და ისიც ძველებურად ვუმზერდით ერთმანეთს. როგორღაც მოვახერხეთ, რომ იმ საღამოს შევხვედროდით ერთმანეთს... იმის შემდეგ აღარ მინახავს. მასაც ოჯახი აქვს და ამიტომ გადავწყვიტეთ ასე. შეხვედრის შემდეგ ფეხმძიმედ დავრჩი და ახლა მის შვილს ვზრდი. ის შეხვედრა რომ არა, დღეს ხომ ისევ ისეთი უფერული ცხოვრება მექნებოდა?! ჩემს პატარაში მას ვხედავ... მიყვარხართ ძალიან. ნინუცა“.

„ერთმანეთი ქორწილში გავიცანით. მას დანახვისთანავე შევუყვარდი, მეც არ ვიყავი გულგრილი. მაგრამ ქორწილი დამთავრდა და ჩვენც დავშორდით ერთმანეთს. იკა, ვერ დაგივიწყე“.

„მიყვარხარ ყოველთვის, დღეა თუ ღამეა, წუთია, წამია, მზეა თუ მთვარეა, თოვლია, ქარია, წვიმაა, დარია, ყოველთვის მიყვარხარ, რა ჩემი ბრალია? იმ ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარ დროს მივტირი, რომელიც ახლახან დამთავრდა. მაგრამ მე ვიბრძოლებ, რომ ეს ურთიერთობა სეზონურ გატაცებად არ დარჩეს“.

„დაქალთან დაბადების დღეზე მივედი. უეცრად კარი გაიღო და ძალიან მაგარი ბიჭი შემოვიდა. დიდი ტუჩები ჰქონდა, მწვანე თვალები და „კურნოსა“ ცხვირი. მეც სწორედ ასეთი გარეგნობის ვარ. ყველას ჩემი ძმა ეგონა. ასეთი გარეგნობის გამო, ანჯელინა ჯოლის მეძახიან. მთელი საღამო ერთმანეთს ვუყურებდით. ცოტა ხნის შემდეგ სააბაზანოში შევედი ხელის დასაბანად. ისიც შემოვიდა, კარი შიგნიდან ჩაკეტა და კოცნა დამიწყო... ამის შემდეგ, სახლში მირეკავდა ხოლმე. ახლა კი ნომერი გამოვცვალე და ვეღარ მიკავშირდება. მე კი მისი ნომერი არ ვიცი. გიო, გამომეხმაურე, გთხოვ“.

„არ მინდა, რომ ყველაფერი მალე დამთავრდეს. მენატრება შენი სუნთქვა, არაგვი, ჯვრის მონასტერი... ეს ყველაფერი დაუვიწყარია. ლაშა, მიყვარხარ. რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები, არასოდეს მიმატოვებდი. შენი სულელი გოგო“.

„ბათუმში ვისვენებ. 2 დღის ჩამოსული ვიყავი, როცა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ჩამომაკითხა. ოთახი ჩემ გვერდით იქირავა და გვერდიდან არ მშორდება. აქამდე მასზე არც მიფიქრია. თურმე, რა კარგი თვალები და გარეგნობა ჰქონია. ახლა დაფიქრებული დავდივარ და გულში შემოპარულ გრძნობას ვმალავ. მას ჰგონია, თავი მომაბეზრა...“

„ძლივს შემიყვარდა ერთი ბიჭი. სულ სამჯერ შევხვდი. ისეთი გამწარებული მეფერებოდა, ვიფიქრე, მანიაკი „შემომაპარეს“-მეთქი. ერთ მშვენიერ დღეს კი, მამათა მონასტერში წავიდა და დამტოვა ასე, გაღიმებული... მასთან გატარებულ დღეებს ვერასოდეს დავივიწყებ. ახლა ვზივარ და ველოდები, როდის გაიხდის ანაფორას“.

„ჯიგო, ჩვენი ყველა შეხვედრა ხანმოკლე, მალული და დაუვიწყარი იყო. ვიცი, შენც გიჭირს იმ ლამაზი დღეების დავიწყება. მე ცრემლით მაინც ვმშვიდდები. შენ? შენ რას აკეთებ, ჩემო სიხარულო?.. შენი გიჟი“.

„ეს თემა ისევე მჭირდებოდა, როგორც „გზავნილებს“ – მკითხველი. ახლახან დავბრუნდი ქობულეთიდან. არაჩვეულებრივად ლამაზი შვებულება გამომივიდა. გავიცანი ძალზე მიმზიდველი ახალგაზრდა კაცი, თუმცა, ჩვენი ნაცნობობა „გამარჯობას“ არ გასცილებია. ეს მართლაც ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი შეხვედრა იყო, ჩუმი და უთქმელი. მის თვალებში სიყვარული და სურვილი ზღვის ტალღებზე უფრო მეტად ხმაურობდა და მეგონა, გარშემო ყველას ესმოდა. ანგარიშმიუცემლად შემიყვარდა ჩემთვის სრულიად უცხო მამაკაცი. ჩემი საკურორტო რომანი სწორედ მაშინ დასრულდა, როცა უნდა დაწყებულიყო. ეს მისი გაუბედაობის გამო მოხდა. მაგრამ აუცილებლად მოვძებნი, მაგრად ჩავეხუტები და ვეტყვი – ზ, სიხარულო, მე ზღვის ტალღების ხმაურზე უფრო „ხმამაღლა მიყვარხარ“ და გამუდმებით მენატრები. არაფერს გთხოვ, უბრალოდ მომეცი უფლება, მიყვარდე“.

„შენ ახლა წმინდა ათონის მთაზე ხარ და სწორედ იმ ცოდვას ინანიებ, რომელიც ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო. მოდი, რა, გვეყო!.. მიყვარხარ“.

„ჩემი პირველი ბედნიერი შეხვედრა ისეთი

ხანმოკლე იყო, რომ ახლა ვფიქრობ – იქნებ ჯობდა, საერთოდ არ შემდგარიყო?.. გულს მაინც ენატრება ის წუთები. სულელები არიან კაცები. არ იციან, რა დროს და როგორ უნდა წავიდნენ ქალის ცხოვრებიდან...“

„ახლა ქობულეთში ვისვენებ. მე და ჩემი დაქალოჩკები კაფეში წავედით, „მაგარი“ გავაჯაზეთ, მაგრად დავთვერით, მერე გოგოები წავიდნენ, მე კი რატომღაც დავრჩი... უეცრად დავინახე, რომ კაფეს ერთი მაგიდა სავსე იყო წითელი ვარდებით. მოვიწყინე, რადგან მინდოდა, რომ ჩემი ყოფილიყო. ცოტა ხანში, ჩემი საყვარელი სიმღერაც აჟღერდა... ავდექი და გარეთ გამოვედი. იქ კი ჩემი ძველი ბოიფრენდი დამხვდა, მუხლზე დაჩოქილი და ყვიროდა – მე დავბრუნდი, მე დავბრუნდიო!.. ვტიროდი, ისე მიხაროდა მისი დაბრუნება. ის ვარდებიც ჩემი ყოფილა და სიმღერაც... მერე მითხრა – კიდევ ერთი სიურპრიზი მაქვსო, – ზღვაში შემიყვანა და ცოლობა მთხოვა... გავბრაზდი და უარი ვუთხარი. ახლაც მეხვეწება, რომ მივთხოვდე, მაგრამ ვერ მივართვი. ჯერ არ ვარ მზად ოჯახის შესაქმნელად. გაიგე, სიხა? შენი ბარი“.

„ერთი წლის წინ, ქუჩაში თავდახრილი მივდიოდი, ვიღაცას შევეჯახე. თავი რომ ავწიე, ოთარ მელვინეთუხუცესი დავინახე. აი, ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი“.

„ერთხელ მე და ჩემი დაქალი ორ ბიჭს ერთსა და იმავე ადგილზე შევხვდით, მაგრამ ისეთი მახინჯები აღმოჩნდნენ, ლამის გული გამისკდა“.

„ჩემმა დაქალებმა, ჯორჯიმ და ცქნაფამ ტელეფონით გაიცნეს გიო. მან ისე გაბრუა ლაპარაკით, რომ მისამართიც კი უთხრეს. ერთ მშვენიერ დღეს, ეზოში არ გაიჩითა, ძმაკაცებთან ერთად?!. სწორედ ეს იყო ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი შეხვედრა. ია“.

„ხანმოკლე იყო ჩემი და ლალის შეხვედრა, სულ რაღაც 5-წუთიანი. ის ძმაკაცმა გამაცნო. ეს ერთი ნახვა საკმარისი აღმოჩნდა... ფრუნზიკ, მიყვარხარ... შენ როკის დედოფალი ხარ და შენზე მაბოდებს. კურტი“.

„ამას წინათ სოფელში, მდინარეზე ვიყავი. მოვდივარ, „მოვამარიაჟებ“ ჩემს ფეხებს და უეცრად წავიქეცი... ვიღაცამ წამომაყენა. თავი რომ ავწიე, ისეთმა სახემ შემომანათა, დავიბენი და უაზროდ გავუღიმე. იმანაც გამიღიმა და წავიდა. სამ დღეში თბილისში დავბრუნდი. ავტობუსში ავედი და აგერ არ დგას?!. გამიღიმა და მითხრა – უფრო ლამაზი ყოფილხარ, ვიდრე მახსოვდიო. ჩავიდა... ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრა. ნინო“.

„18 წლის გოგო ვარ და ცხოვრებაში უკვე ბევრი რამ მოვასწარი. თითქმის 6 წელია, რაც შეყვარებული მყავს. ასეთი სიყვარულის მხოლოდ შექსპირს თუ სჯეროდა. ამ გრძნობამ ბევრი იმედგაცრუება, ტკივილი, მაგრამ მასთან ერთად, ზღვა სიხარული და ბედნიერება მომიტანა. ჩემი მშობლები გააფთრებული მებრძვიან. ცდილობენ, ერთმანეთს დაგვაშორონ, მაგრამ ეს შეუძლებელია. ჩვენი ყოველი შეხვედრა ძალიან ხანმოკლეა. სულ საათზე ვიყურები და შინ მიმეჩქარება, მაგრამ მაინც დაუვიწყარია. სულ დროის „სეკვესტრში“ ვართ. მაგრამ ღირს ამ სიყვარულისთვის თავის გაწირვა. ჩემო სიხარულო, მიყვარხარ და გკოცნი. შენი გოჭი“.

„ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო. მე ის მხოლოდ ფანჯრიდან დავინახე. ის კი ქვევიდან მიყურებდა. ცრემლი მდიოდა. შენიშნა ჩემი ცრემლი და მხოლოდ ეს მითხრა – არასოდეს დამავიწყდებიო... უკვე ერთი წელია, აღარ მინახავს. არ ვიცი, მას თუ ვახსოვარ. ქეთი“.

„1983 წელს გავიცანი ირმა. ის ქობულეთიდან იყო. მე ვსწავლობდი გორის ტექნიკუმში. ირმა იქ ბებიასთან ჩამოვიდა. მალევე გამოვუტყდი სიყვარულში. ჩაეცინა. 1-2 ჯერ შევხვდით კიდეც. ბებოს არ მოეწონა ეს შეხვედრები და მაგარი საქმე მოგვიწყო: ირმა შინ ჩაკეტა, მე კი ბიჭებმა მაგრად მიმბეგვეს... ამის შემდეგ ირმა აღარ მინახავს, მაგრამ მახსოვს. ასეთი იყო ჩვენი ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი შეხვედრა...“

„არ მეგონა, ერთი ნახვით შეყვარება თუ შეიძლებოდა, მაგრამ საკუთარ თავზე გამოვცადე. 12 მაისს, მეგობრის დაბადების დღეზე სალომე გავიცანი. ის სულ ერთი საათით გაჩერდა, შემდეგ დედამ მოაკითხა და წაიყვანა. ამის შემდეგ, უნივერსიტეტშიც ვაკითხავდი, მაგრამ ზედაც არ მიყურებდა. გავიგე, შეყვარებულიც ჰყოლია. მე კი მაინც ვიბრძოლებ და ჩემი გახდება“.

„ჩემთვის მართლაც დაუვიწყარი შეხვედრა იყო, როცა ბრაზილიაში შემთხვევით ჩემს შეყვარებულს, ლევანს შევხვდი“.

„ამ კვირაში ჩემი ყოფილი, მაგრამ დაუვიწყარი შეყვარებულის ნახვას ვაპირებ. განა რამე მოხდება?! უბრალოდ, სიმართლეს ვეტყვი, ასე უცებ რატომ გავთხოვდი, ერთს მაგრად ვაკოცებ და წამოვალ. ხანმოკლე იქნება, მაგრამ დამიჯერეთ, მთელ ცხოვრებას გადაწონის. რეზ, მიყვარხარ“.

„ჩემი და ნიკალაის ურთიერთობა 15-დღიანი იყო. ის რუსია და პატიმარი. მერე, მოძღვრის რჩევით დავშორდი, მაგრამ ვიცი, ის მომძებნის. ნიკალაი, პრასტი ზა ეტუ ბოლ. ანკა“.

„5 თვის წინ, შეყვარებულს დავშორდი. იმის მერე, ხან ვის ვხვდები, ხან – ვის, მაგრამ მაინც ვერ ვივიწყებ. ხანდახან „შემთხვევით“ ვხვდებით ერთმანეთს და აღარ ვიცით, ერთმანეთი როგორ ავავსოთ კომპლიმენტებით. მერე 1 კვირა „კომაში“ ვარ და ვინ იცის, ასეთი ხანმოკლე და დაუვიწყარი შეხვედრები კიდევ რამდენი გვექნება?!. ეჰ, ჯიუტი რომ დაიბადები, თორემ, იცით, რა მაგრად ვუგებთ ერთმანეთს?.. ნინი“.

„რამდენიმე დღის წინ, ერთი ბიჭი გავიცანი. ერთი ნახვით შეყვარების გჯერათ?.. მე უკვე მჯერა. იმ ხანმოკლე და დაუვიწყარი შეხვედრის დროს მოვასწარი მისი შეყვარება. მართალია, დამპირდა, აუცილებლად შევხვდებითო, მაგრამ ყველა იმედი გადამეწურა. მთხოვდა, მასთან ერთად სადღაც წავსულიყავი, მაგრამ შემეშინდა. რა სულელი ვარ, არა?..“

„მე და ჩემი დეიდაშვილი ქეთი სოფლიდან მოვდიოდით. მხიარულ განწყობილებაზე ვიყავით, ვმღეროდით და თავი ბედნიერი გვეგონა. გზაზე პატარა ბიჭი დავინახეთ. მინდვრიდან მიწა გადმოჰქონდა და თხრილს ავსებდა. მანქანა გავაჩერეთ. გვითხრა – „იამკებს“ ვავსებ, რომ მანქანებმა კარგად იარონ და რამდენიც გემეტებათ, იმდენი ხურდა მომეცითო. ფული მივეცით. ცხელი პური და ყველიც მივაწოდეთ. მოერიდა. ნაღვლიანი თვალებით გადმოგვხედა. ჩვენ წამოვედით... ქეთი ტირილით მოკვდა. მე კი ყოველთვის მემახსოვრება იმ ბავშვის სახე. გურანდა“.

„ერთხელ ჩემი მანქანით „საცობში“ მოვყევი. ისეთ რიგში ვიდექი, რომ ჩემ გვერდით საპირისპირო მხრიდან მომავალი მანქანები იდგნენ და ერთ-ერთი ისე იყო გაჩერებული, რომ მძღოლი ჩემ პირდაპირ იჯდა. თითქოს ჩემს სალონში იყო. ერთმანეთს ვუყურებდით. მე „მერსედესით“ ვიყავი. ის კი – „დანგრეული“ „ჟიგულით“ და ალბათ ფიქრობდა, ეს ქალი ამ მანქანით უნდა დადიოდეს, მე კი ამ ჯართითო?!. კარგა ხანს ასე ვიდექით. როგორც იქნა, ჩვენი „ხაზი“ დაიძრა. მანქანა დავქოქე და ვიდრე დავძრავდი, ამ ტიპს ენა გამოვუყავი. უნდა გენახათ, როგორ გაუფართოვდა თვალები. მერე თვითონაც ენა გამომიყო და ერთმანეთს დავშორდით. ეს ამბავი არასოდეს დამავიწყდება“.

„ბათუმში ვისვენებ. თვალებით სულ ნაცნობებს ვეძებ. მე კი ისეთი ვინმე დავინახე, რომ გავშეშდი. ჩემს დაქალს რომ არ ეთქვა – ნინო, არ შეიმჩნიოო, – ალბათ ასე დიდხანს დავრჩებოდი. ისიც მაგარი დაშტერებული მიყურებდა. ეს იყო ჩემი ძველი შეყვარებული, რომელიც დიდი ხანია, აღარ მინახავს. ნუთუ, იმ კონცერტს მხოლოდ ერთი დღით ჩამოჰყვა?!.“

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – რატომ დავრჩი შინაბერად? გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45-68-61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■



მუსიკა „მიაგდო“ და ტერორიზმის ნინაალმდეგ გაილაშქრა

„ჩვენთან საშემსრულებლო ხელოვნება კიდევ დიდხანს არ განვითარდება“...

საზაფხულო არდადეგების შემდეგ, „მეფე“ და ქეთათო „სამეფო კარს“ დაუბრუნდნენ. ახალგაზრდა წყვილმა ზაფხული აგარაკზე — მუხათწყაროში გაატარა, სადაც დასვენებასთან ერთად, ქეთათო ახალ მუსიკალურ თემებზე მუშაობდა, ირაკლი ჩარკვიანმა კი თავისი ტრილოგიის პირველი წიგნი — „მშვიდი ცურვა“ დაასრულა. სათაურის მიუხედავად, წიგნს არც ზღვასთან და არც მზესთან საერთო არაფერი აქვს, იგი თანამედროვეობის უდიდეს პრობლემას — ტერორიზმს ეძღვნება. როგორც თავად „მეფე“ ამბობს, წიგნს მაშინ წერდა, როცა ბავშვს ეძინა, დანარჩენ დროს კი, მეუღლესა და შვილთან ერთად ატარებდა. როგორც ყოველთვის, ჩარკვიანებს ირაკლის უფროსი ვაჟი მაქსიმეც სტუმრობდა. ის დედასთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს, საერთაშორისო სამართალს ეუფლება და ჩარკვიანების მუსიკალურ ტრადიციასაც აგრძელებს.

ემა ტუხიაშვილი

— როგორ დაისვენეთ?

— სიმართლე გითხრათ, ვერ დავისვენე, რადგან წიგნზე ვმუშაობდი. ადამიანი ალბათ, მაშინ ისვენებ, როდესაც ნაკლებად მუშაობ, ეს ზაფხული კი ჩემთვის ძალზე დატვირთული იყო.

— გვიამბეთ თქვენ წიგნის შესახებ.

— ეს გახლავთ ჩემი ტრილოგიის — „სიტყვა მეფისა ერთისა“ პირველი წიგნი, რომელსაც ჰქვია „მშვიდი ცურვა“. ეს არის რომანი, რომელიც ფაქტობრივად დასრულებული მაქვს.

— რას ეძღვნება თქვენი წიგნი?

— შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი პირდაპირ არაფერს ეძღვნება. თუმცა ზოგადად მასში ყველაფერია თავმოყრილი, დაწყებული ტერორიზმიდან და ჩემი ავტობიოგრაფიით დამთავრებული. ეს არის ავტორომანის სტილი, რომელიც მე თვითონ მოვიგონე და წიგნში მთავარი გმირის პარალელურად, ჩანს ის გმირიც, რომელიც თავად წერს ამ რომანს.

— საინტერესოა, ვინაა თქვენი წიგნის მთავარი გმირის პროტოტიპი?

— XV-XVI საუკუნეებში, ცხოვრობდა ცნობილი პოეტი — სუფია ვაღალედინ რუმი, რომელიც სუფიზმის (მისტიკური მიმართულება ისლამში) სკოლის დამფუძნებლად ითვლება. სწორედ ის გახლავთ ჩემი წიგნის მთავარი გმირის პროტოტიპი ანუ ეს არის რუმის ინკარნაცია ჩვენს დროში. რუმი კი, ჩემი წიგნის მიხედვით, ტერორისტია. ეს არის რომანის იდეა, დანარჩენი კი, მკითხველმა განსაჯოს.

— თქვენ წიგნის ავტობიოგრაფიულ ნაწილში ალბათ, მამათქვენსა და თქვენს ბაბუაზეც საუბრობთ, ხომ?

— წიგნის ამ ნაწილში თქვენ ძირითადად, შეხვდებით იმ ჩემს მეგობრებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში თვითმფრინავის გატაცებას შეეწირნენ (ე.წ. თვითმფრინავის გატაცების საქმე) და ვინც საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა. ამით კი, იმის თქმა მინდოდა, რომ ყველა ჩვენგანში დაგროვილი იყო ის მუხტი, რომელსაც ჩვენს დროში ტერორიზმს უწოდებდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში ამას ანტიგლობალიზმსაც უწოდებენ ანუ ის ანარქისტული მოტორი თითოეულ ჩვენგანში „მუშაობდა“ და დღესაც არსებობს და ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ყველაფერი დაწყნარდა და დამშვიდდა. ტოტალიტარულმა სისტემებმა დიდი გავლენა მოახდინა ადამიანის ფსიქოლოგიაზე, ამიტომ ის დღესაც განაგრძობს ბრძოლას სხვადასხვა ფორმით ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ. ჩემი წიგნის ერთ-ერთ ნაწილში ვცდილობ, ვიპოვო პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გაახალგაზრდავდა ჩვენს დროში ტერორიზმი.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ წიგნის აღქმა ფართო მასისთვის შესაძლებელი იქნება?

— ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. ეს გახლავთ წიგნი ისტორიისთვის და იმ ადამიანებისთვის, ვისაც მომავალი აინტერესებს და რა თქმა უნდა, ცოტა წარსულითაც ინტერესდება, რადგან სამწუხაროდ, ბევრმა ჩვენგანმა არ იცის, რა არის სუფიზმი და ა.შ. ამ თვალსაზრისით, ეს იქნება ინტელექტუალური ნაწარმოები და ის იქნება გამიზნული საზოგადოების იმ ვიწრო წრისათვის, ვისაც თანამედროვე ქართული ლიტერატურა აინტერესებს. მინდა გითხრათ, რომ ენობრივი თვალსაზრისით, ამ ნაწარმოებზე საკმაოდ ბევრი ვიმუშავე. ჩემთვის არ იყო მთავარი, მხოლოდ სიუჟეტის განვითარება, მნიშვნელოვანი იყო, რომ წიგნი ისეთი გამოსულიყო, როგორსაც მას ძალე იხილავთ.

— თქვენი აზრით, ტერორიზმი საქართველოსთვის აქტუალურია?

— საქართველო არასოდეს იქნება თავისუფალი ტერორიზმისგან, რადგან საბჭოთა სისტემამ ჩვენში გაალვივა ტერორიზმის სინდრომი. საბჭოთა სისტემა თვითონ იყო ტერორისტული სისტემა, რომელიც აგებული იყო ძალადობაზე. ამიტომ შეუძლებელია, საქართველოში გენეტიკურად არ არსებობდეს ტერორიზმის გადმონაშთები. გაიხსენეთ, რამდენი ტერორისტული აქტი მოხდა მარტო ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს. მე მგონი, საქართველო სწორედ ის ქვეყანაა, სადაც ბევრი წინაპირობა არსებობს იმისა, რომ მეტი დაძაბულობა იყოს, თუ მას ე.წ. ძლიერი ხელი, მმართველი არ ეყოლება. შესაძლოა, ძალიან არაპოპულარულ რამეს ვამბობ,

მაგრამ მოდი, ახლომდებარე ქვეყნებს გადავხედოთ, თუნდაც — ისრაელს, სადაც აღმოჩნდა, რომ დემოკრატია უფრო ფასადური ხასიათის მატარებელია.

— მოდი, ახლა ცოტა უფრო მსუბუქ თემებზე გადავიდეთ. მსმენია, რომ სამაგალითო მამა ხართ. თუ ახერხებთ, რომ ასევე სამაგალითოდ დაასვენოთ ცოლ-შვილი, ბუნებაში პიკნიკი მოაწყოთ და ა.შ.?

— სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა ყოველთვის არ მაქვს, რადგან არ მყავს საკუთარი ავტომობილი. თუმცა წელს, სოფელ მუხათწყაროში ვიყავი ოჯახთან ერთად, სადაც საკუთარი სახლი მაქვს და მეგობრებიც მსტუმრობენ ხოლმე.

— როდესაც თქვენს კლიპებს ვუყურებ, მგონია, რომ დიდი ოჯახური გასეირნების ტრადიცია უნდა გქონდეთ. ასეა?

— აბსოლუტურად მართალი ხართ. ბავშვობიდან მოყოლებული, მე და ჩემი მშობლები ყოველთვის ერთად მივემგზავრებოდით ზღვაზე დასასვენებლად. წელს, სწორედ ამ წიგნის გამო ვერ გადავწყვიტე ზღვაზე გამგზავრება. როგორც თავად აღნიშნეთ, ოჯახით მოგზაურობა ჩვენთვის ტრადიციულია და ამას არაერთი ჩემი ვიდეორგოლი ეძღვნება. როგორც წესი, შორ მანძილზე ყოველთვის მატარებლით მივემგზავრები, რომელიც დღემდე მესიზმრება და აღმაგზნებს.

— ახალი კომფორტული მატარებლით ჯერ არ გიმგზავრიათ?

— სამწუხაროდ, სურვილი და შესაძლებლობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მერწმუნეთ, როგორც კი მეუნება შანსი ამ მატარებლით მგზავრობის, აუცილებლად გამოვიყენებ.

— არდადეგებზე მოსკოვიდან თქვენი ვაჟი გსტუმრობთ ხოლმე. ეს წელი გამონაკლისი ხომ არ ყოფილა?

— მაქსიმე, როგორც ყოველთვის, ამ ზაფხულსაც გვსტუმრობდა. ჯერ ლიკანში ისვენებდა, შემდეგ — ჩაქვში, ჩემს მშობლებთან ერთად და 10 დღე, მუხათწყაროში ჩემს ოჯახთან ერთად გაატარა. ის უკვე 19 წლისაა, ამიტომ ჩვენ სერიოზულ თემებზე ვსაუბრობდით და უნდა ვაღიარო, მისით ძალიან კმაყოფილი ვარ.

— რა პროფესიას ეუფლება თქვენი ვაჟი და რა დამოკიდებულება აქვს მუსიკასთან?

— მაქსიმე მოსკოვში სწავლობს და საერთაშორისო სამართალს ეუფლება. მუსიკის მიმართ მისი დამოკიდებულება იმდენად სერიოზულია, რომ ზოგჯერ ეს ფაქტი მაღელვებს კიდეც. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ამავე დროს, სიხარულსაც განვიცდი. საქართველოსგან განსხვავებით, მოსკოვში მუსიკა ნამდვილ ბიზნესად იქცა, ამიტომ ამ სფეროსთან დაკავშირებით მაქსიმესთვის მიცემული ჩემი რჩევა შესაძლოა, ყოველთვის მართებული არ იყოს. მაგალითად, ჩემს გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხშირად ვეუბნები, რომ უმჯობესია, მუსიკა მხოლოდ ჰობი იყოს და ამავე დროს ვხვდები, რომ ვიტყუები, რადგან ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, მუსიკოსობა ძალზე მომგებიანი პროფესიაა. შემიძლია გითხრათ, რომ არანაირების თვალსაზრისით, მაქსიმეს უკვე გარკვეული გამოცდილება აქვს, ხოლო ვოკალურ მონაცემებს რაც შეეხება, კარგად კითხულობს რეპს.

— მამა-შვილი ხომ არ გეგმავთ დუეტის ჩაწერას?

— გამოგიტყდებით, რომ ჩემს მუსიკაში ხშირად გამომიყენებია მაქსიმეს მიერ შექმნილი „ბითები“ (დასარტყამი ინსტრუმენტებისგან შექმნილი ტაქტი). შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი დუეტიც შედგეს. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამ ეტაპზე, არ მაქვს მუსიკალური განწყობილება და უფრო მეტად ლიტერატურისკენ მიმიწევს გული.

— ამის გამო, ქეთათო მარტოსულად ხომ არ გრძნობს თავს?

— შემიძლია, მას ტექნიკური თვალსაზრისით დავეხმარო — აკომპანიმენტი გავუწიო გიტარაზე და ა.შ. მაგრამ ამ ეტაპზე, მუსიკაში მეტ ენერგიას ვერ ჩავდებ.

— თქვენი უმცროსი შვილი თუ ავლენს მუსიკალურ ნიჭს?

— უნდა ვაღიარო, რომ ბავშვი თავისი ნიჭით ჩვენც კი გვაოცებს. აბსოლუტური სმენა აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ძლიერი ვოკალი ექნება. მაგრამ თუ ჩვენ საქართველოში ვიცხოვრებთ, არ ვურჩევ, რომ საკუთარი ცხოვრება მუსიკალურ კარიერას მიუძღვნას. საკმარისია ისიც, რაც მე ჩემს საუკუნეში გავაკეთე. საკმაოდ ბევრი ტრავმა მივიღე იმის გამო, რომ მუსიკას ვუყურებდი, როგორც პროფესიას.

— რაღაც, პესიმისტური განწყობილება გაქვთ. საერთოდ, ხომ არ გვემშვიდობებით, როგორც მუსიკოსი?

— მე ყოველთვის შევქმნი მუსიკას, მაქვს საკუთარი სტუდია და მის ჩაწერაში ხელს ვერავინ შემიშლის. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ვერასდროს გახდება ის ქვეყანა, სადაც მუსიკალური ბიზნესით ვინმე შეძლებს არსებობას. ჩემი პირველი ალბომი გერმანიაში ჩავწერე და საკმაოდ სოლიდური თანხაც მივიღე. საქართველოში მუსიკის კეთებაზე ბევრმა ადამიანმა ჩაიქნია ხელი და მგონია, რომ ჩვენთან საშემსრულებლო ხელოვნება კიდევ დიდხანს არ განვითარდება. ამრიგად, ჩვენი მუსიკა დარჩება იმ ჰომოსექსუალისტი ღიპიანი კაცების კივილ-წივილის დონეზე, რომელსაც წლების განმავლობაში ვისმენდით.

— „სამეფო“ ტიტულსაც ხომ არ ელევით?

— „მეფე“ ნამდვილად არ გემშვიდობებათ. უბრალოდ, ამ ეტაპზე, ქეთათო უფრო აქტუალური იქნება, თავისი მუსიკალური მიმართულებით. მე კი ვიქნები სადღაც მის უკან — არც მის გვერდით და არც მასზე წინ...

— თქვენი „მეფედ“ გამოცხადების ფაქტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ზოგ მუსიკოსს ისიც გაახსენდა, რომ თქვენამდე თავად იყო „მეფე“...

— ძალიან მესიამოვნა, რომ ადამიანებში ამ ფსევდონიმმა რაღაც გამოცოცხლება გამოიწვია. მინდა გითხრათ, რომ ჩვენთან ფსევდონიმის კულტურა საკმაოდ დაბალ დონეზეა და ჩემი ფსევდონიმის შემდეგ, ადამიანები მიხვდნენ, რომ მაგალითად, ჯემალ ჯოღონაშვილის მაგიერ, შეუძლიათ, რაიმე ფსევდონიმი გამოიყენონ... აქაურ შოუბიზნესში მე ყოველთვის მეფედ ვთვლიდი თავს და ჩემი კონცეფცია და პერსონა ყოველთვის ეპატაჟური იყო.

საკმაოდ ბევრი ტრავმა მივიღე იმის გამო, რომ მუსიკას ვუყურებდი, როგორც პროფესიას.

— რამდენიმე დღეა, რაც თბილისში ჩამოხვედით და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკუთარი ავტომობილი არ გყავთ, ტრანსპორტთან დაკავშირებული ცვლილებები უნდა შეგეგრძნოთ. უკვე იმგზავრეთ ყვითელი ჰოლანდიური ავტობუსით?

— მართალი გითხრათ, იშვიათად გამოვდივარ სახლიდან, ამიტომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ნაკლებად ვმგზავრობ. არ მოგატყუებთ და ჯერ ამ პოპულარულ ავტობუსში არ ვმჯდარვარ, მაგრამ სამარშრუტო ტაქსების ნაკლებობა პოზიტიურ ცვლილებად მომეჩვენა. შესაძლოა, ამ განცხადებით სამარშრუტო ტაქსის ბევრ მძღოლს ვატკინო გული, მაგრამ მაპატიონ და შემინდონ, სამომავლოდ, აუცილებლად და სიამოვნებით ვიმგზავრებ არა მხოლოდ ყვითელი, არამედ წითელი ავტობუსებითაც, რადგან „მეფე“ რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს საკუთარ ხალხთან და ტრანსპორტთანაც... ■

სცენა სპექტაკლიდან „გასაღები“ მეუღლეთან, ტრისტან ყველაიძესთან ერთად

„კარგი და ცუდი ყველა თაობაშია“ — ამბობს მსახიობი ნანა ფაჩუაშვილი, რომელიც იმ თაობის წარმომადგენელია, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული თეატრის განვითარებაში. ის გულისტკივილით აღნიშნავს იმას, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა თეატრისადმი იმდენად ძლიერი სიყვარულით არ გამოირჩევა, როგორიც მის თაობას ახასიათებდა.

„ნანა ესეც უნდა შეგეძლოსო და... იმ დღიდან ცვეწნა ალაჯ დაეჭიკვეპია...“

ეკა მინდაძე

— ჩვენს დროს თბილისის ქუჩებში მართლაც, არაერთი გამორჩეული და კოლორიტული პიროვნება დადიოდა. ესენი იყვნენ: სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე, ვასო გოძიაშვილი, ეროსი მანჯგალაძე, თემურ ჩირგაძე, კოტე მახარაძე. კოლორიტი იყო, აბა, რა, ბორის წიფურიაც, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. კოლორიტები არიან: გიგა ლორთქიფანიძე, კახი კავსაძე და რამაზ ჩხიკვაძე. სამწუხაროდ, დღეს ასეთ ადამიანებს ვერ ვხედავ. ეს მწარე რეალობაა.

— რამდენად პოპულარული იყო ქართული თეატრი და კინო თქვენს თაობაში?

— ადრე მართლაც ფანატიკურად იყვნენ თეატრსა და კინოზე შეყვარებულნი. დღეს ეს სიყვარული განელებულია. ეს ალბათ ცხოვრებამ მოიტანა. მათი მხრიდან ამას ალბათ, თავისი გამართლება აქვს. მაშინ უფრო სხვა ცხოვრება იყო, ნაკლები მოთხოვნილება ჰქონდა ხალხს. იმ დროს ყოფასთან სხვა დამოკიდებულება იყო, ახლა კი — სულ სხვაა. სწორედ ამის გამო, ისინი უფრო რეალურად უყურებენ ცხოვრებას. მაგალითად, ადრე არაერთხელ მითქვამს უარი თეატრში ამა თუ იმ როლზე, დღეს კი ახალგაზრდა მსახიობი არაფერზე აღარ ამბობს უარს, ის ყველგან მიდის, ნებისმიერი როლის სათამაშოდ... შეიძლება, ეს უფრო სწორია, რადგანაც მისთვის პირადად, მომგებიანია. ყველაფერი ეს ჩვენი ყოფის გამო ხდება: გაუსაძლისი ცხოვრების გამო ადამიანი ყველაფერზე მიდის.

— რამდენად ფასობდა და ძნელი მისაღწევი იყო პოპულარობა თქვენი თაობისათვის?

— ჩვენს თაობაში პოპულარობა რთული მოსაპოვებელი იყო. როცა რუსთაველის თეატრის სცენაზე მიწევდა ისეთ ბუმბერაზ მსახიობებთან ერთად თამაში, როგორიც იყვნენ: სერგო ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე, სალომე ყანჩელი, ვასო გოძიაშვილი, მარინე თბილელი, ედიშერ მაღალაშვილი, მედეა ჩახავა, კარლო საკანდელიძე, მათ გვერდით ძალიან რთული იყო კარიერის დაწყება. ამიტომაც მეტი დრო იყო საჭირო, ვიდრე დღეს. დღევანდელი თაობის ახალგაზრდა მსახიობს უფრო გაიოლებული გზა აქვს გასავლელი. დღეს მეტია თეატრი და კერძო ტელეკომპანია, აქედან გამომდინარე, მსახიობს უფრო მეტი მიწვევაც აქვს და ამით შანსი ეძლევა, რომ უფრო კარგად წარმოჩნდეს. ჩემს დროს, მსახიობს უფრო ნაკლები შანსი ჰქონდა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისა.

ღვინის დალევაც მედიკომ მასწავლა...

— რა შეგძინათ წინა თაობამ და თქვენ რას ასწავლით მომავალ თაობას?

— უფროსმა თაობამ ბევრი რამ შემძინა. მათგან ვისწავლე საკუთარი პროფესიის სიყვარული და ერთგულება. როცა ბუმბერაზი მსახიობები შენი პარტნიორები და მეგობრები გახდებიან, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?! თავიდანვე, მათ თვითონ გამომიწოდეს დახმარების და მეგობრობის ხელი. მაგალითად, მედეა ჩახავა დღემდე ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარია. ის დედაჩემის ხნისაა, მაგრამ მე მასთან სიახლოვე და მეგობრობა არ მიჭირს, პირიქით — მსიამოვნებს და მეამაყება. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ღვინის დალევაც მედიკომ მასწავლა. მახსოვს, როცა სუფრაზე პირველად, უარი ვთქვი დალევაზე, მან მაშინვე მომმართა ასეთი სიტყვებით — ნანა, ესეც უნდა შეგეძლოსო, — და როგორც წრუწუნას ასხამენ ღვინოს ერთ-ერთ მულტფილმში, მეც ისე დამალევინა მედიკომ... იმ დღიდან მოყოლებული, ხვეწნა აღარ დამჭირვებია, ამ მხრივ კარგი მოსწავლე აღმოვჩნდი *(იცინის)*... იმ თაობის მსახიობებმა არაჩვეულებრივად მიმიღეს. მეც ვცდილობ, ახალგაზრდა მსახიობებთან ზუსტად ისევე მოვიქცე, როგორც ისინი მექცეოდნენ მე. ვცდილობ, ახლო კონტაქტი დავამყარო და გავუგო ყველანაირად. მათ შეფასებაშიც საკმაოდ ფრთხილად ვარ ხოლმე. როცა რომელიმე მათგანის ნამუშევარი მომეწონება, აუცილებლად შევაქებ, ხოლო როცა არ მომეწონება, ვცდილობ, არ შევიმჩნიო, რადგანც ვიცი, თუ რა ძნელია მსახიობისთვის ამის მოსმენა. ადამიანს შეიძლება უთხრა შენი აზრი, მაგრამ გააჩნია, რა ფორმით ეტყვი. ვფიქრობ, ჯერ უფროსმა უნდა გამოგიწოდოს ხელი —

ისევე, როგორც ეს რძალ-დედამთილის ურთიერთობისას უნდა ხდებოდეს: ვთვლი, რომ პირველად, დედამთილმა უნდა გადადგას ნაბიჯი რძლისკენ...

— თქვენი აზრით, რამდენად განათლებულია დღევანდელი თაობა?

— მართალია, ინფორმაციულობის დონე გაცილებით მაღალია — ტელევიზიისა და გარემოს წყალობით, უფრო მეტ ინფორმაციას იღებენ, მაგრამ ჩვენი თაობის ახალგაზრდობა გაცილებით ნაკითხი და განათლებული იყო. ვფიქრობ, ამას დიდად შეუწყო ხელი იმან, რაც მთელი 12 წლის მანძილზე დაგვატყდა თავს, 12 წელი კი, არცთუ ისე ცოტა დროა. ბუნებრივია, ამ პერიოდის ყოფამ — ომმა, სიცივემ, უშუქობამ და სხვა პრობლემებმა ხელი შეუწყო იმას, რომ ახალგაზრდობა ჩამორჩენილიყო.

— რა განსხვავებას ხედავთ თქვენსა და ახალ თაობას შორის?

— თითქმის ყველა თაობა მომდევნო თაობას აკრიტიკებს. მახსოვს, ჩემი

ჩვენს დროს უფრო რომანტიკოსები იყვნენ... (რობიკო სტურუასა და თეიურ ჩხრიძესთან ერთად)

ჩვენს დროს უფრო რომანტიკოსები იყვნენ... (რობიკო სტურუასა და თეიურ ჩხრიძესთან ერთად)

მშობლების თაობა ამბობდა ხოლმე — ჩვენი თაობა სჯობდა თქვენსასო. ასეა დღესაც: ახლა ჩვენ ვაკრიტიკებთ ახალგაზრდებს. რა თქმა უნდა, მე ბევრი რამ მომწონს ახალგაზრდების, მაგრამ ბევრიც ჩემთვის მიუღებელია. მაგალითად, ვერ ვეგუები, როცა ჩემს შვილიშვილს დაბალწელიანი ქვედაბოლო ან შარვალი აცვია. სულ იმას გავიძახი: აიწიე ზევით, რას ჩამოგიწევია-მეთქი?! არადა, ის პირიქით, დაბლა იწევს... აი, ეს ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. ასევე არ მოსწონდათ ჩემი ჩაცმულობის სტილი ჩემს მშობლებს. მახსოვს, როგორ მებრძოლნენ, მოკლე კაბა რომ არ ჩამეცვა. მაგრამ მე მაინც სულ მოკლე ქვედაბოლო მეცვა, იმიტომ, რომ მაშინ ის მოდაში იყო. ასე რომ, როგორც ჩემს მშობლებს არაფერი გამოსდიოდათ ჩემთან, ისე არ გამომდის არაფერი ჩემს შვილიშვილთან.

— ახლა თქვენს ოჯახზე გვიამბეთ.

— დედაჩემი პროფესიით ექიმი იყო, მაგრამ მას თავისი პროფესიით არ უმუშავია. ის დაკავებული იყო შვილების აღზრდით. მამა ინჟინერი გახლდათ. მე კი მსახიობობა ავირჩიე. მართალია, თავდაპირველად, ბიოლოგიურ ფაკულტეტზე ვაბარებდი, ფიზიკასა და ქიმიაში ვემზადებოდი კიდეც, მაგრამ ბოლოს, ორ კვირაში შევიცვალე გადაწყვეტილება და მსახიობობა ვარჩიე. სხვათა შორის, ინსტიტუტში პროტექციით მოვხვდი და მაშინ დავიფიცე, აუცილებლად იმდენს ვიმუშავებ საკუთარ თავზე, რომ არასოდეს შერცხვება ჩემს პროტეჟეს, ბატონ სიკო დოლიძეს, რომ დამეხმარა-მეთქი...

— რას ვერ ეგუებით დღევანდელ ყოფაში?

— ჩვენს დროს, იშვითად მიდიოდა ვინმე საზღვარგარეთ საცხოვრებლად. მახსოვს, როცა ნუგზარ შარია წავიდა ემიგრაციაში და ჩვენ გასტროლებზე ჩავედით, როგორც რუსთაველის თეატრის ყოფილ მსახიობს, დიდი სურვილი ჰქონდა ჩვენი ნახვის, მაგრამ მასთან ახლოს მიკარებას გვიკრძალავდნენ. რა თქმა უნდა, ეს საშინელება იყო. მაგრამ არც ის არის კარგი, რომ თითქმის მთელი საქართველო წავიდა. ჩვენმა დუხჭირმა ცხოვრებამ ხალხი იძულებული გახადა, რომ სადმე გადახვეწილიყო. გული მწყდება ამაზე. ამ თემას შეეხო „თეატრში ათონელზე" დადგმული სპექტაკლი — „ემიგრანტები" და მე მიხარია, რომ ჩვენმა თეატრმა ამით თავისი სიტყვა თქვა. სპექტაკლში თამაშობენ ზურა ყიფშიძე და გოგა პიპინაშვილი. ეს პრობლემა ჩემს ოჯახშიც დგას, რადგან ჩემი ქალიშვილიც სხვა ქვეყანაშია გათხოვილი. ის ჯერ სტუმრად ჩავიდა იქ, ხოლო შემდეგ — დარჩა. ამას ძალიან განვიცდი. ძალიან მინდა, სასწაული მოხდეს და საქართველოდან წასული ქართველები დაბრუნდნენ უკან.

— როგორ უყვარდათ თქვენს ახალგაზრდობაში?

— ჩვენს თაობაში სიყვარულისადმი დამოკიდებულება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დღეს. ახლანდელი ახალგაზრდები ამ გრძნობას განსხვავებულად გამოხატავენ. ეს დრომ მოიტანა, ამიტომაც განსხვავდება XX საუკენე XXI საუკუნისგან. ჩვენს დროს უფრო რომანტიკოსები იყვნენ. დღეს შეიძლება, ვინმეს სურს, რომანტიკოსი იყოს, მაგრამ დღევანელ ყოფაში ეს შეუძლებელია. ის უფრო იკეტება საკუთარ თავში და მატერიალისტი ხდება. ბევრ ახალგაზრდას სურს, დაპატიჟოს შეყვარებული თეატრში ან კინოში, თუნდაც — ბარში, მაგრამ ამის საშუალება არა აქვს. ეს მწარე სინამდვილეა. ამიტომაც ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი ოჯახის შექმნას თავს არიდებს.

დღეს კი წლებმა რეალისტურად აზროვნება მასწავლა... (კახი კავსაძესთან ერთად)

— დღეს ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული?

— ჩემი აზრით, თითქმის ყველა ადამიანი ამბობს: ჩვენ უკეთესები ვიყავითო. ბუნებრივია, მეც ასე ვფიქრობ. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ საოცრად მეოცნებე ადამიანი ვიყავი, რომელიც მუდამ მზად იყო ოცნების განსახორციელებლად ებრძოლა. დღეს კი წლებმა რეალისტურად აზროვნება მასწავლა. არადა, მგონი, მაინც ჯობია, მეოცნებე იყო. მიუხედავად ამისა, ამას ვეღარ ვახერხებ, რადგანაც წლებს თავისი მოაქვს. ჩემი თაობიდან სამწუხაროდ, დღეს თეატრში ცოტანიღა დარჩნენ. რა მტკივნეულიც არ უნდა იყოს, ეს რეალობაა. ვისთანაც დიდი ხნის პარტნიორობა, მეგობრობა, სიხარული და მწუხარება მაკავშირებდა, ბევრი მათგანი ჩემ გვერდით აღარ არის, გარდა თითო-ოროლა მსახიობისა. გული მწყდება, მაგრამ რას ვიზამ — დრო მიდის და დროსთან ერთად, თაობები იცვლება. რადგან ახალგაზრდა მსახიობებთანაც მიწევს მუშაობა, მინდა, დიდი სიამაყით ვთქვა, რომ ჩვენ მართლაც კარგი პროფესიონალები გვეზრდება. ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა საშუალება მომცა, XX საუკუნეშიც მეცხოვრა, მენახა იმ საუკუნის კულტურა და XXI საუკუნეშიც მეცხოვრა და მენახა ამ საუკუნის კულტურა. რომ მქონდეს შანსი, მომდევნო საუკუნის კულტურის ნახვისა, ეს ხომ მართლაც, არაჩვეულებრივი იქნებოდა *(იცინის)*. სამწუხაროდ, ასეთი სასწაულები არ ხდება, მაგრამ მე მაინც ვოცნებობ...

■

პლაქნე ჩასახული სიყვარული

არსებობენ ქალები, რომლებიც თავიანთ უნებისყოფობას, დასასვენებლად ყოფნას, სიტუაციას, ზღვას აბრალებენ და სწორედ ამით ხსნიან იმას, რომ თავიანთ წეს-ჩვეულებებს, ქმრებს, საკუთარ თავს უღალატეს... ჩემს რესპონდენტებს ზღვაზე ყოფნისას ეწვიათ სიყვარული, მაგრამ ამ სიყვარულს არც ერთი მათგანისთვის არ ჩაუვლია გულისტკივილის გარეშე, თუმცა მათი თავგადასავლები ძალზე განსხვავდება ერთიმეორისაგან. ხანმოკლე დასვენება და ამ დროს ქალის თავს გადახდენილი ამბავი დასაწყისში უმეტესად, ჯადოსნურ ზღაპარს ჰგავს, რომელიც ხშირად ჯოჯოხეთად იქცევა ხოლმე და ბედნიერებით ტკბობასაც ვერ მოასწრებ, ისე დაენარცხები მიწაზე...

ლიკა ქაჯაია

„ზღვამ ახლობლები დამაკარგვინა, სიყვარული კი მაპოვნინა...“

მანანა, 31 წლის:

— დასასვენებლად ზღვაზე წასვლა ჩემი ოცნება იყო, რომელიც 23 წლის ასაკში ძლივს ამისრულდა. ქობულეთში მეგობრებთან ერთად ვისვენებდი. 2 კვირით წასულებს, წვიმა გვიფუჭებდა გუნება-განწყობილებას და ჩვენც ბარში ვჯდომით ან შინ კარტის თამაშით ვირთობდით თავს. 3 დღის ჩასული ვიყავი, როცა დიდი ხნის უნახავ ნათესავს — დედაჩემის ბიძაშვილის შვილს, ზურას შევხვდი, რომელიც იმდენად დასერიოზულებული და გალამაზებული მეჩვენა, რომ აღფრთოვანება ვერ დავფარე. იმ დღის შემდეგ, ყველგან ერთად დავდიოდით, მარტო არსად გვიშვებდა. ჩემი დაქალები მისი გულის დასაპყრობად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რას არ სჩადიოდნენ, ოღონდაც მისი შექება დაემსახურებინათ... ერთხელაც, ზღვაში ძალიან შორს გაცურვა გავბედე. დიდი ტალღები იყო. ცურვამ იმდენად გამიტაცა, ვერ ვხვდებოდი, რომ უკან დასაბრუნებელ გზას ვიჭრიდი. როცა ეს გავიაზრე, ძალიან გვიანი იყო: ნაპირზე გამოსასვლელად ძალა აღარ მეყო. თავიდან, შველას არ ვითხოვდი, რადგან არ მინდოდა, ვინმეს უმწეო მდგომარეობაში ვენახე. მაგრამ მერე, როცა ძალიან გამიჭირდა, ყვირილი დავიწყე: მიშველეთ-მეთქი! ჩემს დასახმარებლად რამდენიმე ადამიანი გადმოხტა ტალღებით აქაფებულ წყალში, მათ შორის, ზურაც იყო. პირველმა ჩემამდე სწორედ მან მოაღწია და ჩამიხუტა. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ თვალთ დამიბნელდა. გონებაზე რომ მოვეგე, ზურა ხელოვნურ სუნთქვას მიტარებდა... დახრჩობას გადავურჩი, მაგრამ საყვედურებს — ვერა. ამის შემდეგ, ზურა გვერდიდან ერთი წუთითაც აღარ მცილდებოდა, სულ მიხუტებდა, მეფერებოდა და „პატარა ჩურჩუტს“ მეძახდა. მეც ვიტრუნებოდი, მის გვერდით ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდი. ვგრძნობდი, რომ კარგი არაფერი ხდებოდა ჩემს თავს... გოგოები მაშაყირებდნენ: ნათესავები რომ არ იყოთ, შეყვარებულ წყვილად ჩაგთვლიდითო. 2 კვირა მალე გავიდა. ჩვენ უკან, თბილისში უნდა დავბრუნებულიყავით. ზურა მეხვეწებოდა: არ წახვიდე, ერთი კვირა კიდევ დარჩი, შენებს მე დაველაპარაკებიო. თავიდან, უარს ვამბობდი, მაგრამ ბოლოს, მაინც დამითანხმა. ჩემი მეგობრების წასვლის შემდეგ, ზურა ჩემთან გადმობარგდა. ერთად ვცხოვრობდით, ვერთობოდით, თითქმის მთელი ქობულეთი შემოვიარეთ ფეხით. ერთხელაც, დამწუხრებული სახით შემომხედა: რაღაც მაქვს სათქმელი, მაგრამ როგორ ან საიდან დავიწყო, არ ვიციო. გულმა რეჩხი მიყო, ვცადე, საუბარი სხვა მიმართულებით წამეყვანა. მან კი ხელი მომხვია და — ნუ გამირბიხარო — მითხრა. კარგა ხანი ასე ვისხედით, მერე თმაზე ხელი გადამისვა, თვალებში ჩამხედა და მითხრა: ძალიან შემიყვარდი, ვიცი, რომ ეს სისულელეა, ნათესავები ვართ და ჩვენები ჩვენი სიყვარულის წინააღმდეგი იქნებიან, მაგრამ რა ვქნა, ძალიან მიყვარხარ, უშენოდ ვეღარ ვიცოცხლებ და შენ ამაზე რას ფიქრობ?.. თავი გავიგიჟე — ამხელა კაცი რამ გამოგაშტერა?! ჩემი ძმა ხარ-მეთქი!.. — გულში კი, ჩემდა უნებურად, სულ სხვა რამეს ვფიქრობდი. ხელი გამიშვა და სახლში წავიდეთო, მითხრა. მეორე დღეს გამომიცხადა: დღეს მაქსიმალურად გავერთოთ, ხვალ კი ქობულეთს მოვცილდეთ, თორემ, ჩემს საქციელზე პასუხს ვერ ვაგებო... ის დღე ზღვაზე გავატარეთ, საღამოს კი, შინ ლუდის სმით ვირთობდით თავს. ორივენი უხასიათოდ ვიყავით. ზურა ჩემს გამხიარულებას ცდილობდა, მაგრამ ეს არცთუ ისე კარგად გამოსდიოდა. მეორე დღეს, მე თბილისში წამოვედი, ის კი — თავის რაიონში... ამის შემდეგ, ზუსტად ერთი წლის განმავლობაში, ზურა აღარ მინახავს. ერთი წლის შემდეგ, დეიდაშვილის ქორწილში შევხვდით ერთმანეთს. ის კიდევ უფრო საყვარელი მომეჩვენა... იმ საღამოს, ერთმანეთს არც დავკონტაქტებივართ. მეორე დღეს კი გამომიცხადა: ვერ გივიწყებ და რა ვქნა? თუ გინდა, მომკალი და გამათავეო!.. ვერაფერი ვუპასუხე. მერე მკითხა: ამ ზაფხულსაც ქობულეთში დაისვენებო? — კი-მეთქი, — ვუთხარი, თუმცა ბორჯომში ვაპირებდი წასვლას. ოჯახში იმდენი ვიჩალიჩე, რომ იმ ზაფხულსაც (თანავჯგუფელ ნინოსა და მის შეყვარებულთან ერთად) ქობულეთში წავედი. ჩვენს „ტრიოს“ მალე ზურაც შემოუერთდა. სხვების დასანახავად როგორც დას, ისე მექცეოდა, მაგრამ როგორც კი მარტო ვრჩებოდით, სიყვარულზე იწყებდა ლაპარაკს. მე კი ისევ ვდუმდი. ერთხ-

ელაც, პიკნიკი მოვაწყვეთ — ვიქეიფეთ, დავლიეთ. ნინო და თავისი შეყვარებული მოშორებით გავიდნენ — გავისეირნებთო. მე და ზურა დიდხანს ვისხედით გაქვავებულები. შეყვარებული წყვილი არა და არ ჩანდა. ბოლოს, ზურა გვერდით მომიჯდა, მომეფერა და მეც მის მკლავებში გავიტრუნე. ეს იყო ჩემი პირველი კოცნა და „პირველი ღამეც“... ის საღამო იქ გავატარეთ. ჩახუტებულებს თავზე დაგვათენდა. რა მექნა, აღარ ვიცოდი. მინდოდა, გავმქრალიყავი, მაგრამ ზურამ აზრზე მომიყვანა: ცოლად გამომყევი და ჩვენები ოდესღაც შეგვირიგდებიანო, — მითხრა. მეც ჩავეკარი გულში და — კარგი-მეთქი... ჩვენი მეგობრები შინ დაგვხვდნენ. სად იყავითო? — გვკითხეს. — გზა აგვერია და ვერ გიპოვეთ-თქო, — ვუპასუხეთ. — მთელი ღამე დავხეტიალებდით, სახლში ამ დილით დავბრუნდითო, — თავის მართლებას მოჰყვნენ. ჩვენი ამბავი (სიმართლე) მოვუყევით. გაოგნებულები გვიყურებდნენ — როგორ, რით დაგეხმაროთო?!. — გვკითხეს... მე ზურას ცოლად გავყევი. ჩვენს მოკრძალებულ ჯვრისწერაზე ნათესავები არ იყვნენ. მეგობრებმა არ მიგვატოვეს. ჩემმა ძმამ შემოგვითვალა — არსად შემხვდეთ, თორემ, ორივეს ჩაგაძაღლებთო!.. დღეს 2 ვაუკაცის დედა ვარ, გვერდით საყვარელი ადამიანი მყავს, თითქოს ბედნიერი უნდა ვიყო, მაგრამ დღეები ნაღველსა და დარდში ისე გადის, თითქოს საუკუნეებად ქცეულა. ჩვენი შეუღლების შემდეგ, ჩემიანებს ქუჩაში რომ დავინახავ, გავრბივარ ხოლმე. ისინიც მგონი, თვალს მარიდებენ. დედაჩემი დარდს გადაჰყვა (მამა არ მყავს, ის ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა). ზურას დედამამამ შვილი ჩაიცვა — შვილი დავკარგეთო... ასე დაგვაახლოვა ზღვამ მე და ზურა ერთმანეთს, სამაგიეროდ, დაუნდობლადაც მოგვექცა და საყვარელი ხალხი ჩამოგვაშორა... შვილები ხშირად გვეკითხებიან — ნათესავები რატომ არ გვყავსო? ჩვენ კი, მათ ვატყუებთ: ბავშვთა თავშესაფარში გავიზარდეთ და იმიტომ-თქო. საშინლად მეშინია იმ დღის, როცა მათ სიმართლეს გავუმხელ...

„რა ვინდა, ქალო, ქმრის ღალატი აღარ ვეყოო?!“

თეა, 25 წლის:

— მე და ჩემი მეუღლე მეგობრებთან ერთად დასასვენებლად ურეკში წავედით, თან პატარა ლიზიც (შვილი) წავიყვანეთ. მატარებლით მგზავრობის დროს, ვიღაც მამაკაცი (როგორც თვითონ გაგვეცნო — ვივი) აგვეკიდა, ჩვენი ადგილიდან არ დგებოდა, უაზრო და უსასრულო საუბრით ყურებს გვიჭედავდა, თან ქალებს დამშეული მგელივით გვიყურებდა. კაცებმა ითმინეს, ითმინეს, მაგრამ მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი და ჩემი მეუღლის მეგობარმა, გიორგიმ ის მამაკაცი კისრისტეხით გააგდო ვაგონიდან. მან კი, პოლიციაში დარეკა და კაცები მისი გაქურდვის მცდელობაში დაადანაშაულა. სანამ პოლიცია ვითარებაში გაერკვეოდა, ვივი დაგვემუქრა: ყველაფერი თქვენი ბრალია და ერთიორად უნდა გაზღვევინოთო!.. მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. პოლიცია ჩვენს სიმართლეში დავარწმუნეთ და მან უცნაურ მგზავრს მისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა... როგორც იქნა, მატარებლიდან ჩამოვედით და ტაქსიში ჩავსხედით, რათა წინასწარ დაქირავებულ ბინაში მივსულიყავით. ტაქსიდან გადმოსულები, სახტად დავრჩით — ჯიბეებში, არც ერთი თეთრი აღარ გვედო. ტაქსის მძღოლს, ლიზის შეგროვებული ხურდა ფული მივეცით და დამწუხრებულები ნაქირავებ ბინაში დავბინავდით. სასწრაფოდ ახლობლებს დავურეკეთ და ფული გამოვგზავნინეთ. გამოგზავნილი თანხით გახარებულებმა, ამ ამბის აღნიშვნა გადავწყვიტეთ. იქვე სასადილოში შევედით... კარგად შეზარხოშებულნი ვიყავით, როცა მოპირდაპირე მაგიდასთან, მატარებელში გაცნობილი მამაკაცი შევნიშნეთ. ისევ ისეთი გამოხედვა ჰქონდა, როგორიც ზემოთ აღვწერე და მიუხედავად იმისა, რომ მარტო იყო, რაღაცას ლაპარაკობდა... ჩემი ქმარი წამოიქოჩრა — ამას ახლა თავ-პირს დავუმტვრევ, კინაღამ შიმშილით ამოგვხოცაო!.. მას სხვებიც აჰყვნენ და გივის მაგიდასთან გადასხდნენ; მხოლოდ გიორგი აკლდა — ის გარეთ იყო გასული. უკან მობრუნებულს, შემდეგი სურათი დახვდა: სასადილო პოლიციით ავსებულიყო, გივი ღრიალებდა — მბარცავდნენ და ჩემს ცემას აპირებდნენო! — და პოლიციელებმაც ჩვენები დააკავეს... გიორგიმ გოგოები სახლამდე მიგვაცილა: ნუ გეშინიათ, ხვალ დილით აქ იქნებიანო. გოგოებს მალევე დაეძინათ, ლიზიც მშვიდად იწვა და იღიმებოდა, მე კი ფიქრისგან თავი მისკდებოდა, ვერ ვისვენებდი. გარეთ გამოვედი და ეზოში ჩამოვჯექი.

გიორგიმ გადმომხედა: თეა, შენ ხარო? — მკითხა, თვითონაც გამოვიდა და გვერდით მომიჯდა. დიდხანს ვსაუბრობდით — ხან რაზე და ხან რაზე. მერე შემაპარა: ახლა ზღვა ძალიან ლამაზია, არ ვინდა, გავისეირნოთო? მეც დავეთანხმე. ღვინო პირდაპირ საფეთქლებში მირტყამდა, ცუდად ვიყავი. ერთი-ორი ნაბიჯი საღად გადავდგი, მერე კი — „რვიანების“ ხაზვას მოვყევი. ვცდილობდი, თავი შემეკავებინა, მაგრამ ლამის ფორთხვით მივდიოდი. გიორგიმ ხელკავი გამომდო: ნუ გეშინია, მე დამეყრდენიო. ასე, ნელ-ნელა მივადექით ზღვის ნაპირს. ბანაობა მოვინდომე, ზღვაში ტანსაცმლით შევდიოდი, მაგრამ გიომ შემაჩერა და ჯერ მაისური, მერე კი — ქვედაბოლოც გამხადა. ლიფის გახსნა რომ დამიწყო, ხელი ვკარი და უაზრო სიცილი ამივარდა. ასე რატომ მოვიქეცი, არ ვიცი, თავს ვერ ვაკონტროლებდი... ზღვაში შევედი, მაგრამ ტალღებმა უკან გამომაგდო. არ შევეპუე, კვლავ თამამად მივწევდი ზღვისკენ. მალე გვერდით მამაკაცის ცხელი სუნთქვა ვიგრძენი. ხელები მომხვია და ლიფი გამაძრო... სახლში გამთენიისას დავბრუნდით. თავი მიხურდა, ვერაფერზე ვფიქრობდი, მხოლოდ ლიზი მენატრებოდა... ჩემი მისვლა ვერავინ შენიშნა, ყველას ეძინა. მეორე დღეს, ჩვენი ქმრები გამოუშვეს. ამ დღის შემდეგ, გიორგი დილით სადღაც მიდიოდა და შინ გვიან ბრუნდებოდა. მე ეს მომწონდა კიდეც, რადგან მისი ახლოს ყოფნა დისკომფორტს მიქმნიდა. ერთ დღესაც, როცა მზეს ვეფიცხებოდით, გიორგი თავს წამოგვადგა და ჩემს მეუღლეს უთხრა: გოგა, შენი ცოლის დახმარება მჭირდება, ქობულეთში ჩემთან ერთად გამოუშვებ? ერთ დღეში დავბრუნდებითო. გოგამაც უარი ვერ უთხრა, მეც ხმა ვერ ამოვიღე და გიორგის გავყევი. მან ერთ-ერთ სასტუმროში შემიყვანა: ჩვენ ახლა და მთელი დღე „ქობულეთში ვართო“ — სიცილით მითხრა და გიჟივით მეცა. მეც წინააღმდეგობა ვერ გავუწიე. მისი ხვევნა-კოცნა ძალიან მომწონდა... ის ერთი დღე მალე გავიდა და იმდენად მომინდა მასთან დარჩენა, რომ წასვლის წინ, ცუდად გავხდი. გიორგი მამშვიდებდა: ადექი, წავიდეთ, დრო მოვა და სულ ერთად ვიქნებითო... სახლში მისულს, ქმარმა კითხვები დამაყარა. ჩემ მაგივრად, მას გიორგი პასუხობდა... გოგამ თითქოს რაღაც იეჭვა, მარტო აღარ მტოვებდა. 2 დღის შემდეგ, გიორგიმ ჩემს ქმარს ისევ სთხოვა — თეა გამაყოლეო, — მაგრამ გოგასგან მტკიცე უარი მიიღო, უთხრა — ლიზი დედის გარეშე ვერ ძლებსო. გავბრაზდი, რატომ არ მენდობა-მეთქი, მაგრამ რას ვეტყოდი?.. იმ დღეს ავიტეხე — მოდი, დავლიოთ-მეთქი. ყველანი ამყვნენ. ჩემს ქმარს ყანწებით ვასმევდი ღვინოს, მე კი შევსებულ ჭიქას ზედ ფეხებზე ვისხამდი, გიორგიც „ტეხავდა“ სასმელს და თავი

კარგად შევინახეთ. გოგა ისე დათვრა, ვეღარავის ცნობდა. სასწრაფოდ გავიყვანე მეორე ოთახში, სიმთვრალე მეც მოვიმიზეზე და სუფრასთან ვეღარ დავბრუნდები-მეთქი, – ვუთხარი. მალე ყველანი დაიშალნენ. გიორგიმაც ეზოდან ნიშანი მომცა. კიბე სულმოუთქმელად ჩავირბინე. არსად წავსულვართ – იქვე, ეზოში მოვკალათდით... გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი რომანი თბილისში გაგვეგრძელებინა. გიორგი მეფიცებოდა: სიცოცხლეს მირჩევნიხარ და ქმარს თუ გაეყრები, ცოლად შეგირთავო. ამ დროს, ქმარზე საერთოდ არ ვფიქრობდი, გიორგი უზომოდ მომწონდა, გოგა ისე ვერ მაკმაყოფილებს, როგორც შენ-მეთქი, – ვეუბნებოდი... გამთენიისას, გოგას ყვირილი მომესმა: სად ხარ, „ბორჯომი“ მომიტანეო! კაბა შევისწორე, გიოს ვაკოცე და ქმართან ავედი... იმ წელს, ჩემი ქმარი და არა მარტო ის, არამედ მისი მეგობრებიც, ლამის გავალოთე. თბილისში წამოსვლის წინ კი, მე და გიორგიმ (მათი დაძინების შემდეგ), არაჩვეულებრივი ღამე მოვიწყვეთ. მაგრამ თბილისში ჩამოსულს, ის აღარ მეკონტაქტებოდა. ქმარს ვთხოვდი, მოიყვანე შენი მეგობრები-მეთქი. გიორგის გარდა, ყველა მოდიოდა. ამას უზომოდ განვიცდიდი... ერთხელ, როცა ლიზის, ვაკის პარკში ვასეირნებდი, ერთ-ერთ სკამზე გიორგი შევნიშნე, მას კი, იცით, ვინ უმშვენებდა გვერდს?.. ის აბეზარი მამაკაცი, რომელიც მატარებელში გადაგვეყარა. გაოგნებული ვუყურებდი ორივეს. ისინი ქალებს ათვალიერებდნენ და იცინოდნენ... სისხლმა ტვინში ამასხა, მათთან მივვარდი და ორივეს ყველაფრის ახსნა მოვთხოვე. გიომ უაზრო, დამცინავი თვალებით შემომხედა: რა გინდა, ქალო, ქმრის ღალატი აღარ გეყო?! თავი დამანებე, სხვა მოძებნეო, – და ხელის ერთი აქნევით გზიდან ჩამომიცილა; გივიმ კი დამცინავად მითხრა – გინდა, გითხრა, რა მოხდა? გიოს, როგორც ქალი, ისე ნამდვილად მოსწონდი; ჩვენი სამეგობრო დანაძლევდა, რომ იგი შენ ვერ შეგაბამდა, მან კი ეს მოახერხა და ნაძლევიც მოიგო; ახლა, თუ გვერდით ნამდვილი მამაკაცის ყოლა გინდა, მე მიგულე, თორემ, გიოს ქალები მალე ჰბეზრდებაო... ასე დამღუპა ჩემმა თავქარიანობამ. იმის მაგივრად, რომ ოჯახთან ერთად მშვიდად დამესვენა და ქალაქში დაწყნარებული ნერვებით ჩამოვსულიყავი, საოცრად აგრესიულ ქალად ვიქეცი, რომელიც აგრესიას საკუთარი თავის მიმართ გამოხატავს და თვითგვემას ეწევა...

„...ასე დასრულდა ზღვაზე დაწყებული სიყვარული“

ლიკა, 27 წლის:

– შარშან, მე და ჩემი დაქალი ნატო ქობულეთში წავედით დასასვენებლად. ბინა ვიქირავეთ და კარგად გართობაც გადავწყვიტეთ. პირველ რიგში, ზღვა მოვინახულეთ, ცოტა გავირუჯეთ. საღამოს კი, დისკოთეკაზე შესვლა მოვინდომეთ. ლამის მთელი ღამე ვცეკვავდით. ვიღაც ტიპებიც (კოტე და რომა) გავიცანით (მე და ჩემს დაქალს შეყვარებულები არ გვყავდა). მათ სახლამდე მიგვაცილეს და მეორე დღისთვის ბარში დაგვპატიჟეს. კოტემ თავისი საოცარი აღნაგობით უმალვე მომხიბლა – დაკუნთული, გარუჯული სხეული, მშვენიერი ნაკვთები ჰქონდა. რომაც არ ჩამოუვარდებოდა მას. მე და ნატო მათ შესაბამელად უკან არაფერზე ვიხევდით, ფულს პანტაპუნტით ვხარჯავდით... რა თქმა უნდა, ისინიც გვეპატიჟებოდნენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ უფრო ვიჩენდით ფულის ხარჯვის ინიციატივას. ერთმანეთს თითქმის დავუმეგობრდით. ჩვენთან მოდიოდნენ, ღამეებს კარტის თამაშში ვათენებდით... მალე მე და ნატო მივხვდით, რომ მაგრად დაგვერხა – რა უნდა გვექნა, როცა საფულეში იმდენად უმნიშვნელო თანხა გვედო, რომ ერთი დღის განმავლობაში მხოლოდ ყავას და გზის ფულს გასწვდებოდა?.. ჩვენ კი, მთელი ერთი კვირა წინ გვქონდა. მშობლები ვერაფერს გამოგვიგზავნიდნენ და გადავწყვიტეთ, ან როგორმე ადგილზე გვეშოვა ფული, ან სახლში წამოვსულიყავით... მეორე დღეს, კოტე და რომა უდარდელი სახეებით მოვიდნენ და გვითხრეს – გავისეირნოთო. ვისეირნეთ, ნაყინი ვიყიდეთ. კოტემ მთხოვა – ფული სახლში დამრჩა და თუ შეგიძლია, სიგარეტი და ლუდი მიყიდე, ხვალ ვალს დაგიბრუნებო. უარის თქმა გამიტყდა... მოკლედ, იმ დღეს, მე და ნატომ გზის ფულიც კი დავხარჯეთ. ბიჭებმა საღამოსთვის დაგვინიშნეს შეხვედრა. მანამდე პლაჟზე გავედით და თავს ვიმტვრევდით იმაზე ფიქრით, თუ როგორ გვეშოვა ფული. ნატომ მოიფიქრა – მოდი, ჩვენი მობილურები გავყიდოთო, – მაგრამ ეს რომ გაგვეკეთებინა, ბიჭები ვეღარ დაგვიკავშირდებოდნენ. ტანსაცმლის გარდა, არაფერი გვქონდა. გამოვათრიეთ ჩვენი სამოსი, დავიკავეთ ხელში და შტერებივით დავდიოდით წინ და უკან. ერთმა კაცმა, დიდი ხნის ყურების შემდეგ, დაგვიძახა და გვკითხა – რას შვრებითო? ჩვენც ვუპასუხეთ – ტანსაცმელს ვყიდით-თქო. – ყველაფერს ვიყიდი თქვენგან, თუ ჩემთან ერთად ბარში ყავას დალევთო. სიხარულისგან კინაღამ შევყვირეთ. ამ კაცმა ყველაფერი გამოგვკითხა, ჩვენც არაფერი დავუმალეთ. მერე თავის ბინაში წაგვიყვანა – ფული თან არ მაქვსო, – იქ კი, კარი ჩაგვიკეტა და გვითხრა: მოდი, მომეფერეთ, სხვას არაფერს გთხოვთ და ფულსაც მიიღებთ და ტანსაცმლის გაყიდვაც არ დაგჭირდებათო. მე და ნატო ერთმანეთს გაოგნებულები ვუყურებდით, რა გვექნა, არ ვიცოდით. კაცმა გვკითხა – 100 ლარი არ გინდათო? – და ლოგინზე წამოკოტრიალდა... მისკენ პირველი ნაბიჯი ნატომ გადადგა. მივიდა და კოცნა დაუწყო ლოყაზე. კაცმა მეც მიმიხმო თავისთან და მთელი სხეული დაგვაკოცნინა... გასამრჯელოდ 50-50 ლარი მოგვცა და სახლში ტაქსით გამოგვიშვა. თან მოგვაყოლა: ფული თუ დაგჭირდებათ, აქ ვარო... შინ დაბნეულები მივედით, ერთმანეთს ხმას არ ვცემდით, ვერ გავიაზრეთ, რა მოხდა... ამასობაში, კოტემ და რომამაც დაგვირეკეს. ფიქრის თავი სად გვქონდა და მათთან გავქანდით... იმ კაცის მოცემული ფული მალევე გავანიავეთ. კოტემ იმ დღეს სიყვარული ამიხსნა, რომამ კი, ნატოს შესთავაზა – ცოლად გამომყევიო. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავით. ქობულეთიდან წასვლა არ გვინდოდა, ამიტომ იმ კაცს მეორე დღესვე მივადექით. მან კი გვითხრა – ახლა ცოტა მეტის გაკეთება მოგიწევთო, – და ნელ-ნელა გაგვაშიშვლა – თქვენც ხომ უნდა ისიამოვნოთო... მოკლედ, ამ კაცთან იმდენჯერ მივედით, სანამ მან თავისი არ გაისწორა და ჩვენ ჩვენი არ გავისწორეთ. ქალიშვილობის სანაცვლოდ, მან საკმაოდ სოლიდური თანხა გადაგვიხადა და იქიდან აორთქლდა (ამას იმიტომ ვამბობ, რომ მერე ვეღარსად ვიპოვეთ)... კოტე და რომა თბილისში უნდა წამოსულიყვნენ, ჩვენც მათთან ერთად გადავწყვიტეთ უკან დაბრუნება. მატარებელში მოვილაპარაკეთ, ერთმანეთს სად და როგორ შევხვედროდით. კოტე გვერდით მომიჯდა და დიდხანს მეფერებოდა, ხელებს მიფათურებდა, მკოცნიდა. მას რომამაც მიჰბაძა და თავიც ვერ შევიკავეთ... ბიჭები გვამშვიდებდნენ: ყველაფერი კარგადაა, მალე ჩვენი ცოლები გახდებითო. თბილისში დაბრუნებულებს, თავიდან ხშირად გვირეკავდნენ, გვხვდებოდნენ. მერე – უფრო და უფრო იშვიათად, ხოლო მერე, როცა მიხვდნენ, რომ ისეთი ფულიანები არ ვიყავით, როგორებიც ზღვაზე ყოფნისას ვჩანდით, რეკვა სულ შეწყვიტეს და აღარ გვეკონტაქტებოდნენ, ბოლოს კი, საერთოდ აორთქლდნენ. ასე დასრულდა ზღვაზე დაწყებული სიყვარული, რომელიც დღემდე მოგვყვება მეც და ნატოსაც: ჩვენ ხომ მათი გულისთვის ყველაფერი – პატიოსნებაც კი დავთმეთ!.. მაგრამ ახლა ვრწმუნდები, რომ საზაფხულო რომანი საპნის ბუშტია, რომელიც აუცილებლად გასკდება და გაქრება...

■



"ეპინს ვერ ვაღავეურჩი იმ ეეპრელს და ეის ყანწს"...

იმედა კახიანი „პახმელიაზე“ გახლდათ, როდესაც თამადობასა და ქეიფზე სასაუბროდ შინ ვესტუმრეთ. მსახიობს თურმე, ხშირად უწევს დათრობა, რის გამოც ოჯახის წევრები საყვედურებით ავსებენ. ყველაფრის მიუხედავად კი, მისთვის ქართული სუფრა და ქართული ტრადიციები ძალიან ბევრს ნიშნავს.

ნინო ჯავახიშვილი

— ჩვენი სუფრული ტრადიციები უცხოელებსაც არანაკლებ მოსწონთ. რუსეთში სუფრასთან ერთი ქართველიც რომ მჯდარიყო, აუცილებლად ის უნდა ყოფილიყო თამადა. ერთი ამბავი მახსენდება ამასთან დაკავშირებით. მეგობარი მყავს — რეზო ვაჩიბერიძე, სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავეა. რუსულთან, ცოტა არ იყოს, მწყრალად გახლდათ. ერთხელ მოსკოვში სამსახურის საქმეზე იყო წასული. იქ ერთ ოჯახში მიუპატიჟებიათ. მასპინძელს რეზოსთვის დაუკისრებია თამადობა — ქართველი ხარ და თამადობას სხვას ვის ვანდობ, გინდა თუ არა, შენ უნდა ითამადოო! რეზო რის ქუთაისელი იქნებოდა, ამ სიტუაციიდან რომ არ გამომძვრალიყო?.. თურმე მეორე ოთახში გადიოდა, ურეკავდა თავის მეგობარს, რეჟისორ გიზო გაბისკირიას და ეკითხებოდა — ახლა ესა და ეს სადღეგრძელო უნდა ვთქვა და რუსულად გადამითარგმნეო. ამდენი კი იმისთვის იწვალა, რომ არც თვითონ შერცხვენილიყო და არც ქართული სუფრის ადათი შეერცხვინა.

— ახალგაზრდობაში ხშირად ვეშმაკობდიო, — მითხარით, როდესაც ჩვენი საუბრის თემა გაგანდეთ. ახლა აღარ ეშმაკობთ ხოლმე

— რა შემატყვეთ სამაგისო?!. მეგონა, ასაკში რომ შევალ, ჭკუა მომემატება და დავსერიოზულდები-მეთქი. სულ ტყუილად მქონდა ამის იმედი. ჩემი მეუღლე მეჩხუბებოდა, სახლში ნასვამი რომ ვბრუნდებოდი... როცა ქალი მიხვდება, რომ კაცს, რომელთანაც ცხოვრობს, სმა და ქეიფი უყვარს, აღარ უნდა ეჩხუბოს, თორემ... მით უმეტეს, როცა კაცს ჩემისთანა სიმთვრალე აქვს: შარიანი და ჩხუბისთავი არასდროს ვყოფილვარ. ერთი ეგ იყო, რომ „პახმელიაზე“ დილით ადგომა მიჭირდა და როცა გადაღებები მქონდა, დილიდანვე იწყებოდა — გააღვიძეთ, გადაღება აქვსო... ჩემს მეუღლეს ვეუბნები ხოლმე — მაცალე 25 წელი და მერე ისეთი დამჯერი ბიჭი ვიქნები, რასაც მეტყვი, ყველაფერს შევასრულებმეთქი. უნდა მაცალოს, სხვა რა გზა აქვს?.. რა ვქნა, ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად დროს ტარება. მნიშვნელობა არ აქვს, შემწვარ-მოხრაკულზე ვქეიფობთ თუ არა. რა თქმა უნდა, მდიდრული სუფრა უკეთესია, მაგრამ როგორც ჩემი მეგობარი ამბობს, მთავარი მაინც „სასტავია“. ხშირად მიწევს ქეიფი და ყოველთვის ვცდილობ, ისეთი ადამიანიც კი შევაქო, ვინც არ იმსახურებს ქებას. მეტყვიან ხოლმე — რა იყო, რა ხოტბა შეასხი?.. ხომ იცი, რომ მაგის ღირსი არ არისო! რა ვიცი, კარგს რომ ვეტყვი, იქნებ, გონს მოეგოს და ადამიანურად მოიქცეს...

— პირველად როდის დალიეთ, თუ გახსოვთ?

— არ მახსოვს. ღვინოსთან მწყრალად არასდროს ვყოფილვარ. მშობლები სოფელში ცხოვრობდნენ და ვერ მაკონტროლებდნენ. ის კარგად მახსოვს, სიგარეტს მეორე-მესამე კლასიდან რომ ვეწეოდი. ახალგაზრდობიდან ვსვამ, მაგრამ არ მიყვარს მთვრალი კაცი. შინ მთვრალი მოვსულვარ, მაგრამ მეორე დღეს უთქვამთ, ნასვამი არ იყავიო. — რავა არ ვიყავი? იმხელა სუფრაზე ვითამადე-მეთქი!.. — მერეღა გამიმხელია. ვცდილობ, არ შევიმჩნიო სიმთვრალე: ძნელი ასატანია მთვრალი კაცი, მით უმეტეს, თუ ბევრს ლაპარაკობს და ყველას აწუხებს... ქართველი კაცი ყოველთვის სვამდა, მაგრამ იმისთვის, რომ კარგ ხასიათზე დამდგარიყო, კარგად ემღერა და არა იმისთვის, რომ დამთვრალიყო და მერე აყალმაყალი აეტეხა. დათრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს.

— ისეთი ნასვამი თუ ყოფილხართ, რომ მერე, შეგრცხვენიათ საკუთარი საქციელის?

— ჩემდა სამარცხვინოდ, კი. ხშირად მანქანით მივსულვარ სახლში და მერე დამიწყია გარკვევა — ნეტავ, რითი მოვედი, მანქანით თუ ფეხით-მეთქი?!. გავიხედავ ხოლმე ფანჯრიდან, დავინახავ მანქანას — აჰა, ე.ი. მანქანით მოვსულვარ-მეთქი, — გავიფიქრებ და ვმშვიდდები. ეს სამარცხვინოა, მაგრამ ხომ იცით — ვინც არ დალევს, ის არც დათვრება.

— რომელ სასმელს ამჯობინებთ?

— ღვინოს, ბატონო, ღვინოს არაფერი სჯობს. ლუდი პირველად რომ დავლიე, არ მომეწონა. ახლა და ახლა, უფრო ვსვამ ხოლმე. ყურძენს ვყიდულობ და თვითონ ვაყენებ ღვინოს. რა თქმა უნდა, ამ საქმის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ სხვებსაც დავიხმარ ხოლმე. შარშან ყვარლიდან დამირეკა მეგობარმა —

ყურძენს გამოგიგზავნი, ვიცი, სახლში გაკეთებული ღვინო გირჩევნიაო. მეგონა, 600-700 კილოს გამომიგზავნიდა. 2 ტონა და 700 კილო ყურძენი გამომიგზავნა!.. ასე რომ, ღვინო საკმარისი მაქვს და როდესაც მეგობრები საქეიფოდ მეპატიჟებიან, ჩემი ღვინით მივდივარ.

— თამადის ინსტიტუტზე რას იტყვით?

— თამადას შეუძლია, კიდეც გააფუჭოს სუფრა და კიდეც გაალამაზოს. თამადა საინტერესო პიროვნება უნდა იყოს, — ან მეტყველებით უნდა მოგხიბლოს, ან იუმორით, ან სიმღერით, ან ცეკვით. თუ ყოველ სადღეგრძელოზე იხვეწები — მომისმინეთო, — რა გამოვა?!. თქვი რამე საინტერესო და მოგისმენ. ისე უნდა ითამადო, რომ ყველას ყურადღება მიიქციო. თამადობა, მე თუ მკითხავ, სამსახურია. როდესაც ვთამადობ, ვცდილობ, ყველას მივეფერო, შევაქო სტუმარიც და მასპინძელიც. ღვინოს არავის ვაძალებ, თუმცა სუფრის წევრებს ვეუბნები — ღვინო მიირთვით, ოღონდ, თამადაზე მეტს ნუ დალევთ-მეთქი!.. დიდი მსმელი არასდროს ვყოფილვარ. ზოგჯერ, როცა შემიტყვია, რომ უკვე მაგარი მთვრალი ვიყავი, სუფრიდან გავპარულვარ კიდეც. ეს სირცხვილად არ მიმაჩნია. აბა, ის არის კარგი, თეფშში რომ ჩარგავენ ხოლმე თავს და დაეძინებათ?!. ერთხელ, ზუგდიდში წავედით მეგობრის ქორწილში. საღამოს 6 საათი იქნებოდა, იქ რომ ჩავედით. გვითხრეს — წესად გვაქვს, ქეიფში უნდა გავათენოთ და ამიტომ, ქორწილი გვიან ღამით იქნებაო. შუაღამისას ვიღას ჰქონდა ქეიფის თავი?!. თურმე თითოეულ ჩვენგანს სუფრაზე მოჩენილი გვყავდა თითო მეგრელი, ვინც სმაში გვაკონტროლებდა... თამადის მოადგილედ დამნიშნეს. ბიჭებმა მითხრეს — ყურადღებით იყავი, თამადა არ სვამს ყანწით და მხოლოდ შენ გასმევენო. — თუ არ უნდა, ნუ დალევს, როცა დავთვრები, ავდგები და სახლში წავალ-მეთქი, — ვუპასუხე. ასეც დავაპირე, მაგრამ ვინ გაგიშვა?! ჭიშკართანაც სუფრა იყო გაშლილი — ღვინო კიდევ უნდა მიირთვათო, — მითხრეს. დალევა აღარ შემეძლო, გაპარვა მინდოდა. ერთი ტანდაბალი მეგრელი, რომელიც ძლივს იდგა ფეხზე, მომესიყვარულა — წამოდი, გინდა თუ არა, ერთად უნდა დავლიოთო. აღარ დამანება თავი და რომ ვეღარ მოვიცილე, ვუთხარი — კარგი, ჯანდაბას შენი თავი, თითო ჭიქა დავლიოთ-მეთქი. ჭიქა კი არა, ყველაზე დიდი ყანწი შეარჩია. იმას რა დალევდა?! დალიე და დავლევ-მეთქი, — ვუთხარი. ვიფიქრე, რომ ვეღარ დალევდა. გაავსო ყანწი, დახუჭა თვალები და ნელ-ნელა დაიწყო სმა. მიეხვდი, აღარ ხუმრობდა და ვიდრე თვალები დახუჭული ჰქონდა, დავიმალე. შორიდან ვუყურებდი, მაინტერესებდა, რას იზამდა... ღვინის სმას მორჩა, თვალები გაახილა და ბიჭოს!.. ხედავს, იქ აღარ ვდგავარ. უცებ გამოფხიზლდა და ყვირილი დაიწყო — სად წავიდაო?.. ძებნა დამიწყო. ჩემმა ძმაკაცმა დიდხანს არ აწვალა და თავზე დამაყენა — აი, სად იმალებაო. მოკლედ, მაინც ვერ გადავურჩი იმ მეგრელს და მის ყანწს...

ღვინის სმას მორჩა, თვალები გაახილა და ბიჭოს!.. ხედავს, იქ აღარ ვდგავარ

— განსხვავებულ სადღეგრძელოებსა და სასმისებზე რაღას იტყვით? გიყვართ ორიგინალურობის გამოჩენა?

— ყველა სადღეგრძელო სიყვარულით უნდა ითქვას. წინასწარ ჩამოწერილი და დაზეპირებული სადღეგრძელოები არ მიყვარს. სადღეგრძელო სუფრასთან, სიტუაციიდან გამომდინარე იბადება. სუფრას განსხვავებული სასმისებიც უხდება, თუმცა, განსხვავება მოცულობაში კი არა, ორიგინალურობაში უნდა გამოიხატებოდეს. ერთხელ, იმერეთში ვქეიფობდით და თამადამ დაიჟინა — ისე მიყვარხარ, შენი სადღეგრძელო კრამიტით უნდა დავლიო. გამიკვირდა — რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდიმეთქი?! თვითონაც დალია და მეც დამალევინა.

— კიდევ რა უხდება ქართულ სუფრას?

— ქართულ სუფრას უხდება მოსმენა, ყურადღება, ურთიერთპატივისცემა და ლამაზი ქალი. როცა სუფრასთან ქალბატონები არიან, ყველა მამაკაცი კოხტაობს და ცდილობს, მათ თავი მოაწონოს. ქართულ სუფრაზე ქალის ყოფნა ჩოხის ჩაცმას მაგონებს. იცით, რატომ?.. ჩოხა თუ გაცვია, მოშვებული ვერ დაჯდები — გაწკეპილი უნდა იყო. ასეა მაშინაც, როცა სუფრას კარგი ქალი ამშვენებს...

როცა ქალი მისვდება, რომ კაცს, რომელთანაც ცხოვრობს, სმა და ქეიფი უყვარს, აღარ უნდა ეჩხუბოს... (ქალიშვილთან და შვილიშვილებთან ერთად)

რატომ ვოფლიანდებით?

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ყველა ადამიანი, სქესის, ასაკის, წონის, ჯანმრთელობის თუ მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად... ოფლიანდება. ეს ბუნებრივი ფიზიოლოგიური პროცესი ორგანიზმს გადახურებისგან იცავს. მექანიზმი მარტივია: ოფლი ორთქლდება კანის ზედაპირიდან და ორგანიზმი გრილდება. ოფლთან ერთად გამოიყოფა ორგანიზმისთვის მავნე ბევრი ნივთიერებაც.

საოფლე ჯირკვლები თითქმის მთელ სხეულზეა განლაგებული. თუმცა ოფლიანი ადამიანი გარშემო მყოფთათვის მეტად უსიამოვნო „არომატს" რომ აფრქვევს, ამაში დამნაშავე არა საოფლე ჯირკვლები, არამედ ბაქტერიებია. ისინი ხელს უწყობენ ოფლთან ერთად გამოყოფილი ნივთიერებების დაშლას და ამის შედეგად უსიამოვნო სუნი წარმოიქმნება.

ისევ ნერვებია დამნაშავე?

თუკი უეცრად შენიშნავთ, რომ უწინდელზე მეტად ოფლიანობთ, ამას ყურადღება უნდა მიაქციოთ. მაგალითად, დილით, გაღვიძებისას ამჩნევთ, რომ ბალიში გისველდებათ, საბანიც, ტემპერატურა კი ნორმალური გაქვთ. აუცილებლად უნდა დაფიქრდეთ — რას უკავშირდება ასეთი ცვლილება? მომატებული ოფლიანობა შეიძლება სერიოზული დაავადების სიმპტომი იყოს. ადამიანი ჭარბად ოფლიანობს გულის მუშაობის მკვეთრად შესუსტების დროს — სისხლში გროვდება ნახშირორჟანგი და გამოიყოფა ცივი ოფლი (გულის უკმარისობის, რედინფარქტული მდგომარეობის, თირკმლის უკმარისობის დროს). ღამის ოფლიანობა ტუბერკულოზის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ძლიერი ოფლიანობა მომატებულ წყურვილიანობასთან ერთად, შაქრიანი დიაბეტის ერთ-ერთი სიმპტომია. თუ ოფლიანობას თან ერთვის კანკალი და მუდმივი შიშის გრძნობა, შეიძლება ვიფიქროთ თირეოტოქსიკოზზე — ფარისებრი ჯირკვლის დაავადებაზე. როცა ოფლი მთელ სხეულზე კი არა, ალაგ-ალაგ გამოიყოფა (ხელისგულებზე, ტერფებზე, კანის მსხვილ ნაკეცებზე), უხშირესად „ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის" დიაგნოზს სვამენ. ამიტომ უპირველეს ყოვლისა, უნდა გაერკვეთ, რომელი ორგანოს დაავადებასთან გაქვთ საქმე და ეცადოთ, მოაწესრიგოთ მისი მუშაობა. თუ დაავადებას უმკურნალებთ, აღარ გაოფლიანდებით.

მაგრამ ზოგჯერ გამოკვლევისას არავითარი პათოლოგია არ დგინდება, ადამიანი კი ოფლად იღვრება. ეს უკვე მისი ორგანიზმის თავისებურებაა. ზოგიერთს საოფლე ჯირკვლების მარეგულირებელი ვეგეტაციური ნერვული სისტემა სხვაგვარად უმუშავებს: საოფლე ჯირკვლები ყოველგვარი მიზეზის (ძლიერი დატვირთვისა და სტრესის) გარეშე გაძლიერებულ რეჟიმში „შრომობენ". ადამიანი რამდენიმე წუთში, ტანსაცმლიანად სველდება, მუდმივად სველ ხელისგულებს კი ბევრი უსიამოვნება მოაქვს. ამ პრობლემის მოგვარებაც შესაძლებელია. მკურნალობა კომპლექსურია. ნიშნავენ დამამშვიდებელ საშუალებებს (სედუქსენს, ვალერიანს, ბრომის პრეპარატებს), ვიტამინებს, ფიზიოთერაპიას (ულტრამაღალ სიხშირულ დასხივებას, ელექტროფორეზს, ზღვის მარილის აბაზანებს, სამკურნალო ფიზკულტურას), მადეზინფიცირებული დაზელის პროცედურებს და მისაფრქვევ საშუალებებს (ბორის ან სალიცილის მჟავის, თუთიის ჟანგის შემცველობით). მაგრამ გირჩევთ, თვითმკურნალობას მოერიდოთ, რათა ოფლიანობას ახალი პრობლემები არ დაუმატოთ.

როგორ ვებრძოლოთ

წყლის პროცედურები. რეგულარულად მიიღეთ აბაზანა (უმჯობესია წიწვოვანი) და შხაპი. ის ადგილები, რომლებიც განსაკუთრებულად გიოფლიანდებათ, ჩამოიბანეთ კრაზანის, ორკბილის, გვირილის ნაყენით. რაც შეეხება სარეცხ საშუალებას (საპონს, ჟელეს, ღრუბელსა და სხვა) მათთან სიფრთხილეა საჭირო, რადგან მათი ხშირი გამოყენება აზიანებს კანის ზედაპირულ დამცავ შრეს და შესაძლოა, ავადმყოფობის გამომწვევმა მიკრობებმა ორგანიზმში შეაღწიოს. დაბანის შემდეგ, სახე, კისერი, იღლიები, სარძევე ჯირკვლის ქვედა არეები, საზარდულის არე ტუალეტის ძმრით დაიმუშავეთ (მისი შეძენა აფთიაქებში შეგიძლიათ). ნუ გამოიყენებთ ამ მიზნით ოდეკოლონს — მან შესაძლოა კანის გაღიზიანება გამოიწვიოს.

ზაფხულში და საერთოდ, ცხელ ამინდში ყველაზე ხშირად, ფეხისგულები ოფლიანდება და ეს სერიოზულ პრობლემას გვიქმნის. ყოველ საღამოს, ძილის წინ ფეხები გრილი წყლით დაიბანეთ. მომატებული ოფლიანობისას რეკომენდებულია ტერფების ჩაწყობა 10-15 წუთით კალიუმის პერმანგანატის სუსტ (ვარდისფერ) ხსნარში ან ფორმალინის წყალხსნარში (1 ჩ.კ. 1-2 ლ წყალზე). კარგია მუხის ქერქისა და გვირილის აბაზანები. პროცედურის შემდეგ ფეხები კარგად გაიმშრალეთ და გამოიყენეთ ექიმის მიერ რეკომენდებული ლოსიონი ან შესაფრქვევი საშუალება. ფეხის კანი რომ არ გამოშრეს, კვირაში ერთხელ შეიზილეთ საბავშვო კრემი. ფეხსაცმლის შიგნითა ზედაპირი შეგიძლიათ დაამუშაოთ სპეციალური აეროზოლით, რომელიც სოკოვანი დაავადების პროფილაქტიკისა და უსამოვნო სუნის მოსაშორებლადაა განკუთვნილი (იყიდება აფთიაქებში). თავად ფეხსაცმელი კი, მსუბუქი და ღია უნდა იყოს, რათა ფეხმა ისუნთქოს.

მუდმივად ოფლიანი ხელისგულები ბევრ უხერხულობას გიქმნით. ხელის სისველეს ძალზე მოუხდება ვაშლისძმრიანი აბაზანა (3 ჩ/კ 1 ლ წყალზე). პროცედურის ხანგრძლივობა 5 წუთია, პერიოდულად ხელის დაზელა შეგიძლიათ სალიცილის მჟავით ან ქაფურის სპირტით.

ტანსაცმელი. შეარჩიეთ ნატურალური ქსოვილისგან შეკერილი სამოსი. ხელოვნური ქსოვილი ტენს არ იწოვს და მალე გაოფლიანებთ.

დიეტა. რეკომენდებულია ცხარე სანელებლების (მდოგვი, პირშუშხა, წიწაკა) შეზღუდვა რაციონში. სხვათა შორის, ალკოჰოლი და ნიკოტინი ოფლს უფრო მეტად სუნიანს ხდის.

ოფლის საწინააღმდეგო საშუალებები იყოფა დეზოდორანტებად და ანტიპერსპირანტებად. დეზოდორანტები აფერხებს ოფლში შემავალი ნივთიერებების დაშლას და ამასთან პარფიუმის მეშვეობით თრგუნავს ცუდ სუნს. ზოგ მათგანს დეზინფექციური და ანტიანთებითი თვისებებიც აქვს. ანტიპერსპირანტები აფერხებს საოფლე ჯირკვლების მუშაობას (40%-მდე) ფორების შევიწროების გზით. ორივე საშუალების გამოყენებისას ზომიერებაა საჭირო. არ შეიძლება ანტიპერსპირანტის გამოყენება პლაჟზე, რადგან ზოგიერთი მათგანი იზიდავს მზის სხივებს (აქვს ფოტოსენსიბილიზაციური ეფექტი), რის გამოც დამწვრობის პროვოცირება შეიძლება გამოიწვიოს. ■

გოგრის თესლი ტვინის საკვებია

ამერიკელი მეცნიერები გვატყობინებენ, რომ თუთიით მდიდარი საკვები ბავშვს უფრო აჭკვიანებს. ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვები, რომლებიც 10 კვირის განმავლობაში სვამდნენ თუთიით გამდიდრებულ ხილის წვენს და ამგვარად, დღეში 20 მგ თუთიას იღებდნენ, უფრო უკეთ ხსნიდნენ ლოგიკურ ამოცანებს და უკეთ ახერხებდნენ ყურადღების კონცენტრაციას, ვიდრე მათი თანატოლები. დღეისათვის თუთიის რეკომენდებული დოზა — დღეში 10 მგ — ასეთ ეფექტს არ იძლევა. კვლევის შედეგები შესაძლოა რეკომენდებული ნორმის ხელახალი გადახედვის საფუძველი გახდეს. თუთიის დეფიციტი გავრცელებული მოვლენაა. კვების პროდუქტებიდან თუთიით ყველაზე მდიდარია გოგრის თესლი. ■

დაუმატეთ წლები სიცოცხლის დილას

დაბალკვალიფიციური რაციონი (დღეში არა უმეტეს 1000-1500 კკალ) დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ცხოველური ცხიმები მცენარეულზე გაცილებით ნაკლები იყოს. უპირატესობა მიანიჭეთ თევზს და არა ხორცს,



უარი თქვით ალკოჰოლის ჭარბად მიღებასა და სიგარეტზე.

[illegible]ეგულარულმა (კვირაში 2-3-ჯერადი), დაულალავმა ვარჯიშმა ორგანიზმი შეიძლება რამდენიმე წლით გააახალგაზრდავოს. მიღწეული შედეგი ვარჯიშის შეწყვეტის შემდეგაც ნარჩუნდება ნახევრიდან 2 წლამდე. გაწონასწორებული, გარშემო მყოფების მიმართ კეთილგანწყობილი ადამიანები, რომლებიც განუწყვეტლივ ზრუნავენ ვინმეზე, სხვებზე გვიან ბერდებიან. ზოგიერთი ვერსიით, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები — რომლებიც სხვებისგან ითხოვენ მზრუნველობას. ■

მუსიკალური ჯაგრისი პატარებს კბილების გამოხეხვას მიაჩვევს



ამერიკული კომპანია HASRO იწყებს მუსიკალური კბილის ჯაგრისების წარმოებას. ასეთი ჯაგრისი კბილების გამოხეხვის პროცესს ბავშვებისათვის უფრო მიმზიდველს გახდის. ორწუთიანი ჰიტი ჩაწერილი იქნება ჯაგრისის ტარში ჩადგმულ მიკროჩიპზე. სწორედ 2 წუთია საჭირო კბილების გამოსახეხად, რათა საუკეთესო შედეგად მივიღოთ — მიიჩნევენ სტომატოლოგები. ეშმაკური ხერხი — მხოლოდ მუსიკის მოსმენა კბილების გამოხეხვის გარეშე, პატარებს არ გამოუვათ: სპეციალური ტრანსლატორი ბგერით ვიბრაციას გადასცემს კბილებზე, საიდანაც იგი თავის ქალის ძვლების გავლით შუა ყურს მიაღწევს. ■

მეომრის ძველებური ლითონის ქუდი	სატელეფონო სიტყვა	ერთგვარი მაქმანი	სახის ნაწილი	თმის ვიწრო ზოლი თვალის ზემოთ	იოვოვიჩი ფილმში „მეხუთე ელემენტი“	საფ[illegible] დ[illegible]
პოეტური შთაგონებების ქალღმერთი	მზის ღმერთი	საუბარი ორ პირისგან-ებას შორის	3,14	იგივეა, რაც მრავალი, ძალიან ბევრი	ტბა აფხაზეთში	მაგარის საპირისპირო	ჩარჩოში ჩასმული გამადიდებელი მინა

აი, როგორი ხართ თქვენ!

იმის მიხედვით, თუ როგორ წევხართ ან დგახართ, თქვენი ხასიათის გამოცნობა შეიძლება.

მაგალითად, თუ თქვენ ე.წ. **„კოვბოური დგომის“ მანერა** გაქვთ — ე.ი. როცა სხეულის მთელი სიმძიმე ცალ ფეხზე გადაგაქვთ, მეორე ფეხისას კი მხოლოდ ქუსლს ეყრდნობით, თქვენ გულღია, მხიარული, საერთო ჯამში — დადებითი პიროვნება, თუმცა წარუმატებელი ადამიანი ხართ. კომუნიკაბელურობა არ გაკლიათ, მაგრამ რატომღაც თქვენდა უნებურად, თქვენი საქციელით, გარშემო მყოფთ ხშირად აღიზიანებთ. თუ თქვენს ნება-სურვილს მათ თავზე მოახვევთ, შეიძლება ეს რომელიმე მათგანს ჭკუაში არ დაუჯდეს და... ხათაბალაში გაებათ.

გადაჯვარედინებული ფეხებით დგომა, როცა მთლიანად — ცალ ფეხს, მეორე ფეხისას კი მხოლოდ თითებს ეყრდნობით, მიუთითებს, რომ თქვენ თავდაჯერებულობა გაკლიათ, უფრთხით ცხოვრებისეულ სიახლეებს და სიამოვნებით ემორჩილებით თქვენზე ძლიერებს. თქვენი დამახასიათებელი თვისებებია სიფხიზლე და დაკვირვების უნარი. სამწუხაროდ, ასეთ ადამიანებს კოლეგებთან, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთანაც ძალზე უჭირთ საერთო ენის გამონახვა.

თუ თქვენი დგომის მანერაა — **„ფეხის თითები ერთად, ქუსლები განზე“**, მაშინ თქვენ ესთეტიკური ადამიანი ხართ. თქვენნაირები პირველყოფილი უბრალოებით გამოირჩევიან.

თუ საწინააღმდეგო დგომის მანერა გაქვთ — **„ფეხის ქუსლები ერთად, თითები განზე“**, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმიანი, რეალისტი ქალბატონი ხართ, რომლის ნდობაც თამამად შეიძლება. თქვენში ეგზოტიკისა და რომანტიკის ნატამალიც კი არ არის. გადაწყვეტილებებს იოლად იღებთ, თავის დაცვაც შეგიძლიათ და მოპაექრისთვის პასუხის დასაბრუნებლად, ენაზე ჭავლი არ გედებათ.

დგომის მანერა — **„ფეხები მხრების სიგანეზე“**, თქვენს სპორტულ მონაცემებზე კი არ მიანიშნებს, არამედ იმაზე, რომ ცხოვრებასთან ჭიდილში ძალზე დაიღალეთ. იმასაც კი აღარ აქვს თქვენთვის მნიშვნელობა, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენთ ძლიერი სქესის წარმომადგენლებზე. სხვაგვარად ეს „ფემინისტის პოზა“ არ აიხსნება.

თუ **მუცელზე ძილი** გიყვართ, ეს ნიშნავს, რომ უკმაყოფილო ხართ არჩეული პროფესიით.

ზურგზე წოლის მოყვარულები, ძლიერი ნებისყოფის, ამავე დროს, საკუთარი ცხოვრების სტილით კმაყოფილი ქალბატონები არიან.

თუ საწოლში რკალივით იხრებით, ან გულში ჩახუტებული ბალიშით გძინავთ, ე.ი. ნაღვლიანი ადამიანი ხართ და ისეთი მამაკაცი გჭირდებათ, რომელიც თქვენზე იზრუნებს.

ხოლო თუკი **ძილის დროს, თავზეც კი საბანს იფარებთ**, ე.ი. თქვენს თავში ჩაკეტილი, მარტოსული და პესიმისტურად განწყობილი ქალბატონი ყოფილხართ. ■

როგორ ამოვიყვანოთ ჟანგისა და ობის ლაქა

ჟანგს ნებისმიერი ქსოვილიდან ამოიყვანთ, თუ მას მარლაში ან ფილტრის ქაღალდში გახვეულ ლიმონის ნაჭერს დაუფენთ, ზემოდან კი ცხელ უთოს გადაუსვამთ. უთოს ტემპერატურა ქსოვილის სახეობისდა მიხედვით უნდა დაარეგულირო. შეიძლება გამოიყენოთ სხვა მეთოდიც: დალაქავებული ადგილი 3-5 წუთით მოათავსეთ 80-90 გრადუსამდე შემთბარ ძმრიან წყალხსნარში (2 ს/კ 1 ჩ/ჭ წყალში), შემდეგ კი გარეცხეთ ნიშადურისსპირტიანი თბილი წყლით (1 ს/კ 10%-იანი ნიშადურის სპირტი 2 ლ წყალში). მყავა მომინანჭრებულ ჭურჭელში უნდა გაათბოთ.

ჟანგის ლაქების თეთრი ნატურალური ქსოვილიდან მოცილება 2%-იანი მარილმჟავას ხსნარით შეიძლება. ჭუჭყიანი ადგილი უნდა მოათავსოთ ამ ხსნარში, ლაქის სრულ გაქრობამდე, შემდეგ კი კარგად გარეცხოთ ნიშადურისსპირტიანი წყლით (3 ს/კ ნიშადურის სპირტი 1 ლ წყალში).

თეთრი ფერის ტანსაცმელს, სუფრას ან თეთრეულს ჟანგს იოლად მოაცილებთ, თუ ლაქას ლიმონმჟავას კონცენტრირებულ ხსნარს დასხამთ, შემდეგ კი თხელ ვენად მოაყრით სუფრის მარილს. ასე დატოვეთ 1 დღე-ღამის განმავლობაში, შემდეგ კი გარეცხეთ.

ქსოვილის დაობებული ადგილები დაამუშავეთ ახალი პომიდორის წვენით, რამდენიმე საათის შემდეგ კი სუფთა წყალში გაავლეთ. ობის მოცილება წყალბადის ზეჟანგითაც შეიძლება, თუ მას მცირე რაოდენობით ძმარს შეურევთ.

რვეულის ან წიგნის დაობებული ფურცლები, უნდა დაამუშოთ 2-პროცენტიანი ფორმალინით გაჟღენთილი ტამპონით, მოაყროთ მას ტალკი და ზემოდან მძიმე სგანი დადოთ. რამდენიმე საათის შემდეგ გაწმინდეთ რბილი ქსოვილით. ■

...ის ...ქი	მოჭადრაკე მიხეილ ...	წლოვანება	შინაური პირუტყვი	მაღაზიის დიდი ფანჯარა	მერქნიანი მცენარე	კომლებით დასახლებული ადგილი	სიყვარულის ღმერთი რომაულ მით-ში
...ერ-...ი	სახელმწიფო ევროპაში	...ტინ ტარანტინო „კრიმინალური ...“	მონო, დი, ... ტეტრა	„... უცხო, მოყმე ვინმე“	უ. შექსპირი, „ჰამლეტი“ პერსონაჟი	ჭვარტლი	

როგორ აღმოჩნდა უფლის კვართი საქართველოში

სიწმინდეებისადმი პატივისცემა მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სიწმინდეებად ითვლება: ეკლესია-მონასტრები, უფლის, ღვთისმშობლის ან წმინდანთა ნაქონი თუ ხელშენახები ნივთები და საგნები, წმინდანთა წმინდა ნაწილები, სასწაულთმოქმედი ხატები და სხვა. საქართველოში მრავალი ასეთი ქრისტიანული სიწმინდეა დაცული. მათ შორის, ყველაზე მთავარ და უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს კვართი უფლისა, რომელიც მაცხოვრისთვის წმინდა ღვთისმშობელს მოუქსოვია. უფლის კვართი მცხეთაშია დავანებული, იქ, სადაც სვეტიცხოვლის ტაძარი დგას...

შორენა მერკვილაძე

ამბავი უფლის კვართის საქართველოში მოხვედრის შესახებ კაბადოკიელმა ქალწულმა — წმინდა ნინომ მცხეთელ ებრაელთა მღვდელ-მოძღვრის, აბითარისგან მოისმინა: როდესაც წმინდა ნინო 12 წლის გახდა, მისმა მშობლებმა — ზაბულონმა და სუსანამ გადაწყვიტეს, უფლისთვის შეეწირათ თავი, მთელი ქონება გაყიდეს, აღებული თანხა ღარიბ-ღატაკთ დაურიგეს, თვითონ კი, პატრიარქის კურთხევით, ერთმანეთს დასცილდნენ — ზაბულონი უდაბნოში განვიდა სამოღვაწეოდ, სუსანა (რომელიც იყო პატრიარქ იუბენალის და) პატრიარქმა უძლურ დედათა მომვლელად მიავლინა. მცირეწლოვანი ქალწული — ნინო აღსაზრდელად მიაბარეს ღვთის მოშიშ დედაკაცს — სარა ბეთლემელს, რომელიც იერუსალიმის აღდგომის ტაძარში მსახურობდა. ძიძა ნეტარ ნინოს მოუთხრობდა უფლის შობის, ვნების, ჯვარცმის, აღდგომის შესახებ. მისგან წმინდა ქალწულმა ისიც შეიტყო, რომ უფლის კვართი, რომელზეც მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ წილი ყარეს, წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს — ელიოზსა და ლონგინოზს, რომლებმაც ეს უდიდესი სიწმინდე წარმართთა ქალაქში — მცხეთაში წაიღეს...

როდესაც ნეტარმა ქალწულმა უფლის კვართის შესახებ შეიტყო, მისი ნახვის სურვილი გაუჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ, წმინდა ნინოს ძილში ღვთისმშობელი გამოეცხადა და მისგან კურთხევა მიიღო, რომ ჭეშმარიტებაზე მოექცია კვართის მფლობელი ერი. წმინდა ქალწული მცხეთაში ჩავიდა და მცხეთის სამეფო ბაღში დამკვიდრდა. ის ყველას ეკითხებოდა კვართის ამბავს, მაგრამ მის შესახებ ვერაფერი შეიტყო. ძიების დროს, ნინომ გაიცნო მცხეთელ ებრაელთა მოძღვარი აბითარი, ელიოზის შთამომავალი (ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც საქართველოში ჩამოაბრძანა უფლის კვართი), მისი ასული სიდონია და კიდევ ექვსი ქალი, რომლებსაც ქრისტეს „სახარება“ უქადაგა. მათ ირწმუნეს და წმინდა ნინოს დაემოწაფნენ. სწორედ აბითარ მღვდელმა მოუთხრო ნინოს უფლის კვართის მცხეთაში მოხვედრის ამბავი, რომელიც მას თავისი წინაპრებისგან მოესმინა. აი, რა უამბო წმინდა ქალწულს აბითარმა:

როდესაც ებრაელები უფალ იესო ქრისტეს წინააღმდეგ აღიძვრნენ და მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტს, თვისტომთ ყოველი მხრიდან მოუწოდეს: „რადგან ეს კაცი (ე.ი. იესო ქრისტე) თავის თავს ღმერთის ძეს უწოდებს, მოვედით ყოველნი სიკვდილსა მისსა, რათა აღესრულოს მცნება მოსესი“. უფლის ჯვარცმაზე დასასწრებად, საქართველოდანაც წავიდნენ ებრაელები — ელიოზი და ლონგინოზი და ყოველნი ჰურიანი. როდესაც ელიოზი და ლონგინოზი იერუსალიმში ჩავიდნენ, უკვე შეკრებილი იყო ურიათა ტომი და გადაეწყვიტათ იესოს ჯვარცმა, ისინი არ შეუერთდნენ ებრაელთა განზრახვას და შორიახლოს დადგნენ... როცა უფლის ვნება აღესრულა — ე.ი. ჯვარს აცვეს მაცხოვარი, — წილი ყარეს მის სამოსელზე, როგორც „წმინდა წერილში“ იყო ნათქვამი: „განიყვნეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა განივდეს წილი“...

უფლის კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს — ელიოზსა და ლონგინოზს, რომლებმაც ეს უდიდესი სიწმინდე საქართველოში წამოაბრძანეს. მცხეთაში ჩამოსულ ელიოზს წინ მიეგება მისი დასიდონია, მან სასოებით ჩამოართვა ძმას უფლის კვართი, ტირილითა და გოდებით მოისმინა ძმისგან მაცხოვრის ჯვარცმის ამბავი და ამ სისასტიკით შეძრწუნებულმა, სული განუტევა. ეს ამბავი სწრაფად გახმაურდა მცხეთაში. ქართლის იმჟამინდელმა მეფემ — ადრეკმა მოისურვა, რომ თავად შეემოსა კვართი, მაგრამ სიდონიას ისე მაგრად ჰქონდა გულში ჩაკრული, რომ მისი გაცივებული მკლავებიდან ვერავინ შეძლო უფლის კვართის მოშორება. ელიოზმა თავისი და, წმინდა კვართთან ერთად დამარხა...

ეკლესია გვაუწყებს, რომ იმ ადგილზე, სადაც უფლის კვართი იყო დაფლული, საკვირველი კვიპაროსის ხე ამოვიდა, თუმცა უფლის კვართის დაფვლის ზუსტი ადგილი არავინ იცოდა, გარდა უფლისა, რათა ეს უდიდესი სიწმინდე ხელში უსჯულოებს არ ჩავარდნოდათ და არ გაენადგურებინათ. ცნობილი იყო მხოლოდ, რომ: „არს მახლობლად მას ლიბანით მოღებულისა და მცხეთას დანერგულისა და აღორძინებულისა“...

უფლის კვართზე ამოზრდილი კვიპაროსი იმ სამეფო ბაღში იდგა, სადაც წმინდა ნინო დაემკვიდრა. წმინდა ქალწული უფლის სახელითა და ვაზის ჯვრის მადლით, მრავალ სასწაულს აღასრულებდა. სულ მალე, ნინოს ლოცვის სასწაულებრივ ძალაში ნანა დედოფალიც დარწმუნდა, რომელიც უკურნებელი სენისგან მხოლოდ ნეტარი ქალწულის ლოცვამ იხსნა. დედოფალმა ირწმუნა ნინოს ღმერთი და მას დაემოწაფა. რამდენიმე ხანში მოხდა მირიან მეფის მოქცევაც: თხოთის

მთაზე ნადირობისას, მოულოდნელად ჩამოწოლილი სიბნელე მას შემდეგ გაიფანტა, რაც მირიან მეფემ შემწედ ნინოს ღმერთს მოუხმო. მცხეთაში დაბრუნებული მეფე წმინდა ნინოს ეახლა და სთხოვა, ეკლესია ეჩვენებინა, რათა ღვთის სადიდებლად ტაძარი აეგო...

მირიან მეფემ გადაწყვიტა, რომ ტაძარი სამეფო ბაღში აეგო, კერძოდ იმ ადგილას, სადაც საკვირველი კვიპაროსის ხე იდგა (რომელიც უფლის კვართზე იყო ამოზრდილი). მეფის ბრძანებით, უფლის კვართზე ამოსული კვიპაროსის ხე მოჭრეს და ტაძრის მთავარ სვეტად გაამზადეს. მაგრამ მისი აღმართვა ვერანაირი ძალითა და ხერხით ვერ მოახერხეს. ამასობაში ღამემაც მოაწია და იძულებულნი გახდნენ, თავი დაენებებინათ. ნეტარი ნინო, თორმეტ მოწაფესთან ერთად, მთელი ღამის მანძილზე ლოცულობდა სვეტის მახლობლად. გამთენიისას, ზეცით გარდამოხდა განსპეტაკებული ჭაბუკი, უფლის ანგელოზი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. რამდენიმე ხანს სვეტი ჰაერში იყო გაჩერებული, შემდეგ ნელ-ნელა დაეშვა და ყველასგან ხელშეუხებლად იმავე ადგილს დაემყარა, საიდანაც მოკვეთილი იყო, თან გამოუთქმელ ბრწყინვალებას და სურნელებას გამოსცემდა. ეს სასწაული მრავალმა ადამიანმა იხილა, ხალხი თაყვანს სცემდა ნათლის სვეტს. მასთან მიახლოებისას, ავადმყოფები იკურნებოდნენ და სხვა მრავალი სასწაულიც აღესრულებოდა. მისი ზეგარდმო ბრწყინვალების გამო, მეფის ბრძანებით, სიცოცხლის მომნიჭებელ, ცხოველმყოფელ ძელს საბურველი გაუკეთეს, რათა ავი მზერისგან დაეცვათ...

სამეფო ბაღში აგებულ ხის ეკლესიას ქვემო ეკლესია ეწოდა, რომლის მთავარი საყრდენი, სწორედ ზემოხსენებული კვიპაროსის ხისგან დამზადებული ცოცხალი – ანუ ცხოველი სვეტი იყო, რის გამოც, ტაძრის სახელად სვეტიცხოველი დამკვიდრდა. ამგვარად, მცხეთაში უფლის კვართზე ამოზრდილი საკვირველი კვიპაროსი, ნაძვი ლიბანისა გადაიქცა ნათლის სვეტად, მარადიული სიცოცხლის მომნიჭებლად, „ცხოველ“ ანუ ცხოველმყოფელ სვეტად და სიმბოლოდ ღვთაებისად. ამიტომაც ეწოდა უძველეს და უმთავრეს ქართულ ეკლესიას – სვეტიცხოველი (მეფე მირიანის მიერ IV საუკუნეში აგებული სვეტიცხოვლის ტაძარი მეორედ აშენდა V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს; ხოლო მისი საბოლოო სახით აგება მოხდა 1029 წელს, გიორგი პირველის მეფობის ხანაში).

საუფლო კვართის დღესასწაულს წმინდა ეკლესია ყოველწლიურად 14 ოქტომბერს დღესასწაულობს.

■

„მაღლა ცაში ავფრინდები...“

ნადირობისას შეწყვეტილი, ნუგზარ აფხაიძის სიმღერა

...მამაკაცის საუკეთესო თვისებებს და ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების დიდ სიყვარულს დაატარებდა. საოცრად აზარტული და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, ნადირობის დიდი მოტრფიალე იყო. მისი განუმეორებელი ხმა ცოტას თუ ტოვებდა გულგრილს, ერთხელ, გოგი დოლიძემაც კი ვერ დაფარა ემოცია, ყელზე აკოცა და უთხრა — შენი ხმა რომ მქონდეს, საქართველოში არავის არ ვამღერებდიო... ის ან სცენაზე, ან ნადირობისას უნდა მომკვდარიყო. ახალგაზრდა დააკლდა თბილისს, იმ თბილისს, რომელსაც უმღეროდა. მისმა მეგობრებმა ნადირობის სეზონის გახსნის დღე ნუგზარის დღედ დააწესეს და სიმღერა — „თბილისის ცა სევდის ფერია“ — მის ხსოვნას მიუძღვნეს.

ნუგზარ აფხაიძის გასახსენებლად მის მეუღლეს და ტრიო „თბილისის“ წევრებს ვეწვიეთ.

ნუცა თოფჩიშვილი

ქეთი ბარამიძე, *ნუგზარ აფხაიძის ქვრივი:*

– რაც კი საუკეთესო თვისებები შეიძლება ჰქონდეს მამაკაცს, ყველაფერი მასში იყო შერწყმული. მოკრძალებული, ძალიან სადა გახლდათ. წუწუნი არ უყვარდა. უწყინარი იუმორი ჰქონდა. არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა და მეგობარი იყო და დიდი სიყვარულიც დატოვა...



მე კი მინდოდა, უქმე დღეებში ოჯახთან ერთად ყოფილიყო...

ზაზა მამალაძე:

– ნუგზარს 1974 წელს შევხვდი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა კაპელაში. შემდეგ იყო შვიდკაცა, კვარტეტი, ტრიო, ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლი... 1980 წელს, მე და ნუგზარს რამაზი შემოგვიერთდა და შეიქმნა ტრიო „თბილისი“. ასე ვიარეთ 22 წელი. ანსამბლთან ერთად, ტრიოს 4 ათასი სოლო კონცერტი აქვს ჩატარებული. მთელი ჩვენი ცხოვრება სიმღერა იყო და ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. მასზე ახლობელი ადამიანი არ მყოლია.

— საოცრად ლამაზი ხმა ჰქონდა...

– უნიკალური ხმა ჰქონდა. გოგი დოლიძე ხომ მარტო სიმღერისთვის იყო დაბადებული. ერთხელ, სტუდიაში სიმღერის ჩაწერისას შემოვარდა, ნუგზარს ყელზე აკოცა და უთხრა – შენნაირი ხმა რომ მქონდეს, საქართველოში არავის ვამღერებდიო... ნუგზარს ცხოვრებაში ორი დიდი გატაცება ჰქონდა: სიმღერა და ნადირობა. თავადაც აღნიშნავდა – დღეს რომ ვმღერი,

საცარი მამა იყო
და საცარი
ბაბუაც...
(თიკო აფხაიძე
შვილთან ლიკუნას-
თან ერთად)

ზაზას დამსახურებააო, — იმიტომ, რომ სულ უკან დავდევდი; ნადირობდა და ტყიდან გამომყავდა, რომ ემღერა *(იცინის)*... მეკითხებოდნენ — რატომ ეხვეწებიო? — ნუგზარია და იმიტომ-მეთქი, — ვპასუხობდი... ნოდარ ანდღულაძესთან მიიყვანეს თემურ გუგუშვილმა და გია ასათიანმა. შენი არაფერი მინდა, ოღონდ, ჩვენთან მოდი და ყველაფერს მე გავაკეთებ, რომ ოპერის მომღერალი გახდეო. მაგრამ ნუგზარი არ იყო რეჟიმის კაცი. შვედეთში ბოლო პერიოდში, 18-ჯერ ვიყავით. იქ ჩვენი გულშემატკივრები შევიძინეთ, რომლებიც კონცერტს არ აცდენდნენ. სიმღერას — „ჩვენს ბაღნარში" — ნუგზარი იწყებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ შვედეთში რომ ჩავედით, ეს სიმღერა ვიმღერეთ. სცენიდან ერთ ჩვენს გულშემატკივარს გავხედე. დარბაზიდან გავიდა, სიმღერის დამთავრებას არ დაელოდა. კონცერტის შემდეგ რომ შევხვდი, ტიროდა. ეს სიმღერა აღარ იმღეროთო, — მითხრა... იქაც საცარი გულისტკივილი დატოვა. ნუგზარის ხმის ტემბრს რაც შეეხება, არნახული დიაპაზონი ჰქონდა, მეორე ხმას მღეროდა — ტენორს, მაგრამ ბარიტონი ჰქონდა. პირველ ხმასაც ისე მღეროდა, „პირველები" რომ ვერ ახერხებენ.

რამაზ გუნიავა:

— ერთადერთი, რაზეც უარს არასოდეს ამბობდა, ნადირობა იყო. შაბათ-კვირას კონცერტების დანიშვნას აზრი არ ჰქონდა — ნუგზარი სანადიროდ იყო წასული, არ გააცდენდა... არ უყვარდა კონცერტებზე გამოსვლა, მით უმეტეს — მარტოს სიმღერა. კონცერტზე თუ უნდა გვემღერა, სულ იმაზე გვეჩხუბებოდა, რამე ისეთი ვიმღეროთ, რასაც სამივე ერთად ვიწყებთო. არადა, კომპოზიტორები სპეციალურად ისეთ სიმღერებს წერდნენ, რომლებიც მის ლამაზ ხმას წარმოაჩენდა. საცარი მეგობარი გახლდათ, მისგან ღალატი გამორიცხული იყო.

ქეთი ბარამიძე:

— ღვთიური ნიჭით იყო დაჯილდოებული. მისი ცხოვრება წარმოუდგენელი იყო რამაზ გუნიავას ლირიკული პირველი ხმისა და ზაზა მამალაძის ულამაზესი, უმშვენიერესი ბანის გარეშე. ასპარეზზე ნუგზარის გამოსვლაში ასევე უდიდესი წვლილი მიუძღვის დიდ, ნიჭიერ კომპოზიტორთა სიმღერებს, მაესტრო რობერტ გოგოლაშვილს, ფოლკლორული ანსამბლის უნიჭიერეს მომღერლებსა და მის დიდ სამეგობრო წრეს.

— ნუგზარ აფხაიძეზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით მის მეორე (თუ პირველ?..) გატაცებას: ნადირობას ვგულისხმობ...

ზაზა მამალაძე:

— სპორტული ბუნების კაცი იყო. ახალგაზრდობაში ნიჩბოსანი გახლდათ, კალათბურთსაც თამაშობდა, ფეხბურთსაც და ჩოგბურთსაც. საოცარი მონადირე იყო, მაგარი მუხლი ჰქონდა. კარგად დადიოდა, მსგავსი მონადირე არ შემხვედრია: საოცარი ალღო ჰქონდა. იხვსა და მწყერზე უფრო უყვარდა სიარული, რადგან მათზე ნადირობა უფრო აზარტული გახლავთ... თურქეთში ვიყავით ერთად წასული სანადიროდ. პროფესიონალი მონადირეები მოგვიყვანეს, რომლებსაც ჩვენთვის გზა უნდა ესწავლებინათ. ნუგზარი რომ არ ყოფილიყო, ვერაფერს მოვინადირებდით. ღორი რომ გამოვარდა, თურქების ნაქებმა მონადირეებმა ააცილეს და მან მოკლა.

რამაზ გუნიავა:

— ბავშვობიდან ვნადირობ, მაგრამ ნუგზარს როგორ შევედრები?.. თავის მეგობრებთან ერთად, დედოფლისწყაროს რაიონში დადიოდა სანადიროდ. ძნელი ადგილია, სულ წყლითაა დაფარული და წელამდე წყალში გიწევს სიარული. ერთხელ წამიყვანა. უჩვეულო და დაუვიწყარი იყო ეს დღეები. არ დამავიწყდება, როგორ ზრუნავდა და მივლიდა, ძლიერ რომ არ დავსველებულიყავი. მწყერებზე სანადიროდაც ვყოფილვართ ერთად. 6-7 კაცი ხაზზე რომ ვიდექით, 10 მწყერიდან 9 ნუგზარს აუფრინდებოდა და არც ააცილებდა. საოცარი იუმორი ჰქონდა. მწყერზე სანადიროდ ვიყავით. ჩვენთან ერთად იყო მეგობარი, რომელიც ლობიო გიორგევიჩად ეცნობოდა ყველას. დიდი მონადირე არ გახლდათ — უბრალოდ, ჩვენთან ერთად სიარული და ქეიფი უყვარდა... მწყერზე ვნადირობთ და მას აუფრინდა პატარა ჩიჩორი *(მწყრის ბარტყი. — ავტ.)*. აფრენა და გასროლა ერთი იყო. ცუდად ისვრის, თან თავისი ხელით დატენილი ტყვია ჰქონდა და გასროლისას მთელი მინდორი „სალფეთქებით" მოიფინა. ამაზე ნუგზარი სიცილისგან ამოტრიალდა და შაყირი დაუწყო. მერე ჩიჩორი ვნახეთ, რომელსაც საფანტი არ ჰქონდა მოხვედრილი, მაგრამ მკვდარი იყო. ნუგზარს ამის დანახვაზე რა გაჩერებდა?! — შენი გასროლილი ტყვიისგან გული გაუსკდა და ისე მოკვდაო, — თქვა და იმ ნადირობის შემდეგ, „ტყის მეგობარი" შეარქვა.

ქეთი ბარამიძე:

— შაბათ-კვირას, არასოდეს არ იყო შინ. მე კი მინდოდა, უქმე დღეებში ოჯახთან ერთად ყოფილიყო. მაგრამ მუხედავად ამისა, მისი უნებლიე „თანამზრახველი" მაინც ვხდებოდი: როდესაც კონცერტის ან რეპეტიციის დროს სანადიროდ მიდიოდა, მეტყოდა — თუ მიკითხავენ, თქვი, არ ვიცი, სად არისო. დარეკავდა ზაზა და რომ ვეტყოდი, არ ვიცი-მეთქი, მკითხავდა — ძაღლი წაყვანილი თუ ჰყავსო?..

— საცარი იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული და თუ შეიძლება, გაიხსენეთ თქვენ გასტროლების დროს მომხდარი ამბები...

— ამერიკაში იყო წასული გასტროლებზე. იმ პერიოდში, შევარდნაძეც იქ იმყოფებოდა. მისი, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ვიზიტი გახლდათ. რატომღაც ჩავთვალე, რომ ქართველ მომღერლებს შეხვდებოდა. ნუგზარი რომ ჩამოვიდა, სურათი ჩამოიტანა, რომელიც პრეზიდენტ რეიგანთან ერთად ჰქონდა გადაღებული. ისე მეამაყებოდა, რომ ყველას ვუყვებოდი — ვახშამზე იყვნენ მიწვეულები და სურათიც გადაიღო-მეთქი. ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს. ერთხელ, ნუგზარი მეუბნება: ვახშამზე არა — საუზმეზე ვიყავით მიწვეულები... ასეთი გულუბრყვილო როგორ ხარ? ვერ ხედავ, ბუტაფორიასთან მაქვს სურათი გადაღებულიო *(იცინის)*!..

ზაზა მამალაძე:

— მთელი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, სიმღერაში, ნადირობასა და მასხარაობაში გვაქვს გატარებული. ყველაფრის წამომწყები ნუგზარი იყო. საოცრად წყნარი და მშვიდი, უცებ ისეთ რამეს იტყოდა, ამმატრიალებდა სიცილით. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში წელიწადში 200 კონცერტს ვატარებდით. ერთხელ, სცენაზე ჩვენ ვმღეროდით, ქვემოთ ინსტრუმენტალისტები ისხდნენ, რომლებიც საცეკვაო ნომრებს უწევდნენ აკომპანემენტს, ხოლო ჩვენი სიმღერის დროს, გაჩერებული იყვნენ. დავამთავრეთ „შენ ხარ ვენახი" და უეცრად ნუგზარი ინსტრუმენტალისტებისკენ, როგორც სოლისტებისკენ, ისე იშვერს ხელს. ისინი უნებლიეთ წამოდგნენ. დარბაზიც დაიბნა, მაგრამ ტაში მაინც დაუკრა... ფილიპინებზე გასტროლებისას, საშინელი სიცხეები იყო. მე და ნუგზარი ერთ ნომერში ვიყავით, რამაზი და მაესტრო (რობერტ გოგოლაშვილი) — ჩვენ გვერდით. საღამოს, კონცერტის შემდეგ, მათ ნომერში ვისხედით და კარტს ვთამაშობდით. ერთხელ, ნუგზარმა წამოსვლისას, მათი კონდიციონერის ღილაკი გათბობის რეჟიმზე დააყენა... დილით, სიგრილეში ბედნიერებმა გავიღვიძეთ, მათ კი მთელი ღამე არ სძინები-

ათ. ორი დღე ასე გაგრძელდა. ბოლოს ვუთხარით, თორემ, სიცხისგან ისე დაოსდნენ, რომ სცენაზე ველარ გამოდიოდნენ.

რამაზ გუნიავა:

— ბოლო გასტროლებზე ესტონეთში ვიყავით. ანსამბლში ერთი ახალი ბიჭი მივიღეთ. მიუხედავად ასაკისა, საოცრად გულუბრყვილო იყო, ყველაფერს იჯერებდა. მთელი გზა ჰყვებოდა, რომ ძველი მანქანა ჰყავდა და ყველა ნაწილი, მათ შორის აკუმულატორიც, გამოსაცვლელი ჰქონდა. ერთ დღეს, ავტობუსით მივდივართ და ნუგზარი ამბობს — აუ, ბიჭო, ნახე, რა სიიაფეა, რა ფასებია!.. — რა სიიაფე, ავტობუსის ფანჯრებიდან რისი ფასი უნდა დაინახო?.. ნუგზარი არ დაბნეულა — გუშინ მანქანების ნაწილების მაღაზიაში ვიყავი და აკუმულატორები ვნახე იაფადო, — და რაღაც სასაცილო ფასი დასახელა. ის ბიჭი, ვისაც აკუმულატორი სჭირდებოდა, გადაეკიდა — სად ნახე და თუ გავიქცით კიდევ იმ ქალაქსო?.. ნუგზარმა მთელი კვირა ეს თემა ატრიალა. ფული რომ გვქონდეს, ერთ კონტეინერს დავტვირთავდით და თბილისში ბიზნესს გავაკეთებდითო, — ამბობდა... თბილისში რომ ჩამოვედით და იმან გაიგო, რომ ნუგზარი ხუმრობდა, თქვა — იმდენად დამაჯერებლად ჰყვებოდა, სულ ვნანობდი, რატომ არ ვიყიდეო...

— ქალბატონო ქეთი, ძალზე ძნელია თქვენი მეუღლის მიერ დატოვებული სიცარიელის შევსება, მაგრამ თქვენც და მისი მეგობრებიც ნუგზარზე აწმყოში ლაპარაკობთ. თუ შეიძლება, გაიხსენეთ ნუგზარი, როგორც მეუღლე, მამა და ბაბუა.

— ნუგზარი ჩემი ამქვეყნიური ცხოვრების ყოველდღიური წევრია. მისი სიმღერები სულ ისმის რადიოში, ტელევიზიით, პარკებში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში. მისი ხმა ქართველ ხალხს სულ ესმის. ამიტომ მგონია, რომ ისევ ჩემ გვერდითაა... ერთხელ, სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობდი. რადიოში ტრიო „თბილისის“ სიმღერა ისმოდა. სრულიად უცნობი ქალბატონი მომიბრუნდა და მეუბნება — რა ბიჭი წავიდა ამ ქვეყნიდან! იცით, ეს რა ბიჭი იყო?!. კითხე — იცნობდით-მეთქი? — არა, არ ვიცნობდი, მაგრამ ასეთი ხმის პატრონი მიწაში უნდა „იწვესო“?.. ამიტომ ვამბობ, რომ ის ისევ ჩემ გვერდითაა და ამაყი ვარ და ბედნიერადაც ვთვლი თავს, რომ ნუგზარი ჩემი ქმარი გახლდათ. საოცარი მამა იყო და საოცარი ბაბუაც. შვილიშვილ ლიკუნასთან ცოტა ხანს მოუწია ურთიერთობამ, მაგრამ იმდენი სითბო დატოვა მის გულში, რომ ბავშვს დღესაც ახსოვს. ამას წინათ მეკითხება — ამ სახლის უფროსი ვინ არისო? — მე ვარ-მეთქი, ვუპასუხე. — შენ არა ხარ — ნუგზარიაო...

ტრიოს არსებობას ერთადერთ შემთხვევაში ექნებოდა გამართლება: ნუგზარს ვაჟი რომ ჰყოლოდა... (ტრიო „თბილისი“ — რამაზ გუნიავა, ნუგზარ აფხაიძე და ზაზა მამალაძე)

თიკო აფხაიძე, ქალიშვილი:

— რასაც ვთხოვდი, ყველაფერს მისრულებდა. მე და ჩემს დას სულ დაგვცინოდა — ჭამეთ რამე, თორემ, ისეთი გამხდრები ხართ, სომალელ ლტოლვილებს ჰგავხართო. არასოდეს მითხოვია, მანქანა მიყიდეთქი. თვითონ მითხრა — მანქანა არ გინდა, გიყიდოო? მაისში, გერმანიაში მიდიოდა და მანქანის ყიდვას აპირებდა. მერე გადაწყვიტა, „ნივა“ ეყიდა. მეუბნებოდა — 3 კარის სამყოფი ფული უკვე შეგროვილი მაქვსო... ვერ მოასწრო ამ საჩუქრის გაკეთება...

— ქალბატონო ქეთი, თქვენთვის უთუოდ მძიმე იქნება, მაგრამ იქნებ, მაინც გაიხსენოთ ბოლო დღეები?

— არ უყვარდა თავის გასაჭირზე ლაპარაკი, მაგრამ ბოლოს მითხრა — რაღაც გულმა მომიჭირაო. ექიმმა ყოველგვარი დატვირთვა აუკრძალა, უთხრა — ცოტა ხანი, ფრთხილად იყავიო. ამას ვერ შეეგუა. როცა მითხრა — სანადიროდ მივდივარო, — არ მესიამოვნა. — ხვალ საღამოს ჩამოვალო, — დააყოლა, მაგრამ „ხვალ საღამოს“ გარდაიცვალა... ნადირობისას 20 კმ-ს გადიოდა ფეხით. იმ დღესაც, 10 კმ მაინც ჰქონდა გავლილი, თან ტვირთიც ხომ ჰქონდა აკიდებული... 21 ნოემბერს გარდაიცვალა. 25 ოქტომბერს, მეგობრის შვილის ქორწილში ვიყავით. ცალ-ცალკე ვისხედით. „ჩიტო-გვრიტო“ იმღერა. მიხვდი, ნასვამი იყო. ადრე წამოსვლა მოინდომა. რატომ დალიე-მეთქი? — აბა, „ჩიტო-გვრიტო“ არ მემღერაო?!. ისე ჩამწყდა გული, ველარაფერი ვუთხარი.

— ბატონო ზაზა, ბატონო რამაზ, ბოლოს მინდა გკითხოთ, ტრიო „თბილისის“ ბედზე. ნუგზარ აფხაიძის გარეშე იარსებებს?

ზაზა მამალაძე:

— სხვებიც გვეკითხებიან, რას აპირებთო? გამორიცხულია. მე და რამაზმა ერთი ცხოვრება უკვე დავამთავრეთ. ტრიოს არსებობას ერთადერთ შემთხვევაში ექნებოდა გამართლება: ნუგზარს ვაჟი რომ ჰყოლოდა და მას ემღერა, სხვა ვარიანტი გამორიცხულია... მეორე წელი გადის ნუგზარის გარეშე და ამ შემთხვევაში, დრო მკურნალი არ არის. რაც დრო გადის, უფრო ძნელია ჩვენთვის. თავს მხოლოდ იმით ვიმშვიდებ, რომ მის გვერდით ყოფნა მარგუნა ღმერთმა და ამით დიდად ვამყობ.

რამაზ გუნიავა:

— რაც დრო გადის, უფრო მძიმე ხდება მის გარეშე ცხოვრება. სანადიროდ აღარ დავდივარ და სურვილიც არ მაქვს. წინანდალში ჩავედი მისი ძაღლის სანახავად, ჩემს მეგობართან არის დატოვებული. წელს მინდა, ამ ძაღლთან ერთად იმ ადგილებში გავიდე, სადაც ნუგზარს უყვარდა სიარული... რაც შეეხება ტრიოს — არ შეიძლება, ის არსებობდეს. 23 წელი ერთად რომ იმღერებ და ორ კაცში ამისთანა ხმა მოგაკლდება... არა, გამორიცხულია. ჩვენს ძველ სიმღერებს დღესაც ვერ ვუსმენ. არ შემიძლია იმაზე დაფიქრებაც კი, რომ ის ხმოვანება აღარ იქნება და ველარ ვიმღერებ. ნახევარი სიცოცხლე რასაც ვაკეთებდი და მიყვარდა, უცებ დამთავრდა, გაქრა.

P.S. *ნუგზარ აფხაიძეს განსაკუთრებით უყვარდა დედა, მის სადღეგრძელოსაც ყოველთვის ცალკე წარმოთქვამდა... ჩემთვის ძალზე მძიმე იყო იმის შეტყობა, რომ დედას თურმე, მისი საყვარელი შვილის გარდაცვალების შესახებ არ სცოდნია: დაინდვეს და არ უთხრეს და ის დღემდე ელის ნუგზარის ჩამოსვლას...*

■

ღორი რომ გამოვარდა, თურქების ნაქებმა მონადირეებმა ააცილეს და მან მოკლა...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეიჩა დვალის *ფეის წიგნაკიდან:*

1. „წინდი“ და „ჯირაო“ სინონიმებია.
2. წეკო თამბაქოს ერთ-ერთი სახეობაა.
3. ნიქსონი არჩევიდან 2000 დღის შემდეგ გადადგა.
4. თამრიკო ჭოხონელიძის ორივე შვილი 9 დეკემბერს არის დაბადებული.

5. „ცხოვრება სახელოსნოა და არა სამლოცველო“, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე.
6. მჭადს, რომელშიც ყველია შერეული და ისეა გამომცხვარი, ჭვიშტარი ეწოდება.
7. „შაბაში“ ძველი ებრაული სიტყვაა და მუშაობის შეწყვეტას, დასვენებას ნიშნავს.
8. „არასოდეს ვარ იმდენად მოუცლელი, როგორც დასვენების ჟამს“, — ამბობდა ციცერონი.
9. „დედა მყავს რაჭველი, სახლში არ მაქვს საჭმელი“, — წუწუნებს კოტე ყუბანეიშვილი.
10. კახეთში დღესასწაულს, რომლის დროსაც ჭაჭის არაყს ხდიან და ღორს კლავენ, ზაოტობა ჰქვია.
11. „მეფე-ზარი“ არასდროს აჟღერებულა და „მეფე-ზარბაზნიდანაც“ არავის არასდროს გაუსროლია.
12. ტერფზე ამოსაკრავ კბილანებიან რკინას, რომელიც ციცაბოსა და ყინულზე სიარულის დროს იხმარება, წრიაპი ჰქვია.
13. „ბედნიერებას ვპოულობთ მხოლოდ იმ კერად, სადაც ვუყვარვართ და ჩვენი სკერათ“, — წერდა მიხაილ ლერმონტოვი.
14. „მთელი ჩემი შემოსავალი ალიმენტებში მიდის, რადგან ცოლებისა და შვილების მთელი არმია მყავს“, — ჩიოდა რეჟისორი ინგმარ ბერგმანი.
15. ერთხელ ვენაში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა სხვენის დალაგება და იქ შენახული აუარელი მაკულატურის დაწვა გადაწყვიტეს, მაგრამ იძულებულნი გახდნენ, რომ ეს მაკულატურა ვერ ფოსტით საბჭოთა კავშირში გაგზავნათ და მხოლოდ იქ გაანადგურებინათ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ რაოდენობით დოკუმენტაციის დაწვა იმის მაუწყებლად ჩაითვლებოდა, რომ საელჩო ევაკუაციას აპირებს, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ ომის გამოცხადების შემთხვევაში ხდებოდა.
16. „მწერალთა აზრით, კრიტიკოსები ხალხმა თეორად აფეთქებულ აკაციებზე უნდა ჩამოახრჩოს“, — ამბობს ლაშა თაბუკაშვილი.
17. „საქართველოში საქართველოზე კარგად ცხოვრების უფლება არავის აქვს, მაგრამ ყველანი მასზე კარგად ვცხოვრობთ. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ყველა გაჭირვებულზე უფრო მეტად უჭირს“, — განაცხადა



პატრისია კაასი ძლიერი სქესის წარმომადგენელი...

მსოფლიოს საუკეთესო საკონცერტო დარბაზებსა და მოედნებზე ფრანგი მომღერალი მუდამ იმ გრძნობაზე მღერის, რომელსაც თავად უფრთხის და გაურბის...

მართლაც რომ პარადოქსია: უკანასკნელ ხანს პატრისია ჟურნალისტებს არწმუნებს, რომ მისთვის უახლოესი არსებანი, პლუშის დათუნია და პუდელი ტეკილა არიან. სცენაზე კი თავდავიწყებით უმღერის სიყვარულს — გრძნობას, რომელიც მისთვის უცხო არ უნდა იყოს და რომელმაც, როგორც ჩანს, პატრისიას ბედნიერება ვერ მოუტანა. მან ხომ გულახდილად აღიარა, რომ მამაკაცთან ემოციური კავშირი აფრთხობს, ამ გრძნობას ჩანასახშივე სპობს და გაურბის. „თავისუფლება ჩემთვის უმთავრესია“, — ამბობს მომღერალი, რომელმაც ქალებისადმი მიძღვნილ თავის უკანასკნელ ალბომს Sexs fort — „ძლიერი სქესი“ უწოდა...

პატრისია კაასის მშობლები მოძველებული მორალის დამცველნი იყვნენ, განქორწინება მათთვის დაუშვებელი რამ იყო და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. პატრისია კი აცხადებს, რომ თავად ვერაფერი გააჩერებს მამაკაცთან, თუ სიყვარული გაქრა. ჯერჯერობით სიყვარული მას მხოლოდ აშინებს. ეს ხომ ის სტიქიაა, რომელიც ქალსა და მამაკაცს ერთ არსებად აქცევს. პატრისია კი მიიჩნევს, რომ ის მხოლოდ თავისი მოწოდებისა და მსმენელის მსახურია და თუ საქმე არჩევანზე მიდგა, მის მილიონობით თაყვანისმცემელს კარგად ესმის, რომ მათი კერპისთვის შემოქმედება უმთავრესია. მეორე მხრივ, რაოდენ სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა, ლამაზ ქალბატონს პლუშის დათუნიასთან ერთად სძინავს და თავის გულისნადებს პატარა ფინიას უზიარებს.

ჯერემი აირონსთან ერთად: „ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ ვაკოცეთ და ამ კოცნით ერთობლივი სამუშაოს დამთავრება აღვნიშნეთ...“

ორი ვარსკვლავი: პატრისია აცხადებს, რომ ალენ დელონთან მხოლოდ სათუთი მეგობრობა აკავშირებს

პატრისიას თქმით, მის ყველა შეყვარებულს, ადრე თუ გვიან, ეჭვიანობა ტანჯავდა, მათი ეჭვების ობიექტად კი, მუსიკა და სცენა იქცეოდა ხოლმე. იმ მამაკაცმაც კი, რომელთან ერთადაც კაასი ოჯახის შექმნას აპირებდა და რომელთანაც მან 6 წელი გაატარა, ბოლომდე ვერ გაძლო და მათი ურთიერთობა კრახით დასრულდა.

ცნობილმა რეჟისორმა კლოდ ლელუშმა პატრისია ფილმში – „ქალბატონებო და ბატონებო! ახლა კი...“ – გადასაღებად მიიწვია

კომპოზიტორ ფილიპ ბერგმანთან განხეთქილების ნამდვილი მიზეზი პუბლიკისათვის დღესაც უცნობია. ამის შესახებ მომღერალი ძუნწ პასუხს იძლევა: მან ჩემი იმედი ვერ გაამართლაო, – ამბობს პატრისია. ყოფილი შეყვარებული კი თავის პოზიციას უფრო კონკრეტულად გამოხატავს: „პატრისია მუსიკითაა შეპყრობილი“... როგორც ჩანს, მანაც სხვებივით ვერ გაძლო...

არადა, ყველაფერი ძალზე რომანტიკულად დაიწყო...

ერთ-ერთი კონცერტის ანტრაქტზე, პატრისიასთან უცნობი ახალგაზრდა კაცი მივიდა და სიყვარულში გამოუტყდა. ფილიპის გრძნობა იმდენად გულწრფელი ჩანდა, რომ ახალგაზრდა ქალმა უმალ ირწმუნა მისი. წყვილმა პარიზში მდიდრული ბინა იქირავა. ბედნიერი პატრისია უკვე ბავშვის გაჩენაზეც კი ფიქრობდა, როდესაც ისინი მოულოდნელად ერთმანეთს დაშორდნენ.

არავის უნდოდა იმის დაჯერება, რომ პატრისია მარტოსული იყო. ჟურნალისტები მის გვერდით ნებისმიერი მამაკაცის გამოჩენას აფიქსირებდნენ, ათასგვარ ვარაუდს გამოთქვამდნენ და ამის შესახებ მთელ ქვეყნიერებას ამცნობდნენ, რასაც პატრისიას თაყვანისმცემლები აღტაცებაში მოჰყავდა: – მათი კერპი ბედნიერია! ის ხომ მსოფლიო ეკრანების გრანდების აღფრთოვანებული ინტერესის ობიექტია!..

ერთხანს, ბევრს ლაპარაკობდნენ ახალგაზრდა მომღერალსა და ალენ დელონს შორის გაბმული სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ. სახელგანთქმულმა მსახიობმა ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, პატრისიას უზარმაზარი თაიგული მიართვა და ვახშამზე მიიპატიჟა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ერთ-ერთი ტელეშოუს ეთერში განაცხადა: „პატრისია ღვთაებრივი მომღერალია. მე ის მიყვარს...“

ბევრს გაუცრუვდა იმედი, როდესაც ახალგაზრდა ქალმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ სახელოვანი ალენ დელონის საყვარელი არასდროს ყოფილა და რომ მათ მხოლოდ სათუთი გრძნობა – მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან.

გავიდა ხანი და პრესა პატრისიასა და ჯერემი აირონსის ვნებიან სიყვარულზე ალაპარაკდა. 2002 წელს, კლოდ ლელუშმა კასი ფილმში – „ქალბატონებო

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეიჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

გიზო ნიშნიანიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში.

18. „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი არსობისა“, „არსობისა“ და არა „ძღომისა“, – გვახსენებს ოტია იოსელიანი და ამატებს: „კარგია ამერიკული პური, გაძღები, მაგრამ ვერ იარსებებ!“

19. ბეთჰოვენს თავისი ავადმყოფი მეგობრის, ანტონი ბრენდანოს ცოლი უყვარდა. ეს ქალი ოთხი შვილის დედა იყო და ქმრის სიკვდილის შემდეგ, ვიღაც არისტოკრატს გაჰყვა ცოლად.

20. გაგრაში, სტალინის აგარაკზე, საბაზანოში სპეციალური მილებით შეჰყავდათ ზღვის წყალი. უსაფრთხოების მიზნით, დიდი ბელადი პლაჟზე არ გადიოდა.

21. „ხმა ღვთის წყალობად მიმაჩნია. იგი ოქროს გალიაცაა, რომლის მოხალისე ტყვეც მე გახლავართ“, – განაცხადა ლუჩანო პავაროტმ ერთ-ერთ ინტერვიუში.

22. მომღერალი ლოლიტა ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია. „მაჯო იზმენიტ მუჟუ, ნო ნე „ლოკომოტივუ“, – განაცხადა მან ერთ-ერთ ინტერვიუში.

23. იაკუტიაში გნოლებზე ნადირობისას მონადირეები ძალზე უცნაურ მახეებს აგებენ. პლასტიკატის ბოთლში ცხელ წყალს ასხამენ, თოვლში სხვადასხვა ადგილას დებენ და მალევე უკან იღებენ. ამგვარად, თოვლში ბოთლის ფორმის ორმოები კეთდება, რომელთა ძირი და კედლები ყინულით არის დაფარული. ორმოებში საკენკს ყრიან და მიდიან. საკენკს დახარბებული გნოლი ყინულის ორმოში თავქვე იჭედება და ვეღარ ამდის. მონადირე მეორე დღეს ჩამოვლის და გაყინულ გნოლებს აგროვებს.

24. ნაწყვეტი პეტრე პირველის პოლიტიკური ანდერძიდან: „პოდდერჟივატ გოსუდარსტვო როსიი ვ სისტემე ნეპრერივნი ვოინი, პოდდერჟივატ ბეზნაჩალიე ვ პოლშე ი ნაკონეც, პოლნოსტიუ პოკორიტ. ვმეშივატსა სილოიუ ი ხიტროსტიუ ვო ვსე ევროპეისკიე რასპრი. ვ სუპრუგი რუსსკიმ ჯნაზამ იზბირატ ტოლკო გერმანსკიხ პრინცეს. უმნოჟატ სოიუზ დლია უველიჩენია რუსსკოვო ვლიანია ვ ეტოი იმპერიი“.

25. „თუკი რაიმე ნივთი მომყონებოდა და მისი შესაძენი ფული არ გვქონდა, მამა უარს მანც არ მეუბნებოდა, მისი პრინციპი იყო: ბავშვმა უნდა მიიღოს ყველაფერი მატერიალური, რაც სურს, თუნდაც იმისთვის, რომ მიხვდეს – მატერიალური არაფერს ნიშნავს. თუ ვერ დაიკმაყოფილებს სურვილს, ამას ვერასოდეს მიხვდება“, – ჰყვებოდა ბასა ფოცხიშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში.

და ბატონებო! ახლა კი...“ – კაბარეს მომღერლის როლზე მიიწვია. გადასაღებ მოედანზე პატრისიამ ინგლისელი მსახიობი ჯერემი აირონსი გაიცნო. მოარულმა ხმებმა მათი სახელები მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს. ამ „კავშირს“ პიკანტურობას მატებდა ისიც, რომ აირონსი ცოლიანი იყო. საზოგადოება მოვლენათა საინტერესო განვითარებას ელოდა... ამის ნაცვლად კი, პატრისიასგან მორიგი განცხადება მოისმინა იმის შესახებ, რომ მათ შორის არანაირი რომანტიკული ურთიერთობა არ არსებობს.

ამის შემდგომ, ვარსკვლავის სახელის გარშემო ხმაური აღარ ამტყდარა და მომღერლის ცხოვრებაში სათამაშო დათუნიებისა და ოთხფეხა მეგობრების პერიოდი დაიწყო. როგორც პატრისია ირწმუნება, ასეთი ძლიერი და დამოუკიდებელი ის არასდროს ყოფილა. მამაკაცები კი მის შემოქმედებასა და სხვა მნიშვნელოვან საქმეებში ვეღარ ერევიან.

პატრისია კაასის ცხოვრებაში მუსიკასთან ერთად, უდიდესი ადგილი უკავია ქველმოქმედებას. უსახლკარო ბავშვებზე ზრუნვისათვის მომღერალმა გერმანიის უმაღლესი ორდენი მიიღო.

პატრისია ჯერ კიდევ ბერგმანთან ერთად ცხოვრობდა, როდესაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „არ მინდა, ისე მოხდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს თავს ვუთხრა: „ო-ლა-ლა! უკვე ორმოცი წლის ვარ, შვილის გაჩენა კი დამვიწყებია!“ მართლაც, ასე რომ არ მოხდეს, პატრისიას აჩქარება მოუწევს: ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ხომ მის ცხოვრებაში გაისად დადგება!..

■

ალსუმ საშინელებათა ფილმში მთავარი როლი ითამაშა

დიდ ბრიტანეთში ეკრანებზე გამოვიდა საშინელებათა ფილმი, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ცნობილი რუსი მომღერალი ალსუ ასრულებს. მასთან ერთად ფილმში მონაწილეობენ: მომღერალი ქალი ბილი ფაიფერი და მსახიობი ლიუკ მაბლი („პრინცი და მე“). ბრიტანული სურათის – Spirit Trap („ხაფანგი სულებისთვის“) – გადაღებები შარშან ზაფხულში, რუმინეთში მიმდინარეობდა. სიუჟეტის მიხედვით, 5 სტუდენტი – 2 ყმაწვილი და 3 გოგონა – ქალაქგარეთ მდებარე ძველ სახლში დაიდებს ბინას. სახლი კოლეგიუმთან ახლოს მდებარეობს და მისი დაქირავება საკმაოდ მცირე თანხა ვდება. წარსულში იქ თურმე საშინელებები ხდებოდა და შენობაში მოჩვენებები სახლობენ. შემზარავი მოვლენების განვითარებისა და პირველი მკვლელობების შემდეგ, სტუდენტებს ერთმანეთზე მიაქვთ ეჭვი. ალსუ გულჩათხრობილი და ცოტა უცნაური სტუდენტის – თინას როლს თამაშობს. „ჩემი გმირი ძალზე მშვიდი და იდუმალებით მოცული გოგონაა. ის მზადაა, სიყვარულისთვის თავიც კი გაწიროს, – ამბობს მომღერალი. – მისი ის თვისებები ძალიან მხიბლავს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში მის ადგილას ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი“. ფილმის საუნდტრეკად იქცა ალსუს სიმღერა – თეარდროპს („ცრემლის წვეთები“), რომელიც მომღერალმა არა მარტო შეასრულა, არამედ თავადვე დაწერა.

■

ჯონ რიჭლინგი ჭორემს უარყოფს

„ჰარი პოტერის“ ავტორმა ოფიციალურად უარყო მისი და მისი ახლობლების შესახებ გავრცელებული ჭორები. როგორც ამბობენ, თავისი გესლიანი კომენტარი მან საკუთარ ვებგვერდებზე განათავსა და გაზეთ „გარდიანის“ ჟურნალისტსაც საკმაოდ კატეგორიული ინტერვიუ მისცა, სადაც აღნიშნა: მასმედიის ზოგიერთი საშუალება აღნიშნავს, თითქოს სასტიკად ვლიზიანდები, როდესაც სპავშვო მწერლად მომიხსენიებენ, რაც მტკნარი სიცრუეა. „არასდეს მექნება ისეთი დამოკიდებულება, თითქოსდა სპავშვო წიგნების წერა ნაკლებსერიოზული, ნაკლებსაპასუხისმგებლო და შედარებით იოლია, ვიდრე მოზრდილთათვის განკუთვნილი ლიტერატურული ნაწარმოების“, – ამბობს მწერალი ქალი. რიულინგი კატეგორიულად უარყოფს მთელ რიგ ჭორებს და აცხადებს: „არ არის მართალი, თითქოს მე უარი ვუთხარი სპილბერგს ჩემი ნაწარმოების ეკრანიზაციაზე; არც ის შეეფერება სიმართლეს, თითქოს პრინცმა ჩარლზმა და მისმა მეუღლემ სადილად მიმიწვიეს და მე მათთან ერთად ვუჯექი სუფრას; ტყუილია ისიც, რომ „ჰარი პოტერის“ პერსონაჟის, ამპარტავან პროფესორ ლოკონსის პროტოტიპი ჩემი პირველი ქმარი გახლავთ; არც ჩემს მეორე ქმარს მიუტოვებია სამსახური იმისათვის, რომ თვალყური ედევნებინა ჩემი წერის პროცესისთვის“.

■

სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს

მიუხედავად იმისა, რომ სინდი კროუფორდი უკვე წლებია, უარს ამბობს „ბიგ მაკისა“ და „მაკდონალდსის“ სხვა გემრიელი პროდუქტების მირთმევაზე, თავის შვილებს ამ სიამოვნებაზე უარს არ ეუბნება. სუპერმოდელი არ მალავს, რომ ზოგჯერ, 5 წლის პრესლისა და 3 წლის კაიესთან ერთად „მაკდონალდსის“ რესტორანს სტუმრობს, მაგრამ თავად იქ არასოდეს არაფერს მიირთმევს. „როცა იქ ვიმყოფებით, ჩემი პატარები ყოველთვის მეკითხებიან, ხომ არ მშია, – ჰყვება სინდი. – ვუყურებ კარტოფილის „ფრის“ და ვფიქრობ, რომ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს, ამიტომ საკუთარი კვების რეჟიმის დარღვევა არ ღირს“. სინდი კროუფორდი ძალისხმევას არ იშურებს საიმისოდ, რომ კარგად გამოიყურებოდეს. მართალია, მას ისიც ესმის, რომ ორი შვილის გაჩენის შემდეგ, ქალის სხეულის ზოგიერთი ნაწილი ვეღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც ოდესღაც იყო, მაგრამ ამას მაინცდამაინც არ განიცდის, უბრალოდ ცდილობს, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენოს იმისათვის, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე, კარგი ფორმა შეინარჩუნოს.

■

Cerato-ს დიზელის „ბული“

კორეული კომპანია ამ მოდელის მოდიფიკაციათა გამას აფართოებს. წლის ბოლოსთვის, გამოჩნდება 1,5 ლ მოცულობის დიზელისძრავიანი ვერსია, რომელიც 102 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს და 100 კმ გარბენზე სულ 4,9 ლ საწვავს დახარჯავს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 175 კმ/სთ იქნება. ჯერჯერობით კვლავ გაგრძელდება 2-ლიტრიანი Cerato-ს წარმოებაც, მაგრამ თანდათან მას გაცილებით თანამედროვე, 1,6-ლიტრიანი ძრავათი აღჭურვილი ვერსია შეცვლის. ახალი აგრეგატები ეკოლოგიური სტანდარტის – Evro-4-ის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. Kia Cerato, დიზელის ძრავების გარდა, ბენზინის – 1,6 და 2 ლ მოცულობის ძრავებითაც აღიჭურვება. ■

ლეგენდარული Rover ჩინელებმა იყიდეს

გაკოტრებული ბრიტანული კომპანია MG Rover-ის ახალ მფლობელად კონცერნი – Nanjing Automobile გახდა. ამის შესახებ სულ ცოტა ხნის წინ ოფიციალურად გამოაცხადა საკონსულტაციო ფირმის – PriceWaterhouseCoopers-ის წარმომადგენელმა, რომელიც გაკოტრებული ავტომწარმოებლის საქმეებს აგვარებს. გარიგების თანხას არ ასახელებენ, მაგრამ ბრიტანელ ექსპერტთა შეფასებით, ის 50-დან 60 მლნ გირვანქა სტერლინგამდე იქნებოდა. ბოლო მომენტამდე ვარაუდობდნენ, რომ „როვერის“ ახალ მეპატრონედ სხვა ჩინური კომპანია – SAIC (Shanghai Automotive Industrial Corporation) მოგვევლინებოდა, მაგრამ მისმა კონკურენტმა ინგლისელებს უფრო ხელსაყრელი პირობები შესთავაზა და გაიმარჯვა. მაგალითად, Nanjing-ის მესვეურთა დაპირებით, საწარმოო ბაზის ნაწილი დიდ ბრიტანეთში დარჩება და იქ MG Rover-ის სპორტულ მოდელებს გამოუშვებენ, ეს კი 2 ათასი სამუშაო ადგილის შენარჩუნებას ნიშნავს. სახელგანთქმული მარკის მასობრივი მოდელების წარმოება კი ჩინეთში გადაინაცვლებს.

ბრიტანეთის უკანასკნელი დამოუკიდებელი ავტომწარმოებლის გაკოტრების პროცედურა ა.წ. აპრილში დაიწყო. სწორედ მაშინ დადგინდა, რომ ფირმის ყოველთვიური ზარალი 25 მლნ გირვანქა სტერლინგს აღწევდა. სამსახურიდან დაითხოვეს 5 ათასი მუშაკი, რომელიც ავტოგიგანტის წარმოებებში იყო დასაქმებული, გაჩერდა კონვეიერები, სიმბოლურ ფასად გაიყიდა საწყობებში დაგროვილი მანქანები. ■

ცნობილი „ხოჭოს“ „თანამოძმე“



Citroen 2 CV – ისეთივე ლეგენდაა, როგორიც „ფოლკსვაგენის“ სახელგანთქმული „ხოჭო“. 1990 წლიდან მოყოლებული – ე.ი. მას შემდეგ, რაც 2CV წარმოებიდან ამოიღეს, დღემდე 5 მლნ-ზე მეტი პატარა „კუზიანი“ მანქანა იქნა გამოშვებული. ბუნებრივია, „სიტროენის“ თაყვანისმცემლები ელოდნენ, რომ კომპანია თავის საკულტო მარკას ააღორძინებდა – ისევე, როგორც ეს „მინისა“ და „ხოჭოს“ შემთხვევაში მოხდა. მაგრამ Citroen C3 Pluriel, რომელსაც სახურავი ეხსნება, მხოლოდ დიზაინის ცალკეული ელემენტებით მოგაგონებთ 2CV-ის. ახლა კი, ძველი „სიტროენის“ განახლებული ვარიანტის შექმნა პარიზის სადიზაინერო სკოლის – Creapole-ის სტუდენტებმა გადაწყვიტეს. გიომ დანიელმა, ჟულიენ ლებელმა და რიშარ პედრონმა მათ მიერ შემუშავებული, XXI საუკუნის 2CV-ის კომპიუტერული ვარიანტი წარმოადგინეს. პროექტს Evoque-ის სახელი მიენიჭა. ახალი ვერსიის სილუეტი ზუსტად იმეორებს „სიტროენის“ ლეგენდას, ტრადიციულ სტილშია შესრულებული მისი ფრთები და საბორბლე დისკები. რაც შეეხება ოპტიკას – ის მთლიანად თანამედროვე დიზაინის მოთხოვნების შესაბამისია. ქსოვილისგან დამზადებული სახურავის ნაცვლად, სტუდენტები გამჭვირვალე ვარიანტს ანიჭებენ უპირატესობას. თუმცა, პროექტის ყველა სიკეთის მიუხედავად, მისი შემდგომი ბედი ჯერჯერობით უცნობია. ■



მასპინძის ძალები

ლუბა ელიავილი

(დასაწყისი „გზა“ №28-34)

ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა ცდილობს, იდუმალებით მოცული მკვლელობის ამბავში გაერკვეს: ღამით, მთაწმინდაზე ვიღაცამ მოკლა განდეგილად მცხოვრები მხატვარი თომა და დაჭრა ნიორას ლაბრადორი ბონი. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მომხდარ მოვლენებთანაა დაკავშირებული. სამ მეგობარს — ანტონ დარჩიას, თომა გოგოლაშვილსა და ლევან მანჯავიძეს ერთი გოგო — თამარ სანაძე ჰყვარებია. მან თომას გრძნობას უპასუხა, მაგრამ ქალ-ვაჟის ურთიერთობას გოგოს ბებია, ნუცა დადიანი აღუდგა წინ. წლების შემდეგ, თამარი ვინმე არდაშელიას გაჰყოლია ცოლად, ბებიამისმა კი, რაღაც ძვირფასეულობა ანტონსა და მის ნაშვილებ ბიჭს — ბაკურს დაუტოვა...

რადიოგადაცემის დროს, რომლის თემაა მოჩვენებები, სტუდიაში რეკავს კაცი, რომელიც ჟურნალისტს ოიდიპოსის მეტსახელით წარუდგება და ქალის მკვლელობას ახსენებს. მოკლული, ვინმე თამილა არდაშელია იყო. მისი მეზობელი, მეტსახელად „შავი მარო“, წარსულში ბებიაქალი, ჩვილის გაყიდვის ბრალდებით იყო გასამართლებული. მშობიარე, სწორედ თამილა არდაშელია — იგივე თამარ სანაძე ყოფილა...

ლევან მანჯავიძე ნიორას შინ ეწვევა და სთხოვს, მისი შვილის — 22 წლის ბაიას მოძებნაში დაეხმაროს. როგორც შემდგომ, ლევანის ცოლთან, ესმასთან შეხვედრისას მარიანა შეიტყობს, ბაია ნარკოტიკებს ეძალება და ახალგაზრდა მხატვარ ბაკურ სანაძეზეა შეყვარებული.

ნიორა ხეზე აგებულ ქოხში მცხოვრები, შერეკილი თომას სანახავად მიდის, რომელიც რაღაც სურათის ჩვენებას დაჰპირდა. მის ცარიელ ქოხში ჟურნალისტი ერთ უცნაურ სურათს ნახავს: მასზე თავად მხატვარია გამოსახული, რომელსაც მუხლებზე საკუთარი ასლები, ოღონდ, ერთი — კეთილი და ხალისიანი, მეორე კი — მოღუშული და ბოროტი — უსხედან.

სათვალთვალო ვიდეოკამერები ნიორას სახლში დააფიქსირებენ ლევანის ფარულ ვიზიტს. მოსამსახურე ნაზიკო გამოუტყდება ჟურნალისტს, რომ დაშანტაჟების გზით, მანჯავიძემ დაითანხმა იმაზე, რომ შინ შეეშვა. ლევანი იქ ნუცა დადიანის მიერ ანტონისთვის ნაანდერძევ, „ფაბერჟეს“ კვერცხს ეძებს.

ნიორა „შავ მაროს“ ესტუმრება, რათა მისგან 3 მეგობრისა და თამილას ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ შეიტყოს.

— ეს არის თამილა არდაშელია? — ვკითხე გამომძიებლის მკაცრი ხმით.

— ეგაა. აი, როგორი ყოფილა მაგისი წითელი კაბა. ეგრე ამბობდა, ჩემს სიყვარულს წითელ კაბაში მოვეწონეო. ქორწილშიც მაგ კაბის ჩაცმას აპირებდა, მაგრამ...

— იცოდით, თამილას ბავშვი რომ ჰყავდა გაშვილებული? — ვკითხე ბებიაქალს. გადავწყვიტე, ბაკურზე რაც შეიძლება მეტი გავიგო, ვიდრე ამ საღამოს სახელოსნოში მარტო გავყვები.

— სალომე არაბულზე მეკითხები? გამომძიებელს ადრევე ვუთხარი, მაგ საქმეში ვერავინ შემედავება. მე არც ჩავრეულვარ, თვითონ დატოვა სამშობიაროში. ჩემმა ბიძაშვილმა კი იშვილა, მაგრამ შემთხვევით დაემთხვა. მერე გავიგე, ეგ ბავშვი რომ წაუყვანია.

— როგორ? სალომეც თამილას შვილი იყო? — გავიოცე გულწრფელად.

— შვილიც იყო და მისი ალი-კვალიც. მამა ვინ იყო, არ მკითხო. თამილას არ უთქვამს. თურმე არც სალომეს ახლობლებმა იცოდნენ, ვისგან იყო ორსულად.

გამიხარდა, ჩემთან ასეთი სიტყვაუხვი რომ გახდა „შავი მარო“. მირიან ბოკუჩავა, როგორც ამბობს, „გაზით“ ჰგლეჯდა სიტყვებს.

— მე სხვა შვილზე გკითხეთ. ბიჭი არ ჰყოლია, თუ იცით?

— მაგისას რას გაიგებ. თანაც, მაშინ მე არც ვიცნობდი, — უხეშად შემაწყვეტინა ყოფილმა ბებიაქალმა. გულში გამეცინა: თან ამბობს, რომ არაფერი იცის ბიჭის შესახებ, თან — „მაშინ არ ვიცნობდი“. აბა, საიდან იცის, როდის იყო ეს „მაშინ“?!. ჩემი მასპინძელი ძალიან რომ არ დამეფრთხო და სულ არ გამოვეგდე სახლიდან, თემა შევცვალე:

— ლევან მანჯავიძეს თუ შეხვედრიხართ? თამილასთან ხომ არ მოდიოდა ხოლმე?

— თამილა არ იკარებდა, ჩემთან დადიოდა საწუწუნოდ. ღობეს კოცნიდა რაღა, ვაზის სიყვარულით... — გაეცინა ჩემს მასპინძელს. ეს ფლანელისხალათიანი დედაბერი არც ისეთი გულუბრყვილოა, როგორიც წეღან მეგონა.

— უყვარდა თამილა?

— მაგისას რას გაიგებდი. სულ აქ დაწრიალებდა. მაგრამ მერე ცოლმა აუფრინა ოფოფები და გაგვეცალა. მაგას, ასე მგონია, ფულის გარდა, არც არაფერი უყვარს.

— მის ცოლსაც იცნობთ?

— აბა! თამილას ერთი ეგა ჰყავდა დაქალი და მეორე — მე. პანაშვიდზეც არ მოსულა ეგ გათახსირებული, მანამდე სულ სახლში ეჯდა. ეს თავადის ქალი მეზობლებმა დავმარხეთ, სამადლოდ. ეგ ურევდა თავგზას, თომაც მაგან დააკარგვინა.

— თომას ამბავიც იცით? — ვკითხე დაიმედებულმა. იქნებ, ახლა მაინც წამოვაცდენინო რამე ბაკურზე.

— როგორ არ ვიცი! მაგ თომას გარდა, არც არავინ ჰყვარებია თამილას. იმ გოჩა არდაშელიას ცოლი სულ ორი თვე იყო. მერე გამოექცა... უცნაური გოგო იყო: არც დედა უყვარდა, არც შვილები... ეეე, შვილი... — მაროს ენა დაება, მაგრამ არ შეიმჩნია. — აი, თომა კი უყვარდა. ზოგჯერ უთქვამს, ჩემი ავხორცობის გამო დავკარგე ერთადერთი სიყვარულიო. რომ დათვრებოდა, მაშინ იცოდა ტირილი და მოყოლა. მეორე დღეს, აღარაფერი ახსოვდა. ეგეთი სიმთვრალე ჰქონდა. არც იმღამინდელი ამბავი ახსოვდა. დილას რომ გაიღვიძა და თავის საწოლში ლევანი დახვდა, თავის მოკვლა უნდოდა თურმე. იმ შუა ზამთარში, ემაგ წითელი კაბით გაქცეულა სახლ-

იდან... ესმას დაბადების დღეზე დაულევიათ. თომას ვიღაც ქალები გაუცილებია შინ. მთვრალი თამილა ვერ იხსენებდა, როგორ აღმოჩნდა ლევანი მის გვერდით. დაქალს უთქვამს, თვითონ შეათრიე ოთახში, თითქმის ძალით, იმაზე გაბრაზდი, თომა გოგოებს რომ გაჰყვაო... მე კი მგონია, იმ გველაძუა ესმამ მოუწყო ეგ ამბავი. ალბათ, არც არაფერი ყოფილა და ლევანამ და ესმამ გააბრიყვეს... ვეუბნებოდი, უგონოდ მთვრალს, თავისი ხელით მოგიწვენდა გვერდით საკუთარ ქმარს-მეთქი... თომაც იმან დააყენა თავზე. არ მიჯერებდა. სულ ის ესმა ჰყავდა გულის მესაიდუმლედ.

— ესმას თქმით, იმ დროს თამარი ფეხმძიმედ იყო.

— ეგ არ ვიცი, — ისევ გაბრაზდა ყოფილი ბებიაქალი. — კარგი, გეტყვი, — გამომიცხადა უეცრად. — ოცდაორი წლის წინ, თამილას გოგო გაუჩნდა. მე ვამშობიარე სახლში, მაგრამ იმ ბავშვის გაშვილებაში მონაწილეობა არ მიმიღია. ესმამ წაიყვანა, არც კი ვიცი, ვის მისცა, ალბათ, თავისთვის დაიტოვა. მაგ ამბის მერე, კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. მერე გავიგე, შვილი შეეძინაო.

— თქვენ ამტკიცებთ, რომ ესმას ქალიშვილი, ბაია სინამდვილეში, თამილას შვილია? — გავიკვირვე მე. — ეს ყოველივე ბრაზილიურ სერიალს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ამბავს...

— არაფერსაც არ ვამტკიცებ, ჩემი ვარაუდი გითხარი. თამილა ამბობდა, არც ერთი შვილი არ მჭირდება, თუ თომასგან არ მეყოლებაო. არც არასდროს მოუკითხავს თავისი რომელიმე ნაშიერი. აბორტს არ იკეთებდა, შვილს ვერ მოვკლავო... ეგეთი გიჟი იყო. ან რას აჩენდა ამ ბავშვებს?.. კიდევ კარგი, სალომე სამშობიაროში გააჩინა: სისხლდენა აუტყდა, ძლივს გადაარჩინეს. საშვილოსნოს ამოკვეთა დასჭირდა. მაგის მერე, თვითონაც დაისვენა და მეც მომასვენა.

— ბიჭი არ ჰყოლია თამილას, თომას შვილი? — არ ვეშვები ლაპარაკის საღერღელაშლილ მაროს, თან ვნანობ, ესმასთან წასვლამდე ჯერ აქ რომ არ მოვედი: იმ ბოროტ ქალთან უფრო თავდაჯერებულიც ვიქნებოდი და მეტსაც გავიგებდი.

— რავი, თუ ვინმე ჰყავდა, ჩემთან არ უხსენებია. შვილებს გულიდან რომ მოიგლეჯდა, ისე ივიწყებდა, ვითომ არც ჰყოლია. — მარო ისე გაჩუმდა, მივხვდი, მეტს ამ საკითხზე აღარაფერს მეტყოდა და ისევ შევცვალე თემა:

— ამბობენ, რაღაც ძვირფასეულობა ჰქონდაო. თქვენ ხომ არ იცით, ვის დაუტოვა?

— რომ მითხარი, ფულს გადაგიხდიო, სად არი? — დაინტერესდა „შავი მარო“. — გულისჯიბიდან ამოვიღე ასდოლარიანი და მაგიდაზე დავდე.

— კარგი, მაგ შეკითხვაზეც გიპასუხებ და თავი გამანებე. თამილა მართლა ამბობდა, დიდძალი ქონება აქვს დედაჩემს, ვიღაც ფაბენჟეს კვერცხები, გენერალმა საყვარელმა აჩუქაო, მაგრამ მე არა მჯეროდა. რა ვიცი, თამილას ბუს კვერცხებს ჩუქნიდნენ საყვარლები, ნუცას რატომ აჩუქებდა თავის კვერცხებს ის ვიღაც ფაბენჟე?.. ანდა იმის „ბებერი“ კვერცხები რატომ ღირდა მილიონი...

გამეცინა.

— ფაბენჟე კი არა — ფაბერჟე.

— ...ჩემს ნათქვამზე თამილაც სულ იცინოდა. მერე ის ლევანაც მოვიდა და იმანაც იგივე ლაპარაკი დაიწყო. მეუბნებოდა, თამილას ათქმევინე, ნუცა სად ინახავს კვერცხებს და ბედსა გწევო. თამილა ამ ამბავმა ძალიან გააბრაზა, მანჯავიძე სახლიდან გააგდო, მე კი ჟურნალი მაჩვენა, რომლის ყდაზე სულ ბრილიანტებით მოჭედილი ოქროს კვერცხი ეხატა. მითხრა: აი, ეს არის ფაბერჟეო; მე რომ ბავშვობაში, დედაჩემის ზარდახშაში ვიპოვე, ასეთივე ლამაზები იყო. სულ ახალგაზრდა, თექვსმეტი წლის ნუცა ვიღაც ბებერ ბოლშევიკ გენერალს შეჰყვარებია და იმისგან დარჩენია ორი ცალი „კელშის კვერცხი,“ რომელიც საიმპერატოროს არ ჩამოუვარდება. იმ ჟურნალში წავიკითხე, კარლ ფაბერჟეს დამზადებული ნივთების ნაწილი მართლაც დაკარგულა და განადგურებულა ოქტომბრის რევოლუციის დროს. ეგ ალექსანდრ კელში კი უმდიდრესი კაცი და ციმბირის ოქროს საბადოების მეპატრონე ყოფილა. შესაძლებელია, მართლაც ჰქონდა რაიმე მაგდაგვარი ნუცა დადიანს, მაგრამ მე მეტი არაფერი ვიცი.

მაგარი „დაგრუზული“ წამოვედი „შავი მაროსგან“. უკვე ვიცოდი, რასაც ეძებდა ჩემს სახლში ლევან მანჯავიძე. ნუცა, ანტონ დარჩიას ბინიდან გაასვენეს. ალბათ, ლევანს ჰგონია, რომ ქალმა თავისი ძვირფასეულობა სახლში დამალა.

რა კავშირი ჰქონდა ამ ამბებთან თომას და რატომ მოკლეს, ან ვინ იყო ის მანიაკი, ვინც თამილას და მის ქალიშვილს, სალომეს ასე სასტიკად გაუსწორდა, — კვლავ საიდუმლოდ რჩებოდა. ვერც ის გავარკვიე, თუ სად არის ბაია მანჯავიძე. რადაც არ უნდა დამიჯდეს, დღეს კიდევ ერთხელ შევხვდები დედამისს. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ იცის, სად არის მისი ნარკომანი ქალიშვილი და მალავს.

ჩემი მობილი აწკრიალდა. მაღრაძე რეკავს.

— მარიანა, მე ვარ. ალეკოს ველაპარაკე. დავარწმუნე, რომ თომა ნამდვილად დაღუპულია. ალბათ, ერთ ჩხრეკას კიდევ ჩაატარებენ. თუ ვერაფერი იპოვეს, ალეკოს ვერ გადავურჩებით. არსად წახვიდე, სახლში დაგველოდე. რა იცი, რაში დასჭირდები ბაღაშვილს. — ეტყობა, ძალიან ღელავს: სრულ სახელს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მეძახის. მისი შიშების გამო, ბაკურ სანაძესთან სტუმრობას ნამდვილად ვერ გადავდებ.

— სახლში ვერ დაგელოდებით, მაგდას დავალებით საქმეზე ვარ გასასვლელი. — ვიცრუე ურცხვად. — თუ დაგჭირდებით, მობილზე დამიკავშირდით.

— ფრთხილად იყავი, — დამემშვიდობა შეფი.

უბანში მისულს, მთაწმინდაზე დიდი ჩოჩქოლი დამხვდა. გზაზე პოლიციის რამდენიმე მანქანა იდგა. უბნელებიც იქვე ტრიალებდნენ, მათ შორის, ლევან მანჯავიძეც დავინახე. „ვერ ისვენებს, მკვლელი, დანაშაულის ადგილზე ბრუნდება“... — გამახსენდა, ბავშვობაში წიგნებში ამოკითხული. სანამ ქმარი სახლში არაა, ესმას კიდევ ერთხელ ვნახავ. ახლა მასთან შესახვედრად უკეთ ვარ მომზადებული...

კარი ისევ ესმამ გამიღო. ამჯერად წითელი თავსაფარი წაუკრავს თავზე, ცოტა პომადაც უსვია, ტანზე შინდისფერი კიმონო აცვია. ამ ქალის დანახვისას, სულ ვიბნევი. მის გამჭოლ მზერას თვალს ვერ ვუსწორებ. ჩემი წინასწარ დაწყობილი ტექსტის არც ერთი სიტყვა აღარ მახსოვს.

— რა გნებავთ? — დაინტერესდა ცივად.

— ლევანი შინ არ არის.

გამოსავალი მისმა წითელმა თავსაფარმა მაპოვინინა:

— ერთი ფოტო უნდა გაჩვენოთ, ხუთიოდე წუთს თუ დამითმობთ, — სხაპასხუპით ვაყრი, თან ჩანთაში ვიქექები. უხერხულად ამოვიღე სურათი, მუყაო ასძვრა. ფოტოს უკან რაღაც აწერია. დავინტერესდი, ლურჯი პასტით დაწერილ სტრიქონებს ჩავაშტერდი.

„წითელ ლომს ფეხებს დააცლი, შუა

გადუხსენ თავია,

მუცლიდან რასაც გადმოჰყრის, საამო სანახავია", — გაოგნებული დავცქეროდი ამ სისულელეს. ესმამ ფოტო გამომართვა.

— ნუცა დადიანის ნაწერია, მაგან იცოდა ასეთი „გაპრანჭული" ასოების გამოყვანა. მართლაც ლომს არ ჰგავს, ოქროსფაფრიანს?.. — მიმითითა ფოტოზე და გაყუჩდა. ასე ვდგავართ, კარის ზღურბლზე. ესმა ჩემს შეპატიჟებას აშკარად არ აპირებს. გავბრაზდი. ფოტო ხელიდან გამოვგლეჯე.

— ქალბატონო ესმა, სად წაიყვანეთ ის პატარა გოგონა, თამილამ ოცდაორი წლის წინ, სახლში რომ გააჩინა? — სუსხი გავურიე ხმაში.

— ვალდებული არ ვარ, თქვენს შეკითხვებს პასუხი გავცე, — მომახალა უხეშად და ცხვირწინ მომიჯახუნა კარი. მეტი რაღა დამრჩენოდა? გაწბილებული დავბრუნდი სახლში.

ნაზიკო შეშფოთებული დამხვდა.

— მაკო, ლუკა გამოვტეხე, რაცხა დოუნახავს.

— რა დაუნახავს?

— ვინცხა გრძელპლაშჩიანმა კაცმა თომა რაფრა მოკლა და დამარხა. გათქმა შეშინებია, მეც არ მომკლასო.

— იცის, ვინ იყო ის კაცი?

— არა, მაი ვერ დოუნახავს, მიტო შეშინებია: მაინც ვერ დეიჭერენ და მე არ მაპატიებს გათქმასო. საშინელი კაცი ყოფილა, ხმალი მოუქნევია და თომასთვის თავი მოუსხეპიაო. მერე ადიალაში გოუხვევია და ზურგზე მოუკიდებია. მაშინ დატაკებია შენი ძაღლი. ქარქაში დრუზა თურმე თავში ძაღლს და ხევში გადოუძახა. ამასობაში ადიალიდან გავარდნია თომას თავი.

— ლუკა რას აკეთებდა ამ დროს?

— შენი ყვირილი გოუგია, მარა იმფერი შეშინებული ყოფილა, ბუჩქებში გატრუნულა.

— გამომძიებელს დაურეკე, ბაღაშვილს და ყველაფერი უთხარი. ასე მირჩევნია. მე ძალიანაც რომ მთხოვოს, აღარ დავურეკავ ალეკოს. ბავშვმა რამე რომ აურიოს და იმ ადგილს ვერ მიაგნოს, სადაც თომა დამარხა მკვლელმა, ისევ მე უნდა დამიძახონ მატყუარა და ფანტაზიორი.

ნახევარ საათში, ჩვენს ეზოს მანქანა მოადგა. ბონი მომიყვანეს. ვეტკლინიკას სპეციალური მანქანა ემსახურება, რომელსაც ძაღლები დაჰყავს. გამოჯანმრთელებული ლაბრადორი ჯერ ისევ სუსტადაა, მოწყენილი წამოწვა კართან. ნაზიკომ საჭმელი დაუდგა და ალეკო ბაღაშვილთან შესახვედრად გაიქცა. მე კომპიუტერს მივუჯექი და ჩემი ფოსტა გავხსენი. მაგდას წერილი დამხვდა. „ჩემო კარგო ჩიპოლინო, მარინა დარჩიას მივაგენი, აქ ცხოვრობს, ბრუკლინში. ტელეფონით ველაპარაკე. ხვალ შევხვდები. თუ რამე საინტერესოს შევიტყობ, მოგწერ. ორ დღეში ჩამოვალ. გკოცნი, მაგდა". ის იყო პასუხის დასაწერად მოვემზადე, ტელეფონი აწკრიალდა.

— გამარჯობა, ქალბატონო მარიანა. აკაკი გაწუხებთ, დაცვის პოლიციიდან. თქვენი ძაღლი დავინახე ეკრანზე და გამახსენდა, რომ სამი დღეა, არ გამოჩენილა. რა დაემართა? ცუდად ხომ არ არის?

— ახლა უკვე კარგადაა. სეირნობის დროს დაშავდა. რატომ შეგაწუხათ ჩემი ძაღლის ჯანმრთელობის მდგომარეობამ? — გავოცდი მე.

— თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ, ქალბატონო მარიანა. მე და ილია დავნაძლევდით: ეგ მიმტკიცებს, ადრე ძაღლი ეზოში ჰყავდათ, შინ არ უშვებდნენ, ახლა ეტყობა, ავადაა და სახლში იმიტომ ჰყავთო; მე ვეუბნები, უკანა კარიდან შედიოდა და იმიტომ ვერ ხედავდი-მეთქი. სულ ერთი ღამის დამონტაჟებული იყო შიდაკამერა და მაშინვე დავინახე, ძაღლი როგორ გაიყვანეთ სახლიდან. მაგას რა დამავიწყებს? იმ დღეს იყო, ის კაცი რომ შემოაპარა სახლში ნაზიკომ. ცხრაჯერ ვნახე. ამას აუჩემებია — თუ სახლში უშვებენ, ახლა რატომ არა ჩანსო? ვეუბნები, იმიტომ არ ჩანს, რომ სახლში არა ჰყავდათ-მეთქი. აკი, აღარც ეზოში დამინახავს.

— დიახ, დიახ, საერთოდაც სახლში გვყავს, — ვუთხარი დაბნეულმა. უეცრად, თითქოს თავში კეტი ჩამცხესო, გონება გამინათდა...

— დიდი მადლობა, ქალბატონო მარიანა, — ხარობს პოლიციელი, ათი „ბანკა პივა" მოვუგე. — აღარაფერი მესმის, ყურმილს ვკიდებ. აკაკი მართალია: ეს სწორედ ის დღე იყო, როცა ბონი დაშავდა და თომა მოკლეს. ამ დროს ლევან მანჯავიძე ჩემს სახლში იყო თითქმის ორი საათის განმავლობაში. სწორედ ის ვიდეოკასეტა, რომლის გამოც ყველაფერში მთავარ დამნაშავედ მანჯავიძე ჩავთვალე, მის ალიბის წარმოადგენს. ლევანი შესაძლოა, უსინდისო კაცია, მაგრამ თომას მკვლელი არ არის. ქალებმა ხომ თომა ჩემი სახლიდან გამოსვლის შემდეგ ნახეს, ყვავილების თაიგულით ხელში; ლევანი ამ დროს უკვე ბიბლიოთეკაში იქექებოდა... ღმერთო ჩემო, როგორი ბრმა ვიყავი! გამოდის, რომ საეჭვო პირებიდან მხოლოდ ბაკური რჩება!.. კიდევ — ესმა, მაგრამ წარმოუდგენელია, მანჯავიძის სუსტმა ცოლმა ვინმეს ხმლის ერთი მოქნევით წააცალოს თავი. ისევ ბაკური გამახსენდა, როგორ იქნევდა ხმალივით გრძელ ჯოხს. სულ დავკარგე ჭკუა: ვის მივყვები სახლში?!. — გავიფიქრე და ზარიც დაირეკა. ბაკური გამომეცხადა, ხელში ყვავილების უზარმაზარი თაიგული ეჭირა, პირი ყურებამდე ჰქონდა „გახეული".

— მაქვს პატივი, მიგიწვიოთ ჩემს ციხეკოშკში, — მითხრა და ხელი გამომიწოდა. კოშკი არ ვიცი და მისი სახელოსნო ჩემთვის ციხედ არ გადაიქცეს... იქნებ, ბაიაც სადღაც იქ ჰყავს ჩაკეტილი?.. ამდენი ჭოჭმანის მიუხედავად, ნარნარად გავუღიმე და მის ლამაზ „მერსედესში" ჩავჯექი. პოლიციის მანქანებს ახლა მანჯავიძეების სახლთან გადმოენაცვლა. იქვე „სასწრაფოც" იდგა.

— რა მოხდა? — ვიკითხე, მანქანიდან თავგაყოფილმა.

— ლევან მანჯავიძემ თავი მოიკლა. პისტოლეტი მიიდო საფეთქელზე და გაისროლა,— მიპასუხა მებაღე შაქრომ,რომელიც ჩვენი ეზოდან გამოსულიყო და შეკრებილ ხალხში იდგა.

— რატომ მოიკლა? — გაოგნებული მივაშტერდი შაქროს.

— ეჰ, ალბათ, ცოლის უბედურებას ველარ გაუძლო. ესმას ისევ შეტევა მოსვლია, ლევანს „სასწრაფო" გამოუძახებია. მერე თავის კაბინეტში გასულა და ტყვია უსვრია. აბა, ამ უბედური ესმას ცხოვრებას რაღა აზრი აქვს?!. კარგი კაცი იყო ლევანა, ოცი წუთის წინ, ჩვენს ჭიშკართან მოვიდა, მელაპარაკა. ისეთი გულნატკენი ვარ, ველარ გავჩერდები, იქნება, სახლში გამიშვათ? — ვიშვიშებდა შაქრო.

— რას გელაპარაკებოდა ლევან მანჯავიძე სიკვდილის წინ? — ვკითხე შაქროს და დაუფიქრებლად გადმოვედი მანქანიდან. ცნობისმოყვარეობამ მძლია.

— ცოლისთვის დაბადების დღეზე ანტიკვარული მაგიდის ჩუქება უნდოდა. ესმა გიჟდება ძველებურ ნივთებზე. მე მითხრა, ანტონას რომ ლომისფეხება, წითელი ხის მაგიდა ედგა, იმისთანას ვეძებო. მეც ვუთხარი, ნუცა დადიანის დანატოვარი, საწერი მაგიდა წყნეთში, სარდაფში რომ ჩაგვატანინა ქალბატონმა მაგდამ. წყნეთის მისამართი მკითხა, ორ კვირაში ჩემი ცოლის დაბადების დღეა და მაგდას დავურეკავ, იქნებ, მომყიდოსო.

— ესმას დაბადების დღე ზამთარშია, — წამომცდა ანგარიშმიუცემლად. დავფიქრდი. „იმ შუა ზამთარში, ემაგ წითელი კაბით გაიქცა სახლიდან", — გამახსენდა მაროს ნათქვამი. თამარს ხომ ის ამბავი ესმას დაბადების დღეზე შეემთხვა!.. სიკვდილის წინაც იცრუა ლევანმა. ახლა ივნისია, მისი ცოლის დაბადების დღემდე ნახევარი წელია დარჩენილი...

— რაო? — ჩამეკითხა შაქრო.

— შეგიძლია, სახლში წახვიდე, — ვუპასუხე და მანქანისკენ შევტრიალდი. ბაკური მთელი ამ ხნის განმავლობაში მანქანაში ივჯდა და უდრტვინველად მელოდა. მისი აუღელვებელი ფიზიონომიის შემყურეს, ენა არ მომიბრუნდა, ჩემი უკან, შინ წაყვანა

შემეთავაზებინა. სააღდგომოდ დასაკლავი კრავივით შევყევი ლიფტში... სადარბაზოში, კარის წინ რექსი დაგვხვდა დაბმული. ალერსით შემოგვეგება.

ლამინატის თანამედროვე, მსუბუქი ავეჯით გაწყობილი ბაკურის სახელოსნო მხატვრის სამუშაო ადგილისთვის ზედმეტად კრიალა და მოწესრიგებული მომეჩვენა. კედლებზე ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატები კიდია. ნახატები ძირითადად, ჰიპერრეალისტურია. არ მიყვარს ეს მიმდინარეობა. აქ გამოფენილი ნახატების უმეტესობაც, უნიჭო ფოტოგრაფიას მაგონებს. ერთი, ჩარჩოზე გადაჭიმული, „დაგრუნტული“ ტილო მოლბერტზე დევს. ჩემთვისაა მომზადებული, — გავიფიქრე და წუხანდელი სიზმარი გამახსენდა. ლიმონისფრად შეღებილ კედლებზე ბევრი სხვა ნივთიც ეკიდა, ჩემი აზრით — ნახატებზე საინტერესო: აფრიკული ტამტამები, ბანჯო, მექსიკური ფართოფარფლიანი ქუდი, იაპონური წვერწაჭრილი ხმალი „კატანა.“ არ მესიამოვნა ამ ხმლის დანახვა. ვინ იცის, იქნებ, სწორედ მაგით მოჰკვეთეს თავი თომას...

— ხომ არ გაგიგონიათ, სად წავიდა ის მოხუცი მხატვარი, ხეზე რომ ცხოვრობდა? — ვკითხე გულუბრყვილოდ. ცეცხლს ვეთამაშები, მაგრამ მირჩევნია, ბაკურს ეგონოს, რომ მასზე ეჭვი არა მაქვს და ამიტომ არ ვერიდები თომაზე ლაპარაკს.

— მამაჩემი თომა? — გაიცინა ბაკურმა. — მაგისას რას გაიგებ? სადაც უნდა, იქ არის. ისე, არც ისეთი მოხუცია — ორმოცდაშვიდი წლისაა, ჭკუა კი, თხუთმეტი წლის იდეალისტი მოზარდისა დარჩა...

— თომა მამათქვენია? — გავიოცე, ჩემი აზრით — ძალიან ბუნებრივად.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ეგ ამბავი მეც ამ ცოტა ხნის წინ გავიგე და ძალიან გამიკვირდა. — ბაკურმა მაგიდაზე ხილით სავსე, ლითონის ლანგარი დადგა. — მირთვით, ნახეთ, რა ლამაზი ნატურმორტია. ხომ გინახავთ, „გოგონა ატმებით“! თქვენ იქნებით „გოგონა გარგარით და ალუბლებით“.

— ბაკურ, გუშინ ჩემს ეზოში როგორ გაჩნდით? რატომ იდექით ფანჯარასთან? იცით, ძალიან შემეშინდა, — ჩემმა შეკითხვამ ბაკური აშკარად დააბნია.

— მარიანა, ვინმე თუ შეგყვარებიათ ერთი ნახვით?

— არავინ. ჩვენ თუ აქ სიყვარულზე სალაპარაკოდ მოვედით, მე წავალ...

— იცით, სიამოვნებით დაგხატავდით და ისე გეტყოდით ჩემს სათქმელს, მაგრამ ხატვა არ მეხერხება, ამიტომ გიმღერებთ.

ამ უკანასკნელმა განცხადებამ გამოგნა. ხატვა, მისი შემოქმედების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მართლაც არ ეხერხება, მაგრამ ასეთ თავმდაბლობას არ ველოდი. ბაკურმა კედლიდან გიტარა ჩამოიღო, იატაკზე ბრინჯაოს დიდი, ძველებური შანდალი დადგა, თვითონაც იქვე ჩამოჯდა და დაკვრა დაიწყო. ჩემთვის უცხო, სასიამოვნო მელოდიას უკრავდა. დავმშვიდდი. ვფიქრობდი, რით დამეწყო საუბარი, რომ „ვნებების მორევიდან“ საინტერესო თემაზე უმტკივნეულოდ და მშვიდობიანად ამომეყვინთა. მართალია, ეს ბაკური ძალიანაც მომწონს, მაგრამ ალბათ არ ივარგებს, მაღრაძეზე უიმედოდ შეყვარებულმა, ასე დაუფიქრებლად, უცხო კაცის ლოგინში ამოვყო თავი. ჩემი მეგობრების მშობლებისაგან განსხვავებით, დედაჩემს „თავისუფალ სიყვარულზე“ პროგრესული წარმოდგენა აქვს. თვითონ უკვე მეორედ გათხოვდა და ძალიან უკვირს, ჩემ გვერდით ოფიციალურ ბოიფრენდს რომ ვერ ხედავს. თუმცა, ისიც არ უნდა დავუკარგო, რომ ჩემს კომპლექსებს ანგარიშს უწევს და რა თქმა უნდა, არაფერს მაძალებს, მხოლოდ ხანდახან, გულდათუთქული დედის მზერას მომაჭერობს და ვატყობ, უიღბლო, არშემდგარ ქალად მივაჩნივარ. მე კი მგონია, რომ ჩვენი პატარა ოჯახისათვის ირას ორი „დიდი სიყვარულის“ ამბავი სავსებით საკმარისია და კვლავ ჩემი ერთადერთი ოცნების მამაკაცის თვალის ახელას ველოდები. სადარბაზოდან ძაღლის ყეფა შემომესმა და ფიქრის ძაფი გამიწყდა.

— მარიანა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა გითხრათ, ოღონდ, არ შემაწყვეტინოთ. — ფიქრში გართულმა, ახლაღა შევნიშნე, რომ ჩემმა გიტარიანმა ტრუბადურმა დაკვრა შეწყვიტა და სევდიანად მომაჩერდა.

— მე ხომ გთხოვეთ... — დავიწყე და სავარძლიდან წამოვიწიე.

— ნუ ღელავთ, სიყვარულზე არ დაგელაპარაკებით, — მკლავში ხელი წამავლო და ჩემს ადგილზე დამაბრუნა მასპინძელმა. — დახმარება მინდა გთხოვოთ. გავიგე, დედათქვენი ფსიქოლოგია. იქნებ, ამიხსნას ერთი ჩემი ახლობლის უცნაური საქციელი. ხანდახან მგონია, რომ ვცდები, რაღაც მეჩვენება. საოცარი გაორების მოწმე ვარ. ერთი და იგივე კაცი ხან სიკეთითაა სავსე, ხან ისეთი ბოროტია, მის გვერდით ყოფნის მეშინია. ამას თქვენ იმიტომ გეუბნებით, რომ მგონია, თქვენც გემუქრებათ საფრთხე. მეც არ ვარ ის, ვინც გგონივართ, სულ სხვა ადამიანი ვარ...

გულგახეთქილი ვუსმენდი მის აბდაუბდა აღსარებას. თვალები არაჯანსაღად უელავდა, შუბლზე ოფლის წვეთები გაუჩნდა... უეცრად, კედლის იქით რაღაც გაბრახუნდა. შევხტი.

— ერთი წუთით, ჩემს ნათქვამს რომ მიხვდე, ნახატს გიჩვენებ, — გამომიცხადა უეცრად, მეორე ოთახში გავიდა და კარი კარგად მოხურა. თომაც რაღაც სურათის ჩვენებას მპირდებოდა... ძალიან გავიბლანდე ამ მხატვრებსა და სურათებში. უცებ, ძალიან მომინდა აქედან გაქცევა. ლევანმა თავი მოიკლა, ბაია ისევ არსად ჩანს, ეს ბაკურიც უცნაურად მელაპარაკება. მაღრაძესთან მომინდა დარეკვა, მაგრამ შემრცხვა — გამახსენდა, როგორ მოვატყუე და მაგდას დავალება მოვიმიზეზე აქ გამოსაძრომად. კედელზე მიყუდებულ ტილოების გროვასთან მივედი. ერთ-ერთი თითქოს მეცნო. შემოვბრუნე. თომას სახლიდან დაკარგული ტილო იყო: სკამზე ჩამომჯდარი, გაორებული კაცი, თავისი ორი პატარა ასლით მუხლებზე... ესე იგი, ბაკურმა იცის, რომ თომა ცოცხალი აღარ არის და არ იმჩნევს: ნახატი ხომ ხის ქოხიდან მისი სიკვდილის შემდეგ წამოიღეს! იმ ღამესაც, საეჭვოდ აღმოჩნდა მოჭრილი თავის სიახლოვეს... ძალიან შემეშინდა. ნაზიკოს მობილის ნომერი ავკრიბე. გათიშულია. ის იყო, დარეფანში გასვლა და გაპარვა გადავწყვიტე, რომ ბაკურიც დავინახე. ჩემკენ მოდის, ჩუსტები და აბანოს ხალათი აცვია. ისეთი ლაპლაპი გაუდის, თითქოს ეს წუთია, აბაზანიდან გამოვიდა. ტანსაცმელიც გამოიცვალა. მოკლედ, დიდ გაუგებრობაში მაქვს თავი გაყოფილი. ძალიან გავბრაზდი საკუთარ თავზე, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე და უაზრო ღიმილი ავიკარი სახეზე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საქართველოში, ძალოსნობას რომ მდიდარი ტრადიცია აქვს, ეს 2-4 წლის ათენის ოლიმპიადაზე გიორგი ასანიძის მიერ მოპოვებულმა მედალმაც დაადასტურა. აქვე გეტყვით, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში ქართველებს სპორტის ამ სახეობაში მსოფლიოს, ევროპის ორგზისა და საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი გვყავდა. ეს პიროვნება დიტო შანიძე გახლავთ, რომელიც ამავე დროს მეხიკოსა და მუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელია. გარდა ამის, მან სამჯერ შეძლო მსოფლიო რეკორდის დამყარება და ერთხელ მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილიც დაიკავა. მიუხედავად ასეთი ტიტულებისა, აღსანიშნავია, რომ ბატონ დიტოს ბავშვობაში შტანგის აწევაზე საერთოდ არ უფიქრია და იგი ძალოსნობაში შემთხვევით მოხვდა.

როგორ გახდა ქარხნის მუშა მსოფლიო ჩემპიონი

მნვითნეოების შეცდომით დაჯახგული ოხი ოლიმპიუხი ოქხო

გიორგი ლანჩავა

ჯასრის აწევით დაწყებული სპორტული გზა

– 1961 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, მშობლიურ ქუთაისში დავბრუნდი და „ლიტოფონის“ ქარხანაში, სადაც რკინის კასრებში საღებავს ასხამდნენ, მუშად მოვეწყვე. ერთხელ, შესვენების დროს, დავინახე, რომ ჩვენი ქარხნის რამდენიმე მუშა ცდილობდა საღებავით სავსე კასრი მანქანის ძარაზე დაედო, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. მათთან მისულმა, 70-კილოგრამიანი კასრი მარტომ ავწიე და ძარაზე შევაგორე. ამის შემყურე ერთ-ერთმა ჩემმა თანამშრომელმა ძალოსნობაში ვარჯიშის დაწყება შემომთავაზა. სხვათა შორის, სამუშაოზე მიმავალს, გზად ძალოსნობის დარბაზის გავლა თითქმის ყოველდღე მიწევდა, მაგრამ შესვლა აზრად არასოდეს მომსვლია. ამ შემთხვევის შემდეგ კი დარბაზში შევიარე და როდესაც ჯერ 50-კილოგრამინი შტანგა ავწიე, ხოლო თანდათან 60, 70, 80 და ბოლოს 90 კილოგრამამდე გავზარდე, იქ მყოფმა მწვრთნელმა ბონდო კუჭუხიძემ ძალოსნობაში ვარჯიშის დაწყება შემომთავაზა. ეს პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელი გახლდათ, იმ პერიოდში აქტიური სპორტით თავადაც იყო დაკავებული. მართალია, შტანგის აწევის ტექნიკას ვერ ვფლობდი, მაგრამ ძალა მერჩოდა და ამიტომ 9 თვეში, საქართველოს ჩემპიონატზე პირად შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შევასრულე. რადგან ძალა ვახსენე, იმასაც გეტყვით, რომ თავის დროზე ერთ-ერთმა პიროვნებამ ასეთი რამ მითხრა: ძალიან ჰგავხარ ბაბუაშენს, რომელმაც წისქვილის ქვა ასწიაო. 1963 წელს, საქართველოს სპარტაკიადა გაიმართა, სადაც 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გავხდი. მაშინ ძალოსნობაში სპორტსმენები სამ მოძრაობას: აჭიმვას, ატაცსა და აკვრას ასრულებდნენ და სამჭიდის ჯამში 362,5 კილოგრამი ავწიე. თუმცა, ვიდრე ძალოსნობაში სერიოზულად ვარჯიშს შევუდგებოდი, თავს ერთი საინტერესო ამბავი გადამხდა. გამომდინარე იქიდან, რომ ქარხანაში სამუშაო დღე დილის 8 საათზე იწყებოდა, სავარჯიშოდ არ მეცალა და კუჭუხიძის შემოთავაზების მიუხედავად, დარბაზში არ მივსულვარ. საღამოს ქარხნიდან სახლში დაბრუნებულს დედამ მკითხა: ორი ცილინდრიანი კაცი იყო შენ სანახავად მოსული და რა დააშავეო? მეორე დღეს, სამსახურში მისულს საამქროს უფროსმა შემატყობინა, რომ ქარხნის დირექტორი მიბარებდა. ამ უკანასკნელის კაბინეტში შესულს, სპორტსაზოგადოება „განთიადის“, სადაც კუჭუხიძე იყო მწვრთნელად, თავმჯდომარე და მოადგილე დამხვდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, ჩემს სახლშიც ეს ხალხი იყო მოსული. დირექტორი დაინტერესდა, ძალოსნობაში ვარჯიში რატომ არ დავიწყე. მე ავუხსენი, რომ ჯარიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი და ვმუშაობდი, რათა ჯიბის ფული მქონოდა და ამის გამო, სავარჯიშოდ დრო აღარ მყოფნიდა. მან „განთიადის“ ხელმძღვანელების თანდასწრებით შემდეგი განმიცხადა: დღეიდან სამსახურიდან თავისუფალი ხარ, ივარჯიშებ, მაგრამ ქარხნიდან ხელფასს მაინც მიიღებო. აღსანიშნავია, რომ „განთიადის“ პირველი პირებისათვის ჩემ შესახებ კუჭუხიძეს შეუტყობინებია და 24 წლის ასაკში, ძალოსნობაში ვარჯიშს სწორედ ამ სპორტსაზოგადოებაში შევუდექი.

გაპარსული ულვაში

– 1966 წელს, საქართველოს ჩემპიონატზე აკვრაში საბჭოთა კავშირის რეკორდი დავამყარე, რომელიც მანამდე რაფაელ ჩიმიშკიანს ეკუთვნოდა და იგი ამიტომ ორი თვე ხმას არ მცემდა. ჩიმიშკიანის რეკორდი 145 კილოგრამი გახლდათ, ხოლო მე ნახევარი კილოგრამით მეტი ავწიე. ერთი წლის შემდეგ, თბილისში „მეგობრობის თასის“ ტურნირი ჩატარდა, სადაც პირველი ადგილი დავიკავე და სამჭიდში 377,5 კილოგრამი დავაგროვე, რითაც ქვეყნის ახალი რეკორდის მფლობელი გავხდი. იმავე წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ამიყვანეს და ჰელსინკში „ბალტიისპირეთის თასი“ მოვიგე. აღსანიშნავია, რომ ფინეთში ჩემს წონით კატეგორიაში ევროპის ძველი რეკორდი სამჭიდში 12,5 კილოგრამით გავაუმჯობესე. საერთოდ, ყოველ ახალ რეკორდზე ძალოს-

ნობის საერთაშორისო ფედერაცია გარკვეულ თანხას იძლეოდა და პოლონელი ნოვაკი, რომელიც სარეკორდო წონას 2,5-2,5 კილოგრამით ზრდიდა, ფულს ამით „აკეთებდა". იმ დროს, მე ფულზე არც ვფიქრობდი და ვცდილობდი, ყოველ შეჯიბრებაზე შესაძლებლობების მაქსიმუმი გამომევლინა. აქვე გეტყვით, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრის შემდეგ, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა არკადი ვორობიოვმა სპორტსაზოგადოება „განთიადის" თავმჯდომარე ავთო გიორგობიანს ჩემთვის 180 მანეთი სტიპენდია დაანიშნინა. 1968 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი და 1974 წლამდე ამ ტიტულის მოპოვება ზედიზედ ექვსჯერ მოვახერხე. ჩემს წონაში ყოფილ კავშირში ასეთი შედეგი არც მანამდე და არც მას შემდეგ არავის უჩვენებია. იმავე წელს, ლენინგრადში ევროპის პირველობა ჩატარდა, რომლის დაწყებამდე განვაცხადე, რომ თუ ჩემპიონი არ გავხდებოდი, ულვაშს გავიპარსავდი. მართლაც, ასპარეზობაში მე-2 ადგილი ავიღე და დღემდე ულვაში არ მომიშვია. ის ასპარეზობა პოლონელმა ნოვაკმა მოიგო, რომელმაც 2,5 კილოგრამით მეტი ასწია სამჭიდში. სხვათა შორის, მაშინ მწვრთნელ ვორობიოვის გამო წავაგე, რადგან მან შეჯიბრების დაწყებამდე, შარდმდენი აბები მომცა დასალევად, რათა წონაში დამეკლო. ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ თუ მე და ნოვაკი ერთნაირ შედეგს ვაჩვენებდით, ამ შემთხვევაში ვინც უფრო მსუბუქი იქნებოდა, ჩემპიონიც ის გახდებოდა. აღნიშნული აბების გადამკიდე, ყოველ წუთს საპრფუარეშოში „დავრბოდი" და გარდა იმისა, რომ ძალა გამომეცალა, თითებზე კრუნჩხვები დამემართა, რამაც ჩემი მარცხი გამოიწვია.

სპორტის მინისტრს შეწირული ოქროს მედალი

– საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, 1968 წელს მეხიკოს იოლიმპიურ თამაშებზე გავემგზავრე. თვითმფრინავში ყოველთვის ფანჯარასთან მიყვარდა ჯდომა, რადგან ფრენის დროს ოკეანეებს, ზღვებსა და მთებს გადავყურებდი.

ტრადიციისთვის არც მექსიკისკენ მგზავრობისას მიღალტია, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესო ის მოხდა, რომ ფანჯარაში როდესაც ვიყურებოდი, უცებ დაბნელდა, არადა რამდენიმე წუთით ადრე გარეთ დღე იყო. ამან, ცოტა არ იყოს, შემაშინა, მაგრამ მალე თვითმფრინავის სალონში სტიუარდესა შემოვიდა, რომელმაც გვაუწყა: ლედამიწის ნახევარსფეროში გადავედით და ამიტომაც ბნელაო. სხვათა შორის, თვითმფრინავში ასულებს პარაშუტები, საცურაო აღჭურვილობები, სასტვენები და რაღაც ფხვნილი დაგვირიგეს. როგორც შემდეგ გვითხრეს, ის ფხვნილი იმისთვის იყო საჭირო, რომ თუ ავიაკატასტროფაში მოვხვდებოდით, იგი ჩვენ გარშემო წყალში უნდა ჩაგვეყარა, რათა ზვიგენები არ მოგვკარებოდნენ. საბედნიეროდ, მექსიკაში უპრობლემოდ ჩავფრინდით და ადგილობრივი მცხოვრებლებიც აეროპორტში სიმღერით დაგვხვდნენ. იმ ოლიმპიადაზე ისე ვიყავი მომზადებული, ოქროს მედალი ყოველ მიზეზგარეშე მე უნდა დამრჩენოდა. თუმცა, საბოლოოდ მეორე ადგილი მოვიპოვე და სამჭიდში 2,5 კილოგრამით ნაკლები ავწიე, ვიდრე იაპონელმა იოსი-ნოგი მიაკემ, რომლის უმცროსმა ძმამ მეხიკოში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ჩემი წარუმატებლობის მიზეზი მწვრთნელის შეცდომაში მდგომარეობდა. ოლიმპიადის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, მექსიკაში საბჭოთა კავშირის მაშინდელი სპორტის მინისტრი პავლოვი ჩამოვიდა, რათა სპორტსმენთა მზადყოფნა შეემოწმებინა. არკადი ვორობიოვმა მის დასანახავად აკვრაში 155-კილოგრამიანი შტანგა ამაწევინა, როდესაც წესითა და რიგით, ოლიმპიადაზე ამხელა წონაზე არ უნდა მივსულიყავი. ამან, შეიძლება ითქვას, რომ გამომფიტა, რამაც თავი უკვე ტურნირის მსვლელობისას იჩინა და სწორედ ამიტომ მიაკემ ატაცში ჩემზე უკეთესი შედეგი აჩვენა, რამაც მას საბოლოო წარმატება მოუტანა.

ძალოსნის გაქცეული მძლეოსანი

– მეხიკოს ოლიმპიადა სანამ სტარტს აიღებდა, ვარჯიშიდან ოლიმპიურ სოფელში ვბრუნდებოდით და გზად სტადიონზე შევიარე. სიმაღლეზე მხტომელთა სექტორში შავკანიანი სპორტსმენი ვარჯიშობდა, მან თავიდან თამასა 170 სმ-ზე დააყენა და მას უპრობლემოდ გადაახტა. ამის შემხედვარეს, სურვილი გამიჩნდა, მეც იგივე გამეკეთებინა, მით უმეტეს, სპორტული ფორმა მეცვა და მოკლე გამორბენის შემდეგ ეს სიმაღლე დავძლიე. მძლეოსანმა, თამასა ათი სანტიმეტრით ზევით ასწია და კვლავ შეძლო გადახტომა. მის მსგავსად 180 სმ-ს მეც გადავევლე. იგი, როდესაც 190 სმ-ზე დაყენებულ თამასას გადაახტა და აღნიშნული მიღწევა ისევ გავიმეორე, შავკანიანმა საკუთარ სპორტულ ჩანთას ხელი მოჰკიდა და სტადიონიდან საერთოდ წავიდა. ყოველივეს თვალს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები ადევნებდნენ, რომლებიც ამ პაექრობის დასრულებისას ჩემთან მოვიდნენ და დაინტერესდნენ, კარიერაში რა საუკეთესო შედეგი მქონდა ნაჩვენები. თან ისინი ცოტა გაკვირვებული მიყურებდნენ, რადგან სიმაღლეზე მხტომელისათვის საკმაოდ ტანდაბალი ვჩანდი – რაც ბუნებრივია, რადგან მე მხოლოდ 162 სანტიმეტრი ვარ. მათი გაოცება მაშინ გენახათ, როდესაც ავუხსენი, რომ მძლეოსანი კი არა, ძალოსანი ვიყავი. სხვათა შორის, მეორე დღეს ამ ფაქტთან დაკავშირებით ადგილობრივ გაზეთებში საკმაოდ ბევრი დაიწერა.

პირველი ადგილის ტოლფასი 50 გრამი

– 1969 წელს, ვარშავაში მსოფლიო ჩემპიონატი სამჭიდთან ერთად, თითოეულ მოძრაობაში ტარდებოდა და აკვრაში ოქროს მედალს დავეუფლე, ხოლო აბსოლუტურ პირველობაში მეორე ადგილი ავიღე. 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადაზე რეკორდი დავამყარე. მაშინ ჯამში 402,5 კილოგრამი ავწიე და აღნიშნული მიღწევა არავის გაუუმჯობესებია, რადგან ოლიმპიადის შემდეგ, სამჭიდი გააუქმეს და აკვრასთან ერთად მხოლოდ ატაცი დატოვეს. მიუნხენში ცუდად არ გამოვსულვარ, მაგრამ კვლავ მეორე ადგილი დავიკავე. ამ შემთხვევაშიც ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე მედვედევი შეცდა, რომელმაც ამ პოსტზე ვორობიოვი შეცვალა. ოლიმპიადის დაწყებამდე ეშერაში ვემზადებოდით და ვინაიდან გრიპი მქონდა, არ ვვარჯიშობდი. მიუნხენში პირველსავე ცდაზე 147,5 კილოგრამი ავკარი და ამის შემდეგ შტანგასთან საერთოდ არ მივსულვარ, ვერცხლის მედალი ჩემი იყო. თუმცა, ცხადია, პირველი ადგილის დაკავება მსურდა და მწვრთნელს ვთხოვე, 155 კილოგრამი შეეკვეთა. შეკრებაზე რადგან ამხელა წონას არ ვწევდი, მედვედევმა ეტყობა იფიქრა, მის დაძლევას ვერ მოვახერხებდი და 152,5 კილოგრამი შეუკვეთა. აღნიშნული წონა კი დავაფიქსირე, მაგრამ ბოლო ცდაზე უკვე დაღლილი ვიყავი და 155-კილოგრამიან შტანგას ვეღარ მოვერიე. საბოლოოდ, მე და ბულგარეთში დაბადებულ-გაზრდილმა სომეხმა ნურაიდ ნურიკიანმა სამჭიდში 400 კილოგრამი დავაგროვეთ და რადგან ის ჩემზე 50 გრამით მსუბუქი იყო, ოქროს მედალიც მოიპოვა.

„ნავსი გატყდა"

– ქუთაისიდან ჩამოსვლის შემდეგ, ნაძალადევში ვცხოვრობდი, სადაც ფოსტაში მუშაობდა ქალი, სახელად ტერეზა, რომელიც ესპანელი იყო და თბილისში ოჯახთან ერთად ესპანეთში სამოქალაქო ომის დაწყებისას გადმოსახლდა. ტერეზა სამშობლოში აღარ დაბრუნებულა დისაგან განსხვავებით, რომელიც ქმართან ერთად მადრიდში ცხოვრობდა. 1973 წელს ესპანეთში ევროპის ჩემპიონატი იმართებოდა და ტერეზამ, ვიდრე თბილისიდან გავემგზავრებოდი, თავისი დის ტელეფონის ნო-



მაშინ საქართველოს ნაკრების გუნდურ ჩათვლაში 49 ქულა შევიძინე და ატაცში ევროპის რეკორდი დავამყარე 120,5 კილოგრამით

მერი მომცა. ადგილზე ჩასულმა, მართლაც დავურეკე ამ ნომერზე და ტერეზას დას ველაპარაკე, რომელმაც ქმართან ერთად სასტუმროში მომაკითხა. მათ ჩაიწერეს, თუ როდის მიწევდა შეჯიბრებაზე გამოსვლა და მხარდაჭერასაც დამპირდნენ. როგორც გაირკვა, ორივეს მადრიდში მცხოვრები ნაცნობი ქართველი და სომეხი ემიგრანტები შეუკრებიათ, რათა ევროპის პირველობაზე ჩემთვის ექომაგათ. მაშინ აკვრაში 153,5 კილოგრამი ავწიე და ამერიკული ბერგერის მსოფლიო რეკორდი გავაუმჯობესე. არადა, მანამდე 153 კილოგრამი ვერ დავძლიე, თუმცა ნაკრებში ჩემს პირად მწვრთნელ შოთა წერეთელს წონა მაინც გავაზრდევინე და როგორც აღმოჩნდა, სწორი ნაბიჯი გადავდგი. რეკორდი რომ დავამყარე, ჩემს საგულშემატკივროდ მოსულმა ქართველებმა და სომხებმა ტაშის გრიალით ლამის დარბაზი დაანგრიეს. ესპანელები კი ვერ მიხვდნენ, თუ რამ გამოიწვია მათი ასეთი აღტაცება. სხვათა შორის, ბერგერის რეკორდის მოხსნის შემდეგ, პრესაში არაერთხელ აღინიშნა, რომ — ნავსი გატყდაო.

შანიძის გათავისუფლებული ალექსეევი

— აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონი 1973 წელს კუბაში გავხდი, სადაც უკვე ორჭიდში 267,5 კილოგრამი ავწიე და ერთი წლით ადრე ოლიმპიადაზე ჩემს დამამარცხებელ ნურიკიანს მოვუგე. კუბაში ფიცარნაგზე ბოლო ვასილ ალექსეევი უნდა გამოსულიყო და იმის გასაგებად, ბანკეტი როდის იქნებოდა, მწვრთნელ ალექსეი მედვედევის ოთახში შევედი. მან კი მითხრა: რა დროს ბანკეტია, ნახე, იქ რა ხდებაო. გვერდით ოთახში შევიხედე და დავინახე, რომ დავიდ რიგერტი ჩალურჯებული თვალით ზის, ხოლო კოლოტოვს ყელი აქვს დაზიანებული. ცხადია, დავინტერესდი, რაში იყო საქმე და როგორც ამიხსნეს, ორივე ალექსეევს გაულახავს. იმ დღეს მე, რიგერტმა და კოლოტოვმა ერთად დავლიეთ, მაგრამ მათ სასმელი კიდევ დაუმატებიათ, რის გამოც ზომაზე მეტად დამთვრალან. ალექსეევი მათ ოთახში შესულა და კოლოტოვისთვის უთხოვია, შეჯიბრების დროს დახმარებოდა. მთვრალ კოლოტოვს ვასილისთვის შეუგინებია, ამ უკანასკნელს კი იგი რიგერტთან ერთად უცემია. სამაგიეროდ, ორივემ ალექსეევი ოთახში ჩაკეტეს და მწვრთნელს გასაღებს არ აძლევდნენ. არადა, ვასილის გამოსვლის სანახავად დარბაზში ფიდელ კასტრო უნდა მოსულიყო. საბოლოოდ, სიტუაციიდან გამოსავალი მე ვიპოვე. მთვრალ ძალოსნებს ვუთხარი, რომ ჯობდა ალექსეევი შეჯიბრებაზე გაგვეშვა, ხოლო იქიდან დაბრუნებულს, გპირდებით, პირველად ჩემი ხელი მოხვდება-მეთქი. ისინი ამ პირობას დათანხმდნენ და გასაღები მომცეს. მართალია, ალექსეევი მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვიდა, მაგრამ მთელი გუნდი მის ასპარეზობას თვალს ტელევიზორში ვადევნებდით. მე საღამოს ისე დავიძინე, ბუნებრივია, ალექსეევისთვის ხელის დარტყმა არც მიფიქრია. მეორე დილით მტყუან-მართალი როდესაც გაირჩა, მწვრთნელმა განაცხადა, რომ ჩემ მიმართ არავითარი პრეტენზია არ გააჩნდა. მოსკოვში დაბრუნებულებს „შერემეტიევოს“ აეროპორტში „შავი ვოლგით“ დამხვდნენ და სასტუმრო „მოსკვაში“ დამაბინავეს, ხოლო გუნდის დანარჩენი წევრები „ლუჟნიკების“ საერთო საცხოვრებელში წაიყვანეს. მსოფლიო ჩემპიონატის მოგებისათვის 2.700 მანეთი გადმომცეს პრემიის სახით, ხოლო ნაკრების სხვა ძალოსნებს თანხა გაუნახევრეს.

ფრენბურთის მატჩი, რომელიც ჯინაღამ თოფის სროლით დასრულდა

— საბჭოთა კავშირის ნაკრების ძალოსნები შეკრებაზე ხშირად ერთმანეთში ფრენბურთს ვთამაშობდით და ის გუნდი, სადაც მე ვიყავი, ყოველთვის იგებდა. ერთხელ, სომხეთის კურორტ წახკაზორში ყოფნისას, მორიგი ასეთი მატჩი ჩავატარეთ. თამაშის მსვლელობისას, პარტნიორის პასის შემდეგ, ბადესთან ავხტი და ბურთის დარტყმას ვაპირებდი, მაგრამ მეტოქე გუნდში მყოფმა ალექსეევმა ჩემთვის „ბლოკის“ გაკეთება მოინდომა, რაც ვერ შეძლო და ქულა მაინც მოვიპოვე. ამ ფაქტმა, ის რატომღაც გააბრაზა და რუსულად მითხრა: რას ხტუნავ, როგორც მაიმუნიო? მე ვუპასუხე: მაიმუნი თვითონ ხარ-მეთქი, რასაც ჩვენ შორის შელაპარაკება მოჰყვა. სასტუმროში მისულები, ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა — ალექსეი მედვედევმა საკუთარ ოთახში დაგვიბარა, ვითარებაში გასარკვევად. მე ყოველივე როდესაც მოვუყევი, თან დავამატე: ნუ შემაგინებს, თორემ თოფს ვესვრი-მეთქი. სხვათა შორის, წახკაზორში საკუთარი ავტომანქანით ვიყავი წასული და ვინაიდან ნადირობა მიყვარდა, თოფი ყოველთვის სბარგულში მედო. ასე რომ, ალექსეევისათვის მუქარის ასრულება მართლა შემეძლო. თუმცა ამ ინციდენტს გაგრძელება არ მოჰყოლია და საბოლოოდ შევრიგდით.

იაპონელი ბავშვის დონორი

— იაპონიის ქალაქ აკიტაში, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე ყოფნისას, სასტუმროს წინ, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ბავშვს ტრამვაიმ დაარტყა. ოპერაციის დროს, რომელიც „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში მიმდინარეობდა, დაშავებულ პატარას სისხლის გადასხმა დასჭირდა. აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ინციდენტს შეესწრნენ, ერთადერთი მე აღმოვჩნდი, ვისაც პირველი ჯგუფის სისხლი ჰქონდა და ბავშვს დონორობა გავუწიე. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და იაპონელის მამა ჩემი საქციელის სანაცვლოდ ფულს მთავაზობდა. თუმცა, მაშინ ისეთი პერიოდი იყო, მის შემოთავაზებულ თანხას ნამდვილად ვერ ავიღებდი და შეძლებისდაგვარად, ეს ბავშვის მშობელსაც გავაგებინე. იაპონელი, როდესაც მიხვდა, საქმე რაში იყო, მაინც არ მომეშვა და ჩემი შვილებისათვის თოჯინები და სხვადასხვა საჩუქარი მიყიდა.

ვორობიოვის რეკორდის მომხსნელი

— კუბის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ასაკის გამო ნაკრებში ასპარეზობას თავი დავანებე. 1975 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, ყველაზე დიდი შეჯიბრება იყო, სადაც უკანასკნელად ვიასპარეზე. მაშინ საქართველოს ნაკრების გუნდურ ჩათვლაში 49 ქულა შევიძინე და ატაცში ევროპის რეკორდი დავამყარე 120,5 კილოგრამით. საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გივი სიხარულიძე იმასაც კი გაიძახოდა: ნეტავ, კვების ტალონები სულ შანიძისთვის მიმეცა, სხვებს რომ ვაძლევდიო. ძალოსნობას 1979 წელს დავანებე თავი, როდესაც 44 წლის ვიყავი და ამით ვორობიოვის რეკორდი მოვხსენი, რომელიც სპორტის ამ სახეობას 43 წლის ასაკში შეეშვა. ■



კატა პეტერსონთან ერთად ვახშმობისას. აიდაჰოს შტატი. კეტჩუმი. 1959 წელი

ერნესტ ჰემინგუეი: „გამარჯვებული არავითარ იღებს“

დასაწყისი იხ. გზა №33-34.

კი-უესტზე მდებარე ერთ-ერთ ბარში ის კიდევ ერთ ქერა, შავ კოსტიუმში გამოწყობილ ქალბატონს შეხვდა. ერნესტი ყველას ეუბნებოდა, რომ თავდაპირველად, მას მარტა გელჰორნის აშხვართული ფეხები შეუყვარდა, შემდეგ კი, თავად მისი პატრონი. მარტა პატივმოყვარე, დამოუკიდებელი და ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანი გახლდათ. ის საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი იყო და სახელი სოციალურ პრობლემატიკაზე წერით მოიხვეჭა. ესპანეთში ატეხილ სამოქალაქო ომზე ისინი საათობით ლაპარაკობდნენ ხოლმე. თუკი პირველი მსოფლიო ომის დროს ერნესტისთვის უმთავრესი, მასში მონაწილეობა გახლდათ, ამჟამად მას ძალზე დიდი სურვილი ჰქონდა, რომ თავისი საყვარელი ქვეყნიდან ფრანკისტები კინწისკვრით გაეყარათ. პოლინი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ქმრისთვის ესპანეთში გამგზავრება გადაეფიქრებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამერიკიდან ერნესტი და მარტა კორესპონდენტებად ცალ-ცალკე გაემგზავრნენ ესპანეთში. მადრიდში ერთმანეთს შეხვდნენ და სასტუმრო „ფლორიდის“ სხვადასხვა ნომერში დაბინავდნენ. მარტა ნამდვილი „მოსანგრე ცოლი“ გახლდათ, ის მოთმინებით იტანდა ყოველგვარ სიძნელეს და არც ტყვიების ზუზუნს უშინდებოდა.

პოლინი წერილს წერილზე უგზავნიდა ქმარს და შინ დაბრუნებას სთხოვდა. „მინდა, რომ აქ იყო, ჩემს საწოლში გეძინოს, ჩემს სააბაზანოში იბანდე და ჩემს ვისკის სვამდე. ძვირფასო „მამა“, მალე დაბრუნდი შინ!“ – სწერდა ის. მოკლე ხნით ის მართლაც დაბრუნდა წყნარ კი-უესტში. მაგრამ მალე ისევ ესპანეთში გაემგზავრა. ალყაშემორტყმულ მადრიდში ის თავს ისეთ ადამიანად გრძნობდა, „რომელსაც არა ჰყავს ცოლ-შვილი, არა აქვს სახლი, კატერი და საერთოდ, არაფერი გააჩნია“. მარტასთან ერთად ის არაგონის ფრონტზე მანქანით მიემგზავრებოდა, ღამეს ფარდულებსა თუ სატვირთო მანქანის ძარაზე ათევდა, იღებდა დოკუმენტურ ფილმს ესპანეთის ომზე, ტყვიების წვიმაში დაათრევდა მძიმე აპარატურას და კამერისათვის უფრო ხელსაყრელ რაკურსს არჩევდა. მალე ორივე პარიზში გაემგზავრა, სადაც ერნესტს პოლინი ელოდა. ფრანკისტების გამარჯვების შემდეგ, ცოლთან გამუდმებული კინკლაობით დაღლილ-დაქანცული ერნესტი ჰავანაში მდებარე თავის საყვარელ სასტუმროში – „ამბოს მუნდოსში“ – დასახლდა. ყოველდღიურად, დილის რვა საათიდან სადილამდე, ესპანეთის ომზე თავის ახალ რომანს – „ვისთვის რეკს ზარი“ – წერდა. მოგვიანებით, როცა მას ეკითხებოდნენ, რისი თქმა უნდოდა ამ ნაწარმოებით, ის პასუხობდა, რომ სურდა, დაეწერა „იმ მიწაზე, რომელიც საუკუნოდ იარსებებდა“. სასტუმროში მარტა მასთან ერთად ცხოვრობდა. ახალმა რომანმა ძალზე დიდი წარმატება მოუტანა მის ავტორს. რომანის ციტატები ხალხმა აიტაცა. ეპიგრაფი კი – „არასოდეს იკითხო, ვისთვის რეკს ზარი – ის შენთვის რეკს“, – ფრთოსან გამოთქმად იქცა. სტუდია „პარამაუნტმა“ რომანის ეკრანიზაციის ნებართვა შეისყიდა. იმ დროისათვის, ის პოლინს გაეყარა და მაშინვე მარტაზე იქორწინა. თითქმის ყველა თავის ცოლთან თუ საყვარელთან ერნესტი კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა. „თუკი ვინმე ნამდვილი სიყვარულით გიყვარს, ამ გრძნობას ბოლომდე ვეღარასოდეს დააღწევ თავს“, – ამბობდა მწერალი. სხვა ცოლებისგან განსხვავებით, მარტას ოჯახის კერის მფარველის როლი დიდად არ შეეფერებოდა. „ის ყველაზე პატივმოყვარე ქალია მათ შორის, ვისაც კი ოდესმე დედამიწაზე უცხოვრია“, – ასე ახასიათებდა მას ერნესტი.

პირლ-ჰარბორზე (აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზა ჰავაის კუნძულებზე) იაპონელთა საჰაერო თავდასხმის შემდეგ, აშშ მეორე მსოფლიო ომში ჩაება. მარტა მომენტალურად აორთქლდა ფინკიდან, სადაც იმჟამად ისინი კუბაში ცხოვრობდნენ და ფრონტზე გაემგზავრა. მარტოობით შეწუხებულმა ჰემინგუეიმ, კუბაში შეღწეული მტრის აგენტების გამოვლენის მიზნით, კონტრდაზვერვის ქსელის შექმნა გადაწყვიტა. ის თავად იბირებდა ოფიცრებს, მეთევზეებსა და მტვირთავებს და მარტოობაში მყოფი, თავისი მრავალრიცხოვანი კატების გარემოცვაში გამუდმებით სვამდა რომანის – „ვისთვის რეკს ზარი“ – დაწერის შემდეგ. მას კარგად ესმოდა, რომ ამით საკუთარ თავს გარკვეული ზღვარი დაუდგინა და თუკი მისი შემდგომი ნაწარმოები ამ რომანზე უფრო სუსტი აღმოჩნდებოდა, აუცილებლად დაიწყებდნენ ლაპარაკს იმაზე, რომ ჰემინგუეიმ საკუთარი შესაძლებლობები უკვე ამოწურა. ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურად და სულიერად გადაღლილი მწერალი, მარტასთან ლონდონში გადასახლდა. სადაც გაიცნო მერი უელში – საშუალო სიმაღლის ქერა ამერიკელი ჟურნალისტი. მან გაცნობისთანავე გამოუცხადა ქალს, რომ მასზე დაქორწინება სურდა და ამით შოკში ჩააგდო მერი. წვეულებაზე მან ბევრი დალია და როცა მანქანით ოტელში ბრუნდებოდა, წყლის ცისტერნას შეეჯახა და საკმაოდ მაგრად მიარტყა თავი. ერნესტს გარკვეული ხნის გატარება საავადმყოფოში მოუხდა. მის სანახავად მისულ მარტას ქმრის დაბინტული თავის დანახვაზე, სიცილი წასკდა. ერნესტი გაუნაწყენდა ცოლს. მარტამ გაიცინა ქმარი, უთხრა, რომ „ომის დროს ასე არ იქცევიან“ და სასწრაფოდ საბრძოლო მოქმედებების ზონაში გაემგზავრა.

გამოჯანმრთელების შემდეგ, ერნესტმა ინგლისური ბომბდამშენით გაფრენა გადაწყვიტა. ალბათობა იმისა, რომ თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ, ძალზე დიდი იყო და გაფრენის წინ ჰემინგუეი საკმაოდ აფორიაქებულად გრძნობდა თავს. ამას დაემთხვა ისიც, რომ სწორედ იმ დღეს, სასტუმროს დამლაგებელმა ქალმა მას თილისმა გადაუგდო. ეს გახლ-



ადრიანა ივანჩიჩი – მწერლის უკანასკნელი მუზა

დათ ქვა, რომელიც თავის დროზე ერნესტს მისმა უფროსმა ვაჟიშვილმა აჩუქა. ამის ნიადაგზე, ცრუმორწმუნე მწერალმა სულიერი წონასწორობა დაკარგა. თავისი წინდაუხედავი საქციელით უკიდურესად შეწუხებული დამლაგებელი იძულებული გახდა, მისთვის შამპანურის საცობი მიერთმია და დაერწმუნებინა, რომ ის აუცილებლად მოუტანდა წარმატებას. მტრის ტერიტორიის დასაბომბად ჰაერში ასული თვითმფრინავი დავალების შესრულების შემდეგ, მშვიდობით დაბრუნდა აეროდრომზე, „წარმატების მომტან“ შამპანურის საცობს კი, ჰემინგუეი კიდევ კარგა ხანს დაატარებდა ჯიბით.

1944 წელს, ჰემინგუეი, ამერიკის მოტომზვერავ ნაწილებთან ერთად, საფრანგეთის პატარა ქალაქში შევიდა, სადაც მან და ადგილობრივმა პარტიზანებმა ერთობლივი ძალებით ქალაქის ირგვლივ წრიული დაცვის ზოლის ორგანიზება მოახერხეს. გერმანელების მიერ მიტოვებული პარიზის ხილვისას, მწერალს თვალებზე ცრემლი მოადგა: „ყელში რაღაც ბურთივით გამეჩხირა, რადგან ჩემ წინ გადაშლილიყო მსოფლიოს უმშვენიერესი სადაფისფერ-ნაცრისფერი ქალაქი, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა“. პატარა ფრანგული ქალაქის წარმატებით განხორციელებული დაცვის შემდეგ, ის დედაქალაქის სასტუმრო „რიტცის“ ნომერში შესახლდა თავის წვერმოშვებულ და კბილებამდე შეიარაღებულ მეგობრებთან ერთად, რომლებიც მზად იყვნენ, ადგილზევე მიეხვრიტათ ნებისმიერი, ვინც მათი „მამიკოს“ განაწყენებას დააპირებდა. ერნესტი დიდხანს და მგზნებარედ ზეიმობდა გამარჯვებას. მალე, სასტუმრო „რიტცში“ მერიც გამოჩნდა და მათ თავიანთი პირველი ღამე იარაღით, ხელყუმბარებითა და ცარიელი ბოთლებით სავსე ნომერში გაატარეს, რომლის ფანჯრებშიც ქუჩიდან „მარსელიეზის“ სიმღერის ხმა შემოდიოდა. 1945 წლის მიწურულს, როცა ის მარტას გაეყარა, ერთ ბულვარულ გაზეთში დაიბეჭდა სტატია სათაურით – „ზარი ჰემინგუეის სამი ქალისთვის რეკს“...

გედის სიმღერა

ფინკში (კუბა) დაბრუნების შემდეგ, მწერალი ძალიან მოეშვა. მას საშინელი თავის ტკივილები და ღამის კოშმარები ტანჯავდა. საერთოდ თავი, მისი აქილევსის ქუსლი გახლდათ. წელიწადიც არ გავიდოდა ისე, ტვინის შერყევა რომ არ მიეღო. მისი ყველა საყვარელი საქმიანობა ხომ რისკთან იყო დაკავშირებული: ნადირობა, თევზაობა, კრივი; ამას თან ერთვოდა ალკოჰოლის სმის მავნე ჩვევაც. ამის შედეგად, მას ყურში ცუდად ესმოდა და მეტყველებაც შენელებული ჰქონდა. მერის, მისი მფარველი ანგელოზის გვერდით ყოფნა, მასზე საოცრად დამამშვიდებლად მოქმედებდა. „ის უბრალოდ ცოლია და არა შარიანი, საკუთარი კარიერის შექმნით შეპყრობილი ქალი“, – ამბობდა ერნესტი. როცა მერი დაორსულდა, ერნესტმა ის ჰავანიდან აშშ-ის ჩრდილოეთში წაიყვანა, რათა ექიმისთვის ეჩვენებინა. ორსულობა საშვილოსნოს გარე აღმოჩნდა, გზაში მერის სისხლდენა დაეწყო და კომაში ჩავარდა. ექიმმა ცოლთან გამომშვიდობება შესთავაზა ჰემინგუეის. ყოველივე, რაც მის თავს ხდებოდა, ძალზე ჩამოჰგავდა რომანის – „მშვიდობით, იარაღო!“ – ფინალს. მან, საკუთარი გამოთქმისამებრ, „ბედის გაუპატიურება“ გადაწყვიტა. ერნესტმა მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და ექიმს უბრძანა, რომ მერისთვის პლაზმა გადაესხა. ოპერაციის შემდეგ, რომელსაც მწერალი თავადაც ესწრებოდა, ის მთელი ერთი კვირის განმავლობაში ცოლის სარეცელს არ მოშორებია. მერი გამოკეთდა.

ცოლთან ერთად იტალიაში ყოფნისას, მან ნადირობის დროს გაიცნო ახალგაზრდა გოგონა, ადრიანა ივანჩიჩი. ერნესტმა პირველად ადრიანას სამონადირეო ქოხში მოჰკრა თვალი, ის ცეცხლის პირას იჯდა და წვიმისგან დასველებულ შავ, მბზინავ თმას თავისი გრძელი, ჩამოქნილი თითებით ივარცხნიდა. პირველყოფილი სურათის ხილვამ დაატყვევა მწერალი. ჰემინგუეიმ საკუთარი სავარცხელი შუაზე გადატეხა და ნახევარი გოგონას გაუწოდა. ადრიანა დალმატინელთა ძველისძველი საგვარეულოს შთამომავალი აღმოჩნდა. მწერლის უკანასკნელი სიყვარული უცოდველი გახლდათ. ერნესტსა და ადრიანას მხოლოდ პლატონური ურთიერთობები აკავშირებდათ. შავთმიანმა მუზამ ბოლო მოუღო მწერლის შემოქმედებით კრიზისს. მისმა „გრძელმა წამწამებმა, ძალზე მუქმა კანმა“ და კლასიკურმა სილამაზემ ჰემინგუეი თავისი უკანასკნელი რომანის – „მდინარის გადაღმა ხეების ჩრდილში“ – დასაწერად შთააგონა. გოგონას სიამოვნებდა საქვეყნოდ აღიარებული მწერლის მოჭარბებული ყურადღება, თავად კი მის მიმართ ღრმა გრძნობები ნამდვილად არ გააჩნდა. რომანი – „მდინარის გადაღმა ხეების ჩრდილში“ – ბევრი რამით ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ამ შემოქმედებითი აღმასვლის პერიოდშივე (რომელიც ასევე მწერლის უკანასკნელ გატაცებას უკავშირდება), დაიწერა ფილოსოფიური მოთხრობა-იგავი – „მოხუცი და ზღვა“, რომელიც ჰემინგუეის გედის სიმღერა აღმოჩნდა.

მერიმ ფინკში სამსართულიანი კოშკი ააშენებინა, სადაც ერნესტს მშვიდად მუშაობის საშუალება ჰქონდა. მაგრამ საქმე არა და არ მიიწევდა წინ. მწერალი ხშირად ღიზიანდებოდა, ლანძღავდა ყველას და ყველაფერს და ჰავანის ცნობილ მეძავთან (მეტსახელად ქსენოფობია) ერთად ხშირად სტუმრობდა ბარს. როცა ადრიანა მასთან სტუმრად ჩავიდა, მან ის სანაპიროზე წაიყვანა. ისინი დიდხანს მდუმარედ გაჰყურებდნენ ზღვას, რის შემდეგაც ჰემინგუეიმ ჩუმად წარმოთქვა: „გმადლობ!“ 1953 წლის 4 მაისს ის „პილარით“ ზღვაში სათევზაოდ იყო გასული, როცა რადიოში გამოაცხადეს, რომ მას პულიცერის პრემია მიანიჭეს. მოთამაშის სულის მქონე ჰემინგუეი ყოველთვის გამარჯვებისაკენ ილტვოდა, სამაგიეროდ, როცა გამარჯვებას მიაღწევდა, ის მისთვის აღარაფერს ნიშნავდა. მიზნისკენ მიმავალი გზა ხომ შესაძლოა, ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდეს, ვიდრე თავად მიზანი... ტრიუმფის შემდეგ, მან საკუთარ თავს არდადეგები მოუწყო. ის და მერი ჯერ ესპანეთში, შემდეგ კი აფრიკაში გაეგზავნენ. ერნესტმა მერისთვის მისი საყვარელი მწვანე ქედების ჩვენება ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან გადაწყვიტა და მათ თვითმფრინავი დაიქირავეს. ფრენისას თვითმფრინავი ტელეგრაფის სადენებს წამოედო და ვარდნა დაიწყო. მათ ქვეშ ნიანგებით სავსე ჭაობი გადაშლილიყო. პილოტმა ივაჟკაცა: როგორღაც მოახერხა, თვითმფრინავი მყარ მიწაზე დაესვა. მერის რამდენიმე ნეკნი ჰქონდა გატეხილი, ერნესტმა კი ხელი იღრძო. ამას დაემატა ისიც, რომ ბანაკში დაბრუნების შემდეგ, მის სიახლოვეს მდებარე ტყეში ხანძარი გაჩნდა. მწერალი ხანძრის ჩაქრობაში ეხმარებოდა სხვებს, უეცრად წაიბორძიკა და პირდაპირ ცეცხლში ჩავარდა. რამდენიმე წამში მას საკუთარი ხმაც აღარ ესმოდა, თვალებში კი გაორება დაეწყო...

გემზე, რომელსაც გეზი ვენეციისკენ

ჰქონდა აღებული, ის საშინლად ცუდად გახდა. გამუდმებით თავბრუ ეხვეოდა, ხანძრის შედეგად მიღებული ჭრილობიდან ჩირქი სდიოდა და შიგნით ყველაფერი ჯოჯოხეთურად სტკიოდა. მიუხედავად ამისა, ის ვენეციიდან მანქანით თავის საყვარელ ესპანეთში გაემგზავრა. გზაში ერნესტი მიხვდა, რომ საკუთარი ძალების შეფასებაში აშკარად შეცდა.

ფინკში დაბრუნებული მწერალი, ექიმების რჩევით, დიეტას იცავდა და შედარებით ნაკლებს სვამდა. მას იმედი ჰქონდა, რომ გამომჯობინდებოდა და წერასაც შეძლებდა. მისი საბეჭდი მანქანა, რომლის კაკუნის ხმასაც ის ტყვიამფრქვევის კაკანს ადარებდა, დუმდა და იმტვერებოდა. 1954 წლის 28 ოქტომბერს მოთხრობისათვის – „მოხუცი და ზღვა“ – მას ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიანიჭეს. ერნესტი თავმდაბლად ამბობდა: „პრემია ის მეძავი ქალია, რომელმაც შესაძლოა, ცუდი სენი გადაგდოს. დიდება კი – სიკვდილის დაა...“

მისი პერსონის ირგვლივ საშინელი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილებში ის ჩივის, რომ რეპორტიორები სახლში უცვივდებიან მას. „თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ჩემს პირად ცხოვრებაში ვიღაცამ მოიკალათა“, – წერდა ჰემინგუეი, რის შემდეგაც გარკვეული ხნის განმავლობაში „პილარზე“ გადასახლდა, სადაც თავისდა სამწუხაროდ აღმოაჩინა, რომ დიდი ბადეების წყლიდან ამოზიდვა უკვე აღარ შეეძლო. მას ხასიათი დაუმძიმდა და მერისაც კი ძალზე ხშირად ეჩხუბებოდა. მაგრამ ცოლი მიიჩნევდა, რომ გენიოსს ყველაფერი ეპატიება და მის უსამართლო ბრალდებებს საყვარელი ბავშვის ტიტინივით აღიქვამდა. თავისი ბოლო ცოლისადმი მწერალი საოცრად სათუთ გრძნობებს განიცდიდა. „როცა ის არ არის, მთელ ფინკში ისეთი სიცარიელე სუფევს, როგორიც ბოლო წვეთამდე გამოწურულ ცარიელ ბოთლში“, – წერდა ის. 50-იანი წლების შუა ხანებში, კუბაში რევოლუცია დაიწყო. როგორც ყოველთვის, მწერალი არც ახლა უშინდებოდა საფრთხეს და ფინკში ცხოვრებას აგრძელებდა. ერთხელ, დიქტატორ ბატისტას ჯარისკაცები, იარაღის ძებნის მიზეზით, სახლშიც კი შეუცვივდნენ მას და მოხუცი ქოფაკი – ბლექ დოგი მოუკლეს, რომელიც გმირულად ცდილობდა ფინკის დაცვას. ამან კარგა ხნით დაურღვია ერნესტს სულიერი წონასწორობა. მას არ შეეძლო წერა, როცა მოხუცი ქოფაკი იქვე, მის გვერდით, ანტილოპის ტყავზე არ იყო მოკალათებული. ჰემინგუეი აღარ გრძნობდა თავს ისე, თითქოს საკუთარ სახლში იმყოფებოდა. მას უყვარდა ფინკი, უყვარდა, როცა წერისას, კატები მაგიდაზე და მის მხრებზე ისხდნენ, უყვარდა კოშკის სახურავზე მზის სხივებით გარუჯვა და კიბის საფეხურებზე ჯდომა, რომლის შეკეთების უფლებასაც ის არავის აძლევდა, რადგან დროთა განმავლობაში, საფეხურებს შორის ყვავილები იყო ამოსული. მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ აქედან უნდა წასულიყო... და ის წავიდა.

1958 წლის შემოდგომას მწერალი აშშ-ის დასავლეთში მდებარე ქალაქ კეტჩუმში შეხვდა. სწორედ იმხანად, პარიზის ოტელ „რიტცის“ ბარგის შესანახ საკანში ჰემინგუეის ორი ჩემოდანი აღმოაჩინეს, რომელიც იქ 20-იანი წლებიდან იდო. ჩემოდნებში ელაგა წიგნები, ბლოკნოტები, გაზეთიდან ამონაჭრები და ნივთები, რომლებიც ოდე სღაც ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ პატრონისთვის. როდესაც ერნესტი ჩემოდნების შიგთავსს გაეცნო, თავის პარიზულ ცხოვრებაზე მოგონებების დაწერა გადაწყვიტა. ის ახალი წიგნის დაწერას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. თავისი 60 წლის იუბილე მწერალმა მალაგის ახლოს მდებარე ვილაში აღნიშნა და გვარიანადაც მოილხინა. ის იარაღის სროლით ყრიდა ძირს იმ სიგარის ფერფლს, რომელიც მის მეგობარს პირში ჰქონდა გაჩრილი, გემრიელად მიირთმევდა მერის მიერ შეკვეთილ კერძებს და საუკეთესო ღვინოს აყოლებდა. შემდეგ, როცა ცაში აჭრილი მაშხალა პალმას დაეცა და ცეცხლი გაუჩნდა, მეხანძრეები მოვიდნენ. ერნესტმა და მისმა მეგობრებმა დაათვრეს მეხანძრეები და სირენაჩართული სახანძრო მანქანით გარს უვლიდნენ ვილას...

მერი უელმი და ჰემინგუეი იტალიაში ყოფნისას. 1948 წელი

1960 წლის შემოდგომაზე მწერალს ძალზე დაუქვეითდა მხედველობა. ღამეული კოშმარების გადამკიდეს, დაძინების ეშინოდა. კეტჩუმში დაბრუნების შემდეგ, ავადმყოფობის სხვა სიმპტომებმაც იჩინა თავი. ის ყველას არწმუნებდა, რომ მას ძფბ-ს აგენტები უთვალთვალებდნენ, პოლიციას კი მისი დაპატიმრება სურდა. ერთხელ საშინლად შეშფოთდა, რადგან მოეჩვენა, რომ გაკოტრებული იყო და აღარაფერი ებადა. მერიმ ნიუიორკის ბანკში დარეკა და ცდილობდა, დაერწმუნებინა ქმარი, რომ მის ანგარიშებზე დიდძალი თანხა იდო, მაგრამ ფინანსური კრახის აკვიატებული იდეა მან ვერა და ვერ მოიშორა თავიდან.

ჰემინგუეის არა და არ სურდა იმის დაჯერება, რომ ის სულიერად იყო დაავადებული და ფსიქიატრთან ვიზიტის სასტიკი წინააღმდეგი გახლდათ. ყოველივე ამას ის სისუსტის გამოვლინებად მიიჩნევდა. ერნესტი ფიქრობდა, რომ საკუთარი თავის შველა, მხოლოდ თავად შეეძლო. ბოლოს და ბოლოს, მერიმ ის როჩესტერში მდებარე მეიოს კლინიკაში დაწოლაზე დაიყოლია და დაარწმუნა, რომ იქ მხოლოდ და მხოლოდ ჰიპერტონიის მკურნალობის მიზნით მიჰყავდათ (ჰიპერტონია მართლაც, მრავალი წლის მანძილზე აწუხებდა მწერალს). მთელი ქალაქი შედგებოდა საქვეყნოდ ცნობილი საავადმყოფოსა და მის გარშემო მდებარე სასტუმროების ქსელისაგან, სადაც პაციენტების ნათესავები და ახლობლები ცხოვრობდნენ. მერიც ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავდა და ყოველდღე ნახულობდა ქმარს. მწერალი ირონიულად აღნიშნავდა, რომ ის კლინიკაში სხვისი გვარით – ლორდი-უფალი – ცხოვრობდა. მაგრამ მალე ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ „მამილო“ ჰემინგუეი სერიოზულად იყო ავად. კლინიკაში მკურნალობით მისი მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა, ამიტომ ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ოჯახური ატმოსფერო სასიკეთოდ წაადგებოდა მის ჯანმრთელობას. კეტჩუმში მან პარიზული მოგონებების წიგნზე მუშაობა სცადა, მაგრამ კვლავ არაფერი გამოუვიდა. „ეს შესანიშნავი წიგნი იქნება და მე ვიცი, როგორ უნდა იყოს ყველაფერი, მაგრამ არაფერი გამომდის“. ის ბრალს სდებდა ექიმებსა და მერის,

ნობელის პრემიით
დაჯილდოების ცერემონიაზე
მწერალი არ იმყოფებოდა. მას ელჩი ჯონ
კებოტი წარმოადგენდა. 1954 წელი

რომ მათ მისი ტალანტი დაღუპეს, ამბობდა, რომ მისთვის უმჯობესია, იყოს გიჟი და შეეძლოს წერა, ვიდრე იყოს ისეთი, როგორიც ყველაა. როდესაც მას თავისი ძველი წიგნის ხელახალი პუბლიკაციისათვის, სულ რამდენიმესტრიქონიანი შესავლის დაწერა დასჭირდა, ის დიდი მონდომებით შეუდგა საქმეს — ცდილობდა, სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებით წინადადების შედგენას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და... ატირდა... ბოლოს და ბოლოს, ორი კვირის თავზე, მერის დახმარებით მან საჭირო ტექსტის დაწერა მოახერხა.

ჰემინგუეიში ყოველთვის ორი ადამიანი ცხოვრობდა: ერთი მათგანი ყურადღებიანი და დისციპლინებული შემოქმედი გახლდათ, რომელიც მანამ არ მოშორდებოდა საბეჭდ მანქანას, ვიდრე საჭირო რაოდენობის სიტყვებს არ დაწერდა და მეორე — უშიშარი მონადირე და მეთევზე, რომელსაც უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მის მიერ დაჭერილი ვეებერთელა თევზი, ვიდრე პირველი რომანის პუბლიკაცია თუ მისთვის მიღებული პრემია. მაგრამ ერთს მეორის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. მეორეს არ შეეძლო, მშვიდად ენადირა კაკბებზე, თუკი პირველი, დასაწერი წიგნების იდეებით არ იყო დატვირთული. როცა მწერალი-ჰემინგუეი მოკვდა, ჰემინგუეი-სუპერმენის არსებობას ყოველგვარი აზრი დაეკარგა. ერთხელ, მერი იმ დროს წამოადგა თავზე ქმარს, როცა მას ხელში დატენილი თოფი ეჭირა. იმავე დღეს, მწერალი ისევ მეიოში წაიყვანეს. როცა ყველანი მანქანაში ჩასხდნენ, ერნესტმა გამოაცხადა, რომ შინ რაღაც დარჩა და სახლში შებრუნდა, სადაც კვლავ სცადა თოფით თავის მოკვლა. მას იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა, მომკვდარიყო, როგორც ადრე, სიცოცხლე სწყუროდა. ამჯერადაც, ისევე, როგორც მეიოში პირველად ყოფნის დროს, მას ელექტროშოკის სეანსებით მკურნალობდნენ. ამ მტკივნეული პროცედურების შედეგად, მან შედარებით უკეთ იგრძნო თავი. მკურნალობის სრული კურსის გავლის შემდეგ, ის და მერი კვლავ კეტჩუმში დაბრუნდნენ. შინ ყოფნის პირველმა საღამომ მშვიდად ჩაიარა, ერნესტი კმაყოფილი და დამშვიდებული ჩანდა. 1961 წლის 2 ივლისს დილას, როცა სახლში ჯერ კიდევ ყველას ეძინა, ჰემინგუეიმ იმ საკუჭნაოს კარი გააღო, სადაც მერის მისი იარაღი ჰქონდა შენახული და თავისი საყვარელი ორლულიანი თოფი გამოიტანა.

რა არის სიკვდილი?...

მან საოცარი დაღლილობა იგრძნო და გაიფიქრა, რომ აუცილებლად დაისვენებდა იქ, მდინარის გადაღმა ხეების ჩრდილში... მან თითქმის მომენტალურად დალია სული, შემდეგ მკვეთრმა დღის სინათლემ მოსჭრა თვალი და ზღვის სურნელი იგრძნო. მის ფეხქვეშ იატაკი ტალღების ტაქტში ირხეოდა და ის მიხვდა, რომ „პილარიზე“ იმყოფებოდა. იახტა მზად იყო ზღვაში გასასვლელად. ის შტურვალს მიუახლოვდა და შენიშნა, რომ გემის მისადგომთან ყველას თავი მოეყარა. მან დაინახა მოკლედ თმაგაკრეჭილი ბრეტი, რომელიც ბიჭუნას ჰგავდა, მის უკან კეტ ბარკლი იდგა, გვერდით — ოქროსფერთმიანი მარია; იქ იყო თეთრწინსაფრიანი აგნესიც, რომელსაც ხელში წიგნი ეჭირა; მოხუცი სანტიაგოც, რომელსაც მხარზე ანძა ჰქონდა გადებული; ჰეშიც, რომელსაც მარცხენა ფეხზე თავისი წითელი საშინაო ჩუსტი ეცვა. „რა კარგია... — გაიფიქრა მან, — ისინი ყველანი ჩემს გასაცილებლად მოვიდნენ“. მან დაქოქა იახტა. მის წინ საყვარელი ქალივით მშვიდი და თბილი ზღვა გადაშლილიყო. მისადგომი თვალს მიეფარა. „რა იოლია, როცა მარცხდები. მე არც კი ვიცოდი, რომ ეს ასეთი იოლი იყო...“ — გაიფიქრა მწერალმა. ის ყურს უგდებდა ზღვის სუნთქვას და უფრო და უფრო შორს მიცურავდა.

■

ანსამბლზე უვიღი წლით უფროსი თავკაცი, სასიფათო „სანჯღური“ და წინდების ამარა ცეკვებზე შემდგარი თენგიზ სუხიშვილი

ცხოვრება ცეკვაა — ეს პერიფრაზი თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ თენგიზ სუხიშვილის ცხოვრებასთან დაკავშირებით. მაშინაც კი, როცა ოჯახზე, მეგობრებზე ან რაიმე სხვა საკითხზე ესაუბრები, ეს თემა აუცილებლად გდევს თან...

წლეულს, სუხიშვილების ანსამბლს 60 წელი შეუსრულდა. მოგვიანებით — 8 ივლისს კი, თავად ბატონი თენგიზი გახლდათ იუბილარი, რომელიც თავის ანსამბლზე სულ რაღაც 7 წლით უფროსი ყოფილა...

ლელა ჯიყამვილი

— კარგად მახსოვს, როგორ იქმნებოდა ანსამბლი. გაჭირვება იყო, ომის წლები, შიმშილი, პური ბარათებით რიგდებოდა. სწორედ ასეთ დროს გადაწყვიტა მამამ ხალხური ცეკვის ანსამბლის ჩამოყალიბება. ღამის 12 საათზე იყო დაბარებული ცეკაში, კულტურის მინისტრთან ერთად. რამდენიმე საათი უჩვენებდა, რა ცეკვები უნდა დაედგა, მელოდიასაც კი უმღეროდა. შენ ისე ხარ მონდომებული, ყველაფერი გამოგივაო, — უთქვამთ მისთვის და დაუდიათ რეზოლუცია ანსამბლის შექმნის ნებარვის შესახებ...

— სუხიშვილების პირველი თაობა თუ გახსოვთ? თქვენ როდის დაიწყეთ ანსამბლში ცეკვა?

— მახსოვს. ის ცეკვებიც მახსოვს, რომლებიც იდგმებოდა. 11 წლისა, მეც ვცეკვავდი ანსამბლში. მაგრამ სერიოზული, დატვირთული ვარჯიში სკოლის დამთავრების შემდეგ დავიწყე.

— ცნობილია, თუ რა დატვირთვით ვარჯიშობენ სუხიშვილების მოცეკვავეები. ოდესმე თუ დაღლილხართ ისე, რომ წამოგცდენოდეთ — აღარ მინდა, მეტს აღარ

ვიცეკვებო?

— მართლაც, შეუსვენებლივ ვვარჯიშობდით, ვაჟებს ცერებზე გვიხდებოდა ცეკვა. ისეც ყოფილა, რომ ფეხის ფრჩხილები ჩათეთქვილი, გაშავებული მქონია, ცერა თითებიდან, მაპატიეთ ასეთი წვრილმანისთვის, მაგრამ ჩირქი მდიოდა... ისეთ დღეში ვყოფილვარ, ვერც წარმომედგინა, თუ სცენაზე გასვლასა და ცერებზე ცეკვას შევძლებდი, მაგრამ გავსულვარ და მიცეკვია. პირველად, მტკივან ცერს რომ დავაწექი, ვიფიქრე, გული გამჩერდებოდა, მაგრამ მერე მუსიკას ავყევი და.. დამავიწყდა ტკივილი. დედაჩემი ძალიან მომთხოვნი იყო, განსაკუთრებით — ჩემ მიმართ. რეპეტიციაზეც კი ყველაზე დიდი დატვირთვა ჩემზე გადმოჰქონდა. პირველ ხაზზე მაყენებდა (ჩვენთან რეპეტიციაზე რიგებად ვდგებით; პირველ რიგში მდგომთ გაცილებით მეტი ვარჯიში გვიხდებოდა, ვიდრე ილეთს დავხვეწდით, უფრო ხშირად ვიმეორებდით ყველაფერს). ზოგჯერ ვეტყოდი — კარგი, რა, დედა, მეყოფა-მეთქი. — არა, შენ რომ დაგზოგო, სხვას ველარაფერს მოვთხოვო, — მიპასუხებდა... ბრაზილიაში, ქალაქ რესიფეში ვცეკავდით. 45-გრადუსიანი სიცხე იყო. ფანჯარაში რომ ვიხედებოდით, ხეზე ფოთოლი არ იძვროდა. ამ ხვატში ჩოხა-ახალუხი მეცვა და ვცეკავდი. რომ დავამთავრე ცეკვა, გამოვედი კულისებში და ვთქვი: ეს იყო ჩემი ბოლო ცეკვა, ალბათ ახლა მოვკვდები-მეთქი.

— ტრავმა თუ მიგიღიათ ცეკვისას?

— ორივე მუხლის ტრავმა მქონდა. ერთ-ერთზე ოპერაციაც გავიკეთე. საერთოდ, განსაკუთრებით „ხანჯლურის“ დროს ხდება ხოლმე ექსცესები. ყოფილა შემთხვევა, რომ მაჯა გასჭრია მოცეკვავეს. ხმლების დასობისას კი, ზოგჯერ, დარბაზში გადავარდნილა და მაყურებელი გაუკაწრავს. საბედნიეროდ, სერიოზული არაფერი მომხდარა.

— გავიგე, სამწუხაროდ, ერთ-ერთი მოცეკვავე ცოტა ხნის წინ დაშავებულა ხანჯლით და თვალზე მძიმე ტრავმა მიუღია...

— ეს სწორედ საუბილეო კონცერტზე მოხდა. „ხანჯლურისას“ ხანჯალი გატყდა და დიდი ნატეხი პირდაპირ თვალში მოხვდა. 3 ოპერაცია უკვე გავუკეთეთ, ახლა ისევ ცუდად გრძნობს თავს და მეოთხე ოპერაციასაც გავუკეთებთ... ასეთი შემთხვევა იშვიათად, მაგრამ სამწუხაროდ, მაინც ხდება.

— ანსამბლმა ქართული ხალხური ცეკვების განახლებული დადგმები განახორციელა. იოლად შეეგუეთ ნოვაციას?

— ვერ ვიტყვი, იოლად შევეგუე-მეთქი. პირველი ცეკვა — „ზეკარი“ — დედამაც ნახა, მისი დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე ვიცეკვეთ. ახლა ის ცეკვა სულ სხვანაირია. საერთოდ, ასეა: ცეკვას რომ დადგამ, მერე ათასჯერ იცვლის სახეს, იხვეწება. ახლა რომ ვუკვირდები — ახალი რაც გაკეთდა, მომწონს. მიკვირს, სხვას რომ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ხომ არ შეიძლება, სულ ერთსა და იმავეს უჩვენებდე მაყურებელს?!

— თანამედროვე პროგრამის საწინააღმდეგოდ იმასაც ამბობენ, ქართული არ არისო...

— რას ბრძანებთ?! სწორედ რომ ქართულია ყველაფერი. ჩვენი ანსამბლი რომ შეიქმნა, ამერკავკასიაში არც ერთი ცეკვის ანსამბლი არ არსებობდა. იყო მხოლოდ ოსური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი *(და არა ოსური ცეკვის. — ავტ.)*. ხომ არ გგონიათ, მათი „სიმღი“ ისეთი იყო, როგორადაც ჩვენ ვცეკვავთ? ეს სუხიშვილების დადგმული ცეკვაა... ახლა უკვე არსებობს ანსამბლები ამერკავკასიაში და მათ ჩვენი ანსამბლიდან წაიღეს ილეთები...

— თქვენი შვილები როგორები არიან? გგვანან ხასიათით? ილიკო თქვენს ყმაწვილობას ხომ არ გახსენებთ?

— არ ვიცი... ერთს ვიტყვი, რომ ილიკო ძალიან შრომისმოყვარე და მეგობრულია. მეც ასეთი ვიყავი... ნინო პირდაპირია, ზოგჯერ ვეტყვი — ცოტა დიპლომატი უნდა იყო, ასე ყველაფრის პირში თქმა არ შეიძლებამეთქი. საორგანიზაციო საკითხებში მამაჩემს ჰგავს. ამიტომაც ყველაფრის მოგვარება შეუძლია.

— ძნელი წარმოსადგენია, თქვენ ცეკვით გაგაკვირვოთ ვინმემ, მაგრამ მაინც: თუ გინახავთ სადმე საქართველოს სოფლებში ცეკვა, რომელიც თქვენთვისაც კი მოულოდნელი იყო?

— „ქისტური“ რომ უნდა დაგვედგა, მე და ილიკომ პანკისში ვიმოგზაურეთ. იქ ისეთი ილეთები ვნახეთ, რომ გაგვიკვირდა კიდეც. შემდეგ დავამუშავეთ და გადავიტანეთ სცენაზე. არაჩვეულებრივი ცეკვა მინახავს აჭარაშიც... საერთოდ, ქართული ცეკვა მსოფლიოში ერთადერთია, რომელსაც შეიძლება, ორი განყოფილება უყურო და არ მოგწყინდეს. არ გბეზრდება, იმდენად განსხვავებული ცეკვებია: „აჭარული“, „მოხევური“, „ხევსურული“, „ქართლური“... არასოდეს დამავიწყდება პირველი თაობის მოცეკვავე, ლექსო შადური. მოხევე გახლდათ. არავის უნახავს, ორჯერ ერთნაირად ეცეკვოს „მოხევური“, სულ ცვლიდა რაღაცას. შემოქმედი იყო მთელი არსებით... ასეთი ხალხი იბადებოდა და იბადება საქართველოში. მათი ყოველთვის შეიძლება გიკვირდეს.

ჩემდა სამარცხვინოდ, მსოფლიო მქონდა ნანახი და სვანეთში არ ვიყავი ნამყოფი...

— ბატონო თენგიზ, სულ ანსამბლზე ვსაუბრობთ, იქნებ გვიამბოთ რაიმე, რომელიც ანსამბლს არ უკავშირდება და პირადად თქვენ გეხებათ?

— ჩემდა სამარცხვინოდ, მსოფლიო მქონდა ნანახი და სვანეთში არ ვიყავი ნამყოფი. მეგობარმა წამიყვანა. არაჩვეულებრივად დამხვდნენ. სპეციალურად წავიდნენ ქურდიანები ჯიხვზე სანადიროდ და ნანადირევი ჩამოიტანეს. გაიშალა სუფრა, ლხინი დაიწყო და მასპინძლებმა მთხოვეს, იცეკვეო. კედები მეცვა, იმით როგორ ვიცეკვებდი, ცერებზე ხომ ვერ დავდგებოდი?! არადა, მასპინძლისთვის როგორ მეთქვა უარი!.. გავიხადე და წინდების ამარამ ვიცეკვე. სულ დავისისხლიანე თითები...

— დაბოლოს, როგორ აღნიშნეთ დაბადების დღე?

— წყნეთში მეწვივნენ მეგობრები და ოჯახში უბრალოდ აღვნიშნეთ.

— იცეკვეთ?

— არა, არ მიცეკვია. ჩემმა მეგობრებმა — ილიკო საყვარელიძემ და ჯანო ბაგრატიონმა იმღერეს ქალაქური სიმღერები. მეც ვიმღერე. ჩემი ცეკვა მათ იმდენჯერ აქვთ ნანახი, რომ არც უთხოვიათ... ■

ხომ არ გგონიათ, მათი „სიმღი“ ისეთი იყო, როგორადაც ჩვენ ვცეკვავთ? ეს სუხიშვილების დადგმული ცეკვაა...

რატომ ეშინია ზღვაში შესვლა ია ჩანტლაძეს?

მოლუსკები, ზღვის დაავადება და შუა ზღვაში გადაგდებული მომღერალი

მეგობრებთან ერთად დასვენება კარგია, თუ რა თქმა უნდა, ისინი შესაშინებლად შუა ზღვაში არ მოგისვრიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ცურვა არ იცი. რატომ ეშინია წყლის სტიქიის ქვეშ დაბადებულ ია ჩანტლაძეს წყლის, როგორ დასვენებას ანიჭებს უპირატესობას მეგობრების მოყვარული, მაგრამ მათგან „გამწარებული“ მომღერალი და რა სიახლეებია მის შემოქმედებით კარიერაში? ამ და სხვა კითხვებზე, ია თავად გვიპასუხებს.

ლიკა ქაჯაია

– ბავშვობაში, ძირითადად, გურიის ერთ-ერთ სოფელში (ჩოხატაურის რაიონში) ვისვენებდი. მშობლებს სხვადასხვა კურორტზეც დავყავდით – წაღვერში, კეჩხობში, ბაკურიანში და ა.შ. მაგრამ ყველაზე მეტად, ჩვენს სოფელში ყოფნა მომწონდა. ალბათ იმიტომ, რომ იქ ძალიან ბევრნი ვისვენებდით – ჩემი ბიძაშვილები, მამიდაშვილები და კარგადაც ვერთობოდით... ახლა უკვე დიდი ხანია, რაც იქ აღარ ავსულვართ.

— იმიტომ ხომ არა, რომ ახლა კურორტები უფრო მოგწონს?

– არა. უბრალოდ იქ უკვე აღარავინ ცხოვრობს და დასასვენებლად რომ ჩახვიდე, ამისათვის სახლი წინასწარ უნდა მოაწესრიგო. ეს კი გვეზარება და ამიტომაც აღარ ჩავდივართ.

— პირველად როდის წახვედი მშობლების გარეშე დასასვენებლად?

– 16 წლის ვიყავი, როცა მე, ჩემი ძმა და მეგობრები „ოქროს ქვიშებზე“ წავედით მშობლების გარეშე. ეს დაუვიწყარი დასვენება იყო.

— ანუ მშობლებთან ერთად რაღაცაში იზღუდები ხოლმე?

– მათთან ერთად, ძალიან შეზღუდული ნამდვილად არ ვარ და არც ისეთი რამის გაკეთებას ვაპირებ, მათ რომ არ მოეწონებათ. უბრალოდ, მაინც რაღაც ისეთი, დამოუკიდებლობის შეგრძნება დამეუფლა და ეს არაჩვეულებრივი იყო.

— მთა უფრო გიყვარს თუ ზღვა?

– მთისკენ უფრო ვიხრები, თუმცა ზღვაც ძალიან მიყვარს, მაგრამ მთაში ნაკლებად მოვიწყენ ხოლმე, ზღვა კი შეიძლება 10 დღის შემდეგ მომბეზრდეს.

— ცურვა იცი?

– არა, არ ვიცი. ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, წყალი ჩემი სტიქიაა, ძალიან მიყვარს, შემიძლია დავჯდე და საათობით ვუყურო მის ლივლივს, მაგრამ წყალში შესვლის მეშინია – წელამდე რომ შევალ ხოლმე, რაღაც ტიკები მემართება.

— მთა რით გიზიდავს?

– მთაში არ ვგულისხმობ მაინცდამაინც შხარას ან უშბას... ბორჯომის ხეობაში დასვენება ძალიან მომწონს. იქ, ფეხით დიდხანს დავდივართ – „პახოდებს“ ვაწყობთ.

— ეი. ლაშქრობებში ხშირად დადიხარ?

– მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან მომწონს, დროის უქონლობის გამო, ლაშქრობების მოწყობას ნაკლებად ვახერხებ.

— პიკნიკებზე სიარული თუ გიყვარს?

– მიყვარს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ინიციატორი მე თვითონ ნაკლებად ვარ ხოლმე. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩემს დაბადების დღეს პიკნიკის სახე უფრო ჰქონდა. წინასწარ არ ვგეგმავდი, რა უნდა გამეკეთებინა და უცებ რომ შევიკრიბებოდით 4-5 კაცი მაინც, ქალაქგარეთ გავქანდებოდით, მინდორში გავშლიდით სუფრას და ვქეიფობდით. საერთოდ, რაც უფრო ხშირად მიწევს ბუნებაში ყოფნა, მით უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

— ყველაზე კარგად სად და როგორ ისვენებ?

– ადრე, ტინეიჯერულ ასაკში, სულ დისკოთეკებზე ვფიქრობდი. 20-30 კაცი ერთად მივდიოდით. ახლა კი ვცდილობ, ისეთ ადგილას დავისვენო, სადაც დიდი „რია-რია“ და აურზაური არ იქნება. ალბათ, იმიტომ, რომ აქედან დაღლილი მივდივარ.

— ეი. ამჯერად პასიური დასვენების მოყვარული ხარ?

– ალბათ კი, მაგრამ ამაში არ ვგულისხმობ იმას, რომ მთელი დღე ვიწვე. უბრალოდ, აურზაური აღარ მიზიდავს, მაგასაც თავისი განწყობილება სჭირდება. როცა გაქვს იმის შესაძლებლობა, რომ წელიწადში 2-3-ჯერ მაინც დაისვენო, ალბათ, აქტიური დასვენება დამღლელი აღარ მოგეჩვენება, მაგრამ თუ მთელი წელი გადაბმულად რთული რეჟიმი გქონდა და ბოლოს მოგეცა საშუალება, 10 დღით მაინც დაისვენო, ამ შემთხვევაში, ღამეების თენება, ლოთობა

და შფოთობა არ მიყვარს... ყველაზე კარგად ვისვენებ მაშინ, როცა ჩემს უახლოეს მეგობრებთან ერთად ვარ და რაც უფრო ცოტანი წავალთ, მით უკეთესი (მაქსიმუმ 5 კაცი). რა თქმა უნდა, დასვენება არასდროს ჩაივლის ახალი სამეგობროს გაჩენის გარეშე, მაგრამ ერთ სახლში, 5 კაცზე მეტის ცხოვრება სისულელეა.

— კურორტებზე გაცნობილ მეგობრებთან ურთიერთობა შემდგომშიც გრძელდება?

— კი. ყოფილა შემთხვევები, როცა ერთმანეთს ძალიან მჭიდროდ ვეკონტაქტებოდით და დღესაც ვმეგობრობთ.

— დასვენების დროს თაყვანისმცემლები არ გაწუხებენ?

— მე საერთოდ არ ვარ ის ტიპი, რომელიც თაყვანისმცემელმა შეიძლება შეაწუხოს. ყოველთვის ვახვედრებ ადამიანს, სად არის მისი ადგილი.

— შარშან სად ისვენებდი?

— შარშან? აღარც კი მახსოვს *(იცინის)*... მგონი — აჭარაში.

— კერძოდ, აჭარის რომელ ნაწილში?

— იცი, როცა აჭარაში ჩავდივარ, სულ ვმოძრაობ ხოლმე ანუ ხან ბათუმში ვარ, ხან ქობულეთში და ა.შ. საერთოდ, დიდხანს ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები.

— წელს დასვენება მოასწარი?

— ერთი კვირით ბათუმში ვიყავი, მაგრამ ჩემი დასვენება ამით არ ამოწურულა. ახლა, უბრალოდ, რაღაც საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, უნდა გავარკვიო ჩემი საკონცერტო ამბები, რომ ამის მიხედვით ვიმოქმედო... შეიძლება რამდენიმე დღით წაღვერში წავიდე.

— ბათუმში როგორ დაისვენე?

— ძალიან კარგად. ზუსტად ისე, როგორც მინდოდა. ბოლოს, მე და ჩემი მეგობრები ვხუმრობდით: ცოტა ხანში, შინ პენსიას მოგვიტანენო.

— დასასვენებლად საზღვარგარეთაც ყოფილხარ. ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა მოგეწონა?

— რომ გითხრა, ძალიან ბევრს ვმოგზაურობ-მეთქი, მოგატყუებ. არ ვიცი, რომელი მომეწონა, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა (თუ რა თქმა უნდა, ამ სიტყვების შემდეგ თურქები სახლში არ მომივარდებიან), რომ თურქეთი არ მომეწონა.

— რატომ?

— არა იმიტომ, რომ ცუდად დავისვენე. უბრალოდ, შემაწუხებელი ხალხია. არ ვიცი, მხოლოდ ქართველების მიმართ თუ საერთოდ, მაგრამ დამღალა მათმა უაზრო რეპლიკებმა და შეძახილებმა ჩვენს დანახვაზე...

— საზღვარგარეთ ყოფნისას, რაიმე საინტერესო თუ გადაგხდენია?

— ალბათ კი, მაგრამ ახლა არ მახსენდება... თუმცა, მოგიყვებით ერთ ამბავს, რომელზეც ახლა მეცინება, მაგრამ მაშინ საშინელებად მეჩვენებოდა. დასასვენებლად „ოქროს ქვიშებზე" ვიყავი მეგობრებთან ერთად. ერთხელაც, გადავწყვიტეთ „კრუიზი" მოგვეწყო. იქაურებმა გვითხრეს, რომ არსებობს რაღაც კუნძული თუ ნახევარკუნძული, დავიქირავეთ იახტა და წავედით მის სანახავად. თანაც, თურმე იქ მოლუსკებსაც წვავდნენ. მოკლედ, ეგზოტიკური დღე მოვიწყვეთ... დავიწყებ იქიდან, რომ აღმოჩნდა — მაქვს ზღვის დაავადება და იახტის ყანყალისგან კინაღამ მოვკვდი (იმედი მაქვს, რომ დიდი გემით მგზავრობისას ასეთი რამ არ დამემართება). ადგილზე რომ მივედით, მოლუსკების დანახვისას ცუდად გავხდი... მერე წამოვედით და შუა ზღვაში გავჩერდით. ყველას გვეცვა სამაშველო ჟილეტები. ჩემ გარდა, ყველამ წყალში ისკუპა, სადაც ჩემხელა მედუზები დაცურავდნენ. ბოლოს, როცა უკვე ყველანი ამოვიდნენ, ერთ-ერთმა მეგობარმა ხელი მკრა და ზღვაში გადამაგდო. დაქოქეს იახტა და წავიდნენ. მართალია, შორს არა, მაგრამ შიშისგან კინაღამ გული გამიჩერდა, შოკში ჩავვარდი. 10 წუთის განმავლობაში ასე მაწამეს, ბოლოს ამომათრიეს და ცოცხალმკვდარი წამიყვანეს. თვითონ მათ, კი საოცრად ბედნიერი სახები ჰქონდათ. მოკლედ, საშინელი დღე მქონდა — ჯერ ზღვის დაავადება, მერე მოლუსკების ჭამა და 10-წუთიანი, შიშისგან გამოწვეული შოკი. წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვიქნებოდი?

— მოლუსკების გარდა, კიდევ რაიმე ეგზოტიკური თუ გიჭამია?

— არა, მხოლოდ რვაფეხა და ლოკოკინები — მეტი არაფერი.

— რომელ ქვეყანაში ინატრებდი დასვენებას?

— დასვენება არ ვიცი, მაგრამ სიამოვნებით ვიცხოვრებდი ესპანეთში. მარტო ამ ქვეყანაში არ მომბეზრდებოდა ყოფნა. მართალია, ესპანეთის ნახვის ბედნიერება ჯერ არ მღირსებია, მაგრამ ეს ქვეყანა და თვითონ ხალხი, ძალიან მომწონს.

— საზაფხულო კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდი?

— თელავში მქონდა კონცერტი და ამის შემდეგ, იქ მეგობართან ერთი კვირით დავრჩი. კონცერტის მეორე დღეს, ვზივარ აივანზე და ვხედავ — რომ ვიღაც ტიპები მოდიან უზარმაზარი პლაკატებით, კივილით, წივილით, ყვირილით: „ია, გვიყვარხარ!" მათ მოჰყვებოდა ჩემი ერთ-ერთი მეგობარი ფოტოაპარატით ხელში. იღებდნენ სურათებს. მე შოკში ვიყავი, გამიკვირდა, რომ ამხელა კაცები (ჩემი ასაკის) მომადგნენ სახლში. მათ დანახვაზე, თმაც კი დავივარცხნე. თუმცა, ვხვდებოდი, რომ რაღაც ისე ვერ იყო, იმიტომ, რომ საქციელთან შედარებით არაადეკვატური რეაქციები ჰქონდათ... მოკლედ, ნახევარსაათიანი აჟიოტაჟის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ჩაწყობილი იყო ჩემი მეგობრის მიერ, რომელმაც შეყარა თავისი ძმაკაცები, მისცა მათ სერიოზული პლაკატები და აყვირა.

— დაბოლოს, რა სიახლეა შენს შემოქმედებაში?

— აგვისტოს ბოლოდან, სხვადასხვა ქალაქში დაგეგმილია კონცერტები, რომელსაც ტურნეს სახე ექნება და სადაც მეც მივიღებ მონაწილეობას.

— კონკრეტულად, რომელ ქალაქებში გაიმართება ეს კონცერტები?

— ალბათ, ქობულეთში, ბათუმში. სამეგრელოსა და გურიაშიც იგეგმება, მაგრამ რომელ ქალაქებში, არ ვიცი... არის ლაპარაკი გერმანიაში წასვლაზეც, მაგრამ ეს ჯერჯერობით იდეის დონეზეა და ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

— მარტო უნდა წახვიდე თუ სხვა მომღერლებთან ერთად?

— ალბათ, სხვებთან ერთად... და კიდევ, არის დიდი შანსი იმისა, რომ წავიდე ისრაელში, მაგრამ არა შემოქმედებითი, არამედ პროფესიული კუთხით — სემინარებზე.

■

ბუფონის მეუღლე RAI-2-ზე გამოჩნდება

„იუვენტუსის“ გოლკიპერის, ჯანლუიჯი ბუფონის გელფრენდის – ცნობილი ჩეხი მოდელის, ალენა სერედოვას კარიერა წარმატებით გრძელდება. ამიერიდან იგი იტალიურ ტელეარხზე – RAI-2-ზე საკვირაო საინფორმაციო გამოშვებას გაუძღვება. ამ ადგილის დასაკავებლად გაჩაღებული ბრძოლისას სერედოვამ ცნობილი იტალიელი მწვრთნელის, მარჩელო ლიპის შვილის მეგობარი გოგონა, ანტონელა მაზეტი დაჯაბნა. გარდა ამისა, ალენას ერთ-ერთ პროგრამაში ელიზაბეტ კანალისის ადგილიც

შესთავაზეს, მაგრამ ჩეხმა ლამაზმანმა უპირატესობა RAI-2-ს მიანიჭა. ამგვარად, უმსხვილეს სატელევიზიო არხებს – MEDIASET-სა და RAI-ს შორის კონკურენცია კიდევ უფრო გამძაფრდა. პირველად, RAI-2-ის სახე, მოტომრბოლელ მაქს ბიაჯის მეგობარი მოდელი, ელეონორა პედრონი იყო, რომელსაც ბოლო დროს, ამინდის ცნობები მიჰყავდა. ტელეკომპანიის მესაკუთრეთა თქმით, იქ სერედოვას მისვლის შემდეგ RAI-2-ის რეიტინგი საგრძნობლად გაიზრდება. საკვირაო სპორტული პროგრამა, რომელსაც ჩეხი მოდელი წაიყვანს, ტელემაყურებელს ბევრ საინტერესო სიურპრიზს ჰპირდება. ალენა სტუდიაში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე საინტერესო ადამიანებს მიიწვევს. პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რუბრიკად, „ინტერესთა კონფლიქტი“ იქცევა, რომელშიც დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს პირდაპირ წაუყენებენ პრეტენზიებს. ■

მათეუსის ქალიშვილი მიმტანად მუშაობს

„ბილდის“ ჟურნალისტებმა გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის, ლოთარ მათეუსის ქალიშვილი ნახეს ლუდხანაში, სადაც იგი უბრალო მიმტანად მუშაობს. 1990 წლის მუნდიალის ტრიუმფატორის ქალიშვილი ალისა, რომელიც ლოთარს პირველი ცოლის, სილვიასაგან ჰყავს, ამჟამად 19 წლისაა. იგი მართლაც მუშაობს ავსტრიის სამთო-სათხილამურო კურორტ კიტცბულის ერთ-ერთ პაბში, სადაც კლიენტებს ლუდითა და საფირმო კოქტეილებით უმასპინძლდება. კიტცბული იმითაცაა ცნობილი, რომ იქ არაერთი ცნობილი ევროპელი პიროვნება ცხოვრობს – მაგალითად, გერმანიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ფრანც ბეკენბაუერი. აი, თავად ლოთარი კი, კიტცბულს არცთუ ისე ხშირად სტუმრობს. ალისასთან ერთად ის მხოლოდ 5 წლის წინ ნახეს. ეს 2000 წელს, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ მოხდა, როდესაც ლოთარ მათეუსის დიდი ფეხბურთიდან გაცილების ცერემონია მიმდინარეობდა. ■

ისევ „ღმერთის ხელის“ შესახებ

დიეგო მარადონას კვლავაც არ სურს, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისელათა კარში გოლის ხელით გატანის გამო ბოდიშის მოხდა, თუმცა არგენტინელი სუპერვარსკვლავი თავის საქციელს „ღმერთის ხელის“ ჩარევადაც აღარ მიიჩნევს. თან დიეგომ ტელეშოუში – „საღამო მეათე ნომერთან“ – აღიარა, რომ გოლი მართლაც, სათამაშო წესების დარღვევით გაიტანა. მან ისიც გაიხსენა, თუ რა ხდებოდა 1986 წლის მუნდიალზე არგენტინა-ინგლისის მატჩის მსვლელობისას. „ეს თავისთავად გამომივიდა“, – დასძინა მარადონამ, რომელმაც იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ალბიონელთა მეკარე პიტერ შილტონი ძალიან მაღალი იყო და მასთან ორთაბრძოლისას, თავით გოლის გატანას ვერ შეძლებდა, ამიტომ მიზნის მისაღწევად, ხელი იხმარა. ამავე დროს, არგენტინელთა კაპიტანი იმასაც მალევე მიხვდა, რომ მსაჯს არაფერი დაუნახავს, თუმცა თანაგუნდელთაგან მისთვის მილოცვას ვერავინ ბედავდა. „ველოდებოდი, როდის მოვიდოდნენ და გადამეხვეოდნენ პარტნიორები, მაგრამ ეს არავის გაუკეთებია. ამიტომ იძულებული გავხდი, მათთვის მეთქვა, რომ ჩემთან მოერბინათ და გულღიად მოელოცათ: წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ არბიტრს ეჭვი შეეპარებოდა“, – განაცხადა მარადონამ. შეგახსენებთ, რომ არგენტინელებმა ის შეხვედრა 2:1 მოიგეს, შემდეგ კი, მსოფლიოს თასსაც დაეუფლნენ. როგორც ცნობილია, იმ მუნდიალამდე 4 წლით ადრე, არგენტინა ფოლკლენდის ომში სწორედ დიდ ბრიტანეთთან დამარცხდა. ფეხბურთელთა მიერ მიღწეული გამარჯვება არგენტინელთათვის ერთგვარ რევანშად იქცა. თავად მარადონა მოვლენების ამგვარად განვითარებისათვის თავიდანვე მზად ყოფილა. ის იხსენებს, რომ ინგლისელთა გუნდზე გამარჯვების შემდეგ, მისი თანაგუნდელები ძალიან მოკრძალებულად იქცეოდნენ. „ისინი გადამეხვივნენ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჩემთვის უნდოდათ, ეთქვათ – ჩვენ ეს გამარჯვება მოვიპარეთო, – მე კი ვუპასუხე – ვინც ქურდს მოჰპარავს, 100 წელი ცხონდება-მეთქი...

■

მოთამაშეებს ისე ექცევა, როგორც ცოლს...

„ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა, ჟოზე მოურინიომ ფეხბურთელებთან მუშაობის საკუთარი მეთოდი გაამხილა. ჩემპიონთა ლიგის, ინგლისის ჩემპიონატისა და უეფას თასის გათამაშების ტრიუმფატორის თქმით, ის თავისი გუნდის მოთამაშეებს ისე ექცევა, როგორც ცოლს. ცოტა ხნის წინ, პორტუგალიელი ფეხბურთის სპეციალისტი მოთამაშეებისადმი ზედმეტად მკაცრ მოპყრობაში დაადანაშაულეს, რაზედაც მოურინიომ უპასუხა: „ბიჭებს ისე ვექცევი, როგორც საკუთარ მეუღლეს – ტამის. მოთამაშეებს ჩემი არ ეშინიათ. მათ იციან, რომ არსებობს გარკვეული წესები, იციან ისიც, რომ მათთან ერთად ხუმრობა და გაცინებაც შემიძლია, მაგრამ მეორე დღეს, როდესაც რაღაც მიზეზით, უხასიათოდ ვიქნები, ამას უმალვე გამოვამჟღავნებ. ფეხბურთელები ამას ხვდებიან და შესაბამისად იქცევიან. ეს ისევეა, როგორც ოჯახში: ყველა სადავო საკითხი უმალვე უნდა გადაიჭრას, რათა შემდეგ, ვითარება უფრო არ გართულდეს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოვწონვარ თუ არა ფეხბურთელებს – მთავარი ის არის, პატივს სცემენ თუ არა ისინი დადგენილ წესებს და იმას, ვინც ეს წესები დაადგინა. მათ პატივი უნდა სცენ მწვრთნელსაც და ერთმანეთსაც, უნდა მოსწონდეთ მუშაობა და თამაში. აუცილებელი არ არის, რომ მათ მაინცდამაინც ვუყვარდე“. ■

მაცა ტოტის ვერ ივიწყებს

რამდენიმე წლის განმავლობაში, „რომასა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელის, ფრანჩესკო ტოტის საცოლედ მარია მაცა ითვლებოდა. ისინი თავიანთ ურთიერთობას არც მალავდნენ. მარია, ფრანჩესკოს მშობლებთან ერთად „ევროდისნეი 2000“-ის მატჩებსაც ესწრებოდა. მაგრამ შეყვარებულებს არ გაუმართლათ. 2001 წლის ივლისში, სარდინიაზე დასვენებისას, ტოტიმ ყველა გააკვირვა, როდესაც საზოგადოებაში სამანტა დე გრენესთან ერთად გამოჩნდა. რა თქმა უნდა, იტალიურმა ყვითელმა პრესამ ფეხბურთელის ახალი რომანი უმალვე გაახმაურა. საგულისხმოა, რომ იმავე წლის გაზაფხულზე, სამანტა, ფილიპო ინძაგის საცოლედ ითვლებოდა. ტოტი მალევე დაშორდა დე გრენეს. შემდეგ, ფეხბურთელს მსახიობებთან – ფლავია ვენტოსთან, მანუელ არკურისთან და ანტონელა მაზეტისთან ჰქონდა ხანმოკლე რომანები, თუმცა სერიოზული ურთიერთობის დამყარება მხოლოდ თავის ამჟამინდელ ცოლთან, ილარი ბლაზისთან შეძლო. ცხადია, ტოტისთან დაშორებამ მარია ძალიან გააღიზიანა, თუმცა გულხელდაკრეფილი დიდხანს არ მჯდარა. ცოტა ხნის წინ მან განაცხადა, რომ მზად იყო, გაშიშვლებულიყო, თუ მისი საყვარელი კლუბი „ნაპოლი“ სერია A-ში დაბრუნდებოდა. მაცას ფლირტი ჰქონდა ფაბიო კანავაროსა და ჯენარო გატუზოსთან. მიუხედავად ამისა, ის ამჟამადაც განიცდის ტოტისთან განშორებას. ამბობენ, რომ მას ახლა ბოიფრენდი არ ჰყავს და თავს მარტოსულად გრძნობს. „სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ვფიქრობ ფრანჩესკო ტოტიზე. ახლა არც იმას უარვყოფ, რომ მასთან განშორება ჩემმა საქციელმაც განაპირობა. ამ დასკვნამდე ხანგრძლივი განსჯის შემდეგ მივედი. მიუხედავად ამისა, ეს ამბავი მაინც უნდა დავივიწყო, თუმცა ეს ძალიან რთული იქნება ჩემთვის. ჩემს გულში ხომ ტოტი სამუდამოდ დარჩება. ერთად გატარებულ ბრწყინვალე დღეებს გონებიდან ასე ადვილად ვერ ამოვშლი. მაგრამ ეს უნდა შევძლო. ვერ გამიგია, რითია ასეთი მომხიბვლელი ტოტი. მაგალითად, ფაბიო კანავარო ხომ მასზე უკეთესია. ან კიდევ – გატუზო. მაგრამ გოგონები მაინც ჭკუას კარგავენ ტოტიზე“, – აცხადებს მარტოდ დარჩენილი მარია მაცა. ■

ალონსოს საყვარელი ალიჰში გადაიღეს

გერმანელი ჯენი, ცნობილი მრბოლელის, „ფორმულა-1“-ის ამჟამინდელი ლიდერის, ფერნანდო ალონსოს ცხოვრების თანამგზავრად ითვლება. 18 წლის ჯენი ჯერჯერობით ისევ სკოლაში სწავლობს. მას ამჟამად არდადეგები აქვს, ამიტომ დრო იხელთა და ბუდაპეშტში ადგილობრივ „ჰუნგაროორინგზე“ შეყვარებულის რბოლას დაესწრო. ალონსოს ამჯერად არ გაუმართლა: ის ფინიშთან მხოლოდ მე-11 მივიდა. მაგრამ ბოიფრენდის წარუმატებლობით გაფუჭებული გუნება-განწყობილება ჯენის მალე გამოუკეთდა. ამ რბოლიდან რამდენიმე დღეში, გერმანულ MTV-ზე გამოვიდა ჯგუფ Gotthard-ის კლიპი, რომელშიც ალონსოს გულის სწორია გადაღებული. სიმღერას ჰქვია „სადღაც, ოდესღაც“. თავად ტინეიჯერი, კლიპის გადაღების პროცესითა და შედეგით აღტაცებული დარჩა: „ამ დროს შესანიშნავი გამოცდილება მივიღე. გადაღების პროცესმა პროფესიონალურ დონეზე ჩაიარა. ვიმედოვნებ, ტელემაყურებელს ეს ვიდეორგოლი მოეწონება“. ■

რა უნდა ვიკითხოთ ხელქვეითებთან აუოთიუოთობის დროს

(ასტროლოგიური რჩევები უფროსებს, ხელმძღვანელებს, პრეზიდენტებს... და არა მარტო მათ)

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, კოლექტიური საქმიანობისას მთავარი, ხელმძღვანელი კი არა ხელქვეითია, ანუ მეფე ყველაზე საჭირო და წარმმართველი ფიგურაა, მაგრამ ის პაიკების გარეშე უბრალოდ განწირულია. ბრძოლის მოგების შემდეგ დაფნის გვირგვინით მხოლოდ ერთ კაცს აჯილდოებენ, მის უკან კი მთელი არმია დგას. ასე რომ, გაიგეთ საკუთარ ხელქვეითებზე უფრო მეტი და მათი შრომა უფრო პროდუქტიული გახადეთ.

ვერძი

თუ თქვენ ვერძის ნიშნით დაბადებულ ადამიანს სამსახურში იღებთ ან დიდ შენაძენს აკეთებთ, დიდ შეცდომას უშვებთ (გაჩნია, სწორად განსაზღვრავთ ვერძი-ხელქვეითის შესაძლებლობებს და მისთვის სარგო საქმეზე დააყენებთ თუ არა მას). ცოტა ძნელია მოთოკოთ ეს ენთუზიასტი და ფეთქებადი ადამიანი. მან რომ კარგად და ნაყოფიერად იმუშაოს, საჭიროა სამუშაო არ მოსწყინდეს, ანუ ეს სამუშაო მისთვის საინტერესო იყოს. კარგად შეისწავლეთ მისი შინაგანი ბუნება, რა მიდრეკილებები აქვს, რა უყვარს და შეეცადეთ, ისე წაიყვანოთ საქმე, რომ მისი საქმე პირდაპირ თუ არა, ირიბ კავშირში მაინც იყოს მის ჰობისთან. კარგი იქნება, თუკი მას გარკვეულწილად დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება შეეძლება. ძილით თუ დააგვიანდა, ნუ უსაყვედურებთ და ნუ გაიცხვთ, სამაგიეროდ თუ საერთო საქმეს დასჭირდა, სამსახურიდან შუაღამემდე ფეხს არ მოიცვლის. კიდევ ერთი შტრიხი, მისთვის ფული მეორეხარისხოვანია, პირველი კი წარმატება და აღიარებაა. შეეცადეთ, მასთან ურთიერთობისას ეს გაითვალისწინოთ — ხშირად შეაქეთ და წაახალისეთ.

კურო

პირველი რჩევა: ის არავითარ შემთხვევაში გამყიდველად არ დანიშნოთ, რადგან ამ პროფესიას ბევრი ლაპარაკი და კომუნიკაბელურობა სჭირდება, კუროს კი ეს ცოტა ნაკლებად ეხერხება (იმ შემთხვევის გარდა თუ მას ვერძის, მარჩბივის, ლომის ან მერწყულის გავლენა არა აქვს). გარდა ამისა, მას მყარი, სტაბილური ანაზღაურება ხიბლავს, ანუ მისი ხელფასი არ უნდა იყოს გამომუშავებაზე დამოკიდებული (ეს შტრიხი მის შრომისმოყვარეობას ერთიორად გაზრდის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ანაზღაურება მცირეა). ის შესანიშნავი მებაღე, ექიმი, ინჟინერი და უძრავი ქონებით მოვაჭრეა. მას ანგარიში ძალიან კარგად ეხერხება და იშვიათი გამონაკლისების გარდა დაკისრებულ მოვალეობას (თუნდაც, ის რთულ ანგარიშს მოითხოვდეს) უპრობლემოდ ასრულებს. აქედან გამომდინარე, კურო-ქალი ბრწყინვალე მდივანია. მას შეგიძლიათ რთული საქმეებიც კი ანდოთ და გაჭირვების ჟამს რჩევაც კი ჰკითხოთ. მისი გონივრული და ლოგიკური პასუხი ნამდვილად გამოგადგებათ. თუმცა, მასთან რომანის გაბმას ნუ მოიწადინებთ, ის ვახშამზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგთანხმდებათ, თუ სერიოზულ გრძნობებზეა საუბარი.

მარჩბივი

მარჩბივის ნიშნით დაბადებული ადამიანი ექსტრემალური სიტუაციის დროს ხელქვეითის რანგში უფრო მობილიზებულად მოქმედებს, ვიდრე როგორც ხელმძღვანელი. მთავარია მას მონოტონური და ერთფეროვანი სამუშაო არ მისცეთ, ამას მისი წყობილებიდან გამოყვანა შეუძლია. ის ყველაზე კარგი სარეკლამო აგენტი და ჟურნალისტია. სხვათა შორის, იაპონიაში (სადაც ადამიანს სამსახურში მისი ჰოროსკოპის განხილვის შემდეგ იღებენ) მარჩბივებს სწორედ ამ ადგილებზე ამუშავებენ. აქ ის შეუდარებელია — სარეკლამო აგენტს ბევრი გადაადგილება, მოქნილი ენა და კომუნიკაბელურობა მოეთხოვება, მარჩბივი კი ზუსტად ასეთია. მარჩბივ-ხელქვეითს შეუძლია რამდენიმე იდეის ერთმანეთთან შეჯერება და აქედან მომგებიანი პროექტის შექმნა. ის შესანიშნავი კომპიუტერის სპეციალისტი და ბუღალტერია (ამ უკანასკნელს ქალწულიც უპრობლემოდ უმკლავდება). თუმცა, მას მეორე ბ რეც აქვს, მაგალითად, შეუძლია საკუთარი ხეგატიური თვისებები მთელ კოლექტივს გადასდოს.

კირჩხიბი

თუ მას სამუშაოზე მიიღებთ, წაგებული არც ერთ შემთხვევაში არ დარჩებით. მას კონკრეტული მიზანი ამოძრავებს და ეს მიზანი ფულია, ანუ ის ფულის გულისთვის ქვას წვენს გამოადენს. ის კეთილსინდისიერად მუშაობს, არ იტყუება და არასოდეს გაებმება მაქინაციებში. მან ანაზღაურება თაკის დროზე უნდა აიღოს და ამასთან ერთად, ხელფასი გაწეული მუშაობის ადეკვატურიც უნდა იყოს. მისგან უბადლო ბაკლერი, არქეოლოგი, ანტიკვარიატით მოვაჭრე და შოუმენიც კი გამოდის, თუმცა, ცხოვრების სხვა სფეროებშიც ნაყოფიერად მოღვაწეობს. მას როგორც კი საკუთარი ანაზღაურება საშუალებას მისცემს, უმალვე ფულის შეგროვებას იწყებს, რათა „შავი დღისთვის" პრობლემები არ შეექმნას. თუ თქვენი ხელქვეითი კირჩხიბი-ქალია, მაშინ ორმაგი ყურადღება გმართებთ, რადგან მასთან უბრალო გაარშიყება (ღმერთმა დაგიფაროთ და სასიყვარულო რომანის გაბმა) შესაძლოა, მასთან ოჯახის შექნით დამთავრდეს (გაიხსენეთ, მისი ზოომორფული სიმბოლო — ნამდვილი კირჩხიბი თუ მსხვერპლს ჩაეჭიდა, უმალ საცეცს დაკარგავს, ვიდრე მსხვერპლს დათმობს).

ლომი

ოო, ლომი-ხელქვეითი თანამშრომლებს შორის შეუძლებელია არ შეამჩნიოთ. ის ყოველთვის ცდილობს საკუთარი თავი ნიჭიერად და პროფესიონალად წარმოაჩინოს (თუნდაც, ეს ასე არ იყოს). მისთვის ტიტულები ძალიან ბევრს ნიშნავს. დავუშვათ, მას უფროსობამ შესთავაზა ორი ვარიანტიდან ერთის არჩევა, ან ხელფასის მომატება, ან წარწერა მისი კაბინეტის კარზე — „მთავარი კონსულტანტი საკოორდინაციო საკითხებში". როგორ გგონიათ, ის რომელს აირჩევს? რა თქმა უნდა, მეორეს. ის ყველაზე კარგად თავს შოუბიზნესში, თეატრში, კინოსა და პოდიუმზე გრძნობს, ანუ იქ, სადაც თავის მოწონება და ბრწყინვალებაა საჭირო. უბადლო რეკლამირება შეუძლია, ნებისმიერ ადამიანს დაარწმუნებს ამა თუ იმ საქონლის შეძენის აუცილებლობაში. ირგვლივმყოფებს უხვად აძლევს რჩევებს, შესაძლოა, უცნობ ადამიანს ის ფირმის პრეზიდენტიც ეგონოს (არადა, პრეზიდენტიც იქ იყოს, კომერციული დირექტორიც და მთავარი ინჟინერიც). მის მიმართ ულმობელ სიმკაცრეს ნუ გამოიჩენთ.

ქალწული

ერთ-ერთი ყველაზე გამოსადეგი ხელქვეითი, ანუ მისი უხელქვეითესობა, გნებავთ ხელქვეითუხუცესი, რაც გინდათ, ის დაარ-

ქვით, მთვარია, რომ გაგიმართლათ, რადგან ის თქვენ გვერდით აღმოჩნდა. თუმცა, რაოდენ ნიჭიერიც არ უნდა იყოს, ერთბაშად ნუ დააწინაურებთ, ასე დააფრთხობთ (მან კარგად იცის, რომ სწრაფ აღმასვლას სწრაფი დაღმასვლა მოსდევს). კარგად შესრულებული სამუშაოსთვის მაინცდამაინც ფასიანი საჩუქრებით ნუ გაანებივრებთ, ნურც მის შესაძლებლობებსა და შესრულებულ სამუშაოს უგულებელყოფთ. ალბათ, მიხვდით, რომ ანაზღაურება ზუსტად მისი შრომის ადეკვატური უნდა იყოს. თანდათანობით კი ის თქვენს თანაშემწედ შეამზადეთ და მალე დარწმუნდებით, რომ ყველა მის წინამორბედს აჯობებს. მისი სწრაფი აზროვნება, მოქნილი ჭკუა, ლოგიკური გათვლები და შრომისმოყვარეობა უბადლო სამსახურს გაგიწევთ. ის შესანიშნავი გამომცემელი, კრიტიკოსი, ანალიტიკოსი, პოლიტოლოგი, პოლიგლოტი და ექიმია. სისუფთავესა და აკურატულობაში კი ვერავინ შეედრება. მისთვის შენიშვნის მიცემას ნუ იჩქარებთ და თუ მაინც მისცემთ, ეს ლაკონიურად და ტაქტიანად უნდა შეძლოთ.

სასწორი

პირველი რჩევა: შეეცადეთ, სასწორი-ხელქვეითი ყოველთვის ხალხის გარემოცვაში იყოს, რადგან მარტოობაში შესაძლოა, შეცდომები დაუშვას (უბრალოდ, პარტნიორი მისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მარტო მუშაობა ვერც კი წარმოუდგენია). თუ შენიშნეთ, რომ ის უყურადღებოდ მუშაობს ან ხარვეზებს უშვებს, აუცილებლად გამოჰკითხეთ ამის მიზეზი. ის ძალიან მგრძნობიარეა და სამუშაოს თითოეული დეტალი მასთან ჰარმონიაში უნდა იმყოფებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია მისი ნერვული სისტემა მწყობრიდან გამოვიდეს. ნებისმიერ საზოგადოებრივ საქმიანობაში ის მონაწილეობას სიამოვნებით მიიღებს, ამიტომ, მსგავსი შემთხვევების დროს ის არაფრით არ გამოგრჩეთ. თუ შეიძლება ითქვას, რომ დაყვირება ვინმეზე ცუდად მოქმედებს, ეს უპირველესად სასწორია. აქედან გამომდინარე, შენიშვნა ყოველთვის წყნარ ტონით მიეცით. სასწორები ხშირად კარგი დიპლომატები და იურისტები არიან, ასევე კარგად ართმევენ თავს შუამავლობას, ამიტომ, რაიმე საქმეზე მოსალაპარაკებლად ის გაგზავნეთ.

ღრიანკალი

ღმერთი არ გაგიწყრეთ და ღრიანკალი-ხელქვეითი არ აითვალწუნოთ, რაც არ უნდა დიდი თანამდებობა გეკავოთ, სამსახურში მისი დატოვება მაინც მოგიწევთ, თორემ შავ დღეს დაგაყრით (შესაძლოა, ეს პარადოქსაულია, მაგრამ სიმართლეა). მან სხვებისგან განსხვავებით კარგად იცის საკუთარი თავის ფასი, არც არასრულფასოვნების კომპლექსი ტანჯავს და დასახულ მიზანსაც უეჭველად აღწევს (თუნდაც, ეს ოცი წლის ლოდინად დაუჯდეს). მასთან ნუ იქნებით უხეში და შეურაცხმყოფელი, მთავარია, მან თქვენში ძალა იგრძნოს (აქ ფიზიკური ძალა არ იგულისხმება). მისგან შეგიძლიათ სიმტკიცე და უშიშარობა ისწავლოთ. ის საკმაოდ გასაიდუმლოებული ნიშანია და არაფრის დიდებით ნებას არ მოგცემთ, მის პირად ცხოვრებაში ცხვირი ჩაყოთ. თუ მის შრომას ვერ აანაზღაურებთ და ან აღარ გჭირდებათ, პირდაპირ უთხარით, მის ხელზე დახვევას ნუ დაიწყებთ, თორემ წაგებთ. ის ვერ იტანს სულელ და არაშორსმჭვრეტელ ადამიანს, რომელიც იმ ტოტს ჭრის, რომელზეც თვითონ ზის. ასე რომ, შეინარჩუნეთ ის და საკმაოდ ბევრჯერ გამოუვალი სიტუაციიდანაც გიხსნით.

მშვილდოსანი

ერთადერთი ზოდიაქოს ნიშანი, რომელსაც სამსახურის დაწყებისას მომავლის პერსპექტივები არ აინტერესებს, ეს მშვილდოსანია. ის ფიქრობს: „რაში მაინტერესებს, რა იქნება ერთი წლის შემდეგ, როდესაც არ ვიცი, რა იქნება ხვალ?!“. ლოგიკური პასუხია, არა?! ვინ, ვინ და მშვილდოსანი იღბლიანია და ეს სწორედ სამსახურში მიღებისას ეხმარება. „შემთხვევით“ შესაძლოა, ცნობილი კომპანიის პრეზიდენტის მოადგილის პოსტიც კი შესთავაზონ. ის ცოტა ფაციფუცაა და ეგებ, საქმიან ქალაღლებზე ყავაც კი გადაესხას, სამაგიეროდ, ნიგერიელ სტუმარს საკუთარ დიალექტზე დაელაპარაკება და მთელ კომპანიას ასახელებს. ის შეცდომებს იშვიათად უშვებს (დაუდევრობა შეცდომა არის თუ არა, თქვენ განსაზღვრეთ) და ამით თანამშრომლებს მალე ჩრდილავს. ის (როგორც ვერძი) საკმაოდ უტაქტოა და ამით ბევრ მტერს იჩენს. სამაგიეროდ, უსინდისო არასოდეს გახდება და ეს ნამდვილად დასაფასებელია. საბოლოო ჯამში თუ ის თქვენთან მუშაობს, მაინც მოგებული იქნებით.

თხის რქა

ის ნამდვილი განძია (როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით). ვინ არის ის, ვინც სამსახურში ყველაზე ადრე მოდის და ყველაზე გვიან მიდის? ვინ მუშაობს თავაუღებლად და შესვენების დროს მთელი საათი დერეფანში არ ლაზღანდარობს? ვინ არის ყოველთვის წესრიგში და ვის უდევს ოჯახის ფოტოსურათი სამუშაო მაგიდაზე? ვის და მას, დიახ, თხის რქა-ხელქვეითს. როდესაც „ჩაძირვას“ დაიწყებთ, ის მაშველ რგოლადაც გამოგადგებათ, თქვენ კი გაიძახით, ერთი პირქუში და უსიტყვო არსებაა. აბა, მარჩბივთვი მთელი დღე ხომ არ ილაქლაქებს და მშვილდოსანივით ერთსაათიანი სამუშაო დღე ხომ არ ექნება?! ასე რომ, გაუფრთხილდით. მისი იმედი ყოველთვის შეგიძლიათ გქონდეთ. ის საერთო საქმის გულისთვის საკუთარ საქმეს გვერდზე გადადებს. ხშირად თხის რქა-ხელქვეითისაგან თხის რქა-უფროსამდე ერთი ნაბიჯია და აღწევენ კიდეც ამას. ვის, ვის და მას ყველაზე მეტად სურს საკუთარი კაბინეტი, სახლი პრესტიჟულ უბანში, ძვირფასი ავტომანქანა და მოდური ტანსაცმელი. ალბათ გაიგეთ, მთავარია, ის მიხვდეს, რომ თქვენთან წინსვლის პერსპექტივა არსებობს.

მერწყული

თუ ამ ნიშნით დაბადებული ადამიანი თქვენთან მუშაობს, მაშინ ის კვირაში ერთხელ საკუთარ კაბინეტში დაპატიჟეთ და ფირმის პერსპექტივებზე აზრი გამოჰკითხეთ. არ დაგავიწყდეთ, მერწყული იდეების გენერატორია და შესაძლოა, ძალიან კარგი აზრი მოგაწოდოთ. მისი იდეები რაც არ უნდა აბსურდულად მოგეჩვენოთ, მერწყულ-ხელქვეითს მაინც კარგად მოუსმინეთ და გაანალიზეთ, ის დროს უსწრებს და შესაძლოა, მისი იდეის განხორციელება ერთგვარ მოდადაც კი იქცეს. შეეცადეთ, ის ხალი გამოგონებებისა და იდეების გენერაციისთვის გამოიყენოთ (არაგონივრული იქნება მისი მოცდენა მაგალითად, ბუღალტრის თანამდებობაზე, ამაზე ქალწული დანიშნეთ). შესაძლოა, თუნდაც მისმა ერთმა იდეამ თქვენს კომპანიას უფრო მეტი სამსახური გაუწიოს, ვიდრე ოცი სხვა ადამიანის ფიზიკურმა შრომამ.

თევზები

თევზები-ხელქვეითს არავითარი შეხება არ უნდა ჰქონდეს ისეთ თანამდებობებთან, რომლებიც მომჭირნეობასა და ეკონომიურობას მოითხოვენ: ის ქველმოქმედი ბუნების გამო ყველაფერს გასცემს, ეს კი თქვენს ფირმას გააკოტრებამდე მიიყვანს. კარგი იქნება, თუ მისი სამუშაო შემოქმედებითი სახის იქნება, ეს მის შრომისუნარიანობას ერთიორად გაზრდის. კარგად შეისწავლეთ მისი ოჯახური მდგომარეობა, ოჯახში რაიმე პრობლემა ხომ არა აქვს, რადგან ეს პირდაპირ აისახება მის სამსახურზეც. ნელ-ნელა ასწავლეთ აწმყოში ცხოვრება (ის ხომ ყოველთვის წარსულში ცურავს). ხშირად უთხარით კომპლიმენტები (ოღონდ არა ყალბი, რადგან წინასწარმეტყველებამდე მისული ინტუიცია აქვს და სიყალბეს უმალ მიხვდება). მას დიდი ამბიციები არ აწუხებს და საშიშიც არ არის (მაგალითად, ძირი რომ გამოგითხაროთ და ა. შ.). თევზებ-ხელქვეითთან მთელი კოლექტივის ნახევარი გულს მიიოხებს და ახლობლებსაც კი გაჭორავენ (ამას მისი კაცთმოყვარე ბუნება განაპირობებს), რადგან მასთან საუბარი ყველას მშვიდ გუნებაზე აყენებს. საბოლოოდ, ის პოზიტიური ხელქვეითი უფროა, ვიდრე ნეგატიური.

მოამზადა რამაზ გიგაურმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(1 - 7 სექტემბერი)

ვერძი – 21/III-20/IV

ამ პერიოდში ახლობლებისთვის გარკვეული დახმარების გაწევა მოგიწევთ. გამოიჩინეთ გულისხმიერება და გახსოვდეთ, რომ თქვენი მხრიდან ნებისმიერი კეთილი ნების გამოვლინება მომავალში აუცილებლად დაგიფასდებათ. მოსალოდნელია საქმიანი ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც აუცილებლად გამოგადგებათ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – კუროსა და მარჩბივთან. **პოზიტიური დღეები:** 1, 3, 4. **ნეგატიური დღეები:** 6, 7.

კუროო – 21/IV-21/V

გრძელდება თქვენთვის სასიკეთო და საქმიანი პერიოდი. გირჩევთ, არ იზარმაცოთ, იყავით მიზანსწრაფული და შრომისმოყვარე (ამ პერიოდში გაწეული შრომა გამარჯვებას მოგიტანთ). თუმცა, მოსალოდნელია წინა პერიოდებში შექმნილი პრობლემების გამო, ვერ მოახერხოთ მობილიზება და პოზიტიური ცვლილებების შანსიც ხელიდან გაუშვათ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ქალწულთან, ნეგატიური – ლომსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 2, 4, 7. **ნეგატიური დღეები:** 1, 3.

მარჩბივი – 22/V-21/VI

თქვენი მომხიბვლელობისა და შარმის წყალობით, მოსალოდნელია, დაითანხმოთ სპონსორები და მიიღოთ ის დახმარება, რომელიც თქვენს საქმეს სარფიან ბიზნესად აქცევს. მნიშვნელოვნად გაგიძლიერდებათ სასიცოცხლო ტონუსიც, ეს კი ხელს შეგიწყობთ მოძალებული პრობლემების მოგვარებაში. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური – ქალწულსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 2, 3, 4. **ნეგატიური დღეები:** 1, 5

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ეს კვირა ახალ, საქმიან შეხვედრებს, კონტაქტებს და ნაცნობობას მოგიტანთ. თუ მოახერხებთ და შეინარჩუნებთ სულიერ სიმშვიდეს, შეძლებთ, სწორად განსაზღვროთ მომავალი მოქმედების გეგმა. ნუ იმოქმედებთ იმპულსურად და ნუ გეგონებათ, რომ ყველაფერი უცაბედად, თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება – დიდია შეცდომების დაშვების რისკი. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 1, 2, 5. **ნეგატიური დღეები:** 3, 6

ლომი – 23/VII-23/VIII

ეგოცენტრულობა და ეგოიზმი თქვენი მხრიდან მოსალოდნელი შეცდომების დაშვების ალბათობას ერთიორად გაზრდის. გირჩევთ, მოერიდოთ მკვეთრ, მით უმეტეს, აგრესიულ გამოსვლებს. კარგი იქნება, თუ თქვენს საკეთებელ საქმეს დროებით ახლობელ ადამიანს გადააბარებთ, თქვენ კი დაისვენებთ. მოერიდეთ ფიზიკურ და სულიერ დატვირთვას, რათა არ გადაიძაბოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მარჩბივთან, ნეგატიური – კუროსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 3, 4, 6. **ნეგატიური დღეები:** 1, 2.

ქალწული – 24/VIII-23/IX

„ახლა თქვენი დროა“ და შეეცადეთ, მაქსიმალურად სასიკეთოდ გამოიყენოთ. მიმდინარე კვირა აუცილებელია რიტმულად დაიწყოთ. ნუ იზარმაცებთ და დროს არაფრის მომცემ და უსარგებლო საუბრებსა თუ შეხვედრებზე ნუ დახარჯავთ. დაგეგმეთ, თქვენთვის მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები, გააფორმეთ ხელშეკრულებები. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თხის რქასთან, ნეგატიური – სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 1, 5, 7. **ნეგატიური დღეები:** 2, 4.

სასწორი – 24/IX-23/X

ამ პერიოდში მოგეცემათ შანსი, განახორციელოთ ძირეული ცვლილებები და ერთფეროვანი, უინტერესო ყოფა საინტერესოთი შეცვალოთ. თუკი დახმარება დაგჭირდებათ, თამამად მიმართეთ პარტნიორებსა და კოლეგებს, ისინი თქვენს გაჭირვებას გულთან ახლოს მიიტანენ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და სასწორთან, ნეგატიური – ქალწულსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 2, 3, 6. **ნეგატიური დღეები:** 1, 7.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

გირჩევთ, თავი შეიკავოთ და არ ჩაებათ სარისკო საქმიანობაში, ნუ მოინდომებთ ტყუილით ფონს გასვლას, ერიდეთ ფინანსურ ოპერაციებსა და მსხვილ შენაძენებს – წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ დაზარალდეთ და დიდხანს მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოახერხოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – სასწორსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 2, 4, 6. **ნეგატიური დღეები:** 3, 5.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ეს პერიოდი თქვენთვის კარმული იქნება. მოსალოდნელია, რომ თქვენ მიერ წარსულში ჩადენილი შეცდომების გამო, გარკვეული პრობლემები შეგექმნათ. იმისათვის, რომ შეცდომას შეცდომა აღარ დაუმატოთ, ისე მოიქეცით, რომ არც აგრესია გამოამჟღავნოთ და არც დეპრესიაში ჩავარდეთ. შეეცადეთ, შეინარჩუნოთ „ოქროს შუალედი“. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 1, 2, 3. **ნეგატიური დღეები:** 4, 5.

თხის რქა – 22/XII-20/I

ნეიტრალური პერიოდია, მაგრამ თუ შეეცდებით საკუთარი დროისა და ენერგიის მაქსიმალურად გამოყენებას, შესაძლოა, წარმატებასაც მიაღწიოთ. ყურადღება გაამახვილეთ ასაკით უფროს ადამიანებზე, დახმარებას სწორედ მათგან ელოდეთ. ნურავის აჰყვებით და შეეცადეთ, თქვენ მიერ არჩეულ გზას ჯიუტად მიჰყვეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 1, 4, 7. **ნეგატიური დღეები:** 5, 6.

მერწყული – 21/I-19/II

მოსალოდნელია, რომ გარკვეული ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც დადებითად იმოქმედებს როგორც თქვენს მატერიალურ, ისე სულიერ მხარეზე. მოხვდებით ისეთ საზოგადოებაში, სადაც ინტელექტუალურ დონეს აიმაღლებთ. თუ ინიციატივას გამოიჩენთ, შესაძლოა, ხანგრძლივ და ნაყოფიერ თანამშრომლობასაც დაუდოთ სათავე. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – ლომსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 2, 4, 7. **ნეგატიური დღეები:** 1, 3.

თევზები – 20/II-20/III

ეს პერიოდი თქვენთვისაც მეტ-ნაკლებად სასიკეთო იქნება. კარგი იქნება, თუკი ძირითად დროს სწავლასა და ინტელექტის ამაღლებაზე ზრუნვას დაუთმობთ. წინა პლანზე წამოიწევს სამსახურებრივი საქმეები, მოსალოდნელია, თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაც. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური – ლომსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 3, 6, 7. **ნეგატიური დღეები:** 2, 4..



- გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ თავზე
- ფლოტის სარდალი ძვ. საბერძნეთში
- კრამიტის მოსაჭრელი ყალიბი
- წიწვოვანი მცენარეების წეროვანი წვენი
- დამბლადაცემული
- პოლონელი კომპოზიტორი
- საოჯახო სამაგიდო თამაში
- ცხენბურთი
- მადნეულის მოსაპოვებელი ადგილი
- ერთგვარი ბოსტნეულის სალათი
- ირანის დედაქალაქი
- აზოტის ლათინური სახელწოდება
- ჯუჯა კამეჩი
- ესპანური ავიაკომპანია
- ძვირფასმერქნიანი ხე
- სრულიად ბრტყელ ხსნის წესჩულები
- ეგვიპტის დედაქალაქი
- ავდანეთის დედაქალაქი
- სამკაციანი ანსამბლი
- სადურგლო სწორკუთხა სახაზავი
- ყურანის ცალკეული თავი
- ერთნახადი სუსტი არაყი
- თევზის საჭერი მოწყობილობა
- უდაბნო აზიაში
- სახელმწიფო აფრიკაში
- ლაოსის ფულის ერთეული
- იარლიყი
- მოხეტიალე მოცეკვავე ქალი ინდოეთში
- ისლანდიის პარლამენტი
- მუს. ბგერა
- ჭადრაკის ფიგურა
- მეფის სასახლე ესპანეთში
- თუთიყუშის სახეობა
- თაღი
- ბრიტანეთის ნაწილი
- ფალიაშვილის ოპერა
- სისხლის აღრევა
- მექსიკური არაყი
- დაბა ქართლში
- თურყურძნიანი ვაზის ჯიში
- ერთისა და იმავეს დაყენებით ლაპარაკი



მე-15 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-გ; 3-ა.

ანეკდოტები

***

— გენიოსი ვარ, ძმაო!...

— რა იყო, ონისე?

— „ლეგო“ ვიყიდე მაღაზიაში და ორ თვეში ავაწყვე!

— მერე რა მოხდა ასეთი?!

— რაი და, ყუთზე ეწერა — სამიდან ხუთ წლამდეო, მე კი ორ თვეში ავაწყვე!

***

— ჩემს ქმარს ისევ ამოუვარდა ყბა მთქნარებისას.

— ასეთს რას უყვებოდი, შე ქალო?!

***

ოპტიმისტის დღიურიდან: რაც წლები მემატება, კბილებსაც უფრო ადვილად ვიხეხავ, თმასაც უფრო ადვილად ვივარცხნი.

***

საპარიკმახეროში:

— კაცურად, ერთი საკაიფოდ გამპარსე, თუ ძმა ხარ.

პარიკმახერმა დააფურთხა საქაფავ ჯაგრისს და კლიენტს სახეზე წასმა დაუწყო.

— რას შვრები, შენი დედა ვატირე?! საკაიფოდ გამპარსე-მეთქი, გთხოვე, და ეს არის?!!

— საკაიფოდ რო მთხოვე, ძმაო, მიტომაც დავაფურთხე „პომაზოკზე“! „აბიჩნათ“, ჩვენა სახეში ვაფურთხებთ და ისე ვპარსამთ, ვაა!..

***

ქუჩაში ასფალტს აგებენ. ბრიგადირი გამვლელს უყვირის:

— ყმაწვილო, რას დაეთრევი ამ ახალდაგებულ ასფალტზე ლასტებით?!!

— ლასტები კი არა, მაგარი ტუფლები იყო, სანამ თქვენი „კატოკი“ გადაუვლიდა.

***

— ექიმო, სარკეში რომ ვიყურები, გული მერევა. ნეტა, რისი ბრალია?

— მდაა... კარგი მხედველობა გქონიათ, ქალბატონო.

***

სვანი მეზობლებს თავისთან შეყრის და ეუბნება:

— შვილი შემეძინა!

ერთი მათგანი ჰკითხავს:

— რა დაარქვი?

სვანი პასუხობს:

— არ ვიცი, 10-ჯერ მაინც ვკითხე და არ მეუბნება!

***

— ალო, ქალიშვილო, თქვენი განცხადება წავიკითხე გაზეთში. თუ შეიძლება, პაემანზე რომ მოვიდე?

— კი, ბატონო, შევხვდეთ, მაგრამ როგორ უნდა გიცნოთ?

— მე, ჩემო კარგო, დაბალი ვარ, ღიპიანი, მელოტი, გაუპარსავი, წვერიანი...

— უ, შე სასიკვტილევ!... ვახტანგიე ხარ, ხომ?!

***

ავტობუსში:

— თუ შეიძლება, ადგილი დამითმეთ, შიდსით ვარ ავად... არა, არა!... ერთი ადგილი გთხოვეთ, ყველანი ნუ წუხდებით!...

***

საპარიკმახეროში საუბრის გასაბმელად, დალაქი ეკითხება მეგრელ კლიენტს:

— ფეხბურთში რომელ გუნდს გულშემატკივრობ?

— რომელსაც თქვენ, გენაცვალე, — მიუგო კლიენტმა.

— კი, მაგრამ თქვენ რა იცით, მე რომელ გუნდს ვგულშემატკივრობ?

— არ ვიცი, მაგრამ სამართებელი თქვენ გიჭირავთ ხელში და სხვა რა უნდა ვქნა, მაგალითად?..

***

ოქროს თევზი შვებულებაში გავიდა, შემცვლელად ნიანგი დაუტოვა და დაუბარა:

— ყველას აუსრულე ნატვრა.

... და როცა ოქროს თევზი შვებულებიდან დაბრუნდა, ნიანგს ეკითხება:

— რა ქენი?

— ყველაფერი კარგად არის... მაგალითად, ერთი ტიპი მოვიდა და მთხოვა: იმხელა მინდა მქონდეს, რომ დაბლა მეთრეოდესო.

— მერე, რა გააკეთე?

— ფეხები მოვაჭამე...

***

ნარკომანი ქუჩაში ხვლიკს მიასეირნებს. ერთი ტიპი შეხვდება, რომელსაც კავკასიური ნაგაზი მოჰყავს.

— მოდი, ძმაკუშ, ჩვენი მხეცები ვაჩხუბოთ.

ძაღლის პატრონი პასუხობს:

— არ გინდა, მაგ ჭიაყელას შეგიჭამს.

— შენი რა მიდის? მოდი, ტოო, 100 დოლარზე ვაჩხუბოთ.

აჩხუბებენ. ხვლიკი შეჭამს ძაღლს. პატრონი გაგიჟდება:

— ეს რა ჯიშის ხვლიკია?!.

— ეეჰ, ძმაკუშ, ძმაკუშ!.. ეს წამალს რომ არ გადოჰყოლოდა, თავის დროზე, ნიანგი იყო.

***

სამედიცინო ინსტიტუტის ქუთაისელ სტუდენტს მეგობარი ეკითხება:

— სა იყავი, ანზორია უდღეურო?

— მორგში, გაკვეთაზე!

— მერე, რეიზა დეიგვიანე?

— არ გვნებდებოდა ის უპატრონო.

***

სეროჟა სომეხ ძმაკაცს ეუბნება:

— მანქანა ვიყიდე.

— რა ფერია?

— ჩემი თმის ფერი.

— ვაა, „ზნაჩეტ“ — ხუჭუჭა?..

***

სვანი ბაზარში ქათმების გამყიდველს ეუბნება:

— ძმაო, პასპორტი მაჩვენე!

— რად გინდა?

— ცოლმა მითხრა, მეგრული ქათამი იყიდეო და უნდა ვნახო, სადაური ხარ!

***

ბავშვი სკოლიდან ატირებული ბრუნდება:

— რა მოგივიდა? — ეკითხება მამა.

— მაინტერესებდა, თითებს შორის რა განსხვავებაა და მასწავლებელს სათითაოდ დავანახვე.

რამდენად დამოუკიდებელი ადამიანი ხართ?

1. სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორ მიიღეთ სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილება?

ა) საკუთარი მოწოდებისა და მიდრეკილებების გათვალისწინებით, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე;

ბ) მშობლებისა და ახლობლების აზრი გავითვალისწინე;

გ) ახლო მეგობრების აზრი გავითვალისწინე.

2. ვისი ან რისი იმედი გქონდათ უმაღლესში ჩაბარებისას?

ა) მხოლოდ საკუთარი თავის;

ბ) იმის, რომ გამიმართლებდა და ცოტა მშობლების კავშირებისაც;

გ) მხოლოდ და მხოლოდ მშობლების კავშირების.

3. უმაღლესში სწავლის დროს, როგორ ემზადებოდით ჩათვლებისა და გამოცდებისთვის?

ა) შრომისმოყვარეობას ვიჩენდი და ბევჯითად ვმეცადინეობდი;

ბ) ზოგჯერ დახმარებას ლექტორს ან თანაკურსელს ვთხოვდი;

გ) ძირითადად, სხვისი დახმარების იმედი მქონდა.

4. როგორ მოეწყვეთ სამსახურში?

ა) უმაღლესის დამთავრების შემდეგ, განაწილებით;

ბ) პირველ რიგში, ნაცნობებისა და ამ საკითხში გათვითცნობიერებული ადამიანების ხელთ არსებული ინფორმაცია გამოვიყენე;

გ) კავშირების წყალობით.

5. როგორ ართმევთ თავს სამსახურში შექმნილ რთულ სიტუაციას?

ა) მხოლოდ საკუთარი ცოდნის, ინტუიციისა და გამჭრიახობის წყალობით;

ბ) ზოგჯერ კოლეგებს ვეთათბირები;

გ) ვცდილობ, ყოველთვის ჩემზე გამოცდილი მუშაკების აზრით ვიხელმძღვანელო.

6. რით იყო ნაკარნახები თქვენი ქორწინების წინა არჩევანი?

ა) საბოლოო გადაწყვეტილება თავად მივიღე;

ბ) ახლობლების აზრსაც გავუწიე ანგარიში;

გ) პირველ რიგში, საქმრო (საცოლე) ახლობლებს გავაცანი და მათაც ვკითხე რჩევა.

7. თუკი თქვენი მეუღლე დიდი ხნით მივლინებაშია წასული, შეძლებთ თუ არა დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას, ვთქვათ, რაიმე ძვირად ღირებული ნივთის შეძენის ან სამსახურის გამოცვლის თაობაზე?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) რა თქმა უნდა, შევძლებ, მაგრამ ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, თუკი დროებით გადავდებ გადაწყვეტილების მიღებას და მეუღლის დაბრუნების შემდეგ ყველაფერს ერთად გადავწყვეტ.

8. მოზარდობისას, რამდენად მტკიცეთ შეგეძლოთ საკუთარი აზიის დაცვა?

ა) ყოველთვის ჩემი აზრის გატანას ვცდილობდი და ამიტომ მშობლებთან ხშირად მქონდა კონფლიქტი;

ბ) ჩემი აზრის დაცვას ვცდილობდი, მაგრამ მშობლების აზრსაც პატივს ვცემდი;

გ) ჩემის გატანას დაჟინებით არასოდეს ვცილობდი.

9. რამდენად მტკიცედ იცავთ საკუთარ აზრს ამჟამად სამსახურში, ოჯახსა თუ მეგობრებთან ურთიერთობისას?

ა) სიტუაციას მნიშვნელობა არა აქვს, ყოველთვის საკუთარ აზრზე ვრჩები;

ბ) ხშირ შემთხვევაში, საკუთარი აზრის დაცვას ვცდილობ;

გ) დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, საკუთარი აზრის დაცვას ნაკლებად ვცდილობ.

10. თქვენი აზრით, როგორ ავლენთ პიროვნულად საკუთარ თავს სამსახურში, საზოგადოებრივ თუ ინტელექტუალურ სფეროებში?

ა) საკუთარი თავის სრულად რეალიზებას ვცდილობ ჩემ მიერ არჩეულ სფეროში.

ბ) ირგვლივ მყოფთა აზრსაც ვითვალისწინებ;

გ) საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზრს ანგარიშს ვუწევ და ვცდილობ, არ დავუპირისპირდე მას.

11. როგორ მოიქცევით, თუკი ხედავთ, რომ თქვენი ახლობელი სრულებით არ ზრუნავს საკუთარ ჯანმრთელობაზე და რაღაც თვალსაზრისით, ზიანსაც კი აყენებს თავს?

ა) ვაიძულებ მას, უფრო გონივრულად მოიქცეს;

ბ) ტაქტიანად მივუთითებ, როგორ უნდა შეიცვალოს ცხოვრების წესი;

გ) ვეცდები დავეხმარო, მაგრამ წარმატების დიდი იმედი არ მაქვს, რადგან ჩვეულებრივ, ძალზე რთულია ადამიანის ცხოვრების წესის შეცვლაზე დაყოლიება.

დაგვამთავრეთ ქულები

ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 4 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2, „გ“ ვარიანტში — 0.

ტესტის შედეგები

30-44 ქულა: თქვენ არა მარტო ვერ იტანთ თქვენს საქმეებში ნებისმიერი სახის ჩარევას, არამედ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვისი აზრის მოსმენაც კი გაღიზიანებთ. ნუთუ ეჭვი არ გეპარებათ იმაში, რომ ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებთ და ყოველთვის სწორად მსჯელობთ? ნუ დაივიწყებთ: საკუთარი თავის რწმენა ადამიანის ღირსებაზე მიუთითებს, აი, ზედმეტი თავდაჯერებულობა კი — მის ნაკლზე.

15-29 ქულა: მტკიცე ხასიათით გამოირჩევით. საკმაოდ კარგად უძლებთ სტრესს. უერთგულესი მეგობარიც ბრძანდებით. დამოუკიდებელი ადამიანი ხართ, მაგრამ სხვების აზრსაც ანგარიშს უწევთ; ირგვლივ მყოფები სათანადოდ აფასებენ თქვენს ამ თვისებას.

0-14 ქულა: იმდენად გაუბედავი ადამიანი ხართ, რომ თქვენი გაუბედაობის წყალობით, ზოგჯერ სულმდაბალი საქციელის ჩადენამდეც კი მიდიხართ. იქნებ გეცადათ, უფრო მეტი დამოუკიდებლობა გამოგეჩინათ?

პინგვინს პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს

ნებისმიერ სამხედრო პირს შეშურდება ედინბურგის ზოოპარკის ბინადრის ბრწყინვალე კარიერის: პინგვინს – სახელად ნილს-ოლაფს, რამდენიმე დღის წინ, ნორვეგიის სამეფო არმიის პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს.

ნორვეგიელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც სამხედრო სამსახურს შოტლანდიაში იხდიდნენ, ჯერ კიდევ 1972

წელს, პინგვინი, სახელად ნილსი თავიანთ ოფიციალურ თილისმად აღიარეს. მრავალი წლის მანძილზე, გულმოდგინედ მუშაობის შედეგად, პინგვინმა ორი მედალი მიიღო, ხოლო ედინბურგის ხელისუფლებამ ანტარქტიკულ ფრინველს ძეგლიც კი აუგო.

პირველი ფრინველი-თილისმა, რომელსაც სერჟანტის წოდება ჰქონდა მიღებული, 1993 წელს გარდაიცვალა. მაგრამ ის პინგვინი რა პინგვინია, რომელიც გენერლობაზე არ ოცნებობსო! – გადაწყვიტეს სამხედრო წრეებში. ასე რომ, მომდევნო ნილს-ოლაფი, წინამორბედთან შედარებით დაწინაურდა და ჯერ კიდევ დაბადებისთანავე, უფროსი სერჟანტის წოდება მიიღო. 12 წელი მან წარმატებით იარა კარიერულ საფეხურებზე და დღესდღეობით, პოლკოვნიკობასაც მიაღწია. აღსანიშნავია, რომ პინგვინს ესოდენ მაღალი ჩინი თვით მეფის სპეციალური ბრძანების შედეგად მიანიჭეს.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით, საზეიმო ცერემონია მოეწყო. ნორვეგიელი ჯარისკაცები შოტლანდიაში სპეციალურად ჩავიდნენ, რათა თავიანთი „ფრთიანი ოფიცრისათვის“ პატივი მიეგოთ.

■

მოსწავლეებმა მასწავლებლები დასაჯეს

ინდოეთის ქალაქ აგარტალის ერთ-ერთი უმაღლესი სკოლის სტუდენტებმა მასწავლებლების დასასჯელად უჩვეულო მეთოდი მოიგონეს: მათ პედაგოგები აუდიტორიაში გამოამწყვდიეს, რათა ამ უკანასკნელთ, საშუალება მისცემოდათ, მთელი სიცხადით გაეანალიზებინათ თავიანთი დანაშაულის სიმძიმე.

სტუდენტებმა ის 12 პედაგოგი – რომელიც გაკვეთილებს ხშირად აცდენდა, სკოლაში უმეტესწილად ნასვამ მდგომარეობაში ცხადდებოდა და გაკვეთილზე სიგარეტის მოწევასაც არ ერიდებოდა – ჭკუის სასწავლებლად, აუდიტორიაში ერთად შეკრიბეს და კარი გარედან ჩაუკეტეს.

დასჯილმა პედაგოგებმა, რომელთაც ამ მდგომარეობაში რამდენიმე საათი გაატარეს, ადგილობრივი მოსამართლის თანხლებით, პოლიცია გამოიძახეს.

მოსამართლე ბაზირა ალის თქმით, მოსწავლეებს სრული უფლება ჰქონდათ, ამგვარად მოქცეულიყვნენ, ვინაიდან მასწავლებლები მართლაც უმსგავსოდ იქცეოდნენ. ამჟამად სკოლის ხელმძღვანელობა განიხილავს სტუდენტების მოთხოვნას და 12 მასწავლებელს, თავისი უწესო საქციელისთვის პასუხს კანონისამებრ აგებინებს.

■

იაპონიაში რობოტი-„შინამტანჯველი“ გამოიგონეს

იაპონელმა სპეციალისტებმა შექმნეს რობოტი, რომელიც ოჯახებში ზედამხედველის ფუნქციას შეასრულებს. ამიერიდან პატარა ონავრები ნამდვილად გულწრფელ თანაგრძნობას იმსახურებენ, რადგანაც მშობლების შინ არყოფნის დროს, თავისებურად, გულიანად ვეღარ იცელქებენ და სახლს ყირაზე ვეღარ დააყენებენ.

რობოტი, რომელსაც შეუძლია ბავშვებს მიხედოს და შინიდან გააძევოს დაუპატიჟებელი სტუმრები, იპიონიაში, ზოგიერთი მაღაზიის დახლზე უკვე გამოჩნდა.

ელექტრონული ჯაშუში მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს და მფლობელის მობილურ ტელეფონზე გზავნის. მწარმოებელ ფირმას მიაჩნია, რომ რობოტი-„შინამტანჯველი“ შესანიშნავად გაართმევს თავს ბავშვებისა და ცხოველების მოვლა-პატრონობას. თუმცა, რა მეთოდით დააწყნარებს იგი გადარეულ ბავშვს, უცნობია. ალბათ, რობოტი მას გამუდმებით და თან მუქარით ხშირ-ხშირად გაუმეორებს, რომ ყველაფერს – რაც ჩაიდინა, მის მშობლებს მოუყვება.

■

ორი წლის პატარამ მწვერვალი დაიპყრო

ინგლისის უმაღლესი მწვერვალი – სკოფელის პიკი ორი წლის იორკელმა ელიშა სმიტმა დაიპყრო. პატარა ალპინისტმა 978 მ სიმაღლის მწვერვალი, მშობლებთან ერთად დალაშქრა.

ორი წლის ელიშას, რომელიც გზადაგზა მადიანად შეექცეოდა თავის საყვარელ

შოკოლადიან ნამცხვარს, არავის დახმარება არ დასჭირვებია და მწვერვალამდე დამოუკიდებლად მიაღწია.

უახლოეს მომავალში, სმიტების ოჯახი აპირებს, პატარა ელიშასთან ერთად, უელსის ყველაზე მაღალი მწვერვალი სნოუდონი, შემდეგ კი – დიდი ბრიტანეთის უმაღლესი – 1344-მეტრიანი მწვერვალი ნევისი დალაშქროს.

„ჩვენ არ ვჩქარობდით და იმ ტემპით მივიწევდით წინ, რომელიც ელიშასთვის მოსახერხებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მწვერვალზე ასასვლელად, ყველაზე უბრალო და შედარებით სწორი ტრასა შევარჩიეთ“, – ამბობს ოჯახის უფროსი შეინ სმიტი.

■

ფოტოკუთხიზები





უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

სექტემბრის ნომერში იხილეთ:

3 პოსტერი

ამერიკული ლეგენდა — „მწვანე ბერეტები“



„ჩელენჯერი“ — ბრიტანელების სიამაყე

3/21
-355

გლადიატორი ძალები

კომფორტული ჯავშანტრანსპორტიორი

რუმინეთის სამხედრო-საზღვაო ძალები

ველაზე
ასური ჟურნალი
რა მარტო
ამაკაცებისთვის